



ქართული
ლიბრეოთეკა

რეტენატუნა და სეროენება

N7

07/2006

1522/2
2006

ქალბა

ზაირა
არსენიშვილი
რევაზ მიშველაძე

ქაუზის

ლიდინო ცახური

ქსეფოლის

ზურაბ ნიჟარაძე

ქრისტიანობა


რამაზ აბტარიძე

თეატრი

ნათელა ურუშაძე


თარგმანი

ზაალ ბოტკოველი




ზურაბ ნიჟარაძე

გოგონა ვირზე




ზურაბ ნიჟარაძე

ოთარ ჭილაძის პორტრეტი



ზურაბ ნიჟარაძე

ქუჩის სცენა



ზურაბ ნიჟარაძე

ნიუ

რიტეინატუნა და სეროენება

N7
07/2006



გამომცემლობა
„ეროვნული მწერლობა“
ყოველთვიური ჟურნალი

ISSN 1512-3189

Literature And Art

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და ხელმძღვანელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი:
ტარიელ ხარხელაური

მთ. რედაქტორის
მოადგილე:
მანანა მიქელაძე

პასუხისმგებელი
მდივანი:
ზურაბ თორია


რედაქტორები:
დავით ტაკიძე
ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი:
მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა:
ზურაბ ნიჟარაძე

რედაქციის მისამართი:
რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
(+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@posta.ge

გამოცემის სპონსორია



მ ა გ თ ი ა ო მ ი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქრომა, ქოფია

- 3 ზაია ახენიშვილი - ელდანი მთვარის შუქზე
- 32 ლილინო ცახუჩი - ლექსები
- 34 ხევაზ მიშველაძე - ნოველები
- 47 ვაჟა ხოხნაული - ლექსები
- 50 დალიდა ბედიანიძე - ლექსები

თარგმანი

- 52 ლეიჯი პიხანდელი - ცხენი მთვარეზე

/თარგმანი ზაად ბოტყოველია/

წერილები

- 56 ხამაზ ჰატაიძე - ხოდის დანიხა "ვეფხისტყაოსანი"
- 60 ნოდარ შანიძე - აბელმესია შა/მ/თელი
- 66 მანანა ჩიტიშვილი - ნიულომ მინიშვილი - 110

სტატიები

- 72 ნათელა უჩუაძე - გაფანტული ანახელები

მხატვრობა

- 79 თამთა შავგულიძე - "ჩიტების გამყიდველი" ემიგრაციაშია
- 83 მამუკა დოლიძე - ატისტიკიზმი და სიცოცხლე
- 84 ფოტოაქტივიზმი

საქონსუფროსადაც საზღვაო:

ქაზის ავირუნი, ზაზანა ზოგუაძე, ნანი ზოგუაძე,
პეტრე ზოდინიძე, ანაწა ზოდინიძე, მაყადას ვინაშვილი,
თეიმურაზი ჩხეიძე, თამარ ჩხეიძე, ვივი ჩხეიძე



ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



ჭართა
 არსენიძეული

**ხოცაფი ბოჯახის
 მუჯა**

ხოცაფი*

/გაგრძელება/

... სასადილო ოთახიდან საათის რეკა მოის-
 მა, შვიდი საათი იყო უკვე. ნიკომ ნაწერიდან
 თავი აიღო; წასაკითხი კიდეც დარჩა, „გენერა-
 ლი ლაზარევის სიკვდილი“, — ასე ეწერა სა-
 თაური შემდეგ თაბახს, .. ოჰოჰოჰო, ალბათ,
 რა ლანძღვაა რუსებისაო, გაბრაზებით გაი-
 ფიქრა ნიკომ და წამოდგა. და თუმცა ავად-
 მყოფების მიღება სწორედ შვიდი საათიდან
 ჰქონდა, არ შეეძლო, არა, თავისი აღშფოთება
 და წუხილი მარიკოსთვის არ გაეზიარებინა,
 მაგრამ მარიკომ სრულებითაც არ აუბა მხა-
 რი და პირიქით, ცოცხლად რომ წარმოიდგი-

ნა ნიკოს გატრიზავებული სახე თიკოს ნაწე-
 რების დანახვისას, ერთი გაიკისკისა თავისე-
 ბურად, ოლონდ მაშინვე, ნიკოს აღშფოთება
 რომ შეერბილებინა, ალერსიანად დაუყვავა:
 „ჩემი ბიჭი... ჩემი გაბრაზებული ბიჭი... შე-
 მომჩიოდა თიკო, რა ვქნა, სულ მახსა და ავე-
 ნარიუსს ვეთანხმები და ლენინს არასოდესო,
 და როცა ეს შესაძლებელია, კაცმა ტყუილი
 არ უნდა თქვასო.“ „და შენ, როგორც მზრუნ-
 ველი დედა, დაეთანხმე, არაა?“ „დავეთანხმე,
 გენაცვალე, დავეთანხმე, ბოლოს-ბოლოს,
 თუ არ უნდა, რა აუცილებელია ეს დისერტა-
 ცია?“ „ყოჩაღ! ყოჩაღ!“ შესძახა ნიკომ და კი-
 დევ უფრო აეგზნო და ათუბთუხდა: „მე მინდა
 ჩემი შვილი ბედნიერი ადამიანი იყოს, აი, რაა!
 სწორ გზაზე იდგეს! და არავითარ შემთხვე-
 ვაში არ გააკეთოს ისეთი რამ, რის გამოც შე-
 იძლება საფრთხე ემუქრებოდეს...“

„რანაირად შეიძლება იყოს ბედნიერი,
 თუ არ გააკეთებს იმას, რაც აინტერესებს,
 ჩვენი შვილი ნიჭიერი ადამიანია, ნიკო, ხომ
 იცი შენ ეს...“

„მერე, ნიჭი იმას ნიშნავს, რომ ისტორიუ-
 ლი პირი, ისეთი გმირი, როგორიც ერეკლე
 მეფეა, ასე გაბედითებულად გამოიყვანოს,
 უნდილად და უილაჯოდ?! როცა იგივე კრწა-
 ნისიცი ერეკლეს წარმოუდგენელ მამაცობა-
 ზე მიუთითებს, არ შეუდრკა იმოდენა მტერს
 და შეება! ამ ნაწერში კიდეც ეს ვინ არის, ვინ
 ერეკლეა! ან ეს ვითომ ლექსები! შენ, ალბათ,
 ნაგიკითხავს და მოგწონს კიდეც! ნუთუ ფიქ-
 რობ, რომ ასეთი რამეების წერა რაიმე სიკე-
 თეს გამოუყრის თიკოს!?“ შესძახა ნიკომ.

„მონონებაში არ არის საქმე, ნიკო, სულ
 არ მიმაჩნია, რომ ეს ვერსიფიკაციის საუკე-
 თესო ნიმუშებია, მაგრამ აქვს ადამიანს უფ-
 ლება, თუ ამით არავის აზიანებს, ისე წეროს,
 როგორც ეწერება! ყველას უნდა გალაქტი-
 ონი იყოს, მაგრამ ყველა ისე წერს, როგორც
 შეუძლია... ერეკლე მეფე კიდეც, შენ გავიწყ-
 დება, რომ ხორცმესხმული ადამიანი იყო,
 მოკვდავი იყო, და უკვე სიკვდილის გზაზე
 იყო შემდგარი, და არავის არა აქვს უფლება,
 თუნდაც ეს საკუთარი მამა იყოს, თანაც ისე-
 თი მზრუნველი და მოსიყვარულე, როგორიც
 შენა ხარ, კრიჭაში ჩაუდგეს თავის შვილს,
 გინდა თუ არა, ისე დაინახე, როგორც მე ვხე-
 დავო...“ მშვიდად, შემრიგებლურად ეუბნე-
 ბოდა მარიკო. „მადლობთ რჩევისთვის, დიდი
 მადლობა, მაგრამ მე რასა ვხედავ, გამაგები-
 ნე! ხომ ითვლება უმცროს მეცნიერ მუშაკად
 მუზეუმში, თემა აქვს ალებული, ხომ ასეა! გა-
 ნა არ არის პასუხისმგებელი ის აკეთოს, რაც
 მოეთხოვება?! და რა ვქნათ, რომ ამ გზაზე ამ

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ №4, 5, 6.

საქართველოს
 პარლამენტი
 ქვეყნული
 ბიბლიოთეკა

ოხერი დიალექტიკური მატერიალიზმის ჩაბარება აუცილებელი და გარდაუვალია, და იმის მაგივრად შენ მხარში ამომიდგე და ერთად შევეუტიოთ, ფარად ჰყევხარ აფარებული მის უმეცრებას და არაპრაქტიკულობას...”

„ნიკო... ჩემო ნიკო...“ რაღაც ნეტარი ლიმილივით ჰქონდა მარიკოს სახეზე გადაფენილი, „მე შენ შემეყვარდი მაშინ, დიდი ხნის წინათ, როგორც მეზღვაური, იციი? ხომ გახსოვს, მე თორმეტი წლის ვიყავი და შენს დანახვაზე, ზოლიანი მაისური რომ გეცვა და საუცხოო ველოსიპედს დააქროლებდი, ერთხელ მეც რომ შემომისვი და ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, სიამაყით ვივსებოდი, რომ მშობლების უნებურად მშვიდსა და დალაგებულ ცხოვრებას ოკეანეებისა და ზღვების გადალახვა არჩიე, ქარიშხლებსა და უზარმაზარ ზვირთებთან ბრძოლა...”

ნიკოს გულიანად გაეცინა: „ეს გინდოდა არა, რომ გაგეცინებინე?! შენი მეოცნებეობის ამბავი რომ ვიცი, ჩვენი კაპიტანი, — მერე რა იდიოტი იყო, რომ იცოდე, ალბათ ტასმანი, ან ჯეიმს კუკი გეგონებოდა, და ჩვენ, სავაჭრო გემის საწყალი მეზღვაურები, მისი დროშის ქვეშ დარაზმულები, ახალი მატერიკის თუ არა, დიდი კუნძულის მაინც გულანთებული აღმომჩენები,.. და კიდევ კარგი, ოცდაჩვიდმეტში ხანგრძლივი კვალიფიკაციით ვიყავი მივლინებული, თორემ, როგორც საზღვარგარეთ ნამყოფს, შენთან ნებევით დალუპვა არ ამცდებოდა, აკი მოსულიყვნენ კიდევ დედაჩემთან, აქაურობა აენგრიათ და ჩემი ველოსიპედიც წაეღოთ,.. და მერეც... მერეც რამდენი მანვალეს.“ „ვითომ როგორც ნივთმტკიცება, საზღვარგარეთ შენი საქმიანობის? საზიზღრები!“ „ჰოდა, სულ არ ვნანობ, სულ არა, ზღვის მგელი რომ არა ვარ და პირიქით, შემიძლია შენი მოგზაურობები დავაფინანსო და თიკოს ცივი ნიავი არ მივაკარო.“ „არა, მაინც რა არაჩვეულებრივი სახელია აკონკაგუა, არა, ნიკო? რაღაც იდუმალებით მოცული,.. სწორედ ახლა ვკითხულობდი, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვულკანი ეგონათ, და თურმე არა, არ ყოფილა ვულკანი... თითქმის შეიდიათას მეტრამდეა და წარმოუდგენელი სილამაზის... მთები ხომ სულ სხვადასხვანაირია... ოჰ, რა სიამოვნებით ვნახავდი...”

„მართლა რომ გული ხარბია კაცისა, ჰიმალაი ხომ განახვე და მეტი რა გინდა!“ „ის ხომ ფანტასტიკური სანახაობა იყო!“ თვალეები გაუბრწყინდა მარიკოს, „ანაპურნას სანახავად წაგვიყვანეს, მზის ამოსვლა უნდა გვენახა, და იცი, ნუპალელები თურმე დარწმუნებული არიან, რომ ღმერთები ჰიმალა-

იზე სახლობდნენ და იქიდან მოველინებოდნენ ხოლმე ქვეყანას, და წარმოიდგინე, მე ეს სულ არ გამკირვებია, იმიტომ რომ ჰიმალაის მაღალი მწვერვალები დანარჩენ ქედთან შედარებით წარმოუდგენლად ატყორცნილია ცაში, ღრუბლები ბევრად დაბლაა, და მზის ამოსვლისას ანაპურნას რომ ვუყურებდით, ღრუბლებზე დიდი თავივით აწვდილს, მართლა ღმერთის თავი გეგონებოდა... არაჩვეულებრივი იყო,.. ტბაა იქ ანაპურნას ძირში, ვისხედით ნავში და ქულა ღრუბლებს მალლა, ძალიან მალლა, ლურჯ ცაზე ღმერთის გაბღვრიალებულ თავს შევეყურებდით... და სხვათა შორის, სასოებითაც“. „მაცდური ხარ, მაცდური, გადამიყვანე ჩემი მთავარი სატკივრიდან,.. ხომ ვიცოდი, ხომ დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ არამც და არამც მხარში არ ამომიდგებოდი, მაგრამ ვერ ვითმენ, ვერა, მაშ, ვის უნდა გაუზიარო შეილის ამბავი, თუ არა დედას? გამაგებინე, მითხარი ერთი!“ „გეხვეწები, ნიკო, არც გაამხილო ეს ამბავი, რომ ჩუმად კითხულობ და ამონებ, გეხვეწები... ისე უყვარხარ, ჩემზე მეტად, ხომ ვიცი, და სულ არ მინდა, სულ არ მინდა შენს წინააღმდეგ აიმხედრო, გაფიცებ დედას, ნიკო, თიკომ არ უნდა იცოდეს! გრძნობს შენს დამოკიდებულებას, იცის, რომ შენ ასე მიგაჩინია, რომ თუ ტოლსტოი არ არის, უფლება არა აქვს წერისა... და ძალიან სცდები, რომ იცოდე, ძალიან...“ „თუ იმას მისაყვედურებ, რომ შემიძლია ცუდისა და კარგის გარჩევა, არ ვიცი და მეორეც ერთი, ჩვენს დროში, ამ საყოველთაო ფეხთამლოკობის ეპოქაში, საზეიმო ფეხთამლოკობისა რუსების მიმართ, შეიძლებაა რუსების აუგად მოხსენიება, შეიძლებაა ეჭვის ქვეშ დააყენო მათი მეგობრობა და მფარველობა! ეს განწირული საქმეა, არც არავინ დაუბეჭდავს და კარგსაც იზამენ, მე ეს მინერგავს რაღაც იმედს, რომ იცოდე, რუსების ლანძღვა ხომ წარმოუდგენელია, ეს ხომ საშიშია ჩვენს დროში! რუსები თავისას არ ინდობენ, აგერ რა უყვეს პასტერნაკს! აგერ გუშინ კიდევ რა დღე აყარეს დანიელსა და სინიავსკის, და შენ გინდა შენმა შვილმა რუსების აუგი წეროს? ეს გინდა?“ „კაცო, დაბეჭდვას ხომ არ ამბობს, არც ერთხელ ჩემთვის არ უთქვამს, თავში ფიქრად არ მოსვლია და წეროს თავისთვის, იქნებ სხვა დროსაც მოვესწროთ...“ „ელოდე! ლამის მზადა ვარ თავზე გადავახიო ეს ნაჯღაბნები!“ „საოცარ რამეს ამბობ, ნიკო, გამოდის რომ შენდაუნებურად ინკვიზიტორების მხარეს დგები და არა შენი შვილისა და სალი აზრის მხარეს!“ აღშფოთდა მარიკოც. „მე მეუბნები მაგაას? მეე? მეეე?! რომ დავკანკალებ და ცივ ნიავს არ ვაკარებ,

მე ვარ ინკვიზიტორების მხარეს?! თუ სწორედ ის მინდა, ჩემი შვილი ინკვიზიტორებისაგან დავიცვა! დაგავიწყდა არაა, ერთად რომ ვკითხულობდით სტალინზე ლექსების კრებულს და თმები ყალყზე გვიდგებოდა იმ სამარცხვინო აკაფისტებზე, ერთი რომ იმასაც კი ამბობდა „ეს შენ გამახე რუსთაველის წმინდა კალამო...“ გაგიგონია? სადამდე მივიდა საწყალი საბჭოთა პოეტი-კურდელი.“ „ჰოდა, შენ შენ თავს ენინააღმდეგები და ვერც გრძობ!“ გაიღიმა მარიკომ. „ნუ გამომიყვან, იცოდე, მოთმინებიდან!“ შესძახა ნიკომ, „ჩემ შვილს ნუ მაკრიტიკებინებ! არადა როგორ არა ვთქვა, ჩვენ ხომ პატარა ქვეყნის შვილები ვართ,, უმძიმესი ისტორიული წარსულით და განა შეიძლება ეს მუდამ არ გვახსოვდეს?! შე დალოცვილო, გენაცვალოს მამა, გინდაა ერეკლეზე წერო. მოიგონე ახათხანთან ბრძოლის ამბავი, დაწერე ასპინძის თემაზე, დაწერე მის მხედარმთავრულ ნიჭსა და უნარზე, მოიგონე ფრიდრიხ დიდის სიტყვები! ღვთის სამდურავს რომ ათქმევინებს ერეკლეს, რომელიც ნახევარი დღე ლოცვაში ატარებდა, ეს ხომ პირწმინდა ტყუილია! თანაც კაცი დარწმუნებული იყო, რომ დააბინავა თავისი ქვეყანა, მფარველი გაუჩინა, ერთმორწმუნე, განვითარებული, უზარმაზარი, ევროპის გზაზე დამდგარი ქვეყანა, რეგულარული ჯარით, უმდიდრესი სამეფო კარით და რა ვიცი კიდევ რა ჩამოგიტვალო! რომ დააღწია თავი სპარსეთის ვასალობას და აღმოსავლურ მზაკვრობას... ღმერთმანი, საფლავში გადაბრუნდება ერეკლე, ეს რომ გაიგოს და თავის სიჩაუქესა და გამჭრიახობაში ეჭვი შეეპაროს...“ ნიკო მღელვარებისაგან ადგილზე ვერ ისვენებდა, სავარძლიდან წამდაუნწმ წამოიწვედა ხოლმე.

„დამშვიდდი, თუ ხათრი გაქვს, ნუ ვიკამათებთ, ჩვენ ამ შემთხვევაში სხვადასხვა აზრის ვართ პოეტური შემოქმედების შესახებ და გეხვეწები ნუ ვიკამათებთ, მითუმეტეს, შენ ალბათ, ავადმყოფები გიცდიან და თიკოც უცებ არ გამოჩნდეს და რალაცას ყური არ მოჰკრას.“ შემრიგებლურად თქვა მარიკომ. მაგრამ ნიკო ისე იყო ათუხთუხებული, ასე ადვილად ვერ დამშვიდდებოდა: „და ამის გულისთვის, ამ ტყუილებისთვის, ლარივით აწყობილ საქმესა და მაგისტრალურ ხაზს უნდა უღალატოს?! თანაც ეს ხომ მაგნე ტყუილია, არა პატრიოტული ტყუილი!“ „და დიალექტიკური მატერიალიზმი პატრიოტული ტყუილია?“ გაიცინა მარიკომ. „კარგი რააა კაზუისტიკას მოეში, გაიგე, ისეთი ტყუილი გზას კეტავს და ასეთი ტყუილი გზას ხსნის, გესმის?! და მე მინდა ჩემს შვილს მწვანე შუ-

ქი ენთოს გზაზე, გაიგე?! შენ როგორც ცხარე დედა, ამას აუცილებლად გაიგებ!“

„მადლობთ შექებისთვის, მაგრამ მე სხვა რამე მინდა გითხრა: იცი შენ, სტუდენტობისას ფილოსოფია მიტაცებდა, კინალამ გადავედი კიდევ ფილოსოფიის ფაკულტეტზე და სულ ვესწრებოდი კოტე ბაქრაძის შესანიშნავ ლექციებს, ჰოდა, განსაკუთრებით დამახსოვდა რას გვეუბნებოდა ერთხელ, რომ ყველაზე ნამდვილი სერიოზულობა, თავისთავად და თავისთვის, არის ჭეშმარიტების შემეცნების სერიოზულობა, და ჩვენ გვაქვს მონდობილი ამ წმინდა ლამპრის დაცვა და ამაზე ზრუნვა, რომ ეს უმაღლესი რამ, რასაც კი შეიძლება ადამიანი ფლობდეს, — თავისი არსების თვითცნობიერებას, არ ჩაქრეს და არ დაიღუპოს... ჰოდა, გვეყო, გვეყო, ჩვენ სხვადასხვა რამეს ვამბობთ, მოდი, შევრიგდეთ, ჩემო მშფოთარე და დაუდეგარო!“ მარიკო გადაიწია და ნიკოს ლოყაზე აკოცა, და სწორედ ამ დროს კარი გაიღო და თინათინმა შემოიხედა: „ზარს რეკენ, რამდენი ხანია, ავადმყოფებით გაივსო შემოსასვლელი და არ გესმით?“ გატრიალდა და წავიდა. ნიკომაც რბილად მიუნიკიპურტა მარიკოს შუბლზე და: „სხვათა შორის, მაინც დიალექტიკური მატერიალიზმი უფრო ახლოა ფილოსოფიასთან ვიდრე ჩვენი შვილის ნაწერებო.“ კარი გაიხურა და თავისი კაბინეტისკენ გასწია.

აი, ეს ჩვენი ნადიკვრის ცაცხვიც... როგორ მოვრბოდი,.. ასე მეგონა მოვირბენდი, ჩამოვჯდებოდი ჩვენი ცაცხვის ქვეშ და იმავ წუთში, იმავ სეკუნდში შევუდგებოდი ჩემს წმინდა საქმეს, ანუ შევთხზავდი ლექსად უსტარს, სასიყვარულოს და საღალატოს... სულ დამავიწყდა, რომ სანამ წერას დავიწყებდე, ყოველთვის მაკრთობს სუფთა ფურცელი,.. ო, რა ძნელია შავით თეთრზე ასოების ჩანიკნიკება,.. შლა და წერა, წერა და შლა,.. და უფრო მეტად, ცხადია, ნაშლა... და ამიტომაც ხან შალაურის ტყეს გავცქერი, ხან გიგოსგორას,.. ლურჯად აქოჩრილ კალთებს ცივისას,.. და რა თქმა უნდა, გამახსენდება და აღმიდგება წარსული განცდა, ნადიკვრის ცაცხვის დაბუენილ ზროს თვალს რომ შევაველებ.

მეხი გატყვრა... მეხი გატყვრა... შეაზანზარა ცა და მიწა... დიდი ყუმბარა აფეთქდაო, გევონებოდათ... და ხმა გავარდა ცაცხვს დაეცაო, ნადიკვრის ცაცხვსო, ჩვენს უსაყვარლეს, უმშვენიერეს ნადიკვრის ცაცხვსო...

მეისვე გავცივივდით ნადიკვარზე... და რა ვნახეთ... და რა ვიხილეთ... საშინელება... ჩვენი ცაცხვი მეხდაცემული... ფოთოლგაცლილი, ზრო გაპობილი, თითქოს ზღაპრის დევს, ზღაპრული ძალით, უღმობლად და დაუნა-

ნებლად დაეკრა ურო, გამოეგლიჯა მთელი გულღვიძლი... და დიდებული ქოჩორიც, მზეზე ოქროსფრად რომ უღივლივებდა, სადღა ჰქონდა... სადღა ებადა... არცერთი ჩიტი მის ტოტებზე აღარ იჯდა, აღარ ისმოდა მათი ჭიკჭიკი... ჩვენი მწუხარე ხმები ავსებდა იქაურობას, ჩვენი ვიშვიში... „ამას!“ თქვა ბორისამ, ნადიკვრის მცველმა, „აღარაფერი არ ეშველება, ნაჯახის მეტი! ბევრ შემას დაჰყრის, ნავილებ და მთელი ზამთარი უზრუნველი ვიქნები შეშით!“ „ოო, არავითარ შემთხვევაში!“ შევძახეთ ერთხმად, „არა, ო, არა! იქნებ ეშველოს, ჩვენ ხომ უნდა რაღაცა ვცადოთ. ჩვენც ხომ უნდა გავისარჯოთ გადასარჩენად!“ „სამწუხაროდ, ჩვენი ცაცხვის ასეთი შნოთი დატოვება არა ეგების, მას არ შეჰფერის...“ მშვენიერების ტრფიალმა ოთარ ვახვახიშვილმა ასე ბრძანა, ასეთი იყო მისი სიტყვა უკანასკნელი. ჩვენ კი, ო, ჩვენ კი, გულმდუღარენი შევეყურებდით ჩვენი ცაცხვის იავარქმნილ მშვენიერებას და არ ვიცოდით რა გველონა...

და სწორედ ამ დროს, გავიხედეთ და ნადიკვრის შემოსავალში დავინახეთ პატარა კაცი, ძლიერ პატარა, და რა თქმა უნდა, მყისვე ვიცანით კურკა კოკონა, ენტომოლოგი წინანდლის პარკის. მასაც გაეგო ჩვენი ცაცხვის უბედურება, მოაბიჯებდა მხნე ნაბიჯით, ჯარისკაცულად, თავანუელი და საბრძოლოდ შემართული. „რას გეტყვით, იცით“, სულ ეს არის მისი სათქმელი, „მთავარია გული გქონდეს და შემართება, რა საჭიროა იყო დიდი, აღაწოდა და უმაქნისი?! ნაპოლეონიც პატარა იყო, პიპინ-მოკლეც, ლენინ-სტალინიც და თურმე მარქსიც!... შემიძალა სიდაბლემ ხელი? თოფიარალი ამესხა და ოცდაერთში, რაზმთან ერთად, მეც წავსულიყავ გურჯაანისკენ, რუსის ჯარის შესაჩერებლად. მაგრამ ჩემი ძმა დუდარა კი, პაპამ იმსგავსა, და ახოვანი ასო-ტანის პატრონი იყო, შეშინდა და ძალიან ნახდა, გაგორდა დაბლა, და მოსთქვამდა: დედაჩემოვო, გულმუცელი დაგენვას ჩემი გაჩენისთვისო...“ „თქვენ რაღა ქენით, შეაჩერეთ?“ ეკითხებიან კრეჭით ბიჭები. კოკონა ღრმად ამოიოხრებს და ხელს ჩაიქნევს, „ვერავინაც ვერ შევაჩერეთ... მათ ხომ რუსეთი ედგათ უკან და აგრეთვე დიდი ლენინი. ჩვენ კი, ო ჩვენ კი დაბრუნებისას, თოფებით ხელში გადავიღეთ ბურჯთან სურათი.“ ისტორიული სურათია, აკი პირი გადაგვიღო მუზეუმისთვის პაპა ვასო როინაშვილმა. ახლა არ მინდა იმ სურათის აღწერა, რადგან კურკა კოკონას ველოდებით გულის კანკალით მეხდაცემულ ნადიკვარის ცაცხვთან. კოკონა მოდის მხნე ნაბიჯით, თავანუელი, მოახლოვდება, სალამს გვეტყვის, შეხედავს ჩვენს

ცაცხვს, დაკვირვებით გარს შემოუვლის, თან მკაცრად იტყვის: „რა ოხერია მეხი, ოჰ, რა დაუნდობელი!! დაეცემა და ელექტრობა ფესვამდე ატანს... მაგრამ სტიქიას ვერ მოსთხოვ პასუხს, მოგეხსენებათ...“ ჩვენ მოლოდინით შევცქერით კურკას, ის კი განაგრძობს მოლოდინის კილოთი და დიდი ღირსებით: „მოგმართავთ კითხვით, ყმანვილებო, თქვენ მართლა გსურთ? მისცეთ შანსი ჭირში ჩავარდნილ ამ დიდებულ ხეს, განახლების და აღორძინების? ეს თუ ასეა, უნდა დავბჟენოთ! საბჟენ მასალას გავაზავებ ჩემი ნაყენით, ამოივსება ზროს ნაპრალეები და ეს ფულურო, დაეკვრება შემდეგ თუნუქი და შემდეგ კი გაილესება ცემენტის ხსნარით... და აგრეთვე, რაც მთავარია და რაც სწორედ თქვენ გევალებათ, შემოიბაროს უნდა ირგვლივ ფართედ და ღრმად, და ხშირად, ხშირად უნდა მორწყათ შაქრიანი წყლით... მე მოგინოდებთ, ხელს ნუ ჩაიქნევთ, და ნურც შაქარი დაგენანებათ... მოგეხსენებათ, ძნელია თმენა და მოლოდინი, მაგრამ იცოდეთ, შეუპოვარი თმენის გარეშე არ შექმნილა ჯერ არაფერი!“ და ამ სიტყვების წარმოთქმის დროს კურკა კოკონა იზრდებოდა ჩვენს წინ თვალდათვალ. „ბატონო კოკონა! არც მოგვწყინდება! და არც შაქარი დაგვენანება!“ ერთხმად შევძახეთ.

... და მართლაც... მართლაც... გაამართლა ნადიკვრის ცაცხვმა ჩვენი თმენა და მოლოდინი, რაც მთავარია დაუფასდა საკუთარი შრომა და გარჯა, გაიხშირა შტო და ფოთოლი, დაიყენა კვლავ ქოჩორი, მზეზე ოქროსფრად მოლივლივე, აყვავდა და დააფრქვია იქაურობას ამო სურნელი, დაიბრუნა ჩიტებისა და ფუტკრების გუნდი, ირგვლივ ღრმა ჩრდილი დაიფინა, ერთი სიტყვით, კვლავ დაიმკვიდრა სიცოცხლე და მშვენიერება... და ჩემთვის კი ჩვენი დაჭრილი, სანახავროდ ზროდაბუნელი ნადიკვრის ცაცხვი სიმამაცის და შეუპოვრობის სიმბოლოდ იქცა.

მე სწორედ ამ უზარმაზარი ბჟენის გადალესილ, გლუ ზედაპირს ვადებ ხელისგულს. ცრუმორწმუნეა ადამიანი, და არც მიკვირს პირველყოფილ რელიგიებში ხეებს რომ ეთაყვანებოდნენ ადამიანები... მეც ასე მგონია, ამ ჭრილობისაგან ძალა და ღონე შემემატება, და სიმამაცეც, სასიყვარულო უსტარის დასაწერად, მართლაც, ახლა კი მოვკალათდები გრძელ სკამზე, ბლოკნოტს გადავკეცავ და ვიწყებ წერას და შლას და საბოლოოდ ჩემი უსტარი, სალალბო და სატრფიალო, ასეთ სახეს იღებს: „ჩემო ძვირფასო, ბატონო შალვა, თუმცა კი მზორკავს კდებმა და კრძალვა, ო, მუზეუმის მარადისობა, და წამიერის, და წარმავლის ძალმოსილება, მიმძაფრებს განცდას, და

აღარ ძალმიძს, მე თვალდამდგარს, გრძნობათა მალვა, ბატონო შალვა. გაგიმხელთ აბა, მე თქვენ მიყვარხართ! და მსურს მოგიძღვნათ კენარი ალვა... მოგართვათ უხვად ნუში და ხალვა... ჩემო ძვირფასო ბატონო შალვა“...

„ამ დილას, ამ დიდებულ დილას, როცა გაჩახახებულა ჩემი სენაკი, ანუ მეციხოვნის ყოფილი სადგომი, როცა გაღებულ სარკმლიდან დაყვავებული იასამნის მჭკნარი სურნელი მწვდება,.. და მეც სავსე ვარ მოლოდინით და სიყვარულით... და ცხადია, ჩხაპნის სურვილით, რადგან ამ გაჩირადდებულ დღეს გამძაფრებით ვგრძნობ სიცოცხლის სისავსეს, ასე მგონია, ყოველი უფრედი გაჯერებული მაქვს ენერგიით და სიხარულით... და მე არ ვიცი ძალღონე მინერგავს სიხარულსა და ხალისს, თუ პირიქით,.. თუ ის, რომ პირნათელი ვხვდები ჩემს დირექტორს, ოდესღაც ბავშვობაში შალვას ვეძახდი მე მას, ახლა კი სხვების თანდასწრებით „ბატონ შალვას“, მაგრამ იდენტურობას ვერც ერთ მიმართვასთან ვერ ვგრძნობ და ღმერთო ჩემო, რა სიმყარეების იმედად შეიძლება იყოს საწყალი კაცი, და ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მე, ვისმა გრძნობებმაც შეიძლება სავალალო მეტამორფოზა განიცადოს, ხან უფსკრულებისკენ დაემუვას, ხან ლაჟვარდებში ინავარდოს და იმის მაგივრად თავზე ნაცარს იყრიდეს, გულისფანცქალით ელოდოს მის გამოჩენას... ერთის მხრივ კი პირნათელი ვარ, რადგან ნიგნები მთლიანად უკვე მონესრიგებულია, გასუფთავებული, გამარმარებული, გაახლებული, დარგობრივად დალაგებული კოხტა შტაბელებად, და კატალოგებიც შედგენილი. აი, ეს, მარცხნივ, ისტორიული ლიტერატურა, სვეტონიუსიდანა და ტაციუსტიდან დაწყებული ნიკო ბერძენიშვილით დამთავრებული... აი, რელიგიური და მხატვრული, თურქესტანიშვილებისა და შიუკაშვილების ბიბლიოთეკიდან გამორჩეული,.. რამდენიმე არქივიც არის, თელავის პატიოსან და გარდასულ მოქალაქეთა, დროის შესაფერისად, მაღალფარდოვნად და ხატოვნად ჩახუჭუჭებული წერილებით... და კიდევ ყურნალები... ყურნალები... ყურნალები... ო, როგორ მიხარია, რომ შემეყვანეს სახლსა შინა ნიგნისასა და განანესეს ჩემსა ზედა სიყვარული. ნიგნებს რომ ვუყურებ, ისეთი სურვილი მეუფლება, მოვხვიო ხელი და ყველაფერი ჩემში მოვაქციო, გავიგო და განვიცადო... და რა გულდასანყვეტია, რომ ადამიანის შესაძლებლობა ასეთი შეზღუდულია, რამდენ რამეს, საჭიროს და აუცილებელს, ვერც ნაიკითხ-

ავს და ვერც დაწერს... რამდენი რამ დარჩება განზე, ნაუკითხავად და განუცდელად... ოო, მადლობო, ბატონო გუტენბერგო, მოგესალმებით მთელ მსოფლიოსთან ერთად! ჩემზე რომ იყოს, ყველა ქალაქში, რევოლუციის ბელადების ქანდაკებების ნაცვლად, მე თქვენს ქანდაკებას დავდგამდი, თქვენი ფასდაუდებელი ღვაწლის აღსანიშნავად. დავდგამდი, რა თქმა უნდა, ჩემს პატარა ქალაქშიც და ჩვენი ბაღის სურნელოვანი ვარდებითა და დიდებული შემოდგომურებით შევამკობდი,.. მადლობო! მე ხომ ყველაზე ბუნებრივად ნიგნებთან ვგრძნობ თავს, ყველაზე უშუალოდ და შინაურულად ნიგნებისა და ქალაქების გარემოცვაში,.. როცა ვხედავ,.. როცა ვეხები,.. როცა ვფურცლავ,.. როცა ვკითხულობ,.. და ცხადია, როცა ფანქარი მიჭირავს ხელში, ვჩხაპნი, ვწვალბო და ვიტანჯები... და თუმცა ყოველთვის ვერ ვასრულებ პრისტლის სიტყვას, ახალგაზრდა მთხზველებს რომ უთხრა, როცა მათ ცნობილ მწერალს რჩევა ჰკითხეს, და იმანაც: მე მხოლოდ იმას გეტყვით, რომ წერეთო, წვიმს — წერეთო, და ქარია — წერეთო, სასონარკვეთილი ხართ — წერეთო, და დალხენილი ხართ — წერეთო, სიყვარული გაფორიაქებთ — წერეთო, და სიძულვილი გაბოღმავებთ — წერეთო, გაგიხდათ ვინმე ავად — წერეთო, და თქვენ თვითონ გახდით ავად, თუ არ კვდებით — წერეთო... სხვა რამ გირჩიოთ, არ შემეძლიაო... ჰოდა, თუმცა მე ყოველთვის ვერ ვასრულებ პრისტლის ამ უმთავრეს მცნებას, (ალბათ, ისინი ასრულებენ, ნიჭით რომ დულან და გადმოდიან, ჩადგმული აქვთ მუდმივი ძრავა, სულ რომ თუხთუხებს და სიტყვას უზალთუნებივით ისვრის,.. მე კი არ ვიცი რა არის ჩემთვის ნიჭი, რას ნიშნავს, რანაირია და რა ფერის, ჩემი ასეთი თუ ისეთი შესაძლებლობა ხომ ყოველად უბრალო რამეებს ეყრდნობა, მაგალითად, ცნობისმოყვარეობას, მაგალითად, რალაცის გაგების სურვილს, და რაც მართალია, მართალია, სიტყვების სიყვარულს, ქართული სიტყვების უნაზეს სიყვარულს), მაინც მსურს, ნიგნებს რომ ვუყურებ, ოჰ, როგორ მსურს, რა ვნებიანად, ამ ზღვას თუ ოკეანეს ჩემი ერთი წვეთიც შეემატოს...

ჭიშკარი გარახუნდა, მოდიან ჩვენები, აგერ „ისიც“. გული ამიძგერდა იმის წარმოდგენისას, რომ ლექსი უნდა გადავცე... მაგრამ როგორ? როგორ უნდა ამოვილო კონვენტი ჩანთიდან? რატომ მიბურღავს ტვინს ის აზრი, რომ სხვა გზა არ არსებობს? მაგრამ არ უნდა ვიღელვო, ჯერ ხომ მაინც ვერ ამოვა, ისეა დატვირთული... მე კი შემეძლია პრისტლის მცნებას მივყვე, რადგან ამ შემთხვე-

ვაშიც, მგონი, მეტი გზა არა მაქვს! წუხელ არეული სიზმარი ვნახე, არც ვიცი სიზმარში მესმოდა, თუ სიზმარ-ცხადში, გაურკვეველი ხმები, და ვიცოდი რომ ბატონიშვილები პაექრობდნენ და კამათობდნენ... აი, დარბაზიდან ისმის ახლა უკვე მკაფიოდ და გარკვევით, დავით ბატონიშვილის ხმა. და მიხარია, მოზღვავებულ სურვილს ვგრძნობ, სანამ ვინმე მოსულა, ცხადია, ექსკურსიებს ვგულისხმობ, დავჯდები და ჩავინერო ბატონიშვილების დავა და კამათი... იმ დროს, როცა მეფე ერეკლე სულს ებრძვის... ზოგჯერ ისეც ხდება, სიტყვები მოგანყდება, როგორც ახლა მე დავით ბატონიშვილის სიტყვები, მხოლოდ ძალიან უნდა დავაბო სმენა რომ არაფერი გამოგრჩეს, ცეცხლის ტკაცუნიც კი, რადგან დარბაზში სამივე ბუხარი გაძვრილებულია რცხილის შეშითა და გაღუღღუღებული დიდი კუნძებით... ბუხრებთან დაგებულ ხალიჩებზე და მუთაქებზე ბატონიშვილებს ფეხი მოურთხამთ, ზოგს თავისი სახლეულით, როგორც მაგალითად ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილს, კედელთან მიდგომულ გრძელ, ჯეჯიმებით განყობილ სკივრებზე დედოფალი დარეჯანი ჩამომჯდარა, თავისი ქალებით, გრძელი მაგიდის ბოლოში კი, ისე რომ ყველასთვის კარგად იყოს დასანახი და გასაგები, დავით ბატონიშვილი დგას ხელში გრძელი თაბახით და კითხვას განაგრძობს თავისი ბრძოლების შესახებ: „კიდევ... 1789 წელსა, დღესა სამშაბათს, ვსძლე ქარელში დიდსა ჯარსა ლეკთასა სამგზის, ივლისის 9. იმავე წელსა დავარბიე ყარსი და დიდი ალაფით მოვიქეცი. მცირედ მხედრობითა ვძლე და მოვკალ ბიგი იმიყბეგ და თაქირელისანი — დღესა სამშაბათს, ოქტომბრის 16, და სანი — ბეგიც მოვჰკალ. წელსა 1791 ლეკის ჯარზე გავიმარჯვე თიანეთს, დღესა ხუთშაბათსა, აგვისტოს 1, იმავე წელსა, სექტემბრის 8 ჩინებული გამარჯვება ილტოზედ ჩვენ მცირეთა, ფრიადსა ძალსა ზედა ლეკთასა, დღესა კვირაიკესა. იმავე წელსა, ნოემბერს 26, ფადარსა და ბათამათლოს დავჰკარ, საუცხოო გამარჯვება მოგვიხდა ამ დღეს სამგზის. წელსა 1795 მოვიდა ალაშაშაძენ და შემუსრა ტფილისი და სძლო მეფესა. თუმცაღა წინას დღეს ვსძლეთ იმის ჩარზაჩას ჩინებულად. წელსა 1795 ყარაიაზედ ჩინებული ძლევა მოგვიხდა დეკემბრის 5, დღესა ხუთშაბათსა, ლეკის ჯარსა ზედა, ფრიად ჩინებული, ჩვენ მცირეთა და შეჭირვებულთა დარღვევისათვის ტფილისისა. ამავე თვესა 12 მოვიდნენ რუსნი. ბრძანებითა მეფისათა წარვედით განჯას და აღვიღეთ ქალაქი და ციხეს მოვადექით აპრილის 3 დღესა, ხუთშაბათს. წელსა 1796 მაისის 10 დღესა,

შაფათს, ჩინებული და უწარჩინებულესი გამარჯვება მოგვიხდა ციხისა ჯარზედა. კვალად მაისის 16 კარგი გამარჯვება მოგუიხდა და არზუმანცა მოვჰკალი. და ვიდრე ბატონის ჩამოსვლამდე თექვსმეტი ომი მოგვიხდა, თექვსმეტჯერვე ვსძლეთ განჯელთა. იმავე წელს, იქავ დგომამი, აქედამე ვვიალაფე ბათანად წოდებული სოფელი, აპრილის სამს, და ფრიადი ტყვე და საქონელი ვიშოვეთ...”

„უკაცრაოდ ვარ, შვილო, გული არ მითმენს არ გაგანყვეტინო, მამის თვალო! და ქვეყნის თვალო!!!“ დაიგრგვინვა გიორგი ბატონიშვილმა, მუთაქებზე წამოიწია და ხელეზი ალაპყრო.

„რა მოხდა!? ძმაო გიორგი ბატონიშვილო და ძმისწულო დავით, ვის არ უბრძოლნია, რომა ეგრე კვებნის ლექსები არ უთქვამს, გამაგებინეთ ქარი საიდან უბერავს, საიდანა?“ ხმამისცა მამა-შვილს იულონმა გადაღმა ბუხრის ხალიჩიდან.

„ქარი იქიდან უბერავს, ჩემო ბიძავ, ბატონიშვილო იულონ, რომა ჩემნაირად ბატონ პაპას სიმხნითა და სიმამაცით არავინა ჰგავს! სისხლი ნიაღვრადა მდენია ბრძოლებშია...”

„ტყუილად იქებ თავსა, ჩემო ძმისწულო დავით, ტყუილად ედრები ბატონ პაპასა, ანდერძი ისეა შედგენილი, შენ ასის წლისა რო გახდები, ალბათ, მაშინ მოგინვეს მეფობა.“ იულონი ახლა უკვე წამოიმართა ხალიჩიდან, რომ თავისი სიტყვებისთვის მეტი ძალა მიეცა.

„ბატონო მამა, ჰოდა, უნდა დაირღვეს ასეთი ანდერძი, აგეერ ბატონი პაპა სულსა ლევს, და თქვენი გამეფების შემდეგ მე უნდა გავხდე ტახტის მემკვიდრე, ასეა ყველა განათლებულ ქვეყანაში!“

იულონი იცინის, ძმებიც აპყვებიან, იცინის ყველა, მერე სიცილ-სიცილით ამბობს: „დავით, ურჩი მამისა, თავისა თვისისა ბრძნად მგონებელი! ბაყალ ავეტიკას ქალისა ამყოლი! აბდაუბდისა ლექსებისა მჩხაპნელი! ახლა გაერთდით მამა-შვილი, ანდერძის დარღვევა რო გარდგინყვეტიათ!“

„არ გეკადრება, ბიძაჩემო, ბატონიშვილო იულონ, და თქვენც ბატონიშვილებო, უზრდელ-უზრდელი სიტყვების სროლა!“ მაგრამ დავითს ხმისთვის არ აუნევიან, ყველაფერი წყნარად და ვითომ ღირსებითაც წარმოთქვა.

„ძალიან კარგი, ანდერძის დარღვევა! თუკი შეიძლება ერთი თვის წინ მოცემული სიმტკიცის წერილი დაარღვიო, რატომაც არ შეიძლება ანდერძის დარღვევაც, და ისე დარღვევა, რომა შენ არ გამეფდე, ძმაო, იმიტომ რომა შენა, სამეფო კაცი არა ხარ, შენა



მარტო ღვთის იმედადა ხაარ და მეტის მეტი რეტის რეტიო, მარტო ღმერთი რას გამოგიყრის, ძმაო, ხელის განძრევა კიდევ შენ არ შეგიძლიან, შენ ხელში როგორ უნდა ჩავარდეს ქვეყანა, როგორა, აი, ეს მიკლავს გულსა და მიშფოთებს სულსა... თქვენცა თქვით, ძმებო, უთხარით თუ ვტყუოდე!”

გიორგი ბატონიშვილი თავში ჩარტყმულივით მიაჩერდება თავის უფროს შვილებს, დავითს, ივანესა და ბაგრატს, ისინი ანიშნებენ წყნარად იყავი, არ აპყვეო...

„მართალია იულონ, მართალია, ძაბუნის მეფე არ გამოადგება ჩვენ ქვეყანასა. ჯერა ბატონი მამა, მისი უმაღლესობა, რა მედგარი იყო და იმან ველარ გაართვა თავი, აგერაა კვდება, ვაი, ჩვენს მოსწრებასა...“ და აღექსანდრე პირჯვარს გადაინერს „განა გამტყუნებთ, ძმაო, დასძაბუნებულხარ მეტისმეტადა, რამდენი ხანია არ მინახიხარ და ველარცკი გიცანი...“

„რატომაც არ გამტყუნებ, ძალიანაც ვამტყუნებ, მუცელღმერთა როა, გაილახა თავი ამდენი ჭამა-სმითა, ამდენი სტომიქის პაცივითა, ჩაილპო ყველაფერი და ჩაიოხრა“.

„იმდენი სიცოცხლე ჩვენ ერსა, რამდენი შენა უმაღ ითაფო, გული მითქვამს, ამაღლებულსა ჩვენსა ოჯახსა დამდაბლება ელის შენს ხელში, ძმაო“.

„მარტო სახელი ხო არ არის, მეფე გერქვას, როცა გაძლოლა ქვეყნისა არ ძალგძის, არა!!!“

ერთმანეთს აღარ აცდიდნენ იულონ, ფარნაოზ, მირიან და ვახტანგ. და აქ უკვე ხაფიხით დასჭექა გიორგიმ: „ღვთის საგმობ ანბავს რად ამბობთ, ძმებო, ღვთისა როგორ არ გეშინიანთ, რომა ნამდვილ ტახტის მემკვიდრეს, ღვთივ კურთხეულს ეტოქებით, სირცხვილი თქვენა, ნაადრევად გინდათ წირვა გამოიყვანოთ და იმის მაგივრად გაიქარწყლოთ შური და ბოღმა და მხარში ამომიდგეთ, მზადა ხაართ ცოცხლად შემხრათ და შემჭამოთ!!!“ გიორგი ბატონიშვილი გრგვინავდა წარმოუდგენლად დიდი ხმითა და თან მთელი ძალით აბრიალებდა თავის ხარის თვალებს.

„შური შენი მოგონილია, ბატონიშვილო, ვისი გმურდა შენა და ბატონი მამასი!“ მჭექარე ხმით, არ ჩამოვრჩე ჩემს ძმასაო, დაიძახა იულონმა, „ჩვენ რანი ვართ სახელოვან მამასთან შედარებითა და რამდენჯერ უმტყუნე, რამდენჯერ გააცურე, განდევნილმა ამილახვარმა წიგნი რო დასწერა მამაჩვენის საგინებელი და შენი საქებარი, რატო ღმერთი არ გაიცინებს, რო დაიჯერე და აფრიალე ის წიგნი გახარებულმა!“

„წიგნი რასა ჰქვიან, იულონ, კრწანისისა ვთქვათ, კრწანისისა!“ სიტყვას ჩამოართმევს იულონს ფარნაოზი, „რო არ ჩამოაშველე მებრძოლები ბატონ მამასა! ჩაიხედე სარკეში, ბატონიშვილო, დაინახე შენი თავი, გააქვს ნიშანი მეფობისა, ეგეთ ბრძოლაში რო უგანე ქვეყანასა და ხალხსა!“

გიორგი თითქოს ცოტა შეკრთება, მაგრამ მყისვე მოეგება გონსა: „მე მეგონა უკმაოდა ქართლისა და იმერეთის ჯარი, მთა და ბარი! იმ კარგი პაპა თეიმურის ცხოვნებასა და განათლებასა, თუ არადა, ჩემი შვილები სად იყვნენ? იქნებ არ იბრძოდნენ პირგამეხებულები, იქნებ სისხლი არა სდიოდათ!? იქნებ არ გადაარჩინეს ბატონი მამა ბრძოლაში დაღუპვასა!“ და ძლევამოსილად გადახედავს თავის შვილებს, რომელთაც, რა თქმა უნდა, სძულთ ბიძები, განსაკუთრებით დავითსა და ბაგრატს, მაგრამ მამაზეც არ არიან მაღალი აზრისა, განსაკუთრებით კრწანისის შემთხვევაში, როცა ოთხმოცი წლის პაპა თავგანწირვით იბრძოდა და მამა კი აი, ასე მოიქცა. ბოლოს დავით ბატონიშვილი ველარ მოითმენს და საყვედურით ეუბნება მამას: „კარგი რაა, ბატონო მამა, უკმაოდა, უკმაოდა, რა უკმაოდა! ძალთოდენნი ეყარნენ...“ „შვილო დავით!“ წყრომით ტაშს შემოსცხობს გიორგი ბატონიშვილი, „ნუ მიეტაცინები ჩემს ძმებსა, რომელთაცა ჩვენი სიძულვილის ქოთანი უღულთ გულში!!!“ მერე კი გიორგი შუბლზე მიირტყავს ხელს: „როგორ გადავგონდი ამ გაზიდულობაში! შენა, შენა?! ბატონიშვილო იულონ, ძილი რო გიკრთება ქვეყანაზე ფიქრითა! იგეთმა ფურმა დამწიხლოსო, თბილისს იყავ და გამორბოდი ფხაჭაგლეჯითა, შესაძრომს ეძებდი და კარგადაც მოსძებნე, გაერიდე ბრძოლის ქარცეცხლსა და აქა ბრტყელბრტყელებსა ბრძანებ... ვიცით რა ყარამანიცა ჰბრძანდები, ვიცით!“

„დაიხაც რო ყარამანი ვაარ, და შენთან შედარებით ხომა ათჯერ მეტი ყარამანი! სახლეური გავარიდე იქაურობასა, ბრძოლისა კი არ შემშინებია, მამის მტრობით კი არ მომსვლია შენსავითა?! ქიზიყელებსა ჰკითხე რა ებს ამბობენ შენზედა, რარიგ გამკობენ, რო არ ითქმის ისეთებსა...“

მე ვერ ვითმენ და მთელი ხმით ვიძახი: ბატონიშვილებო! აი რასა სწერს ტერ-ოჰან ვოსკენჩიანი: „დაინახა ერეკლემ, რომ მის შვილებს შორის უთანხმოების გამო არ მოვიდნენ ტფილისში მოლოდინებული ჯარები და რომ ქალაქში მყოფი იმერლების ჯარი ცარცვავდა ქალაქს, ის სასონარკვეთილი, ფრიად მწუხარე სიმცირისათვის სპათასა გაეცა და რაც ძალები ჰყავდა, იმით შეება სპარსელებს“

სოღანლულში...“

სპარსელები მტკვარს რომ მოადგენენ, ფონი არ იცოდნენ და შაჰმა ხმა-ჰყო: ვისაც შაჰის თავი უყვარს და ვაჟკაცია, მოვიდეს შაჰის ახლოს და თუ მტკვარმა მე წამილოს, ეცადენით ჩემი გვამი შეიპყრათ, წაილოთ და დაფლათო, სთქვა და თავის თურქმანის ცხენს ჰკრა მათრახი და შეაგდო მტკვარში. სარწმუნოების მგმობელთა ქართველთა ალა მაჰმად ხანს ფონი უჩვენეს, გაუძღვენენ და ძლიერ ადვილად გავიდნენ ფონსა. ეს იყო ყარყუთას და კრწანისის ველს შუა.

მეწინავეთა რაზმის სათავეს ედგა დავით ბატონიშვილი, ხელქვეითი სარდლები — ოთარ ამილახვარი, იოვანე მუხრან-ბატონი, ზაქარია ანდრონიკაშვილი, ზურაბ წერეთელი იმერლების რაზმით. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით „იბრძოდეს მხედრობანი მეფისანი მხოლოდ ხუთი ათასამდე კაცი ოდენ.“ შემტევ რაზმში მონაწილეობდნენ რჩეული მოქალაქენი დავით მაჩაბლის წინამძღოლობით, რჩეულ მოქალაქეთა რაოდენობა სამას კაცამდე. ათას ხუთას მოქალაქეთაგან ათას ორასი სეიდაბადების ბალების დასაცავად იბრძოდა, სამასი კი ყორჩი-ყალაზე-თაბორის მთაზე, დავით ბატონიშვილის რაზმის გასაძლიერებლად. გორჯასპი ნათალიშვილის თქმით, „მეფე ერეკლე თუმცაღა იყო ფრიად მოხუცებულ, გარნა ბრძოლასა მას შინა ყოფაქცევა მისი იყო მრავალთა ჭაბუკთაგან სანატრელ...“ მაგრამ ხოჯას ჯარი ითვლიდა 35000 მებრძოლს. თქვენ კი ბატონიშვილებო, ბატონიშვილო გიორგი და ბატონიშვილო იულონ, მოხუცი მამის გვერდით არ იბრძოდით!!“

გიორგი ბატონიშვილი გაცეცებული აქეთიქით იყურება: „რა ვქნაა, ვიღაცის კნავილი მეყურება, ჩვენი განსაქიქებელი, როგორ უბედავთ სვალინდელ მეფესა, არ გეშინიანთ წკებლში ვაგატაროთ, ან ტუსაღთა ქუაბში ამოგაყოფინოთ თავი!!!“

მე მყისვე ხმა ჩავიკმინდე, ისედაც ბეჩავ გიორგის ჰყავდნენ მთქმელები, და არც დააყოვნეს, ახალი ძალით შეუტიეს: „კრწანისი! კრწანისი! ჩვენი დაქცეული ტფილისი!“ აღმოხდა ვახტანგ ბატონიშვილს, „როგორ იბრძოდა ბატონი მამა, რა პირგამეხებითა! ან კი შეიძლება მეფე მთავარსარდალიცა და მეომარიც არ იყოს ჩვენს მტრებშემოსეულ ქვეყანაში, და როცა ჩვენს ბედშავ მამულს უჭირს, ის კი მხარეთმცოდნე წამონოლილი ზაქებს მიირთმევდეს?! ძმაო, ძმაო, რაც შენა პურ-ღვინო დაანელე, რაც შენა ნახირი ჟლიტე, ღმერთმანი, ერთ სასახლეს აიგებდი, და კოჭლი ტერტერას სახლში არ იცხოვრებდი!“

„სადღაა, ძმაო, კოჭლი ტერტერას სახლი?“ სიტყვა ჩამოართვა აღმასხანს, ანუ ვახტანგს, ალექსანდრე ბატონიშვილმა, „მე ხომ ეხლა ტფილისიდან მოვდივარ, ყვავილია მოდებული, და ჩემი სანადი ეს იყო, რომ რაც ხიზანი გარეთ არის და ყვავილიანი ყმანვილები შემოჰყავდათ, მინდოდა გარეთ მოეხადათ და ისე შემოეყვანათ, რომ განმდეს ქალაქი, ოო, ასე უსამართლოდ ამისთანა ქალაქის წახდენა ანბგადაც არ გაგონილა...“ მწუხარედ გადაიქნია თავი ალექსანდრემ.

„ეგაა ვერ-კარგი! ვერ-კარგი!“ დაიძახა გიორგი ბატონიშვილმა და თანდათან ხმას უმატა, გეგონებათ უნდა თავიც დაირწმუნოსო: „მაგრამაა მოველება ქვეყანასა, მოველება, ღმერთმა ისე მოწყალება არ მომაკლოს და ორსავე სოფელს პირნათლად მამყოფოს, მოველება, მოველება მეთქი!“

„შენს ხელში, მოველება წმინდა მამების ძვლებსა, მათ ლუსკუმებსა და კუბოებსა, ხატების განბანვასა!! და არა ჩვენს ქვეყანასა, და აჰაა, თუ არ გარდაეცემა შთამომავალთა შენი კაი მეფობის ამბავი! აჰაა, თუ არ გარდაეცემა შთამომავალთა შენი სულსწრაფობისა და მოუთმინარობის ამბავი! ნუ გენყინება, ჩემო რძალო, ციციშვილის ხათა გოგიას ასულსო,“ იულონი მიუბრუნდა, იქვე ხალიჩაზე თოჯინასავით დასკუბებულ ლამაზ მარიამს, ფეხმორთხმულს ხალიჩაზე გიორგის სიახლოვეს, „შენს სანყენად არ ვამბობ ამასა, მაგრამა ორმოცი დღე არ იყო გასული ჩვენის ძვირფასის რძლის ქეთევანის გარდაცვალებიდან, — ბატონმა მამამ მაშინ თავშიცემითა თქვაა: ახლა ჩაესვენა ჩვენი ოჯახის მზეო, — თანაცა როგორი გარდაცვალებიდან, მუცლის გარდაყოლიდან, და გვირგვინქვეშ ქორწინების გვირგვინი იკურთხა შენთანა! მოუთმინარევე! ან გაზრდილ შვილთა რას უბნობდი, ან ქეთევანის მამაც სულსა რას მიუთხრობ, ძმაო, რასა, მგლოვიარე კაცი ნაცარს ვიყრიდი თავზედა და თან თვალებს ვაცეცებდიოო?! თოთხმეტი წლის ხათა გოგიას ქალწული შეენიშნე და მყისვე ვისკუპე გლოვის კარვიდგანაოო?!

„თავხედო! თავხედო! დაიგრგვინა გიორგი ბატონიშვილმა, „შენს თავს შეჰხედე, შენს თავსა, ტლინკებივით რო ჰყრი იზრდელ სიტყვებსა, უფროსი ძმის დასამცრობადა, ხვალინდელი მეფის გასაბიბრუებლად, დედოფლებისა და სახლეულის გასაგონადა, მთელი კარის თვალწინა! სირცხვილი შენა! სირცხვილი და თავსლაფის დასხმა!!“

„თქვენი ჭირიმეთ, ჩემო ძმებო, თქვენ შემოგველეთ, დაწყნარდით, დაშოშმინდით ბატონი მამა ამ დღეშია, რადროს ჩხუბი გაქვთ!

დაიღუპება ჩვენი სახლი, ჩვენი დიდი სახლი, დაიღუპება, ვაიმე, ვაიმე!“ თეკლა ბატონიშვილი ხან იულონთან მიირბენს, ხან გიორგის მიმართავს, თან ცრემლები ჩამოსდის და ისევ სახლზე მოსთქვამს, „ჩვენო სახლო, ჩვენო დილო სახლო!“

„უტყუარად, უტყუარად, დაო თეკლე! მთელმა კავკასიამ იცის ჩუმჩუმად ბარათებს რო სწერს იმერატორ პავლესა! მიუბოძებს, გაჰყიდის ქვეყანასა ვითომ ქრისტესთვის!“ დაიძახებს ალექსანდრე ბატონიშვილი.

„აი, შე ქვებუდანო შენა, ჩვენი მტრების ქომავო!“ გიორგი ბატონიშვილი ხონჩიდან ვაშლს დასწვდება და ალექსანდრესკენ გატყუორცნის, „თურმე ომარ-ხანის დამაც რო გიშვილა და ჩოხაც შეგიკერიხა, უმალ შენ დაგკრავენ თოფსა, როგორც ლეკსა, შე ტრანიაწო შენა!!“

„უნიათოვ, უნიათოვ!“ დაიძახებს იულონი, „ქართლს მაინც არ დაგანებებ, ჭიჭინაზე რო გასკდე, არა და არა!“

„აი, შენი ქვეყანაზე ზრუნვა, ბატონიშვილო იულონ, ძლივს გაერთიანებული ქართლ-კახეთი რო კვლავ გაგლიჯოს, არაა, ეს გინდა ბიძაჩემო, ესაა!“ ერთხმად შესძახებენ დავით და იოვანე ბატონიშვილები. „დამაცადეთ, შვილებო, დამაცადეთ!“ გააჩერებს შვილებს გიორგი ბატონიშვილი, „არ დამანებებებს?! რა მაგისი გარდასაწყვეტია! მანამ ნურაფერი მიგირთმევია, ბატონიშვილო იულონ, ელოდე ხელგაშლითა და ფეხის აღმართვითა ტახტის ხარისხისკენა, ელოდე!“

„თუ ველოდო და დიდხანს ლოდინი კი არ დამჭირდება!“ არ დაახანა პასუხი იულონმა, „ჯერ კიდევ როდის იწერდი პეტრებრუხიდანა კაპლებსა გარსევანის საშუალებითა და ვერა კაპლი შენ ვერ გიშველის, ძმაო, სიკვდილის კარსა მჯდომარე ხაარ, დროა ჯიბეებსა მუხუდოთი ივსებდე, გამოგადგება ზეცასა სათესადა...“

„ვაიმე... ვაიმე... ცოცხლად გინდაათ დამმარხოთ, ცოცხლად გინდაათ ჩამდოთ მინაშია! არც შენა ბრძანდები უმსნელი მტევანი, არ ვიცით განა, მუნუკები რო დაგყრის ხოლმე ტრაკზედა და ვერცა სჯდები და ვერცა სდგები და ვერც ვერაფერი, თუ არადა, თუ მოვკვდები, ცოტანი მყვანაან, ჩემი სიქადულები, შენზე შემკულები ჭკუა-გონებითაცა და ყველაფრითაცა!!“

„მაგრამა, სანამ აღესრულები, ძმაო, მადლობთ ვაშლის ტყორცნისთვის, მანამ უკვე გააფუჭებ საქმესა და უღალატებ ქვეყანასა, რადგანა ერი და ქვეყანა შენს დავთრებში არა სწერია, ვითომც უკვე ვხედავდე შენს მინაწერსა პავლე იმპერატორთანა: ჩამიბარებია

ცოლშვილი ჩემი და საქართველო...“

„შენ დაარღვევ მამაჩვენის ტრაქტატსა, რათა ხვალ-ზეგ საკუთარი ხელითა გარდასცე ჩვენი სამეფო იმერატორ პავლესა, ვხედავ ამ დამდგარი თვალებითა, ვხედავ, როგორა სწერ თხოვნის წერილებსა, სრულიად თქვენს განკარგულებაში გარდმოგცემთ, ბატონი მამა როგორც კი აღესრულებო.“

„არ შეგენევა, ძმაო, ღმერთი, შეინრებულია სული შენი, სული არა სოფლის მესვეურთა და მეფეთა, ამიტომაცა სული შენი ცუდმაშვრალობს, ძმაო, სული უნიათო, ლოხი და უნძრევი!“ და იულონმა ლამის ქოქოლა მიაყარა გიორგი ბატონიშვილის მხარეს.

„კაპლი... კაპლი... მარიამ... მომანოდეთ... ეს გინდათ... ჩემი აღსრულება გინდათ... თქვენა... ძმები კი არა... დაუძინებელი მტრები ხაართ ჩემი...“ მარიამი შუშიდან აწვეთებს წამალს და აწვდის გიორგის, და სწორედ ამ დროს თავისი ადგილიდან წამოიმართება დარეჯან დედოფალი, გადახედავს შვილებს, თვალს მოავლებს მთელ დარბაზს და მტკიცე კილოთი წარმოთქვამს: „მე უნდა ჩავაქრო თქვენი შფოთი და დავა, მე უნდა ჩავდგე თქვენს შორის, ჩემო შვილებო, შვილი ხარ შენცა, გიორგი, ახლა რომ ამიძულე, ეგრე კი არ არის, ოთხი წლისა დამხვდი და შვილებზედა არა მაქვს ის ამაგი, რაც შენზედა... ტყუილად ნუ გეპატარევებით თვალში, ჩემო შვილებო! მე უნდა ვიყო მეფე! როგორც იმპერატრიცა ეკატერინა იყო... და ვიქნები კიდევ, სწორედაც ვიქნები, თქვენც აგაცდენთ ამდენ ჩხუბსა და დავიდარაბას, ძალღონეც მომდგამს, ჭკუაც მიჭრის, ქვეყნისთვისაც ჩემნაირად არავის შეგტკივათ გული!“

„აი, ბრძენი ბატონი დედა! აი, მართლა ვინ უნდა იყოს! სულ დავივინყეთ დედათა პატივი! თამარ მეფე თუ ქალი იყო, არა ჰქონდა განა სამეფო ჰაზრები, ვერა მართავდა ქვეყანასა!“ დასძახიან დარეჯანს საკუთარი შვილები. მაგრამ გიორგი ბატონიშვილი მყისვე თავს წამოჰყოფს, სულ დაავინყდება კაპლებიცა და გულღონებაც: „უი, უი, უი, ბატონო დედავ და დედინაცვალო, იგეთ ბრძნულ რჩევებს აძლევდი ბატონ მამასა და სამწუხაროდა გაგყავდათ კიდევცა, რომა აფსუსიც იქნება თქვენ არ აღჯდეთ ტახტზედა...“

„აი, სწორედაც აფსუსი იქნება, და თავი ცოცხალიც არ მენდომება, თქვენზე უკეთ თუ ვერ წარვმართავდი ქვეყნის საქმეთა... მთელი კავკასია მიცნობს, ხანებთანაცა სიტყვა მეთქმის და რუსებთანაცა, კავკასიის ხანები დედაშვილობას მეფიცებინან!“

„დედავ და დედინაცვალო, ჯერ ის რადა ღირს, ჩვენს ტახტსა ერთი ხანობა ფიცრები

უმტვრიეთ იმ კარგი ანდერძითა, მერე კიდევა ზაქარია რო დაანიშნინე ქიზიყის მოურავადა, შენი სიძე, ინდე, რა მოხდა, ყაჩაღი, ცხვრის ფარები დაიტაცა, გაუყენა ქიზიყელებს ნადავლად და უკან გაბრუნდა, უსინდისო! მერე კიდევა, იმერეთი რო არ შემოაირთებთანე ბატონ მამასა, შენ არ იყავი, ქვეყნის დარდი კი არ განუხებდა, შვილიშვილზედა ჰფიქრობდი, და ეხლაცა იმიტომა სცდილობ, მერე შენს შვილს იულონს გადაუბოძო გვირგვინი... მართლა, გვირგვინები რო დასტოვებთ ტფილისსა, რასა ჰფიქრობდით, რა უნდა დავიდგა თავზედა, რალა უნდა დავიდგა ჰააა?!" დააწყებეს თვალებს გიორგი ბატონიშვილი.

"თუ შენ გამეფდები, ძმაო, ბატონიშვილო," დაიძახებს ალექსანდრე ბატონიშვილი, „მთელი ქვეყნის მირთმევაში ერთ გვირგვინს როგორმე გიბოძებს პავლე იმპერატორი, მაგისი დარდი შენ ნუ გექნება, და მაშინ ვაი, ჩვენს ქვეყანასა...“

"უკაცრავად არ ვიყო, ბატონიშვილო," კოპებს გამოიკრავს დარეჯან დედოფალი, „მაგრამა ცხვრის ფარები ზაქარიამ კი არ გაიტაცა, თქვენმა სიმაჰრამა, ხათა გოგიამ გაუყენა გზასა, და შენ ეს ძალიან კარგადაც მოგეხსენება... მერე კიდევა, გვირგვინებს რომ იყვედრინები, ისეთი ამბავი იყო, ტფილისი დაინგრა და შენ გვირგვინებსა სჩივი? არ მინდოდა უდიერი სიტყვის თქმა, მაგრამა თითო დაჯდომაზე თითო ზაქს რო მიირთმევ, გაყიდე ერთი ნახირი და გამოაჭედინე გვირგვინი, თუ არადა, მე მინდა მეფობა და რამენაირად გვირგვინის გარეშეც ვიმეფებ! მთავარია გვირგვინი რომელ თავს ადგას! ახლა კი ჩემს უბედურ ქმარს მივხედავ...“ დარეჯანი ნელი ნაბიჯით გაემართება კარისკენ.

"და მე თქვენი გარდანყვეტილებით კარს უკანა და ბანს უკანააა! კაი რამ, ბატონი მამა სულს ებრძვის, თორემ, თავი არ მომიკვდეს, იქნებ მამის სიცოცხლეშივე გამეფებულიყავი და ქვეყნის სასაცლოც გამხდარიყო ჩვენი კარი!"

მე ვედარ მოვითმინე, გული ამომიფუვდა, ჩამოვირბინე კიბეები, გადავირბინე ბაღი და პირდაპირ დარბაზში შევევარდი: „ბატონიშვილებო, ბატონიშვილებო!“ დავიძახე ვედრების კილოთი, „გეხვეწებით, გონს მოეგეთ, ბატონიშვილებო, თორემ, თორემ მომიწყარით ცოტა ხანს ყური რა წაგიკითხოთ, ბატონიშვილო დავით, აი, რას სწერთ სერგეი ლაზარის 1801 წლის 5 ივლისს: „აქ მყოფმა ნაჩაღნიკმა ლაზარევმა ყოველს ჩემს მოქმედებასა და მმართველობაზედ ხელი ამაღებინა და ოთხი კაცი გამოირჩია, რომელშიაც თუით მჯდომნი მმართველობენ... ვსთქვათ,

რომ უბედურება სოფლისაგან დიდი ხანია ჩვეულებად შემოსულა და ვითომ მეც ერთი გავვუბედურდი, მაგრამ ამ მთელმა ქვეყანამ, თავისს შორის დამკვიდრებულის ერთ, რა დააშავეს, და ან რას შესცოდნენ, რომ ამისთანას უკანონოს და უნესოს უბედურებაში მიანიეს, რომ ოთხ უნიგნოთა, უნუერთელთა და უისტორიოთა გვამთავან ეს მრთელი სამეფო იტანჯებოდეს და ასე მოუვლელად და მწუხარედ რჩებოდეს?“

„ვინა ხარ, ვინა!!“ დამწყვიტა გიორგი ბატონიშვილმა „ადამიანი ხარ თუ ავი სული, როგორ მოჰბედე ჩვენს კარზე მოსვლა! ან ეგ რა ლათაიები წაგვიკითხე!“

„არა ვარ ავი სული, არა!“ ამის თქმა მოვასწარი მხოლოდ, რადგან კარი გაიღო და სახლთუხუცესი შემოვიდა და გიორგი ბატონიშვილმა კვლავ დამძახა: „გზა უტიე ქაიხოსრო სახლთუხუცესს!“

ბატონიშვილები კი, არ ვიცი მომეჩვენა, თუ მართლა ასე იყო, საგონებელში ჩაცვივდნენ თითქოს, მაგრამ მყისვე ინტერესით მიაჩერდნენ ქაიხოსროს, რომელმაც, ჩემგან განსხვავებით, დიდად სასიამოვნო რამ აუნყა: „ბატონიშვილებო, ძველგალავნელმა სომხებმა ბურვაკები მოგართვეს, დღეს ჩამოურეკნიათ ტყიდანა, მზარეულმა მოხარშა და ცხელცხელი უნდა შემოგთავაზოთ, ხომ ინებებთ ვახშობასა, რას იზამთ, დიდი მწუხარება მოგდგომიათ კარსა, მაგრამა მშვიდობა ხომ არ ინებებთ მოსვენებასა და?!"

„შვინდ-ნივრის ამოსანებიც ხომ მოაყოლეს?“ დაინტერესდა გიორგი ბატონიშვილი.

„დიდი ბადიებითა... ბურვაკებს კიდევა ოშვივარი ასდით... გავშალოთ სუფრა?“

„გაშალებთ, გაშალებთ!“ დაიძახეს ერთხმად.

„ღვინოს რომელს ინებებდით?“ იკითხა კვლავ სახლთუხუცესმა.

„მე ხოდაშნური, წითელი!“ დაიძახა გიორგი ბატონიშვილმა.

„მე აკურული მიყვარს... მე გრძელი მინდვრისა... მე კიდევა რუისპირული.“ ისმოდა აქეთ-იქიდან.

დიდი სინებით ბურვაკების ცხელ-ცხელი ხაშლამა შემოიტანეს. ხვალინდელი მეფე გიორგი მაგიდის თავში აისვეტა, ხელები აღმართა და მტკიცე კილოთი, ხმამალა წარმოთქვა: „ცხებუღია მეფე ღვთისაგან, პატივმცემელი მეფისა პატივ-იცემების ღვთისაგანა, ორგული მეფისა არ იქმნების არაოდეს ერთგული ღვთისა, გული მეფისა ხელთა შინა უფლისათა, მეფე, რომელიცა, ვიტყვოდი ამას უეჭველად, მიენდობა ღმერთსა, მტკიცედ იქმნება თვისსა ტახტზედა და იკურთხება

ღვთისაგან, ვინ უნდა მყვანდეს ღმერთზედ მეტი პატრონი და მფარველი, ხვალინდელ მეფესა, რომელზედაც დამიძს სასოება ჩემი.“ გადაიწერა პირველად, სუფრასაც გადასახა ჯვარი და ლავაში გახია.

კიდევ კარგი ვახშობამ უნია, თორემ მე, ალბათ, ჩემი თანაგრძნობის მიუხედავად, ვერ მოვითმენდი კვლავაც არ მეცადა ბატონიშვილების გულისხმაში ჩაგდება, ვერ მოვითმენდი არ მეთქვა გულსაკლავი ლექსები მარიამ ბატონიშვილისა, ფარნაოზისა, მირიანისა... თუმცა არა, არ დაიჯერებდნენ, რომ ეს ლექსები მათი დაწერილია, დაწერილი კი არა, კვნესით აღმონათქვამი, ბაგრატიონთა ათასწლიანი სამეფოს დამხობის შემდეგ, მათი დიდი ოჯახის დაქსასქვის, ზოგის პეტერბურგს გადასახლების, ზოგის პატიმრობის, ზოგისაც, მაგალითად იულონის მშვენიერი ვაჟის ლევანის, კახეთის აჯანყების დროს დაღუპვისა და ბევრთა მათ მახლობელ თავადთა ოჯახებით „სიბირს“ გადასახლების შემდეგ... მარიამ ბატონიშვილი განა დაიჯერებდა, რომ ის, ბატონიშვილი, ერთ დროს თბილისის მოურავის, ციციშვილის მეუღლე, თხოვნის ბარათს მისწერდა საკუთარი მამის, მეფე ერეკლეს, ყოფილი მიშკარბაშის, ან კი „ბრწყინვალე მოურავის, იოსებ ბებუთოვის ჯალაბს და უსაყვარლეს დას ბატონს ქალუას, მონყალე ხელმწიფეს: „ვიცი, მწყალობელი ბრძანდები და ამისთვის ვიკადნიერე მოხსენება, ვითხოვ: ცოტა ბრინჯი მიბოძეთ თავისის ერბოთი. ეგების მეც მაგიერი სამსახური შევიძლო. მეფის ასული მარიამ.“

მე ცრემლები მახრჩობდა... ღაპაღუპით ჩამომდიოდა და ენვეთებოდა მარიამ ბატონიშვილის საცოდავ ბარათს... და რომ ჩამეხშო ეს მღელვარება, გამექარწყლებინა სანყალი ბატონიშვილის დამამცირებელი ბრინჯი და ერბო, მისსავე და მისთა და-ძმათა გულსაკლავ, მშვენიერ ლექსებს მივმართე, მოგესხენებათ რიტმისა და კეთილხმოვნების ძალმოსილება... მაშინვე წამოვდექი, წელი გავმართე და ოთახში წინდაუკან სიარულსა და ლექსების თქმას მოვყე, ხმამაღლა, გამოთქმით, სევდიანი კილოთი წარმოვთქვამდი... და ვერ ვჩერდებოდი... „ჩრდილოს კერძომან საბავთო ქარმან, მძვინვარედ მქროლმან და დაუნყნარმან, ჩემნი მთიებნი ჰყო გარის-გარმან...“ „აჰა, დანთქმული ჩრდილოთ ზღვითაო, მარად ვაფრქვევდე ღრუბელ-ნისლთაო, ვა, განგვაშორნეს მზენი სითაო, ჰყვეს განდეგილი შორის გზითაო, ისმინეთ სანყლად გლოვის ხმანია, განცვიფრდი ცაო, განჰკრთი მიწაო...“ „იგრგვინა ცამან ჩვენზედა, რისხვითა საშინელითა, დაჰფარნა ჩრდილოთ

ღრუბელმან მნათობთ არენი ბნელითა, წარჰხდეს ნალკოტნი მალაღნი, ჰოი, საცთურითა ძნელითა, ვა, დიდებულნი პალატნი იქმნა მტერთ საცინელითა, ან, განწირული უწყალოდ, ვინვი ცეცხლით, არ ნელითა,.. სად ხარ სიკვდილო, რას ჰყოვნი, არ მიმცემ დღესა მცირებსა...“ „დაბრუნდა ეტლი უკულმა, წარხდა დღე კეთილ მზიანი, დაემხო ტახტი მალაღნი, რა ბედნიერი, სვიანი, განჰქირვინა ვარდნი სატრფონი, არღარა ჰყვავის იანი, განმწარდა ყოვლნი შვებანი, ტკბილნი, საამო ხმიანი, ან, სანუთროსამდურავი, ვჰსტირუბედური დღიანი,.. ვაი, დაბნელდით თვალნო მტირალნო, ჰხედავთ რას განსაცვიფრებსა... მიგლოვდეთ მეცა...“ ეს მარიამ ბატონიშვილია, ქალუა ბებუთოვთან ბრინჯისა და ერბოს მთხოვნელი.

მაგრამ ტყვედქმნილი ქეთევან ბატონიშვილისაც, მუხრან-ბატონის ქვრივისაც, ხომ უნდა მეთქვა, და კვლავ ვცემდი ბოლთას, გავყურებდი ბებერ ჭადარს და გულს ვიოხებდი დეკლამაციით: „გუშაგნი მრავლად ჩემთვის მცველობენ, სხვადასხვა ჰაზრით გველებერ ჭრელობენ, მათნი მახვილნი გულსა მჭრელობენ, კვლავ სხვანი მოვლენ, სადგურს მცველობენ, მჭმუნვარეს გულის დამწყლულებელნი.“ „რად გკვირს პატიმარს მწუხარებანი...“ მიმართავს ქეთევანს თეკლა ბატონიშვილი, „რადგან ჩრდილოთ მზემ ესრეთ ინება, კრძალვით ითმინე სახმილთ გზნება...“

და ფარნაოზ ბატონიშვილი? მამის უკმაყოფილო იმის გამო, რომ საბატონიშვილო იმდენი არ ერგო, რამდენიც ძმებს და ალბორგებულნი იულონს სურამის ციხეს ედავებოდა, შემდგომში იმავე იულონთან ერთად რუსებს ებრძოდა და ჯერ გადასახლებული ვორონეჟს, შემდგომში კი დასახლებული პეტერბურგს, ასე მოთქვამდა: „ანცა გიხმსთ გლოვა მოუთმინარე, ისმინეთ ჭირნი მოუხმინარე, გარდმოუტევეთ თვალთა მდინარე... შემოკრბით ერთად სმენად ხმისაო, მგლოვარეთ ლექსთა აღმოთქმისაო... მოგველო ყოვლი სწორი ძალებით, შეგვექმნა ბედი, ვითა მძინარე, გარდმოუტევეთ თვალთა მდინარე...“ ვამბობდი ლექსებს, ვამბობდი და ველარ ვჩერდებოდი, ისე რომ ყელიც ჩამეხრინნა, ლიტრიდან წყალი ჩამოვასხი, კიდევ კარგი, რამდენიმე დღის წინ პანია ქილით თაფლი მოვიტანე სახლიდან, კოვზის წვერით ამოვიღე, წყალი დავაყოლე და ყელი ჩავინმინდე... და ახლა უკვე თეკლა ბატონიშვილის სიტყვები გამახსენდა, ეგნატი იოსელიანის სანახავად რომ მივიდა და უთხრა: „შური მეფობისა იყო მიზეზი ესრეთისა სიძულვილისა... ვერ გავამართლებ ვერც დედასა ჩემსა დედოფალს

დარეჯანსა, ვერც ძმათა და დათა ჩემთაო. უბედურება იყო მოსული ჩვენს სახლზე. ვიყავით ღირსნი დასჯისა და დავისაჯენითო... რუსეთს არ ეკადრებოდა, რომელ დასტოვა სამეფოისა სახლისა წევრნი ულუკმოდო...“ ამაზე ეგნატიმ უპასუხა: „არავინ ველოდით რუსთაგან ამასა... ახლა ვჰხედავთ რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილა... ძლიერნი ძალთა სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა, უცნობნი კაცთა, არა დამფასებელნი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი...“

ჰოი, დიდად პატივცემულო, ღირსო მამა ეგნატი, ვერ მომითმენია არ მოგანვდინოთ ხმა გაღმა გაბრძანებულს, და არ მოგახსენოთ, რომ ლამის ორსაუკუნოვანმა ბატონობამ რუსთა, მათთან მეგობრობამა და ფერხულში ჩაბმამ, ბოლოს ის შედეგი გამოიღო, რომ თითქმის ასი წლის შემდეგ თქვენი ნაბრძანებიდან, ჩვენმა ძვირფასმა თანამემამულეებმა, დიდი ქართველი მონსტრის, (ეს სიტყვა თქვენ, ალბათ, არ გსმენიათ, „ურჩხულს“ ნიშნავს) წინამძღოლობით, არა მხოლოდ იავარჰყვეს ჩვენი ღირსება, არამედ მილიონთა, ქართველთა და არაქართველთა ღვთითბოძებული სიცოცხლეც უმოწყალოდ გააცამტვერეს. ხორციელად რომ ძალმიძდეს გადალახვა დროისა, მონივნებით გემთხვეოდით ხელზე, ისე კი დავშთები თქვენი პატივისმცემელი, მხევალი ღვთისა თიკო, უმცროსი მეცნიერ — თანამშრომელი და მუზეუმის ექსკურსიამძღოლი.“

სამუშაო დღეც იწურებოდა... „ჩემთვის მთავარია თხზვა და სიყვარული... სიყვარული და თხზვა...“ ფიქრობდა თიკო და დაწერილ თაბახებს წყობისად ალაგებდა... „დღეს ბევრი ვიმუშავე, მაგრამ მეშინია გადაკითხვა, ვინ იცის სულ არ არის საინტერესო... რა ვქნა, ესა ვარ, რაცა ვარ, ხვალ წავიკითხავ და ვნახავ რა გამოვიდა, ახლა კი, წინ, სიყვარულისკენ!“ სახელდახელოდ მოიცვა საგაზაფხულო პალტო ნაცრისფერი კაბარდინისა, ჭრელი შარფი მოიგდო ყელზე, ჩანთიდან კონვერტი ამოიღო თავისი ლექსით და პალტოს ჯიბეში ჩაიღო, უცებ გადასაცემად, კარები დაკეტა და კიბეზე დაეშვა.

ბატონ შალვას რესტავრატორი ჰყავდა სამუშაო ოთახში და იმას ეთათბირებოდა ტაძრის თაობაზე... მათ ასე იცოდნენ, რომ ტაძარი ჯერ კიდევ იტალიელი მხატვრის მიერ იყო მოხატული და შემდეგ, რუსების დროს, ათასგზის გადაღებილი. რესტავრატორი, ორმოციოდე წლის შავგვრემანი, ლამაზი კაცი, ალავერდში მუშაობდა და იქიდან ამოსულიყო ბატონი შალვას თხოვნით.

თიკომ დარბაზში შეიხედა, ყველანი უკვე წასულიყვნენ, სწრაფად გამოვიდა გარეთ, აღელვებული იყო, ისიც კი იფიქრა, იქნებ წავიდე სახლში და არ გადავცეო, დავხიო და გადავყაროვო, და როგორც იქნება, ისე იყოსო... იჯდა ხეივნის ქვეშ, სკამზე, მღელვარე ფიქრებით ატანილი და აღარ იცოდა რა გზას დასდგომოდა... მაგრამ დაინახა თუ არა ბატონი შალვა, რესტავრატორთან ერთად ტაძრისკენ მიმავალი, კვლავ აინთო სურვილით სწრაფად, სწრაფად, აი, ახლავე წაეკითხა მას ეს სახუმარო ლექსი, რომ გავეო როგორ უყვართ, როგორ სურთ, როგორ ენატრებათ მისი სიყვარული... და სწორედ ბატონი შალვა წამოადგა თავს: „ახლალა დავინახე, თიკო, რატომ არ წასულხარ სახლში?“ თიკომ რესტავრატორს გახედა, რომელიც ტაძარს უახლოვდებოდა, აგერ გაჩერდა და შალვას მოხედა. „რა იყო, თიკო, ცუდად ხომ არ ხარ, რა დაგემართა?!“ „აი, ეს... წაიკითხეთ...“ ჯიბიდან კონვერტი ამოიღო. „რა არის, განცხადებაა რაიმე?“ თიკომ თავი გაიქნია, მიბრუნდა და ჭიშკრისკენ გაიქცა. ბატონმა შალვამ კონვერტი ჯიბეში ჩაიღო, რესტავრატორს გავისტუმრებ და წავიკითხავო... შეფიქრიანდა კი, რა უნდა იყოსო, თიკო ისე უცნაურად გამოიყურებოდაო. და როცა რესტავრატორის გასტუმრების შემდეგ, ფანჩატურში ჩამოჯდა, კონვერტი გახსნა და ლექსი წაიკითხა... ისევ წაიკითხა... ნაკუნებად აქცია და ქარს გაატანა... კიდევ კარგი აქვე წაიკითხა და სახლში არ წაიღო, ლელიკოს რომ ენახა ეს რაღაც... ეს რაღაც... თავზე ხელის აღება... თავქარიანი გოგო... მის თვალწინ გაზრდილი... მის ხელში... რა უნდა ექნა? როგორ უნდა მოქცეულიყო? ვითომ არაფერი? გაეცინა და ეს რა სახუმარო ლექსი მომწერეო? ეს რა ხუმრობა გცოდნიაო? როცა ვნების მორევში გადაშვებას სთხოვდნენ... ლამის სამოცს მიტანებულ კაცს... ასე პირდაპირ... მოურიდებლად... არადა ღელავდა კიდევ და ბრაზიც მოსდიოდა, ის შეხვედრები შესვენების დროს, ალერსიანი სიოსავით მონაბერი... გამოუთქმელი სინაზით სავსე... ეს უნდა აღკვეთილიყო? არა, არავითარ შემთხვევაში აღარ შეიძლებოდა, როგორც არ უნდა გულდასაწყვეტი ყოფილიყო... თითქოს რა უბრალო და უცოდველი იყო ის შესვენებები, მაგრამ, თვითონაც რომ საბაბი არ მიეცა, ხომ ვერ მოსწერდა ასეთ ლექსს, ხომ არ მოუვიდოდა თავში ფიქრად?! ნუთუ თვალთმაქცობდა საკუთარ თავთან, ჰოდა, აიღეს და გამოიყვანეს სააშკარაოზე, თქვენც ხომ... თქვენც ხომ ასე ფიქრობთო... თქვენც ხომ ასე გრძნობთო... თქვენც ხომ ასე გასურთო! არა! არავითარ შემთხვევაში! მას სურს

ის ძველი, ძველი დამოკიდებულება აღადგინოს... წმინდა...ნათესაური... მეგობრული და მახლობლური... და არა ეს რაღაც მღვლეარება... ღმერთო, რა ცვალებადია ადამიანის გრძნობები... აპატიოს ღმერთმა ეს სისუსტე, უნებლიე და უნებური... თვითონაც რომ ვერ წარმოიდგენდა, ვერა, მიდის სწორ გზაზე ადამიანი,.. მიდის ამაყი და თავანუელი... და უცებ... ამოვარდება ქარაშოტი და გაერთხმები მიწას! ან შეიძლება ცაშიც აგაფრინოს შაგალის შეყვარებულებივით! არა, ბატონო, არა, მისი წლებისთვის არც ერთია მიზანშეწონილი და არც მეორე! ელიზბარი დაუდგა თვალწინ, თავისი ვაჟი, თიკოზე უფროსი ოთხი-ხუთი წლით, მეტი კი არა, ერთად შეზრდილები, სხვა დროს არ უფიქრია და ახლა კი უკვირს, რატომ არ შეუყვარდათ ერთმანეთი, ეს ისეთი ბუნებრივი იქნებოდა!? გუშინწინ ელიზბარის სიდედრმა დარეკა თბილისიდან, ახალი ფოტოები მივიღეთ ალჟირიდანო, ისეთია შავლეგო, კაცის თვალი უკეთესს ვერ ნახავსო,.. თელავში კი ყოველთვის დაგვიანებით მოდის წერილებიც და ამანათებიც. და ბატონმა შალვამ ერთბაშად იგრძნო, რომ იმდენი საქმეები დაუფროვდა, იმდენი სამუზეუმო პრობლემები შემოეჯარა, რომ აუცილებელი იყო სასწრაფოდ თბილისში წასვლა. პირველ რიგში ეს ეხებოდა შტატების დამატებას ყველა განყოფილებისთვის, ისტორიულისთვის, ეთნოგრაფიულისთვის, ამასთანავე დარგობრივად ფონდების დანაწილებასაც,.. და რაც მთავარია, ის ძვირფასი განძი, რომელიც ქეთევან იაშვილმა, წარმოშობით თელაველმა, თავისმშობლიურქალაქგადმოსცა,სურათების ძვირფასი კოლექცია, და რომელიც აქამდე, მთელი ეს ხუთი წელი, ადგილის უქონლობის გამო, სამადლოდ მონადირეთა კავშირის ერთ ოთახში იყო მიჯრით მიწყობილი, ახლა უკვე, რესტავრაციისა და რემონტის შემდეგ, გადამწყვეტილი იყო, გალერეის გახსნა, ამ სურათების ორ სართულზე განთავსება და ცხადია, გალერეისთვის მცველებიც იქნებოდა საჭირო, ხელოვნებათმცოდნეც და ექსკურსიამძღოლიც. მერე კიდევ თავისი სადოქტორო დისერტაცია, „კახეთის უცნობი ძეგლები“, რამდენიმე წლის ნამუშევარი, ეგონა ამ გაზაფხულისთვის მოამთავრებდა კიდევ და ჩაუტანდა ბატონ გიორგის გასაცნობად, მაგრამ ჯერ ერთი, მოზღვავებულმა სამუზეუმო საქმეებმა შეაფერხა და მეორეც, ჯერ კიდევ შემოდგომაზე გაიგო, რომ ბანარას ხეობის ზემოთ, კახეთის მთებში არსებობდა ძეგლი, რომელიც არც ჩუბინაშვილს ჰქონდა აღწერილი და არც რომელიმე ცნობარში იყო აღნიშნული, არადა, შოთა ბორჩაშვილმა, მეხუთე

სკოლის ფიზიკის პედაგოგმა, წარმოშობით ქისტმა, კახეთის მთებში მრავალგზის ნავალმა, გათვითცნობიერებულმა და განათლებულმა კაცმა, რომელიც ზაფხულში სწორედ ზევით, ქისტების სადგომებში ყოფილიყო და ძეგლიც ნახა, საგანგებოდ ესტუმრა ბატონ შალვას და ისე აღუნერა, ის უცნობი ძეგლი, ბატონი შალვა ძალიან დაინტერესდა და გადამწყვიტა კიდევ ზაფხულში აუცილებლად მოეწყო მცირეხნიანი, ასე ერთკვირიანი ექსპედიცია, ძეგლიც ენახათ, აეზომათ, ფოტოები გადაეღოთ, აღენერათ, დაახლოებით მაინც თარიღი დაედგინათ, და ამასთანავე ქისტური ყოფის ამსახველი მასალა შეეგროვებინათ. „ნამდვილად უხერხულიაო,“ თავისებური გზებით ამბობდა თიკო, „ჩვენს მუზეუმში თუშური მასალაც და ხეცსურულიც საკმარისად მოიპოვება, ტანსაცმელი იქნება ეს, ხალხური რეწვის ნიმუშები, თუ სხვა რამ, და აი, ქისტური მასალით კი ძალიან ღარიბები ვართო, და არ გვებატიებაო, ჩვენ უნდა შევავსოთ ეს ხარვეზიო.“

„არ მესმის, რატომ უნდა ნახვიდე თბილისში მაინცდამაინც ხვალ?“ საყვედურის კილოთი ეუბნებოდა ლელიკო თავის ქმარს, „ზეგ ხომ ღია კონცერტი გვაქვს, და სოსლანი უკრავს მეხუთე და მეექვსე სონატებს ისეთი ჩაღრმავებით, აფსუსია რომ არ მოისმინო.“ „მახსოვს რიხტერი უკრავდა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სწორედ ბეთჰოვენის მეხუთე და მეექვსე სონატებს, და შენ გაგიჟებულ იყავი..“ „ჰოდა, ნუ ნახვალ, გადადე იმ კვირისთვის, მითუმეტეს, ნიკოსთვის მაღლიერ ავადმყოფს ბატკანი მიუყვანია და მარიკომ დარეკა, გეპატიჟებით შემწვარ-მოხრაკულზეო“ „რა ვქნა, ლელიკო, დარეკეს ორჯერაც ძეგლთა დაცვიდან, თანხების მომატებას ეხება საკითხი და რა უფლება მაქვს შეთანხმებულ დროზე არ გამოვცხადდე? თანაც ბატონი გიორგიც სანახავი მყავს,.. მეც ძალიან მწყინს, რომ ასე დაემთხვა“ ..თქვა და თან მწუხარედ გაიფიქრა: თვით ასეთი ნკიპურტი, როგორც ის სახუმარო და სასიყვარულო ლექსი იყო, მოითხოვს ტყუილის თქმას და ღმერთმა დაიფაროს, რომ შეეგტოპო, სულ მთლად ტყუილების გუდად უნდა ვიქცეო, და მობოდიშების თუ დანაწილების ნიშნად, მოეხვია თავის ცოლს და ლოყაზე აკოცა: „სოსლანი მოვა და აქ დამიკრავს ბეთჰოვენის სონატებს, კარგი?!“ მერე კი ქალბატონ ნინოსთან დარეკა, გააფრთხილა, სამი-ოთხი დღით გადაუდებელი საქმეების გამო თბილისში უნდა გავფრინდეო... მართლაც სისხამ დღით პირველივე რეისს გაჰყვა და თვითმფრინავის ლუკიდან ცივგომბორის აქოჩრილ გორებს რომ გადმო-

ხედა, შვება და სიამე იგრძნო... მალლიდან, უსაზღვრო სივრციდან, განსაკუთრებით მშობლიური ეჩვენებოდა ეს მთაბარი. გომბორზე გადმოსვლა და თბილისში დაჯდომა ერთი იყო, აფრენას და დაფრენას მხოლოდ და მხოლოდ ოცი წუთი ჭირდებოდა; რვა საათზე უკვე თბილისში იყო, ჯერ არსად არავინ იქნებოდა და პირდაპირ სოლოლაკისკენ გასწია, ელიზბარის ბინისკენ, მივდგებ-მოვდგები, ცოტა მოვნესრიგდები და საქმეებს ისე შევუდგებიო. თბილისში ჩამოსვლისას ყოველთვის სასიამოვნო მღელვარება ეუფლებოდა, უყვარდა თბილისი, თავის დროზე ცხოვრებაც და მუშაობაც აქ სურდა, ლელიკოსაც ვერ წარმოედგინა თბილისის გარეშე არსებობა, კონსერვატორია თბილისში იყო და ლელიკო, დამამთავრებელი კურსის სანიმუშო სტუდენტი, შესანიშნავი პიანისტი, რომელსაც ყველას აზრით, მომავალი უკრეჭდა კბილებს, მოსკოვისკენ თუ გაშლიდა აფრებს, თორემ კახეთს და თელავს რა აფიქრებდა?! აბა, რა უნდა ვაკეთო თელავშიო? ტირილის ხმაზე ეუბნებოდა თავის ძვირფას საქმროს, თავის საყვარელ შალვას, ვისაც იმ სავალალო 37 წელს ისეც დაჩაგრული ოჯახი კვლავ დაურბიეს, ძმა თავისი ახალ შერთული ცოლით და ბიძა, დედის ძმა, ისევე როგორც მრავლისაგან მრავალ ოჯახს, ისევე, როგორც მარიკოს, დაუბატიმრეს, დედას ზაფრა მოერია, ლოგინად ჩავარდა და შალვა იძულებული გახდა ასპირანტურისათვის და საცოლისთვისაც თავი გაენებებინა და მშობლიურ სახლსა და ჯანგატეხილ დედას დაბრუნებოდა. და განა შეიძლება ოდესმე დაივიწყოს ის სიხარული, დამათრობელი, გულის ნამღები, სიცოცხლის დამამკვიდრებელი სიხარული, განახლების, აღორძინების, ბედნიერების მაუნყებელი, მაშინ, თავისი დაბრუნებიდან ნახევარი წლის შემდეგ, იმ შორეული ზამთრის დაბარდნილ, ჩამოღანდრულ დღეს, თავიანთი ეზოს თოვლიან ბილიკზე, კივკივით მომავალი ლელიკო რომ დაინახა, ჩემოდნით ხელში... „როგორ ფიქრობ, შალვა, ჩემო სიცოცხლე, განა უარესი იქნება ჩემთვის, თელაველ ბავშვებს მუსიკა ვასწავლო და შენც დედის მოვლაში მოგეხმაროვო?“ ღმერთო, ამ უბედურებაში რა ბედნიერი იყო! სხივივით შემოანათა ლელიკომ მათ ჩამოხნელებულ, დარბეულ სახლში და სიყვარულით და მუსიკით აავსო იქაურობა. თბილისიდან თავისი ბეხშტეინის როიალი ჩამოიტანა, ბევრს უკრავდა, კონცერტებსაც მართავდა, რაც მთავარია, მოწაფეებთან მეცადინეობის დიდი ალლო და უნარი აღმოაჩნდა, მალე საუცხოო პედაგოგის სახელიც დაიმკვიდრა, ისე რომ

საფორტეპიანო ბუმის ვითარებაში, როცა კახეთის ლამის ყველა სოფელში მუსიკალური სკოლა გაიხსნა, თმაზე უმრავლესი მოწაფე ეხვია. თიკოც ხომ მისი მოწაფე იყო, და დიდი სერიოზულობითაც ეკიდებოდა მუსიკის გაკვეთილებს, ერთი თალია კი ისე გაიტაცა მოცარტისა და ბეთჰოვენის სონატებმა და საერთოდ საფორტეპიანო ოპუსებმა, მე მუსიკას უნდა გავყვეო, ლელიკოს ეუბნებოდა. „თიკო გენაცვა“, მოძღვრავდა ლელიკო, „შენ ნიჭიერი ადამიანი ხარ და რასაც არ უნდა გაჰყვე, მაჩანჩალა არსად არ იქნები, მუსიკა კი არა, კვანტური ფიზიკა რომ იყოს, მაგრამ, ჩემი აზრით, შენი მთავარი ნიჭი სხვაგანაა, — იქსადაც სიტყვებია, — და არა მუსიკალური ბგერები...“ ოჰ, რა მესაიდუმლე იყო თიკოსი, თავგს რომ კუდი მოექნია, მაშინვე ლელიკოსთან მორბოდა... ახლა კიდევ ასეთი ლექსი მოსწერა შალვას და სიყვარული გამოუცხადა... არა, არა, ის კი არა, რომ არ შეიმჩნიოს, სწორედაც უნდა შეიმჩნიოს, წარბიც შეუკრას და თავიც განზე დაიჭიროს... როგორ! მაშ, ქვეყნად აღარაფერია ამ რაღაც... ამ რაღაც მღელვარების მეტი?! ვერავითარ ბანალობას ვერ იტანს, ვერავითარ ყბადაღებულ, ცხოვრებისეულ თავგადასავლებს, რაკი ხანში შევიდა, თოხარიკობა უნდა დაიწყოს!? ვითომ ან გოეთე იყოს, ან ფაშა და ან იაფასიანი მექალთანე?! ვიღაც გაუგებელი რომ ჰყავდეს ცოლად, ვიღაც არც თუ ისე ღირსეული, კიდევ ჰო, და მის გვერდით ხომ ყოვლად შემკული ლელიკოა, ვისთვისაც თავის სიცოცხლეში არ უღალატია... არასოდეს... არც ერთხელ... იქნებ ვინმესთვის, ამ პამპლაუქა კაცებისთვის, ღირსებადაც რომ სთვლიან ცოლის ღალატს, წარმოუდგენელიც იყოს შალვას ასეთი ერთგულება, მაგრამ ასეა ეს, ნამდვილად ასეა... მაშინაც კი, დასასვენებლად რომ წავა ხოლმე, — ლელიკოს მიაჩნია, რომ წელიწადში ერთხელ მაინც აუცილებელია ოჯახის წევრებმა ერთმანეთისაგან დაისვენონ, თვითონ მარიკომ აიყოლია და ორივენი ახალ-ახალი მოგზაურობებით არიან გატაცებული, ხოლო შალვა ყოველთვის სადმე კურორტზე ისვენებს, — ჰოდა, მაშინაც კი, თუმცა ძალიანაც უშტერებენ და უფუფუნებენ თვალებს რუსის ქალები, არასოდეს არ მიუცია თავისი თავისთვის ნება საკურორტო რომანი გამოეცხო. ერთმა სასიყვარულოდ შეღერებულმა ქალმა, სასადილოში მის მაგიდასთან რომ იჯდა და დიდად იყო მოწადინებული მასთან ურთიერთობასა და სიახლოვეს, გაბრაზებულმა ისიც კი უთხრა: „შტოო, ვი მანახ?!“ რაზედაც შალვამ სიცილით უპასუხა „პაჩტიო“. და რა კარგია, რომ ჩაჯდა თუ არა




თვითმფრინავში, იმსულელური ლექსის სიტყვები, მაინც თავში რომ ჰქონდა ჩაჭედილი, და მღელვარებაც, რაღაც მსუბუქი აფორიაქებაც, ყოვლად შეუსაბამო, ასე ეგონა გამოსხნილი ლუკიდან ჰაერის მძლავრმა ნაკადმა გაიტაცა და გააბნია... საბოლოოდ და მოუბრუნებლად... ახლა მხნედ და ხალისიანად მიაბიჯებდა მცირე აღმართზე ჯაფარიძის ქუჩისკენ და სიამოვნებდა, ოჰ, როგორ სიამოვნებდა, რომ თავისი ელიზბარისა და უსაყვარლესი შავლეგოს ბინაში იქნებოდა ეს დღეები, და თუმცა ისინი ალჟირში იყვნენ ნასულეები, მაინც მათი სული აქ ტრიალებდა, და არა მხოლოდ მათი, მისმა ახალგაზრდობამაც ხომ ამ არემარეზე გაიარა, იმ ბინაში ლელიკო ცხოვრობდა თავის მშობლებთან ერთად, შალვა ხშირად იყო მათთან და ამ ქუჩებში იმდენს დადიოდნენ, ისე მოუღლედა, ისე ფეხჩაუკრეფავად, როგორც მხოლოდ შეყვარებულებს შეუძლიათ სიარული, და შალვამაც ზეპირად იცოდა სოლოლაკის ყოველი კუთხე-კუნჭული, ყოველი სახლი და ჭიშკარი. შავლეგოც რამდენი უსერიანებია ამ ქუჩებში, და თან უამბობდა, უამბობდა წარსულ ამბებს... ზოგჯერ მაინც განსაკუთრებით შემოანვება ხოლმე თავისი ბიჭების ნახვის სურვილი, წერილები წერილებად, მაგრამ ტელეფონით ლაპარაკი რომ შესაძლებელი იყოს, მათი ხმის გაგონება რომ შეეძლოს, მაინც სულ სხვა იქნებოდა, ნამდვილი ბედნიერება იქნებოდა აი, ახლა რომ მივა, აილოს ყურმილი და მათი ხმა გაიგონოს, მათი სუნთქვა იგრძნოს... თურმე ამერიკაშიო, აიღებ ტელეფონს და თუნდ ანტარქტიდის პინგვინებს დაელაპარაკებო, ჩვენთან კი, ამოდენა ქვეყანაში, ვართ ასე ყველაფერს მონყვეტილებო, ჯავრიანად ფიქრობდა ბატონი შალვა.

ბინაში მისვლისთანავე მონესრიგებას შეუდგა, პირი გაიპარსა, შხაპი მიიღო, მსუბუქად ისაუზმა და სახლიდან გავიდა. და მეტად ილბლიანი და ნაყოფიერიც გამოდგა მისი ჩამოსვლა. რაც მთავარია, არსად არ შეფერხებულა, არავისთან შესვლა არ გასჭირვებია, დიდ რიგში არავის მოსაცდელთან არ მდგარა. ბატონ შალვას ყველგან პატივს სცემდნენ თავისი კულტურისა და პატიოსნების გამო და იცოდნენ, რომ ზედმეტს არავის არაფერს მოსთხოვდა, ამიტომაც კადრების განრიგი რომ წარადგინა სამინისტროს საფინანსო განყოფილებაში, რაზეა ლაპარაკიო, განყოფილების გამგემ უთხრა, ასეთ კულტურულ ღონისძიებებს ახორციელებთ და ჩვენგან თქვენ არავითარი შეფერხება არ შეიძლება გქონდეთო. ძველთა დაცვაშიც თანხების დამატებას დაჰპირდნენ. ბატონის ციხის არქი-

ტექტორი-რესტავრატორი თბილისიდან იყო გამოგზავნილი და ბატონმა შალვამ ითხოვა თანაშემწედ იქნებ ადგილობრივი, თელაველი შევარჩიოთო. მოხუცი ელოს შემდეგ, მარნის მოსახატად შეღერებულ ბიჭიას კოვზი ნაცარში რომ ჩაუგდო, მერე სულ ბიჭიაზე ფიქრობდა, იქნებ შესაძლებელი იყოს ჩემგან რაიმე დახმარების განევაო, ბოლოს-ბოლოს ბიჭიას სწორედ არქიტექტურული ჰქონდა დამთავრებული, და, ბატონ შალვას ეჭვი არ ეპარებოდა, ძალიან კარგად გაართმევდა თავს არქიტექტორთან მუშაობას. რამდენიმე თვე ხელფასი ექნება და უყიდოს თავის ნენეს დუბლიონკაო. „რა არის რაა, ძია შალვა, ვიღაცა ჯღანებს, ვიღაცა მაიმახებს ნაირნაირი დუბლიონკები აცვიათ და ჩემს ნენეს, ასეთ კობტასა და ლამაზს, დუბლიონკა არ უნდა ჰქონდეს?! ეს საქმეაა?!“ გულდანყვევით ეუბნებოდა ბიჭია ბატონ შალვას კვლავ ბურჯის თაობაზე მისული, სწორედ წამოსვლის წინა საღამოს, და ბატონმა შალვამ უარის ნიშნად ხელები რომ გაასავსავა, ბიჭიამ თავი ქნევითა და კვნესა-ოხვრით ესლა უთხრა.

თავისი ხანმოკლე მოგზაურობით მეტად კმაყოფილი, შეიძლება ითქვას, გულსავსეც კი დარჩა ბატონი შალვა, .. ამ საქმიან, მწვანე შუქით განათებულ საუწყებო დღეებს დიდებული საღამოები აგვირგვინებდა, თუ თავის მძახლებთან, ელიზბარის სიდედრს იმამრთან, მარინესი და შავლეგოს ბოლო წერილების კითხვით, ფოტოების თვალთვრებით, გემრიელი ვახშმითა და სიმპატიურ მოყვრებთან ურთიერთობით, .. თუ ბატონ გიორგისთან, ცნობილ მეცნიერთან და შალვას სადოქტორო დისერტაციის კონსულტანტთან გატარებული საღამოთი, .. ო, რა გზნებით უყვებოდა კისისხევის მთაში გამოვლენილ უცნობ ძეგლზე, რომელიც მძიმე დაზიანებისა და შელახვის მიუხედავად, მხატვრული და კონსტრუქციული თვალსაზრისით მეთავე საუკუნის ფრიად საყურადღებო ძეგლს წარმოადგენდა.

ძირითადად, ბატონ შალვას მიერ გამოვლენილი, საუკუნეთა სიღრმეში შექმნილი უცნობი ძეგლები მთის ეკლესიები იყო, და თავისი მთაბარის დიდად მოყვარულ შალვას გულს სტკენდა ის ამბავი, რომ ცხოვრების მძიმე პირობებისა და უგზობის გამო, სოფლის თავიდან მოსახლეობა კისრისტეხით დაემშვა ქვევით, ბარისკენ, დაივიწყეს რომ საქართველო მთის ქვეყანაა, .. ბატონი შალვა თავს დაუკრავდა ახოდქეულ ეზოში შემორჩენილ კაკალს, ან ბებერ მსხალს, განაგრძობდა გზას გორებისკენ და ძველ, უცნობ ძეგლთან შეხვედრისას სიხარულთან ერთად სევდა შე-



იპრობდა და აუცილებლად გაასხენდებოდა გალაქტიონის გულშიჩამწვდომი სიტყვები: „ახლა მარტოდმარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია, და საკვდავად მილიმის ჩამავალი ნათელი.“ ბატონ გიორგის ბანარას ხეობის ზემოთ, კახეთის მთების ჯერუნახავ ძეგლზეც ესაუბრა და ზაფხულის ექსპედიციასზე. მე ვფიქრობ ეს უკანასკნელი უცნობი იქნება, რომელიც კიდევაც დაასრულებს ჩემს სადოქტორო დისერტაციასო.

თბილისში ყოფნის დროს კიდევ რამ მიაჩნა ბატონ შალვას უდიდესი სიამოვნება და გევანდჰაუზის კონცერტმა. ოპერასთან აფიშა ნახა, გახარებულმა გაიფიქრა, თუნდაც ამ კონცერტისთვის ღირდა თბილისში ჩამოსვლაო და იქვე გული დასწყდა, რომ ლელიკო ასეთ საღამოს ვერ დაესწრებოდა. ბეთჰოვენს უკრავდნენ, პირველ განყოფილებაში „ეგმონტს“ და მეშვიდე სიმფონიას, მეორეში კი მეხუთე კონცერტს. ბატონ შალვას განსაკუთრებით უყვარდა ბეთჰოვენი. მამის დახვრეტი-სა და ძმის დაპატიმრების შემდეგ, მაშინ ჯერ არ იცოდნენ, რომ ძმაც დახვრეტილი იყო, თელავში რომ დაბრუნდა, დედის ავადმყოფობის დროსაც, ბეთჰოვენი ატანიებდა სიმძიმეს და სასონარკვეთას, ლელიკოს ჩამოსვლამდე ხან თვითონ უკრავდა ბეთჰოვენის სონატებს, ხანაც ფირფიტებს ატრიალებდა პატიფონზე ბეთჰოვენის ნაწარმოებებით, მეშვიდე სიმფონიის, ამ „დიდი სიმფონიის“ რამდენიმე ფირფიტაც ჰქონდა სხვადასხვა ორკესტრის შესრულებით. ბატონი შალვა ფიქრობდა, რომ იმ მრავალმხრივი ასპექტიდან და გენიალური ერთობლიობიდან, რაც ბეთჰოვენის მუსიკას საყოველთაოს ხდიდა, ბეთჰოვენს კი ყველა დროის დიდთა შორის უდიდესად წარმოაჩინდა, ეს მისი კაცური, რაინდული თანაგრძნობა და თანალმობა იყო, „ღვთიური ნუგეში“, როგორც წარმოთქვამდა ხოლმე, ხშირად მაღალი შტილის მოყვარული ბატონი შალვა. საღამოს კონცერტზეც, განსაკუთრებით სიმფონიის მეორე ნაწილის მოსმენისას, რომელიც გულის გულია ამ დიდი თხზულებისა, ეს ამაღლებული თემაც, კონტრაპუნქტით დაკავშირებული ორივე მელოდიით, მაჟორ-მინორის შეწყვილება დამონაცვლეობა, ეს ზეიმური რიტმი სვლისა, ეს ნაბიჯები, სწორედ შენსკენ რომ მოემართებოდა, გამსჭვალავდა თითქოს ცხოველმყოფელი ძალით და განიჭებდა შვებას და თავისუფლებას... ერთი იმაზე სწყდებოდა გული, რომ ლელიკო მის გვერდით არ იჯდა, მისი ხელი არ ეჭირა და ერთგვარი გულისძგერით არ განიცდიდნენ ამ დიდებულ მუსიკას...

როგორ არა, თიკოც... თიკოც გაკრთებოდა

ხოლმე ნაპერწკალივით და ნაპერწკალივითვე გაქრებოდა... გაიფიქრა კიდევ, ის სულელური სიყვარულის გამოცხადება რომ არა, მე, აი, სწორედ ახლა... აქ არ ვიქნებოდიო... და ვერაფრით ვერ დაუშვა სხვაგან ყოფნა, თუ არ ბეთჰოვენის მუსიკით სავსე ოპერის დარბაზში.

და სწორედ ამ დროს გიჟმაჟი თიკო, ვინც ზურგის შექცევად და კეხის შებრუნებად განიცდიდა ბატონი შალვას ასე უპასუხოდ და უთქმელად, უეცრად და მოულოდნელად წასვლას თბილისში, და ვინც, ვითარცა წერის მოყვარული ადამიანი, ყველაზე დიდ ნუგეშს ქალღმერთსა და ფანქართან ურთიერთობით ჰპოვებდა, ახლაც, თავის ოთახში შეკეტილი, უარყოფილი სიყვარულის ტანჯვითა და კირთებით გამსჭვალული, კვლავ ლექსს სთხზავდა, ოღონდ სრულებითაც არა სახუმაროს; და ფხიზელი არგუსის, ნიკოს შეკითხვაზე „რას სწერ, გენაცვალოს მამა, გამოდი ახლა, ჩაიერთად დავლიოთ“, თიკომ გადაჭრით უპასუხა ვერ გამოვალო, „ხომ იცი, მამა, ხვალ ორშაბათია, ისტორიული წრის მეცადინეობაა და კარგად რომ არ მოვემზადო, არ შეიძლებაო.“ არადა, უკვე მომზადებულიც იყო და რაც საჭიროა, ყველაფერიც წაკითხული ჰქონდა. და უკმაყოფილო ნიკო გავიდა თუ არა, განაგრძო ლექსის თხზვა...

ბატონი შალვა ორშაბათს შუადღის შემდეგ დაბრუნდა თვითმფრინავით და აეროპორტიდან ავტობუსი ქალაქში რომ ამოვიდა, იფიქრა ბარემ მოედანზე ჩამოვალ და მუზეუმში შევალ. ვნახავ ამ რამდენიმე დღეში რა გაკეთდაო. ტყუილად ეგონა, რომ აქაოდა გამოსასვლელი დღეა, მხოლოდ მუშები და ყარაული დახვდებოდნენ. ჯერ ერთი, თიკოს ისტორიის წრის მეცადინეობა ჰქონდა მუზეუმის დარბაზში, სულ დაავინყდა, რომ სწორედ ორშაბათობით ჰქონდა ხოლმე მეცადინეობა, სკოლის გაკვეთილების შემდეგ, დამთვალე-ერებისთვისა და მუზეუმის თანამშრომლებისთვის ხელი რომ არ შეეშალა.

შედგა თუ არა ფეხი, აქეთ-აქეთო დაუძახეს, რალაც ხდებოდა ფანჩატურთან მოძრაობა შენიშნა. მივიდა და ლიზიკო, ოთარი, ბიჭია და მშენებლობის ინჟინერი შოთიკო დახვდნენ, მუშები უკვე წასულიყვნენ, ესენი კი პურმარილის თადარიგს შედგომოდნენ, შოთიკოსა და ბიჭიას ეკლესიიდან მომცრო მაგიდა გამოჰქონდათ, ოთარი კი სამრეკლოს პირველი სართულიდან მთელ ბლუჯა წალამს მოარბენინებდა. რა ამბავიაო, წარბი შეიკრა ბატონმა შალვამ და ახლალა შენიშნა ფანჩატურის კუთხეში ქალბატონი ნინო, ხოლო ლიზიკო, ფანჩატურის ორსაფეხურიან



კიბეზე ჩამომჯდარი, აქნილი ხორციით თავაბ-
მულ ბადიას მარილს აყრიდა... „ძია შალვა,
ესეც ხო ბებო ელოს ბურჯი არ არის, არაა,
გაბრაზება არ იყოს, ლიზიკოს დაბადების
დღეა დღესა და გადავწყვიტეთ დაჩაგრული
გული გავუზხალისოთ და გავუკიტროთ...“
„და გეგონათ რომ მარტოები, მყუდროდ გას-
წვედით ქეიფსა და მე დღეს არ მოვიდოდი
არაა?!“ გაიცინა ბატონმა შალვამ, საჩუქარი
ჩემზე იყოსო, ლიზიკოს უთხრა, დაიხარა და
აკოცა. „გვეგონა, გვეგონა, რაც მართალია,
მართალია, მაგრამ ძალიანაც კარგი რომ ჩა-
მობრძანდით.“ „ვეგრძნობ, სულ არ გეუხერხუ-
ლებათ მუზეუმის ეზოში გასტრონომიული
საქმიანობა, და თქვენც კი, ბრუტუს?“ მიმარ-
თა ბატონმა შალვამ ქალბატონ ნინოს. „ჩემო
შალვა, რა ვქნა, ცდუნებისაგან, და მითუმე-
ტეს მწვადების ცდუნებისაგან არავინ არის
დაზღვეული...“ ქალბატონმა ნინომ სუფრა
გაშალა და ფანჩატურში ჩადგმულ მაგიდას
გადააფარა. „ბატონო შალვა, ისეთი ცეცხლი
უნდა დავანთოთ და ისეთი მწვადი შევწვათ,
წალამზე, რომ ბოლი და სურნელება კემერო-
ვომდე მივიდეს და მტერსა და დუშმანს თვა-
ლები დაეთხაროს!“ შესძახა ოთარმა.

საქმე ის არის, ამ ორი-სამი წლის წინ ლი-
ზიკოს დიდი უსიამოვნება შეხვდა თავისი
ქმრისაგან... აიჩემეს ბავშვებმა, ამოდენები
ვართ და ჯერ ზღვა არ გვინახავსო, რვისა
იყო თემიკო და ექვსისა სანდრო, წაიყვანა
ლიზიკომ ახალ ათონში, მაგრამ წამოყვანის
დროს ლექსოც უნდა ჩასულიყო რამდენი-
მე დღით და ცოლშვილი წამოეყვანა კიდეც;
ლექსო, ლიზიკოს ქმარი, ტურბაზის სამწეო
ნაწილის გამგე. მაინცდამაინც იმ დროს კე-
მეროვოს როკ-ჯგუფი ჩამოვიდა კახეთში
გასტროლებზე. ტურბაზაში დაბანაკდნენ და
აქედან დადიოდნენ სხვა რაიონებშიც და დიდ
სოფლებშიც, კონცერტებს მართავდნენ, სწო-
რედ იმ როკ-ჯგუფის მომღერალი იყო ის კლა-
ვა, თმებ-აბუებულები, უდიერად სახედახატუ-
ლი, ცხვირპაჭუა ქალი, ბაილონის გაფხოკილ
სარაფანსა და გაზის ფუმფუშა კოფთაში გა-
მონყობილი, როგორც შემდეგ ლიზიკომ უწო-
და, „ცირკის კუკი“. სამი მოცეკვავეცა ჰყავ-
დათ, ისინი სცენაზე ან ტლინკებსა ჰყრიდ-
ნენ, ან კლავას სიმღერის დროს, მის უკან
ჩამწკრივებულები, არც თუ ისე რიტმულად
ცმუკავდნენ. ორი გიტარისტიც იყო, საქსი,
საყვირი და დასარტყამები. მათ სიამეს საზღ-
ვარი არა ჰქონდა, ეს რა დორანში ჩავვარ-
დითო; კაცები ლოთობდნენ, ქალები ბოზობ-
დნენ, თუმცა არც სმას აკლებდნენ, აქაური
ბიჭები გუნდ-გუნდად დასდევდნენ... თუმცა
ისიც სათქმელია, ჩვენთანაო, ლოთობისაგან

კაცები, ძირითადად, ჩამოვარდნილები არი-
ან და აქ კი დიდი შვება მოგვეცაო, ხორხო-
ცებდნენ ქალები. მაგრამ კლავა კი ლიზიკოს
ლექსომ დაისაკუთრა. სიმღერებს შორის ერ-
თი მაინც განსაკუთრებული მოწონებითა და
ტაშის გრიალით მიდიოდა, ეს იყო ცნობილი
სიმღერა „Чунчик“ და როგორც კი დაიწყებდა
კლავა „Чунчик, чууунчик, чунчик кучерявый“, პირ-
ველ რიგში წამოსკუპებულ ლექსოს ხუჭუჭა
თავს მიარტობდა თვალებს... აზავებული
ლექსო თავის ქნევით ამბობდა: „ეს ოხერი
და მუდრეგი, რას მიშვრება ეს ქალი, რამის
არის თავზე ხელი ამალეხინოსო...“ და მარ-
თლაც აიღო თავზე ხელი, და ისე აიღო, რომ
მათი გასტროლების დროს ხომ არცერთი
კონცერტი არ გაუცდენია, ყველგან თან დას-
დევდა, წავიდნენ და უკან გაჰყვა. იქამდე შე-
უთვალეს ლიზიკოს: ჩამოდი ქალო, რა დროს
ზღვა გაქვს, შენს ლექსოს ვირის ტვინი აჭამა
კემეროველმა კახპამაო... ჩამოქანდაფართხა-
ფურთხით, მაგრამ თავისი ხუჭუჭა ლექსო კი
ალარ დახვდა. რაც მაშინ ლიზიკომ ცრემლი
ღვარა, ბოლმისა და შეურაცყოფისგან ლამის
თმებს იგლეჯდა... ყველა იცხადებდა, ყველა
თანაუგრძნობდა, ყველა გულში იკრავდა, აი,
ნახავ, თუ არ დაბრუნდებაო, აი, ნახავ, თუ
ან ის ჩოკჩოკა არ გამოაგდება, ან თვითონ
არ მოიმწვანოვებსო, ეხუმრები იო-იო-
შვილის დატოვებასო?! მეც ეგ მინდაო! შეს-
ძახებდა ლიზიკო გაგულისებით, რომ დაბ-
რუნდეს და ჩვენც ჭიტლაყი ვუჭიროთო, სულ
კინნისკვრით გავაგდოთო, არასდიდებით არ
მივილოთ და ვანრუნუნოთო, რომ ასეო, რომ
ისეო, შურისძიების მდიდარი არსენალიდან
ხან რომელ მომაკვდინებელ იარაღს სტა-
ცებდა ხელსა და ხან რომელს. მაგრამ დრო
გადიოდა და იმ კემეროვოში გადავარდნილ
გაქსუებულ ლექსოს აქეთ პირი არ უჩანდა.
და ლიზიკო თვითონ წავიდა. განათუ რის-
თვის, უნდა ჩემი თვალთ ვნახო ვისზე გამ-
ცვალაო, მერე ერთი უნდა მივაფურთხო და
წამოვიდეთ. მართლაც ასე მოიქცა, ოთახები
გააქირავა, ლატარია ითამაშა, ფული მოიქო-
ნა და წავიდა, გაიგო იმ ჩოკჩოკას მისამართი
და სახლს რო მიუახლოვდა, ხუთსართულიანი
ხრუმჩოვკა იყო, შორიდან ლექსოც დაინახა,..
სხვა სადარბაზოში შევიდა და თვალთვალის
დაუნყო, გამხდარი და გაქუცული ჩანდა და
მოგინებდაო, გუნებაში შესძახა, ხელში ბადუ-
რა ეჭირა კარტოფილით, ორ ადგილას ღორის
ჩლიქები იყო გამოყოფილი. განა არა, წელან
მალაზიასთან რიგი დაინახა, დაინტერესდა
რას აძლევნო და ღორის ფეხები და კუდები
მიიღეს და იმისი რიგიაო, და გაკვირვება რომ
შეატყეს, რას ამბობთ, რამდენი ხანია ხორცი

თვალთ არ გვინახავსო. ჰოდა, ლექსოც, ცხა-
დია, იმ ჩლიქების რიგში მდგარიყო. თავის სა-
დარბაზოში რომ შევიდა და კიბეებს დაადგა,
უკან მიჰყავა, მეოთხე სართულზე ეცხოვრათ,
კარმა გაირახუნა თუ არა და თვითონაც მი-
ადგა მათ კარს და დარეკა ზარი. ლექსომ გა-
ულო. პირდაპირ წავიდა ოთახისკენ, ლექსომ
ფერიფური დაკარგა, შენ აქ საიდან გაჩნდიო,
მოაძახა,.. ჩემი თვალთ უნდა ვნახო ვისზე
გაგვცვალე ჩვენ ყველაო, ვინ არის ამისთანა
აფროდიტაო! აფროდიტა კი ტრილიაჟთან
იჯდა და ნეტა რა სანახავი იყო, თავზე „ბი-
გუდები“ ეყარა, ის თავისი ბუნუნები ჰქონდა
ზედ დახვეული, სახეზე კი კეფირის ნიღაბი
გაეკეთებინა და ამ სითეთრიდან გამორეცხ-
ილ თვალეზსა სჭყეტავდა, ძალიან სანახავი
იყო, მაშინვე მიხვდა ვისთანაცა ჰქონდა საქ-
მე და გატრუნული უყურებდა ლიზიკოს,
ლექსო კიდევ სკამის ზურგს ჩამოეყრდნო
მხრებანურული და სასამართლოში გამტყუ-
ნებულივით. ორივეს დანახვაზე გულს მოე-
ფონა ლიზიკოს: ამაზე გაგვცვალე ჩვენ ყვე-
ლაო, ამაზეო? შვილებიც, დედაც, ცოლიც,
შენი ქალაქიც და ყველაო, ყველაო, შენი ბიჭე-
ბიცო! ფუუ, შენს კაცობას, აიღე მური და ჩა-
მოისვი შუბლზეო, შე პირმურიანო შენაო!! ის
იყო წამოაორთქლა, ბავშვები როგორ არიანო
და არ გაბედო იმათი ხსენება და არ დაგინახო
იქ ჩამოსული, თორემ, ღმერთმანი, დავიქირა-
ვებ ბიჭებსა და ძვალსა და რბილს გაგიერთი-
ანებო! იდგა ის ვაჟბატონი თავჩაგრული და
ჩასვრილი, მგონი ცრემლებიც ჩამოსდიოდა...
გამობრუნდა და წამოვიდა, რა კარგარონავე-
დიო, ამბობდა: ახლა დაჩაგრული ის ტუტუცი
ლექსოაო,.. ოთახები ჰქონდა გაქირავებული
სტუდენტებზე, ლექსოს შემდეგ ეს იყო მათი
დამატებითი შემოსავალი, ამიტომაც ახლობ-
ლები ფანჩატურში აპირებდნენ ლიზიკოს და-
ბადების დღეს პატარა არიფანის მოწყობას...

ბატონი შალვა გამობრუნდა და მის არ-
ყოფნაში აღდგენილ ქონგურებს დაუნყო
თვალთერება, ეკლესიიდან შემოსასვლელამ-
დე სუფთად და კოხტად იყო შევსებული ჩა-
მონგრეული და ჩამოფხვნილი ქონგურები;
მოეწონა და ესიამოვნა, მერე კი მუზეუმის
დაშენებულ სართულებს ახედა, ნელნელა მი-
ინევდა წინ მათი მოხსნა, ფრთხილად, აგურ-
აგურ ხსნიდნენ, ამ სამიოდე დღეში, რაც
ბატონი შალვა წასული იყო, ერთი მწკრივი
აგურებისა თავიდან ბოლომდე მოეხსნათ და
წყობისად დაელაგებინათ ქვევით, შენობის
კუთხეში, ძნელი და შრომატევადი საქმე იყო.
„ოჰ, როდის იქნება მოვრჩებით და ერეკლეს
თავის სახლსა და თავის დარბაზს დავუბრუ-
ნებთო.“ გაიფიქრა ბატონმა შალვამ, მას მარ-

თლა ხშირად ეუფლებოდა განცდა, რომ სწო-
რედ ერეკლესთვის უნდა დაებრუნებინათ
სანოლი ოთახიც, სამუშაო ოთახიც და სატახ-
ტო დარბაზიც. იგი ნელა მიაბიჯებდა ხეივნის
ქვეშ, რადგან აქაურობა აყვავებული ვაზის
საამო სურნელით იყო სავსე. ო, რა მძლავრი
ვაზი იყო, უნამლი შავი ყურძნისა, ხის ძირი-
ვით სქელი ზრო ჰქონდა და ისე იყო გატოტვი-
ლი, მთელ ხეივანს ფარავდა; თან გადასული
მზით იყო იქაურობა განათებული და შალვას
განსაკუთრებით სიამოვნებდა დაბრუნება.
ხეივნის ბოლოს, მუზეუმის შესასვლელთან
სკამზე ჩამოჯდა, კარი ღია იყო, შიგნიდან ხმე-
ბი ისმოდა, ახსენებდნენ კრწანისის და ეტყობა
დღევანდელი მეცადინეობის თემა კრწანისის
ბრძოლა იყო. ჯერ ბავშვების ხმები ისმოდა,
ბოლოს თიკოს ხმა გაიგონა და ესიამოვნა,
უფრო ახლოდან მოუნდა ყურის დაგდება
და ფეხაკრეფით შევიდა. უფროსკლასელი,
შეღერებული გოგო-ბიჭებით იყო იქაურობა
სავსე, ზოგნი პირდაპირ იატაკზე ისხდნენ,
ზოგი ფანჯრის რაფაზე იყო ჩამომჯდარი...
თვალეზდაჭყეტილები და გასუსულები შეს-
ცქეროდნენ თიკოს, რომელიც ერეკლესა
და ალა მაჰმად-ხანის სურათებთან იდგა და
დიდი გზნებითა და გატაცებით მოუთხრობ-
და ბავშვებს ხოჯას შესახებ. ბატონი შალვა
ფრთხილად, ნაპირ-ნაპირ გავიდა გვერდით,
ერეკლეს ოთახში და ლელიკოს დაურეკა, აი,
ახლა დავბრუნდი თბილისიდან. ერთი წუთით
შემოვედი მუზეუმში, თურმე ლიზიკოს დაბა-
დების დღე ყოფილა და იქნებ შენც მოსული-
ყავიო. ლელიკომ იუარა, ხომ იცი, ორშაბათი
რა დატვირთული დღე მაქვსო და სამწუხა-
როდ არაფრით არ შემოძლია, ჩემს მაგივრად
ლიზიკოს შენ მიულოცეო. ბატონი შალვა ჩა-
მოჯდა თავის სანერ მაგიდასთან, დავთარი
გადაშალა, ვითომ რალაცის შესამონმებლად,
სინამდვილეში კი ყური მიუგდო თიკოს, რომე-
ლიც შეუფერხებლად, შესანიშნავი კილოთი
განაგრძობდა თხრობას...“ ალა მაჰმად-ხანის
პიროვნების განსაცდელად და წარმოსადგე-
ნად ძალიან საინტერესოა ერთი მისივე ნაამ-
ბობი: ქერიმ-ხან ზენდის სააუდენციო დარ-
ბაზში ყოფნისას, ხშირად, ძალიან ხშირად,
ფარული შურისძიებით აღსავსე, დარბაზის
უძვირფასეს სპარსულ ხალიჩებს მოსასხა-
მის ქვეშ დამალული ჯიბის პატარა დანით
ვსერავდიო. სიამოვნებას მგვრიდა ის ამბავი,
რომ ქერიმ-ხანს ვაზარალებდიო. რა სამწუ-
ხაროაო, დასძენდა თურმე სინანულით, —
ოჰ, რარიგ სამწუხაროაო, იმდენად სულელი
რად ვიყავი, რომ მომავალს სრულებით ვერ
ვითვალისწინებდიო, ვერ ვითვალისწინებდი,
რომ ამ დაზიანებული, დაჭრილი ხალიჩების



პატრონი მე გავხდები. ყმანვილებო მე ყოველთვის ასე წარმომიდგენია ალა-მაჰმად ხანი, ჯიბის პატარა დანით შეიარაღებული ჩუმად, ქურდულად სერავს უძვირფასეს, უფაქიზესსა და უკეთილშობილეს სპარსულ ხალიჩებს და თვითონვე ხდება შემდეგ ამ შემუსრული, იავარქმნილი სილამაზის პატრონი. ეს მომავალი დესპოტის ხასიათია. ჩვენ გვძულს ალა-მაჰმად ხანი, როგორც ჩვენი მტერი, რომელმაც უმოწყალოდ დაანგრია თბილისი, გვძულს იმისთვისაც, რომ მისმა მტრობამ, დაუნდობლობამ და სისასტიკემ განსაკუთრებული სიცხადით წარმოაჩინა ჩვენი სიმცირე, ჩვენი პოლიტიკისა და ეკონომიკის სულთმობრძაობა, ჩვენი უსაყვარლესი და უმამაცესი ირაკლი მეფის რაინდული სული, მაგრამ ეჭვიც, მისი გადანყვეტილების სისწორის გამოც, და საერთოდ, ჩვენი საწყალი ქვეყნის ორწყალშუა და ორცეცხლშუა დგომა... და თუმცა მისი მტრობა საკმარისი საწვავი მასალა იქნებოდა იმისათვის, რომ დაენთო ჩვენს გულებში სიძულვილის კოცონი, მე არ მსურს ჩვენი მტრობით შემოვიფარგლოთ... საქმე ის არის, რომ ალა-მაჰმად ხანი, როგორც დესპოტი, მტერი იყო ყველასი, იგი ებრძოდა ძმასაც, მოყვასსაც, გარეშესაც, შინაურსაც, უცხო ტომისასაც, თავისიანსაც... სპარსელებსაც, ქართველებსაც, სომხებსაც, თურქებსაც... თუ წარმოიდგენდა, რომ მის მომავალ დინასტიას ემუქრებოდა.

შირაზის ალების შემდეგ 12 წლამდე გოგონები თავის ჯარს დაურიგა გასაუპატიურებლად, ამავე ასაკის ბიჭუნები კი დაასაჭურისებინა, ლუფთ ალი ხანი საშინელი წამებით მოკლა. ქერმანის ალების შემდეგ, ლუფთ-ალი ხანის თანადგომობისთვის ოციათას ქერმანელ მამაკაცს თვალები დათხარა, ლუფთ-ალი ხანს კი პირადად, თავისი ხელით დათხარა თვალები. ოცი ათასი წყვილი თვალი მიართვეს ალა-მაჰმად ხანს. აბა, წარმოიდგინეთ ოციათასი წყვილი სისხლიანი ბურთულა და ოციათასი სისხლით ამოვსებული ფოსო... ქერმანის ქალები კი თავის ჯარისკაცებს გადასცა გასაუპატიურებლად... აი, შეხედეთ მის გვირგვინს?! თანგირა ქვაბს ჰგავს, თავზე ჩამოპირქვავებულს, უზარმაზარ ოქროს ქვაბს, უძვირფასესი თვლებით მოჭედდის... ზურმუხტებითა და აღმას-იაგუნდებით არის მოკირწყლული ალა-მაჰმად ხანის გვირგვინი... შეხედეთ მის მოსასხამს, უმდიდრესს და უძვირფასესს... მას ისეთი ჩამოქნილი, სუსტი ქვედა ყბა აქვს, განუვითარებელიც კი, გეგონებათ არასოდეს დედის ძუძუ არ უწოვია, თითქოს უწოვრობის ბრალია ასეთი განუვითარებელი ქვედა ყბა და ფაქიზად, ბავშვით

მოხაზული ტუჩის კუთხეები... მისი ჩამომჭნარი, დაღარული სახე ლელვის კენკრას მოგაგონებთ... მტკივნეულად არის შეძრული მისი ნარბები, თვალებიდან კი უსაზღვრო სევდა, და შავი ნალველი გამოსჭვივის. თითქოს თავს სტკენს სპეკალებით მოკირწყლული ეს ფასდაუდებელი გვირგვინი, და მხრებს აწყვეტს ეს ძვირფასი წამოსასხამი... ამ პორტრეტის მიხედვით, არადა ინგლისელი მალკოლმი დაკვირვებული კაცი იქნებოდა, ჭმუნვას და სასონარკვეთას მოუცავს სისხლით უძლები მისი არსება. ბედმა არ გაუღიმა ალა-მაჰმად ხანს. ექვსი წლისა იყო, როცა ის დაასაჭურისეს. უმძიმესი ბავშვობა ჰქონდა. იმდროინდელი ირანის მზაკვრულმა პოლიტიკამ გამოკვება, გამოანართო და ხორცი შეასხა მის სისასტიკეს და დაუნდობლობას. ამიტომ ის მსხვერპლიც არის და ჯალათიც... მე ასე მგონია და ბუნებრივიც არის, ერეკლე მეფის მიმართ შურით და ბოღმით ყოფილიყო აღვსილი, მისი ცოლების, შვილების, შვილიშვილების, მისი რაინდობის და ღმობიერების, საყოველთაო სიყვარულის და წარმოუდგენელი პოპულარობის გამო. თუმცა გამბედაობა და სიმამაცე, თავის ალაგმვა და თავგანწირვა ხოჯასაც არ აკლდა. ჯარისკაცების ნადირობით წვრთნის დროს, თვითონაც გადიოდა მომქანცველ წვრთნას და თავგანწირული ბრძოლების დროსაც, ლაშქრობებში ჯარისკაცის მწირ ულუფას სჯერდებოდა. ძალიან საინტერესოა და ყურადსაღები ალა-მაჰმად ხანის სიკვდილი. ალა-მაჰმად ხანი მისმა უახლოესმა მსახურებმა მოკლეს: საღირამა და ხუდადამ. ცხადია, ამაში ორიგინალური და სანიმუშო არაფერია, პირიქით, ასეთი სიკვდილი იმდენად კანონზომიერია უზურპატორისათვის, იქნებ ის უფრო უცნაური ყოფილიყო, ალა-მაჰმად ხანი ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარიყო. ხოჯა ხომ ის კაცი იყო, თავის ერთ მსახურს თვალები რომ დასთხარა მხოლოდ იმისთვის, მსახური მას უყურებდა და ალა-მაჰმად ხანს მოეჩვენა, რომ უყურებდა ცნობისმოყვარედ, ამას კი საჭურისი ვერ იტანდა. საინტერესოა ალა-მაჰმად ხანის სიკვდილი იმის გამო, რომ იგი განსაკუთრებული სიცხადით ამჟღავნებს დესპოტისა და უზურპატორის არსს, მის დამოკიდებულებას ღმერთთან. მის სიკვდილში, როგორც ფოკუსში, თავს იყრის ალა-მაჰმად ხანის სიღრმისეული თვისებები, მისი სიკვდილი წარმოაჩენს მსხვერპლისა და ჯალათის საცოდავსა და საზარელ სახეს, მარტოობასა და უსიყვარულობაში ჩაძირული კაცის სახეს. ალა-მაჰმად ხანის საძილე ოთახის წინ საღირა და ხუდადა ფულის გაყოფის გამო წაკინკლავდნენ. დღე იყო ხუთმა-

ბათი. ალა-მაჰმად ხანი ერთერთ მათგანზე უკვე გამწვრალი იყო, წინა დღეებში მას ალა-მაჰმად ხანის სალოცავ ხალიჩაზე შემთხვევით დაეღვარა წყალი. ყოველივე ეს საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ხოჯას ორივე სიკვდილით დაესაჯა. რადგან ეს შემთხვევა მოხდა ხუთშაბათს ღამით, ხოლო ალა-მაჰმად ხანს დილის ლოცვა, პარასკევ დილით ჯერ არ ეთქვა, მან ბრძანა მსახურთა სიკვდილით დასჯა ერთი დღით გადაედოთ და მეორე დღეს, ლოცვის შემდეგ მოეყვანათ სისრულეში. მაგრამ, სიკვდილმისჯილი მსახურები არ დააპატიმრეს! იმდენად არაფრად ჩააგდო მათი სიკვდილით დასჯა... იმდენად არაფრად მიაჩნდა ადამიანები... იმდენად დაუბნელა გონება საკუთარი უფლების ღამის ღვთიურმა უზენაესობამ. ვთქვათ, როგორც შეეძლო არ დაეპატიმრებინა ძალლი ან კატა. ალა-მაჰმად ხანი მთელ ღამეებს მუშაობაში ატარებდა, ღამით ფხიზლობდა, გარიჟრაჟზე ილოცებდა და დაიძინებდა. ჰოდა, ის ღამეც ასე გაატარა, .. როცა ილოცა და დაიძინა, სიკვდილმისჯილი მსახურები შევიდნენ სანოლოთახში სრულიად უბრალოდ და მისივე სატევრით მოკლეს. ერთი რამ არის კიდევ საყურადღებო: ალა-მაჰმად ხანის დამოკიდებულება ღვთაებისადმი, ღვთაების სახება ალა-მაჰმად ხანის მსოფლალქმაში. მსახურმა შემთხვევით დააქცია წყალი სალოცავ ხალიჩაზე. ალა-მაჰმად ხანმა იგი სიკვდილით დასაჯა. ცხადია, ეს წყლის დაქცევა მსახურს თავისი თავისა და ღმერთის შეურაცყოფად ჩაუთვალა. ალაჰის შიშით ჩაიძინა ალა-მაჰმად ხანმა ასეთი სისასტიკე, თუ ალაჰის საამებლად, ამკარაა ის ამბავი, რომ ალაჰის სახება არ განიცდება მის მსოფლალქმაში, როგორც ეთიკური, ალაჰს არავითარი კავშირი არა აქვს ზნეობასთან. ალა-მაჰმად ხანისთვის ალაჰი უმაღლესი ადმინისტრაციული პირია, უმაღლესი რანგის ჩინოვნიკია, პატივმოყვარეობით გულგამოჭმული არსებაა, რომელსაც ბევრად უფრო შეურაცხყოფს მის მიმართ ლოცვისთვის განკუთვნილ ხალიჩაზე წყლის დაქცევა, ვიდრე მის მფარველობაში მყოფი ადამიანის მოკვდინება. ალა-მაჰმად ხანის ღმერთი არც მფარველია, არც ღმობიერი, არც შემვრდომი, არც არსთა შემცნობი და არსთა შემომქმედი, და ამის გამო არც მიმტევებელი. იგი მსგავსია თვითონ ალა-მაჰმად ხანისა, იმ განსხვავებით, რომ მის მფლობელობაში გაცილებით მეტი ადმინისტრაციული ერთეულები შედის და მისი დინასტია ვრცელი და მუდმივია. იგი ისეთივე დესპოტია, ისეთივე სასტიკი და დაუნდობელი, როგორც თვით ალა-მაჰმად ხანი. შეუძლებელია

ასეთი ღმერთის სიყვარული. დესპოტია კი ეყრდნობა ძალმომრეობას, შიშსა და სიძულვილს; მართვის ვერტიკალი ასეთია: ყველა ქვემდგომს ეშინია და სძულს ზემდგომი, და თავის მხრივ, ეს ქვემდგომი, შემდეგი საფეხურისთვის გადაქცეული ზემდგომად, ასევე სძულთ და ეშინიათ შემდგომ ქვემდგომებს, და ასე შემდეგ. ალა მაჰმად-ხანიც ქვემდგომია ღმერთისთვის, და შეუძლებელია მას არ ეშინოდეს და არ სძულდეს ღმერთი, და ალაჰის სინონიმები, ყურანის ყოველი თავის დასაწყისში გამოტანილი „სახელითა ღვთისა მოწყალისა და შემწყნარებლისა“ მისთვის ფორმალური არ იყოს. ადამიანურად შეიძლება შეგვებრალოს კიდევ ალა მაჰმად-ხანი, მას არც თავისი თავი უყვარდა, არც ადამიანი და არც ღმერთი, .. მაგრამ ღმერთის დინასტიის მსგავსი დინასტიის შექმნას მიეღებოდა, და ალბათ, თავის თავს განიცდიდა ამ მიზნის განხორციელების საშუალებად, .. და ამ დინასტიის შექმნის გზაზე სისხლის ნიაღვარი მისდევდა მის კვალს, დამსჯელი ბრძოლების ცეცხლი და ბოლი და თვალებდათხრილთა, გაუპატიურებულთა, სახიჩართა და მოკლულთა წყევლა-კრულვა. ალა მაჰმად-ხანის მოკვეთილ თავს კი რაღაც გზებით ჩამოტანილს ზაქათალაში, სისხლშემხმარს, მტვერსა და ლაფში ამოსვრილს შარაზე ბავშვები და ძალები დაათრევდნენ... დამეთანხმებით, ყმანვილებო, როგორც უნდა გძულდეთ ალა მაჰმად-ხანი, ადამიანურად ის ძალიან შესაბრალისია, მარტოობითა და უსიყვარულობით გულგამოჭმული, რომელიც ბავშვობიდანვე გააგულქვავეს შეუბრალებელმა ადამიანებმა, ჩაუკლეს სიყვარული, მოყვასის თანაგრძნობის უნარი, აავსეს ბოლმით და შურისძიებით. და თუმცა მან შექმნა დინასტია, ყაჯართა დინასტია, მთელი ასოცდაათი წლით, 1926 წლამდე, ის მაინც ჩვენი ერეკლე მეფის ფრჩხილად არ ღირს! ხომ ასეა ყმანვილებო?!" შესძახა ბოლოს თიკომ. მოწაფეებმა ტაში დასცხეს, რა თქმა უნდა ასეაო. თიკომ გაიციინა, გაიკისკისა, ერეკლეს ოთახის კარისკენ გაჰკრამზერა, ბატონიშალვა მაგიდასთან იჯდა, თავი ხელებისთვის ჩამოედო და რაღაც დავთარს ჩასჩერებოდა, შუბლი კი ისე ჰქონდა შეკრული, გეგონებათ გაჯავრებულიაო. დარბაზში ბიჭია შემოვიდა, წრის წვერებს ხელის აწევით მიესალმა და თიკოს მიუბრუნდა: „ლიზიკო ღელავს, თიკო, სადაც არის დაბინდდება, ქალბატონ ნინოსაც ხომ არ ვაცდევინებთ, არა?“ მერე კი ბავშვებს მიმართა: „თქვენ რომ იცოდეთ, ბავშვებო, თიკო თქვენხელა რომ იყო, მოკითხვის ბარათიც მისწერა საიქიოს ალა მაჰმად-ხანს, უსასტიკესი ბარა-

თი!“

„გვითხარით რაა, მასწ, გვითხარით რაა!“ გაისმა აქეთ-იქიდან.

„არა, ყმანვილებო, ნუ მთხოვთ!“ მკაცრად თქვა თიკომ, „იმიტომ რომ, მე რომ ის სიტყვები დავწერე შურისძიებისა, ლამის უხერხულად ვგრძნობდი თავს... მაგრამ ჩემს გასასამართლებლად ის მინდა ვთქვა, რომ ალა მაჰმად-ხანის სახით მე ყველა დესპოტს ვგულისხმობდი,.. მთელი ისტორიის მანძილზე უდიერად რომ იქნევდნენ ნიხლებს და ადამიანს მათთვის ნივრის ნაფცქვენის ფასიც არ ჰქონდა. და მე მსურს, ყმანვილებო, მოგიწოდებთ, თქვენს გულეში არ აბოგინოთ სისხლისმსმელი ტირანები,.. მათ ხშირ შემთხვევაში აქვთ მომნუსხავი ქარიზმა, აქვთ მასების მონადირების დიდი უნარი და ამავე მასების საშუალებით ძალაუფლების მოპოვებისა, ამიტომ ისინი ძალიან საშიში არიან, საგანგებო დაკვირვება და სიფრთხილეა საჭირო მათ ამოსაცნობად. ამ შემთხვევაში მე ვგულისხმობ არა საუკუნეების წინანდელ გადამთიელებს, არამედ, რა თქმა უნდა, ეგრედწოდებულ მშობლიურ ტირანებს, და აბა თქვენ იცით, როგორ აიციდნენ თავიდან მათ ჯადოსა და ხიზლს!“

მონაფეები ახმაურდნენ, გთხოვთ, გვითხარით თქვენი შურისძიების ლექსი და ტირანებს უფრო ადვილად ავიცდნეთო. „ჰო, და ჰო,“ შესძახა ბიჭიამაც, ნუ ახვენნიებ ბავშვებს.“ თიკოს გაეცინა, კარგით და არ გახვენნიებთო, ერეკლეს ოთახისკენ გატყორცნა მზერა, სადაც სანერ მაგიდასთან ბატონი შალვა ისევ ისე იჯდა და შემტევი კილოთი დაიწყო ლექსის თქმა: „მოკითხვის ბარათი საიქიოში ალა მაჰმად-ხანს.“

„ჩემი შენდამი სიძულვილი ისე დიდია, ისე მძვინვარე, სასტიკი და დაუნდობელი, გიზგიზებს ჩემში მარად უქრობი, კურთხეული შურისძიება,.. ძალი შემწევდეს?“

სამარეში გაგაცოცხლებდი, დაშლილ-დარღვეულს აკინძავდი, ხორცს შეგასხამდი, თვალს აგიხელდი, მოკირწყლულ ჯილას თავს დაგადგამდი, სუდარად კვლავაც შაჰის პორფირს

ნამოგასხამდი,

და დაგტოვებდი წყვდიადის მკვიდრად, საფლავს მდებარედ...

ბნელით მოცული ყოფილიყავ შენ, ტფილისის დანგრევისათვის!

ბნელით მოცული ყოფილიყავ შენ, ტფილისის აკლებისათვის!

ან და მარადის,

უკუნიითი უკუნისამდე.

ჩემი შენდამი სიძულვილი ისე დიდია.“

მონაფეებმა ტაში დასცხეს. თიკომ შუბლი შეიკრა: „გაჩერდით, ბავშვებო! შემდეგი ორშაბათისთვის თემა მოცემული გაქვთ, ომარ ხანის შემოსევები და ლეკიანობა საქართველოში.“ ყმანვილები წამოიშალნენ. თიკო გაჰყვა მათ გასაცილებლად. ბატონი შალვა და ბიჭიაც ფანჩატურისკენ წავიდნენ.

ბატონმა შალვამ თვალი გააყოლა წრის წევრებთან ერთად ჭიშკრისკენ მიმავალ თიკოს და გულდანყვებით გაიფიქრა: ნამდვილად ჩემზე ბრაზობს და ნუთუ შეიძლება თიკო აქედან წავიდეს და აქ აღარ იყოსო... შეკრთა და თვითონვე გაუკვირდა, რატომ ვიფიქრე ასეო,.. თიკოს უყურებდა, როგორ მიაცილებდა ბავშვებს, ჟრიაბულითა და სიცილით რომ მისდევდნენ, შორიახლოდან მაყურებელს იქნებ მათგან ვერცკი გამოერჩია. „ტყუილია თიკოსთანა, არაა, ბატონო შალვა?! ყოჩალი ვინმეა...“ ბიჭიამ ბატონ შალვას შეხედა, მან კი შუბლი შეიკრა და თავი დაიქნია, არ მოუნდა თიკოზე რაიმეს თქმა. „გუშინ მოვედით მე და ნენე შესვენებისას, კაფეში დაგვატიფოთო, სულ დამავინწყდა კვირაობით თქვენთან რომ გახურებული მუშაობაა, ტურისტები იყვნენ გერმანიიდან, ნეტავ იცოდეთ რა პათოსითა და სხაპასხუპით უამბობდა გერმანულად, მე შემოსასვლელში დავჯექი, თან ყურს ვუგდებდი, თან შთაბეჭდილებათა ნიგნს ვათვალთვლიერებდი, ლამის ყველა დამთვალთვლიერებელი მადლობას უცხადებს თიკოს!“ აქ კი შეუძლებელი იყო არ დათანხმებოდა ბიჭიას და: „მართალია, მასალაც მშვენივრად იცის და გადაცემის უნარიც კარგი აქვს...“

„მე გავიქცევი ბატონო შალვა, ღვინოებს მივხედავ!“ ბიჭიამ ხელი დაუქნია თიკოს, ფეხი ააჩქარეო და ფანჩატურისკენ გაიქცა. ბატონ შალვას კი თვალწინ დაუდგა თიკო, რუს ტურისტებს სოლომონ ლიონიძეს დატირებას რომ უთარგმნიდა ისეთი განცდითა და ისეთი გზნებით, ყველა მოწყლიანებული თვალებით უსმენდა, მერე კი ვინ ავტოკალამს ჩუქნიდა, ვინ ბუკლეტს, ვინ ბლოკნოტს... საქართველოს წარსულზე თხრობა ყოველთვის შთაგონებით აღავსებდა, ამიტომაც მისი მონაყოლი არასოდეს იყო მშრალი და უფერული. ეს კიდევ რა, კრწანისიცი და ერეკლეც გუშინდელი ამბებია და რა გატაცებით იამბობდა, მაგალითად, უძველეს ბრინჯაოს ცულზე, ან ქვის ხანის დროინდელ დანებზე, სამი ათასი წლის წინანდელ კერამიკაზე, თუ პირველყოფილი ადამიანის მიერ გამოთლილ მახათებზე, ასეთ აღტაცებას რომ აღუძრავდა არა მხოლოდ დახვეწილი ფორმების გამო, არამედ სანახევროდ ველური ადა-

მიანის წარმოუდგენელი მიხვედრილობის წყალობითაც. და ამ ექსპონატებით მოხიბლული თიკოს აღფრთოვანება ცოტა მაინც რომ დაეცხრო, ამიტომაც უთხრა ერთხელ ქალბატონმა ნინომ: „ოო, ჩემო თიკო, სწორედ მიხვედრილობის გამო ჰქვია ადამიანს „ჰომო საპიენსი“, რომ მახათიც გამოიგონა, ბორბალიც და ხინკალიცო.“ თიკო კისკისებდა, კიდეც კარგი მომაგონეთო, ეუბნებოდა ქალბატონ ნინოს. როგორ უყვარს სიცილი, პატარა რომ იყო ხომ, თუ აიტყხდა სიცილს, ველარ აჩერებდნენ... ახლა მაინც გაუღიმა ბატონ შალვას, „ს პრიეზდომო“ დაუძახა კიდეც შორიდან და ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა ფანჩატურისკენ. „მართლაც და მართლაც, თავმოყვარეობაც კარგი რამეაო, ფიქრობდა, მეც ისე დავიჭერ თავს, ვითომ არც მიმიწერია ის იდიოტური ლექსიო, დაე, ეგონოს, რომ ჭკუას მოვეგე და გამოვფხიზლდიო...“ და ამას მშვენიერი სენტენციაც დაუმატა: „გამარჯვების სანინდარი არის ის, რომ არასდროს თავი დამარცხებულად არ იგრძნოვო! აი, ასეო!“ ბატონი შალვა კი უყურებდა მის წინ მხრების რხევითა და სხლარტი, მსუბუქი ნაბიჯით მიმავალ თიკოს, — მას მოდის შესაფარისად ძალიან მოკლე, სქლად ნაქსოვი ქვიშისფერი კაბა ეცვა, გრძელ, თხელ კანჭებზე შვინდისფერი კოლგოტები, — უყურებდა აწვდილ კისერზე კობტად შემომჯდარ, ხუჭუჭა თავს და სევდიანად ფიქრობდა: ღმერთო ჩემო, რა ახალგაზრდაა... სულ პატარა გოგონას ჰგავსო... ცნობილი ლექსი გაახსენდა და ნეტავ შეუსაბამობა ხომ არ არისო, ერთის მხრივ „ჭაღარა გულის ზმანება ავი“ და თითქმის იქვე „და ყოველივე როგორ ნაზდება, როცა ახლოა მზე შემოდგომისო?!“

ამასობაში ფანჩატურში დიდებული სუფრა გაეშალათ. ლიზიკოს ბიჭების დახმარებით სანოვაგე მოეტანა, მონადირული სალათა, ნიგვზიანი ლობიო, ყველი, შოთები, ქადა-ნაზუქი, ოთარს საუცხოო ღვინო მოერთმია ლიზიკოსთვის, ყვარლიდან გამოგვიტანეს და ისეთია შვილი მამისთვის არ გაიმეტებსო. მე კი აი, ცხრა ლიტრიანი კანისტრა მთლიანად ჩამოვცალეო და კალათიდან ბოთლებს იღებდა და მაგიდაზე ამწკრივებდა. მწვადიც უკვე შეენვათ. ბიჭიამ მწვადით თავაბმულ დიდ ბადიას ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი დააყარა, სინი დააფარა და შეანჯღღრია... მწვადის საამო სურნელი ტრიალებდა... ლადარში წვრილი კარტოფილიც ჩაეყარათ და მუზეუმის ყარაული გიგო რკინის საჩხრეკით იღებდა სათითაოდ და ემალის თასში ჰყრიდა,.. ქალბატონი ნინო და დარეჯანიც ხელსაწმენდებად ქალაღებებს ჭრიდნენ. მეც მიშველიეთ,

მეც მიშველიეთო, თიკომ და მანაც სუფრას ხელი გაჰკრა, კუთხეში მიჯგუფული ჭიქები გააქცია და იქვე ბაღში ონკანთან გარეცხა, მოიტანა და ჩამოარიგა, ის იყო სხდებოდნენ, მშენებლობის ინჟინერიც შემომმატათ, ხელში ტორტიო, აბა, თუ ქეიფია, ქეიფი იყოსო, ოთარის თამადობითაო, ბიჭიამ დაიძახა და გრძელ სკამებზე აქეთ-იქიდან, ორმწკრივად შემოუსხდნენ სუფრას, მაგიდის თავში მხოლოდ ოთარი იჯდა, ყარაულის ჯიხურიდან გამოტანილ ტაბურეტზე, როგორც თამადა. თიკო ეცადა არც გვერდით მოხვედრილიყო ბატონ შალვასთან, არც პირდაპირ, ამიტომ ოთარმა რომ სთხოვა მოდი აქ შენ, ჩვენთან ახლოსო, თიკომ იუარა, ჯერ უფროსები დასხდნენო, წყალიც ხომ საჭიროა სუფრაზე და მე აი, წყალს მოვიტან გრაფინითო. და გრაფინი მაგიდაზე რომ დადგა, ყველა უკვე იჯდა, ერთ მხარეს ლიზიკო, ბიჭია, დარეჯანი და მშენებლობის ინჟინერი, მეორე მხარეს კი ბატონი შალვა, ქალბატონი ნინო და ყარაული ძია გიგო, და თიკო სწორედ ძია გიგოს გვერდით მოუჯდა. ისეთი ახმახია ძია გიგო, თავი თუ არ გადავნიე, შალვას ვერც დავინახავო, ჰოდა ცოცხალი თავით თავს არ გადავწევო, ფიქრობდა სიამაყემოძალეული თიკო.

ოთარს კი ამასობაში ღვინით სავსე თლილი ჭიქა ეჭირა ხელში და ქეიფის მიზეზის, ლიზიკოს სადღეგრძელოს სვამდა „ამ აფეთქებულ და ალერსიან აპრილის საღამოს, როცა ირგვლივ ყველაფერი ყვავის და ადამიანიც

განახლებასა და სიყვარულს მიელტვის...“ და როცა დაამთავრა სადღეგრძელო, თიკოს გაუჟუჟუნა თვალები, დაცლაზეა ლიზიკოს სადღეგრძელოვო, მერე კი ქალებს ძალას არ დაგატანთო, რადგან ამ ცხრა ლიტრიდან კაცებს ლიტრანახევარი ეკუთვნით და ქალებს კი მხოლოდ და მხოლოდ ნახევარი ლიტრიო. ოჰ, რა არაჩვეულებრივი ქინძმარაულიაო. ყველა ამას ამბობდა და დიდი გრძნობითაც დაცალეს ლიზიკოს სადღეგრძელო, ქალბატონი ნინოს მეტმა, რომელსაც წნევის ეშინოდა და ჩემს ერთ ჭიქას ქალებს ვუთმობო, თქვა.

„რა არის, ბიჭო, ეგეთი ღვინო მოგქონდა და იმდენი მაინც წამოგელო, ორ-ორი ლიტრი შეგვხვედროდა!“ — შეუძახა ოთარს მშენებლობის ინჟინერმა.

„ორ-ორიც შეგხვედებოდათ და სამ-სამიც, მაგრამ აი, ამ ვაჟბატონმა ჩამომართვა ხუთ-ლიტრიანი კანისტრა, დღეს გვიან მეგობრები ჩამოსდინა და...“ „სხვათა შორის, ძალიან კარგი მხატვრები...“ თქვა თიკომ ხაზგასმით, თითქოს ვილაცის გამოჯავრებით. „შარშან თიკოს რო ნითელი ნატურმორტი ვაყიდინე,

თქვენც როგორ მოგეწონათ, ბატონო შალვა.“ თქვა ბიჭიამ. მოხუც ელოსთან იმ გაცრუებული ბურჯის მოხატვის შემდეგ ბიჭია ცდილობდა, თუმცა ამაოდ, შალვასთვის ჩვეულბრივ ძია შალვა აღარ დაეძახა და ოფიციალურად, ბატონობით მიემართა.

შალვას გაეცინა: „მე კი ისეთი რამ უნდა შემოგთავაზო, რომ შენ ძველებურად ძია შალვას დამიძახებ.“ „თუმცა დავიფიცე, ჩემ სიცოცხლეში ძიას აღარ დავუძახებ და არაფერს აღარ ვთხოვ მეთქი, მაგრამ მინდა მაინც ვითხრათ, ვიქტორი და სერგეი ნამდვილად დამფასებლები არიან კულტურისა და სილამაზისა და ძალიან მინდა ერთ-ორ ძეგლზე ჩვენთან ერთად წამოხვიდეთ, თქვენ როგააცოცხლებთ ხოლმე ძეგლებს, და თუნდაც ნანგრევებს, თუნდაც ძეგლის ნატამალს, ტყუილია რაა!“ „დღი ხნით ჩამოდიან?“ დაინტერესებით იკითხა ბატონმა შალვამ.

„თან მიირთვით, თან მიირთვით, ნახეთ რა სალათაა!“ დაიძახა ლიზიკომ.

„სალათა კი არა, მე დავანესე: პირველ რიგში მწვადით დავიწყოთ, რა ცუდია მწვადი რო გვიან შემოაქვთ ხოლმე და ერთ ნაჭერს ან გასწინკნი, ან არა... აბა, მიირთვით, ბატონო შალვა, ქალბატონო ნინო. ძია გიგო, შოთიკო... ჩქარა, თორემ მოდის ახალი სადღეგრძელო...“ ამბობდა ოთარი და მწვადით საესე ბადიას აწვდიდა ქალბატონ ნინოს. ბიჭიამ კი ღვინო ჩამოუსხა ყველას და ბატონ შალვას კითხვაზე უპასუხა: „აქ ასე თვე, თვე-ნახევარი უნდათ დარჩნენ და ხატონ, მერე კი მთათუმეთსა და სვანეთს მოივლიან... დგას ახლა ჩემი ნენე და ვახშამს ამზადებს, იმის მაგივრად ჩვენთან იყოს, ამაღამ მატარებლით ჩამოდიან და...“ თქვა ბიჭიამ, „მერე კი, უკვე სექტემბერში კოქტებელში წავალთ, და თუ სიმამრი გაიჩეჩა, ნენესა და გივიკოსაც წავიყვან.“ „აი, მე ისეთი რამე უნდა შემოგთავაზო, რომ სიმამრის გარეშე წაიყვან ნენეს და იქნებ დუბლიონკაც კი უყიდო...“ და ბატონმა შალვამ გაიცინა. თიკომ თავი წამოსწია, შალვას გამოხედა და მწუხარედ გაიფიქრა: „არავის, არავის დედამინის ზურგზე სიცილი ასე არ შევინისო...“

„არა, მართლა!?“ შესძახა ბიჭიამ; „მაგრამ რა ვქნა, რაღაცა არა მჯერა, თქვენ და ფულიი?“ „რატომაც არა, მუზეუმიც და მეც გადაგიხდით, მართლაც და მართლაც, რამდენი სურათი გვაქვს შენგან უსასყიდლოდ ბოძებული, ახლა კი, მინდა შემოგთავაზო წამოხვიდე ჩვენთან ერთად ექსპედიციაში ასეთი დღით, ივლისის ბოლოს, კახეთის მთებში, ბანარას ხეობის ზემოთ, ძეგლი ყოფილა თურმე, ჰოდა, ჩანახატებისთვისაც და ფო-

ტო-მასალისთვისაც...“ „ახია უარი გითხრათ, ძია შალვა, მაგრამ, რა ვქნა, ეს ოხერი, ჩვილი გული მათქვს...“ გაიცინა ბიჭიამ.

„გაცივდა სუფრა, გაშრა ყელი!“ დაიძახა ოთარმა, „ეს ბატონ შალვას გაუმარჯოს! ბიჭია არ ვიცი, ბატონო შალვა, მაგრამ მე კი მინდა ვიყო იქ, სადაც დიდებული მანდილოსანი ქალბატონი ნინოა, რომელსაც მთელი ჩვენი ზევით უბანი მოწინებით ესალმება,.. მხოლოდ და მხოლოდ იქ მინდა ყოფნა, სადაც ეს მშვენიერი ქალბატონები, ლიზიკო და დარეჯანი არიან, და აგრეთვე, ი, ნიже правый, а слона то не приметил,“ — კარგი რუსული გამოთქმით დაუმატა ოთარმა, „სადაც თიკოა, ვისაც შეჭხარიან დამთვალეირებელთა ლეგიონები, ვისაც შესციცინებს მოწიფულ მოსწავლეთა კოჰორტა, ვინც აღსავსეა პოეზიის სიყვარულით და ვინც ლექსების თხზვის და თქმის უსტაბაშია...“ და იგონებდა თიკოს ბავშვობასა და სიყმანვილეს, როცა არცერთი საღამო არ ჩატარდებოდა თიკოს დეკლამაციის გარეშე, თუ სკოლაში, თუ კლუბსა და თეატრშიც კი... და სანამ ოთარი ლექსის თქმისკენ მოუწოდებდა, თიკომ ბრაზიანად შესძახა: „კარგი რაა, ოთარ, ნუ გადაეკიდე ამ ჩემს ლექსებს!“

„სხვათა შორის,“ ჩაურთო შემრიგებლურად ქალბატონმა ნინომ, „თავის დროზე შალვაც შესანიშნავად კითხულობდა ლექსებს...“

შალვა, რომელიც ამ დროს რაღაც სევდიანად გაჰყურებდა ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივებით განათებულ კავკასიონს, ერთბაშად გამოფხიზლდა: „ოო, ჩემო ნინო, то было раннею весной...“ გაიცინა და ბიჭებს მოუწოდა: განა არ ჯობს, ლიზიკოს ერთი სიმღერა შეაწიოთო. და მართლაც, ლიზიკოს ეკლესიური მრავალუამიერი მიუძღვნეს... და მერე, ოთარის ჩახუჭუჭებული სადრეგრძელოების შემდეგ მღეროდნენ და მღეროდნენ, და ოთარი, გრძნობამორეული, სიმღერის დროს სულ თიკოს გაჰყურებდა,.. ხოლო სიყვარულის სადღეგრძელოს შემდეგ, „იმ სიყვარულის, წარსულისკენ კი არა, მომავლისკენ რომ არის მიმართული, ნაყოფიერებისკენ არის ორიენტირებული და ნაყოფიერების საწინდარია, იმ სიყვარულის, ახალ სიცოცხლეს რომ ბადებს,“ მან და ბიჭიამ, ხმაშენყობილად და გულში ჩამწვდომად, „ტურფავ, ტურფავ,“ იმღერეს,.. ოთარი მთლად დადნა, უღიმოდა და უღიმოდა თიკოს, და თავის მრგვალ, ხარის თვალებს სურვილით აკვესებდა...

კარგა გვიან წამოიშალნენ სუფრიდან, შეჭიკჭიკებულები იყვნენ. ბიჭია და ოთარი სადგურზე მიდიოდნენ რუსი მხატვრების დასახვედრად, როგორც წელან ამბობდნენ; დარეჯანი და ქალბატონი ნინო ზევით ცხოვ-

რობდნენ, მარქსის ქუჩის თავში და ჩემი გზაც ხომ იქით არისო, მშენებლობის ინჟინერმა, მე გაგაცილებთო. თიკო ორ ნაბიჯზე იყო და არც ლიზიკო იყო შორს, აქვე, გვირაბის უბანში ცხოვრობდა, მაგრამ ბნელი ჩასასვლელი იყო, შეიძლება ითქვას, ჩახრამული საცალფეხო ბილიკი და ბატონმა შალვამ ითავა ლიზიკოს გაცილება. მე ჯიბის ფანარი მაქვს, მოგცემთ და გზას გაინათებთო, შესთავაზა თიკომ ლიზიკოს. თუ ხათრი გაქვს, შენც წამოდიო, ლიზიკომ უთხრა, ბატონმა შალვამ რალა მარტო იაროსო, შენც ცოტას ჰაერზე გამოივლიო. თიკომ არაფერი თქვა, ლიზიკომ არ იფიქროს, რომ თავი განზე მიჭირავსო, ბატონმა შალვამ კი: თიკოს როგორც უნდაო, იქნებ სახლში ერქარებოდა და მე მარტოსაც არაფერი მიშავსო, მაგრამ ლიზიკომ ხელი მოჰკიდა თიკოს და შენ უკან მოგყვე და გზა გაგვინათეო. მართლაც, ბატონმა შალვამ ლიზიკოს ხელი გაუყარა და წინ წავიდნენ, თიკო კი უკან მისდევდათ და ვინრო ორლობეში გზას უნათებდა. ჩასცდნენ თუ არა სამრეკლოს, უკვე აღარაფერი ჩანდა, მთლად ჩაბნელებული იყო ბილიკი, ზოგან კი ორლობე ისე ვინროვდებოდა, ორნი ძლივს მიიკვლევდნენ წინ გზას. აი, რა კარგია რომ წამოხვედი, თიკო, რა კარგად გვინათებ გზასო, ამბობდა ლიზიკო. სასიამოვნო იყო გარეთ, თუმცა ღვინო მოკიდებული ჰქონდათ და გრილმა ჰაერმა უფრო გააბრუნათ. ჩუმად მიდიოდნენ, მხოლოდ ბატონი შალვა გააფრთხილებდა ხოლმე ქალებს: „აქ ჩახრამულია...“ „აქ ღორღია და ფრთხილად“, „აქ ბარღია და არ წამოედოთ...“ თიკოს ეჩვენებოდა, რომ შალვას თითქოს ჩაყურსული ხმა ჰქონდა, „ჩემი მღელვარებით სავსე“, და ეს გაიფიქრა თუ არა, თვითონაც მღელვარება იგრძნო, ლიზიკო რომ მიიყვანეს და გამობრუნდნენ, ბატონი შალვა ორიოდ ნაბიჯით წინ წამოვიდა და ერთხანს ასე მოდიოდნენ, არც ერთი ხმას არ იღებდა... მერე ბატონი შალვა მობრუნდა და ხელი გამოუწოდა თიკოს. თიკომ ფანარი ჩააქრო, პლაშჩის ჯიბეში ჩაიდო, მივიდა ბატონ შალვასთან და ისინი სიტყვის უთქმელად გადაეხვივნენ ერთმანეთს. ასე იდგნენ ღორღიან ბილიკზე ერთმანეთს ჩაკრულები. ხმას არ იღებდნენ, გაბრუებულები ღვინისა და მღელვარებისაგან, და კიდევ კარგი, იქვე ასახვევში სამეზობლო სკამი იყო გამართული და იმ სკამზე დაეშვნენ, და ისევე გადაეხვივნენ ერთმანეთს, თან ისე მჭიდროდ, ისე უძრავად, გეგონებათ სამუდამოდ აქ დარჩენას აპირებნო. როდის-როდის, ბატონმა შალვამ, თუმცა პირში სიტყვა უწყდებოდა, მაინც ამოთქვა „ეს... სიგიჟა... ეს... შეუძლებელია...“ აქ კი

იფეთქა თიკომ: „ეს ხომ თავისთავად მოხდა... ეს ხომ... ისე ბუნებრივად მოხდა... ეს არავისი ბრალი არ არის... გეხვეწებით... გემუდარებით... ნუ იფიქრებთ ასე...“ ბატონი შალვა კი იმეორებდა „ეს... შეუძლებელია...“ და თან კიდევ უფრო მჭიდროდ იხუტებდა თიკოს, „ეს... ისეთი ძვირფასი საჩუქარია... რომლის მიღებაც... უბრალოდ უზნეობაა...“ თიკო კი გულმდულარედ არწმუნებდა: ორი გზა არსებობსო, წმინდანობისა და ჩვეულებრივი, ბუნებრივი და ჯანსაღი არსებობისო, და თუ ადამიანი წმინდანობის გზას არ დაადგა, ჩვეულებრივი, ჯანსაღი ცხოვრებით უნდა იცხოვროსო, თუ შეუყვარდა, უყვარდეს და თუ სძულს, სძულდესო, და არა თავის თავს ებრძოდეს და რალაც არაბუნებრივ ამოცანებს უსახავდესო, ადამიანი თავისუფლებას უნდა მიეღწეოდეს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაემონოს და კერპად არ გაიხადოს რალაც ცრუ ზნეობრივი კანონებიო... ბატონი შალვა იცინოდა, „ჩემი ჭკვიანი გოგოვო...“ ამბობდა და პირზე ხელს აფარებდა. მერე კი, როგორც არაერთს და არაერთხელ, უთქვამს და დაუნერია, „ისინი თავდავიწყებით ჰკოცნიდნენ ერთმანეთს...“

ზევით რომ ამოვიდნენ, მუზეუმთან, ორიოდ ნაბიჯი გაიარეს და ბატონმა შალვამ იქვე, სასტუმროსთან ჩაუხვია, თიკომ არ მოინდომა გაცილება, მეც ხომ აქვე ვარო და მირჩენია მარტო წავიდეო. მართლაც, ერთი სული ჰქონდა თავის სიხარულთანა და ბედნიერებასთან მარტო დარჩენილიყო, მისცემოდა სანეტარო ფიქრსა და გულისწამლებ მოგონებას შალვასთან ალერსსა და ხვევნაკოცნაზე, მისცემოდა ოცნებას ხვალინდელ შეხვედრაზე... გაბრუებულს ღვინით და სიყვარულით, ეგონა ასეთი თავისუფლება ჯერ არ მიგვრძნიაო... თურმე ყველაზე დიდი თავისუფლება სიყვარულს მოაქვსო, და მითუმეტეს, აი, ასეთ საიდუმლო სიყვარულსო, რომ არავინ, არავითარ შემთხვევაში, არასოდეს, არ უნდა გაიგოსო, ეს იქნება ჩვენი უდიდესი საიდუმლო, ჩვენს ურთიერთობას სულის შეგუბებამდე და გულის წასვლამდე რომ გაამძაფრებსო... ასეთი მომაჯადოებელი ფიქრებით და ატივტივებული განწყობით, პლაშჩის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, მიდიოდა, მიიწეოდა, და აფთიაქთან რომ შეუხვია, მოედნის ბოლოში თავისი მამა კი დაინახა. ნიკო გაჩქარებული წამოვიდა თიკოსკენ და შორიდანვე მოაძახა „შვილო, სადა ხარ ამდენი ხანით?“

„ისეთი ღვინო იყო, მამა, ისეთი ღვინო, გაგიჟდები, შენ რომ ერთხელ ყვარლებმა ავადმყოფმა მოგართვა, აი, ისეთი ქინძმარაული,

შეიძლება არ დალიოო?!”

„გეტყობა, გეტყობა და ბევრი ხომ არ დალიე?!“ „არაა, ორი ჭიქა, იქნებ სამიც...“ თიკომ გაუღიმა მამას, ახლა მას ქვეყანა უყვარდა და მითუმეტეს თავისი მოსიყვარულე და მზრუნველი მამა, „რომ იცოდე, ისე მიყვარხარ, მამა, ისე მიყვარხარ, შენი გულისთვის მზად ვარ დიალექტიკური მატერიალიზმიც კი ჩავაბარო, ყველაფერი შეგისრულო და ვიყო მორჩილი შვილი... კიდევ რას მთხოვ და რა გსურთ, ბატონო ჩემო?!“ და თიკომ მამას მხრებზე დაადო ხელები და ლოყაზე აკოცა. მოდი, ცოტა გავიაროთო, ნიკომ თქვა, მას წესად ჰქონდა ავადმყოფების მიღების შემდეგ, ძილის წინ ცოტა მაინც უნდა გაეველო.

„მინდოდა თქვენს არიფანაში მეც მონაწილეობა მიმელო, მაგრამ დღეს რაღაც ბევრი ავადმყოფი დამესია და შევრჩი ასე...“ ღმერთო, რა საშინელება იქნებოდა მამა რომ მოსულიყო; თქმით კი ვითომ დაინტერესებით იკითხა: „ლიზიკომ დაგპატიჟა? ჩემთვის არაფერი უთქვამს?“ „ვინ დამპატიჟა და ოთარმა მთხოვა, ხომ იცით, ლიზიკოსთვის რა სიურპრიზი იქნება თქვენი სტუმრობა და ოღონდ მოდით, ოღონდ მოდითო, ბიძაჩემმა ქინძმარაული გამოგვიტანა ყვარლიდან და ნამდვილად ისიამოვნებთო...“ „ოჰ, რა აუტანელია!“ ნამოიძახა თიკომ, „ნამდვილი მეტიჩარაა!“ „რად არის, შვილო, აუტანელი და მეტიჩარა, რათა, კარგად გაახილე თვალები და დაუკვირდი, ვინ არის და რა არის...“ „კარგი რაა, მამა,“ ხმას დაუნია თიკომ და მშვიდობიანი კილოთი თქვა: „ისე, რა თქმა უნდა, შენი მოსვლა ყველას გაუხარდებოდა, თუმცა ოთარისაგან მაინც არადელიკატური საქციელია...“ „ოჰ, შვილო, ნეტავ მაჩვენა ვინმე, შენი მოწონებული, კარგი, დადებითი პიროვნება. ოთარი კიდევ გუშინ და გუშინწინ ხომ არ გაგიცვინია, ბავშვობიდან ვიცნობ, ლამის დაბადებიდან...“ „მახსოვს, მახსოვს, მარო რომ მოიყვანდა ხოლმე ბავშვობაში, შენ გეგონა სულ შიოდა, და მაშინვე ბებიას ეტყოდი ხოლმე „ბავშვს აჭამეთო.“ „სამი-ოთხი წლით შენზე უფროსი იყო, როგორ უყვარდი და რამდენს გათამაშებდა, ხომ გახსოვს?!“ „ჰოო, მამა, მახსოვს, ყველაფერი მახსოვს, გუშინწინაც შემხვდა, გადამეკიდა გავიაროთო და იცი, გავიყუდები, არც ბალზაკი აქვს ნაკითხული, არც „ომი და მშვიდობა“, წარმოგიდგენიაა?! ჰოო, რა უნდა ელაპარაკო ასეთ ადამიანს?“ ნიკომ სიცილი დაიწყო, „ჩემი მწიგნობარი შვილი,“ იცინოდა, ვერ ჩერდებოდა, „მე მგონი მთელ ქვეყანაზე არავინ დაიწუნებდა კაცს ბალზაკისა და ტოლსტოის გამო, თუმცა დარწმუნებული ვარ, ტოლსტოი ნაკითხული ექ-

ნება, ოთარი ხომ რუსულ სკოლაში სწავლობდა და ...“ „ოო, მხოლოდ ნაწყვეტები!“ დამცინავად წარმოთქვა თიკომ და ნიკოს ისევ სიცილი წასკდა, „არა, მაინტერესებს, ვინც მოგწონდა და გიტაცებდა, იმათ გადაბუღებული ჰქონდათ ბალზაკი და ტოლსტოი?“ „ლამაზოსა“ და იმ ნორილსკელ ავაზაკს?“ „იცი, მამა, შენისთანა პერსონაჟი უკვე არსებობდა იმ საუკუნის დასასრულს, და მას დარისპანი ერქვა, ჰოდა, არ მიხსენო ოთარი, ძალიან გთხოვ, ძალიან გთხოვ!“ და კინაღამ არწამოსცდა: მე სხვა მიყვარსო. „შენ რომ იცოდე, დარისპანი მარადი სახეა შვილის ბედით თავატკიებული და შენუხებული მამისა, და სანამ ჩვენებური მამაშვილობა არსებობს, ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ყველაში არ ზის დარისპანი, ამ ხარისხით, თუ იმ ხარისხით... ჰოო, წელან რომ მითხარი, რა გსურთ, ბატონო ჩემოვო, აი, ეს მსურს, გაისარჯო შენი დამოუკიდებელი არსებობისთვის და შენი პირადი ბედნიერებისთვის, გესმის? შეგნებული გააქვს? და თუ არა გაქვს, უნდა შეიგნო, აგერ, შენს ამხანაგებს შვილები ახვევიათ და ჩვენც ხომ უნდა მოვეწნოთ რაღაცას?! დროა უკვე!“ მტკიცე და შეუპოვარი კილოთი ეუბნებოდა ნიკო თავის შვილს. „კარგი, მამა, აბა, ამაღამ რაღა იქნება და ხვალიდან შევიგნებ, აუცილებლად შევიგნებ...“ იცინოდა თიკო, „წუ იცინი, პატარა აღარა ხარ, და სერიოზულად შეხედე შენს მომავალს, დაიცავი დისერტაცია და შექმენი ოჯახი, აი, ამას მოვითხოვთ შენგან! ჩვენს დროში კაცი თუ ლოთი არ არის, ნარკომანი და პედერასტი, ეს უკვე დიდი პლუსია...“ მაგრამ ამ პლუსის მიუხედავად, თიკოს არ მოსწონდა ოთარი, და მითუმეტეს ვერ წარმოედგინა ასე „ოჯახის შექმნა“. შალვაც რომ არა, მე მისკენ, მისი გამოჭყეტილი გალსტუკისა და ჩაშაქრული, პირმოთნე ლიმისკენ ჩემს სიცოცხლეში არც გავიხედავდიო... და უკვე ერთი სული ჰქონდა ჩქარა დაბრუნებულიყვნენ სახლში, ჩანოლილიყო სანოლში და სანეტარო ფიქრებს მისცემოდა, „გაეჩითა“ ყოველი კოცნა, ყოველი სიტყვა, ყოველი მიმოხვრა, ჩქამი და სულთქმა, და ძილშიც კი გამსჭვალული ყოფილიყო გათენების მოლოდინითა და შალვასთან უკვე სხვაგვარი შეხვედრის სურვილით. და რას წარმოიდგენდა, რომ „გათენდებოდა დილა მზიანი“ და მათი ურთიერთობა, მათი სიყვარული, უკვე აქედანვე, ტანჯვა-წვალებად იქცეოდა, მხოლოდ დროდადრო, ჟამიდან ჟამზე, ბედნიერებისა და სიხარულის მეტად ხანმოკლე, წუთიერი გაელვებებით, რაც ორივეს დაუქმყოფილებლობის მწვავე განცდით აავსებდა და ერთად ყოფნის წყურვილს კი-

დევ უფრო გაუსაძლისს გახდოდა. იმიტომ, რომ თავისთვისაც მოულოდნელად, ანაზღად ამოფრქვეული მღელვარება ბატონ შალვას შიშითა და სინდისის ქენჯნით ავსებდა... იმიტომ, რომ არავის დედამინის ზურგზე, არცერთ სულიერს, არც დიდს, არც პატარას, არც თანამშრომლებს, არც მომსვლელებს, არც შინაურს და არც უცხოს, არავის, არამცთუ არ უნდა გაეგო მათი ურთიერთობის ამბავი, გუმანიტაც არ უნდა მიმხვდარიყო, ეჭვიც არ უნდა აეღო, .. ოჰ, ღმერთო ჩემო, რატომ არის ასე გაფაციცებული ადამიანის ცნობისმოყვარეობა სწორედ სასიყვარულო ამბების მიმართო, კვნესოდა ბატონი შალვა, და განსაკუთრებით კი აკრძალული სიყვარულის მიმართო!? ერთხელ გავლა კმარა, ერთხელ თვალის შევლება კმარა, ერთადერთხელ მათი მზერის ჩაჭერა კმარა, რომ გეში აიღონ, ხაფანგში გააბან, ტაში შემოსცხონ და „რომ იცოდეთ, რომ იცოდეთო“ იძახონ, და ეს ძახილი ყველას გადასწვდეს, და მხოლოდ თანამედროვეებს კი არა, მომავლებსაც, .. რამდენსაც გნებავთ იმდენს მოიგონებს ბატონი შალვა თელავის წარსულიდან, გახმაურებული, აკრძალული რომანების ამბავს, თურძალ-მაზლისას, თუმოყვრებისას, თუგადასკვნილი მეგობრებისა და მეზობლებისა ცოლ-ქმრულ ღალატს ხომ ანგარიშშიც არავინ აგდებდა... და ყველა ამ ამბიდან ის დასკვნა შეიძლება გამოგეტანათ, რომ რაც უფრო დაუშვებელი იყო, მაინც უშვებდნენ, როგორც ჩანს ხარისხი და ანდამატი ემატებოდა, რაც უფრო შეუძლებელი იყო, მით უფრო დაუძლეველიც იყო და ყველა დროს ყველა, ყველა... ამ ორომტრიალში იყო ჩაბმული, ამ ეგრეთწოდებული აკრძალული სიყვარულის ორომტრიალში. მაგრამ ბატონი შალვა თავს სრულიად არ ინუგეშებდა იმით, სადაც სხვები, იქაც მეო, ბატონ შალვას საკირეში ჩავარდნა ერჩია, თავისიანების წინ გაშავებასა და თავის მოჭრას. არადა რა ექნა ასე ერთბაშად აფეთქებული მღელვარებისთვის, გულისნამღები სინაზისა და ალერსის წყურვილისთვის, თან როცა თიკო ასეთი მგზნებარე და დაუოკებელი იყო და როცა ორივენი უერთმანეთობას ვერ ითმენდნენ. ო, როგორ შეუძახებდა ხოლმე თავს „ამ სიგიჟეს ბოლო უნდა მოელოსო,“ როგორ მოეძალებოდა ხოლმე დროდადრო უგუნებობა და რამდენიმე დღე თიკოსკენ არც გაიხედავდა, .. მაგრამ დაუსახელებთ ერთი ვინმე, ერთადერთი, ვინც წინ აღდგომია მოძალებულ სურვილს, ვისაც ასეთ საჩუქარზე უარი უთქვამს, და ვინც გასაძლიანებია ამ ანდამატურ ტანჯვას და ლხენას! არავინ და არასდროს! და ბატონი შალ-

ვაც ისევ ინუგეშებდა თავს: „მე ხომ საზღვარს არასდროს არ გადავალო, მე ხომ მიჯნას არავითარ შემთხვევაში არ გადავლახავო და რა მოხდა, გვიყვარდეს ერთმანეთით, სადამდეც გვეყვარებო... თიკო ახალგაზრდაა, ყოველთვის მოასწრებს საკუთარი ცხოვრების მოწყობასო... და ჩვენი ურთიერთობა ხომ, ალერსი რაა, შეიძლება ითქვას, პლატონური-აო. და ისევ, უდიდესი კონსპირაციით, უდიდესი სიფრთხილით, ასი ყურის გამობმით და ასი თვალის გამოსხმით, ისინი კვლავ ხვდებოდნენ ერთმანეთს, კვლავ იძირებოდნენ ალერსში, კვლავ აფრქვევდნენ სასიყვარულო სიტყვებს, კვლავ თავდავინყებით ჰკოცნიდნენ ერთმანეთს, .. და კვლავ დაუკმაყოფილებლობით აღსავსენი შორდებოდნენ ერთმანეთს, .. შემდეგ შეხვედრამდე, შემდეგ ხვევნაკოცნამდე. ბატონ შალვას, მიუხედავად თიკოთი გატაცებისა, თუ სწორედ ამის გამო, არამც თუ ლელიკოზე ხელი არ აუღია, არამედ პირიქით, დანაშაულის გრძნობით აღსავსე კიდეც უფრო ყურადღებიანი გახდა და თავის მღელვარებასაც სწორედ ლელიკოსთან იოკებდა. „ოჰოჰოჰო, ჩემო შალვაო,“ ეჟღერტულებოდა ლელიკო, „ამ გაზაფხულმა როგორ აგალორძინაო... ლამის ახალგაზრდობა დაგიბრუნაო...“

თიკოს კი ცეცხლი ეკიდა, განუხორციელებელი ვნების ცეცხლი და სულ გეგმების დალაგებაში იყო, სად და როგორ ყოფილიყვნენ რამდენიმე ხნით მაინც ერთად, ერთად, სულ ერთად, დღეცა და ღამეც, განმარტოებით, ერთად... ხან იმას ეუბნებოდა ბატონ შალვას, მოდით, მივუბრუნდები ჩემს სადისერტაციო თემას, მამასაც გავახარებ და მეც მივიღინებთ თბილისში ან მოსკოვში წავალო, თქვენც ჩამოხვალთ რამდენიმე დღით და ერთად ვიქნებითო, ყველას თვალს მოშორებულიო, .. ხან იმას წარმოიდგენდა, რომ საგზურით სადმე წავიდოდა, ერთ ადგილიანში იქნებოდა, და შალვაც, თბილისში წასვლის მომიზეზებით, სამი-ოთხი დღით მაინც თიკოსკენ გასწევდა და იქ, მარტოები, მარტოდ-მარტოები, ბოლოს-ბოლოს, სიფრთხილისა და აქეთ-იქით ყურების გარეშე, ოთახიდან გამოუსვლელად და სანოლიდან აუდგომლად, მიეცემოდნენ სიყვარულსა და ვნებას...

„არა, ჩემო გოგო, არა,“ ოხრავდა და კვნესოდა ბატონი შალვა, „ამის დაშვება არაფრით არ შეიძლება, შენ გათხოვდები, და რა ვუყოთ, რომ ჩვენში უბინობა ასე ძვირად ფასობს, რამდენი გაბედილება, რამდენი განხეთქილება, რამდენი წყენა და უთანხმოება, და ტრაგედიებიც კი, მოჰყოლია ასეთ ამბებს, .. და მე არ დაუშვებ შენ ჩემს გამო რაიმე პრობლემა შე-

გექმნას. იქნებ დადგეს ისეთი დრო, უფრო უბრალოდ შეხედონ ასეთ რაიმეს, მაგრამ მე მაშინ ცოცხალი აღარ ვიქნები და შენც, ალბათ, და მე ძალიან მინდა ასე იყოს, შვილიშვილები გეყოლება დახვეული, ჰოდა, ვიყოთ ასე, ჩემო სიცოცხლე, ჩემო პატარა, ისედაც ნიკოს როგორ შევხედო თვალებში, არ ვიცი, აგერ რამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს და უფრო დიდ ცოდვას ვერ წამოვიკიდებ, ვერა, როგორი ძნელიც არ უნდა იყოს ჩემთვის ეს...“ და ჰკოცნიდა... ჰკოცნიდა... ჰკოცნიდა დაუსრულებლად... ორშაბათი დღე იყო, მუზეუმში არავინ იყო, თიკომ წრის მეცადინეობის შემდეგ მონაფეები გაისტუმრა და მცირე ხნით გასული ყარაულის მოსვლას ელოდნენ... და თიკოს ბატონი შალვას სიტყვებზე გული უწუხდა, ბრაზი მოსდიოდა, ეს ნამდვილი შეურაცყოფააო, ფიქრობდა, ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვსო, მესმის თქვესმეტი წლის გოგონა იყოს უბინო და ოცდაექვსი წლის ქალის უბინობა უბრალოდ სამარცხვიონოაო... და გაღიზიანებული, ბატონი შალვას კოცნასაც კი თავს არიდებდა. და საერთოდ, კიდე კარგი, წერის გარეშე არ შეეძლო, და ექსკურსიების გაძლოლაც და წრის მეცადინეობაც ძველებურად იტაცებდა, თორემ მოცული და ატანილი იყო ბატონ შალვასთან შერწყმისა და შეერთების მტანჯველი სურვილით, რის გამოც ხან თავი სტკიოდა, ხან კუჭი, აიმრეხებოდა, ჩამოიქუშებოდა და მონამლულივით დაიარებოდა... სამსახურში კიდევ როგორღაც თავს იკავებდა და სახლში ნაკლებად უწევდა თავისიანებს ანგარიშს, ხშირად სადილაც არ გამოდიოდა, შეიკეტებოდა თავის ოთახში და თუ არ წერდა, მუსიკის მოსმენით იქარვებდა გულს. თავისიანების შეკითხვაზე რა გჭირს და რა დაგემართაო, არაფერი, არაფერიო, კაცი ყოველთვის ერთ გუნებაზე ხომ არ იქნებაო, აი, ახლა კუჭი ამტკივდა და არ შემოიძლია ჭამაო. და ნიკო რომ თავში შემოიკრავდა, ახლავე უნდა გაგსინჯოვო, ან, ხვალვე გამოკვლევასზე უნდა ნაგყვანოვო, სასტიკ უარზე იყო, და არც ესინჯებოდა. მერე ისევ გადაენმინდებოდა გუნება, ბატონ შალვასთან განახლებული შეხვედრის შემდეგ იმედითა და სიხარულით აივსებოდა და სახლშიც დააფრქვევდა სიცილსა და მხიარულებას. და ამ განწყობილების ზიგზაგებმა, თავის შვილზე დაკვირვებით მიჩერებული ნიკო, ეჭვებით აავსო: განა არა, ჯერ კიდევ როდის ვიფიქრეო და ახლა კი ნამდვილად ვრწმუნდები, რომ გუმანი არ მატყუებდაო. მითუმეტეს, მარიკომ მგონი, პირველად აუბა მხარი და მეც რამდენჯერმე გამკრა გუნებაშიო, უთხრა, „მაგრამ, რა მიკვირს, იცი, ნიკო, გრძნობების დამალვა თიკოს ხომ არ შეუძლია, ყოველთვის ყველაფერს მიზიარებდა, ახლაც ფრთხილად და ძალიან ტაქტიანად ვეცადე გამეგო რა სჭირს და არც ერთხელ არაფერი წამოუოროთქლებია, პირიქით, ეცადა ყველაფერი გაექარწყლებინაო“.

მაგრამ ნიკო რის ნიკო იქნებოდა, თუ ისევ ჩუმად და ფარულად თიკოს ნაწერებს არ მიმართავდა; ისეთ განწყობაზეაო, ფიქრობდა, აუცილებლად რაიმეს მივაკვლევ და თან იმასაც შევამონებ, საგნის ჩაბარებას რომ მპირდებოდა ისეთი ამბით, აბა, აკონსპექტებს თუ არა ლენინის შრომებსო. მართლაც, ერთ ორშაბათ დღეს, — თიკოს საგანგებოდ შეურჩიეს, რომ სამუშაოდან თავისუფალი ყოფილიყო, — მაისის მზიან დღეს, ბიჭიამ და ნენემ გადაწყვიტეს რუსი მხატვრები კვეტერაში წაეყვანათ, ბატონ შალვას მუზეუმის მიკროავტობუსი სთხოვეს, — მოლბერტებისა და საღებავების წაღებასაც აპირებდნენ, ცოტას წავიმუშავებთ კიდეცო, — ოთარმა და შოთამ ღვინოებიც მოიმარაგეს, კარგი სამწვადეც, და მთელი დღით წავიდნენ. თიკო მაინც ყოყმანობდა, დილიდან საღამომდე ოთარის გვერდით რა გამაძლებინებსო... ისედაც ოთარი დიდ აქტიურობას იჩენდა, წარამარა ურეკავდა და ხან სასეირნოდ ეპატიჟებოდა, ხან კაფეში, ხან კინოში, ხან ბიჭიასთან... თიკოც დროდადრო, თვალის ასახვევად და მამის გულის მოსაგებად, წაჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ მალევე ბრუნდებოდა უკან. ახლა კი, მამამ აქედან, ნენემ იქიდან შემოუძახეს. მარიკომ ვაშლის ღვეზელი გამოუცხო, ნიკომ ნახევარი ბატკანი გადასცა ბიჭიას ჩაქაფულისთვის და დილიდანვე გაემგზავრნენ. ნიკო კი, დაბრუნდა თუ არა შუადღისას საავადმყოფოდან, ბედად მარიკოც არ დახვდა, თინათინმა უთხრა სკოლიდან მკერავთან უნდა წასულიყო და შეაგვიანდებო, ნიკომაც სახელდახელოდ წაიხემსა და თიკოს ოთახისკენ გასნია. უყვარდა ნიკოს თიკოს ოთახში ყოფნა, სითბოსა და სიამეს გრძნობდა, მიუხედავად თავისი კრიტიკული განწყობილებისა თიკოს ოპუსების მიმართ. კუთხის ოთახი იყო, დიდი და მზიანი, ერთ მხარეს, კედელზე, შუა აზიიდან ჩამოტანილი, ულამაზესი სუზანეთი; რა თქმა უნდა, ბიჭიას ნამუშევრებიც ჰქონდა, კარგი ნამუშევრები, „ძველი გალავანი“, „გვირაბის უბანი“ და „ჭადრის ქუჩა“, კავკასიონის პანორამით, და ბიჭიას მეგობარი რუსი მხატვრის სიცოცხლით სავსე, ნითელი ნატურმორტი, გახლეჩილი ბრონეულებითა და ლოყანითელი ვაშლებით, შუაში კი მღელვარე ყაყაჩოებით სავსე ნითელი კერამიკის ლარნაკი იდგა. ნიკოს არ ეგონა, თუ ამდენი ნითელი ასეთი

მიმზიდველი და საინტერესო შეიძლება ყოფილიყო, არადა იყო, სიღრმე ჰქონდა ამ სხვადასხვა ელფერის წითელს, თითქოს სიცოცხლის წყაროდან მოედინებოდა და რკალებითა და წკებლებით მოფენილ დეკორატიულ სუფრაზე სიცოცხლეს ამკვიდრებდა.


ორასი მანეთი გადაუხადა ბიჭიას მეგობარს ნიკომ და უნდოდა სასადილო ოთახში დაეკიდა, მაგრამ თიკომ არ დაანება, მუშაობის დროს შევხედავ ხოლმე და გავხალისდებიო. „მუშაობის დროს,“ გულდანყვევითა და დაცინვით გაიფიქრა ნიკომ, ვნახოთ, ვნახოთ, რა მუშაობას გულისხმობდაო... სანერ მაგიდაზე ისევ ის წიგნები ელაგა მარქსიზმის კლასიკოსებისა, და აგრეთვე რვეული. ალბათ, თვალის ასახვევადო, გაიფიქრა ნიკომ და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან პირველ გვერდზე ერთად ერთი წინადადება ეწერა: „დიალექტიკის ექვსი ძირითადი ნიშანი.“ ნიკომ ხელი ჩაიქნია, ახლა მას უფრო სხვა რამ აინტერესებდა, იქნებ მიეკვლია ან დღიურისთვის, ან თუნდაც სასიყვარულო ლექსისთვის, რომ მიმხვდარიყო, ვინ იყო ის ვილაც, ვინც თიკოს ასე ამღელვარებდა, ასეთ ტანჯვასა და სიხარულს აგემებდა, ხან ალტაცებით ავსებდა, მაგრამ უფრო ხშირად კი უგუნებობითა და სასონარკვევით.

სანერი მაგიდის შუა დიდი უჯრა დაკეტილი იყო, აქეთ-იქით უჯრები კი სავსე იყო სანერი ქალაღდის გაუხსნელი პაკეტებით, ფანქრებითა და საშლელებით,.. და გასაღებიც იქვე კუთხეში იყო მიყუჟული. ნიკომ შუა უჯრა გახსნა და მაშინვე იცნო ის დიდი საქალაღდე, თიკოს ყოველთვის მაგიდაზე რომ ედო ხოლმე. საქალაღდე სავსე იყო სუფთად და კოხტად გადანერილი, — ღმერთო, რამდენდროს აცდენს თავისი ამ რაღაც თხზულების ასე გულმოდგინედ მოგვარებისთვისო

— ნაკვეთებად დაყოფილი და დასათაურებული ნაწერებით. აი, ბატონო, „ერეკლეს სიკვდილი“ „ბატონიშვილები,“ „ერეკლეს დაბრუნება კრწანისის შემდეგ თელავის ბატონის ციხეში“, აი, ესეც, იმ დღეს რომ ნახა და ველარ მოასწრო ნაკითხვა, „გენერალ ლაზარევის უკანასკნელი დღე“, შავად ნაწერი კი ბევრი თაბახი იყო, უამრავი, თან ისე წვრილად, ვერაფრით რომ ვერ გაარჩევდი. დღიურის მსგავსი კი ვერადავერაფერი ნახა; სანერი მაგიდის სვეტების თაროებიც მიჯრით მიწყობილ წიგნებს ეკავა, ეს ძირითადად პოეტური კრებულები იყო. ნიკომ სვეტებს თვალი ჩაავლო და ისევ საქალაღდეს მიუბრუნდა, ამრეზილი დაჰყურებდა ამ ნაწერებს და უნდოდა ისეთი რამ ამოერჩია და ნაეკითხა, რაც ყველაზე მეტად დაარწმუნებდა ასეთი შრომის ამოებაში, დროის ტყუილუბრალოდ ფლანგვასა და წყლის ნაყვანში, ასეთი კი აუცილებლად გენერალი ლაზარევის სიკვდილი იქნებოდა, ალბათ, რუსების ლაშქრითა და წყევლა-კრულვით,.. ვითომ არ იცოდეს, რომ სანამ საბჭოთა კავშირი არსებობს, არადა საბჭოთა კავშირი იარსებებს ყოველთვის. სამწუხაროდ და სავალალოდ, — ჯერ კიდევ როდის უნოდა მარკიზმა დე-კიუსტინმა რუსეთს თიხის ფეხებიანი კოლოსი, მაგრამ ეს თიხა ისეთი მყარი და ურყევი გამოდგა, ჩვენ ვერასდროს ვერ მოვესწრებით ამ ვეშაპის დამხობას, და თიკოსაც ასეთ რამეებს არასდროს არავინ დაუბეჭდავს, ჰოდა, იქნოს უჯრაში მუშტები, სანამ არ მოსწყინდება, რამდენიც უნდა, იმდენი იქნოს. და ნიკო, კრიტიკული პათოსით აღსავსე, კბილების კრაჭუნითა და გაგულისებით შეუდგა რუსი გენერლის ამბის კითხვას...

/გაგრძელება იქნება/





ლოლონო წახური

(ნაბზახ ბახაძე)

ვეფხისტა

წავარნას შამამილოლა
მშიერი ლეკვი მგლისაო,
დავდექ და ძუძუ ვანუე
გამშრალი ერთის წლისაო.
რძის ნაცვლად სისხლი დამდინდა
სუნ გემო სიმლაშისაო.
რალი ერთი დაჰგემა,
სუ ჩემ კარძრომში ზისაო.
ვეფხვი ვარ, მაგრამ გული მაქ,
თვალზე კურცხალი მდისაო.
ვითამ ჩემ მოკვერ მიზრდია
წავგრილი სიკვდილისაო.
ძუძუებ რო დამალიჯნოს
ველარ გავაგდებ სხვისაო.
ე მაგის წერა ვყოფილვარ,
შემძრავი ცა მინისაო.

ეგ იცის დედა შვილობამ,
ძალამა ძუძუ-რძისაო,
სულაც რომ შავეჭმევიწო,
მადლს ვერ მავისხამ მისსაო.
მგელი მგლადავე დარჩების,
ლაშზე სუ ცოფი სდისაო.
მაგისას ვეფხად მაქცევას
პირი არ უჩანს ღეთისაო,
მაგრამ რაი ვქნა, მებრაღვის,
ცოდვაც მკლავს ამაგისაო.
ცუდია? — მაინც შვილია,
ბრაღია რა მაგისაო?
ერთია, მარტო ეს მამნონს,
ჯავრს არ შაიჭმევს მტრისაო,
არცა რა სხვისა ებრაღვის,
არცა რა თავისისაო.
წავარნის კარში მიყმუის
მშიერი ლეკვი მგლისაო,
ნეტაი გამაგებინა
სიკვდილს თუ დამაცლისაო.?

ლექსი „ვაჟა ფშაველას“

შევარდენივით ლექსი მიყვარს
ცერს რომ უბიძგებ
და მერე თვითონ უკეთ იცის
როგორ ავარდეს,
ჯანი გავარდეს, აი დარდი,
ვინმე თუ მიწყენს,
ე, იმ დღეს მოვკვდე
ჩემს ჭკვაზე რომ ვერ ვინავარდებ.
რა ვქნა, ჯიშში მაქვს ეგ სიფიცხე,
ნიჭი ზეფრენის,
გინდა მომკალი, ლექსს ვერ ვუთევ
ლამეს დილამდე,
მიყვარს, ქორივით გაქნეული
მზისკენ რეფრენი
ღია სარკმლიდან, ცაზე ოდნავ
როგორც ინათებს?!
მიმინოსავით ლექსს შევხარი
მზეს რომ ჩამოხევეს
და ხოხობივით მოაფეთებს
ცაზე ცხრათვალას,
ნანადირევი ხორცი უყვარს,
რა ვქნა ამ ოხერს,
ჯერ რიჟ-რაჟია და ეგ უკვე
სისხლით გამტყვრალა?!
ვერ ვეგუები ნაძალადეგ
ყურით სათრევ ლექსს,
უნდა ამოსთქვა თუ რამ გეთქმის,
გული ამოჰყვეს,
ცოდვაა კაცი რომ ცოდვილობს,

ღამეს ათენებს
და სტრიქონი რომ ამოჰყმუის,
კი არ ამოჰყმუფს.
შევარდენივით ლექსი მიყვარს,
ცერს რომ უზბიძგებ
და მერე თვითონ უკეთ იცის
როგორ ავარდეს,
ჯანი გავარდეს, აი დარდი,
ვინმე თუ მიწყენს,
ე, იმ დღეს მოგვკვდე
ჩემს ჭკვაზე რომ ვერ ვინავარდებ!

ტიციანის მონოლოგი

ვართ შავბნელ დროს მსხვერპლი ხარები,
უღელ დაუდგამ ლომა ქედებით,
მოგვდევს უდაბნოს ცხელი ქარები
და გაღელილი გვენვის მკერდები.
შუბლშენგრეულნი ბენვის ხიდის წინ,
ვდგევართ და გაღმა თუ გავგოგდებით,
„ჩვენ ძველი დაგვრჩა მაინც სინდისი
და სიყვარულით გულში მოვკვდებით“.

დევების ტორით შეძრულ ლურჯ ქედებს
ხელს თუ გადუხვამ რძისფერ ფაფარზე,
ვერაფერს ნახავ კაცი უკეთესს,
ვიდრე ამ ბებერ ციხე-დარბაზებს.
ფშაველ ყმასავით ვიზომავ ჩქარ-ჩქარ,
კალთა ჩაშლილს და ნაჭირვერანებს,
მჭლე ხევისურივით ნარბშეყრილ ჩაჩქანს
და მკერდმოღელილ ჯაჭვის პერანგებს.
ქისტეთს ბაგაზე გაბმულ ლურჯ ქედებს
გადმოვიდენი ფშავში ნავარდით,
დედას ვუტირებ მდევარს უკეთესს
მჯარდამშვენებულს შავი ნაბადით.
ერთს დამანევენ ასნი ბეჭისთავს,
გადავევლები დაღრღნილ ქარაფებს,
მკლავს გადავიქნევ როგორც შეჭრილ ფრთას
და არ ვიდარდებ მერმედ არაფერს.

ღობე-ღობე ბრონეულებს
შესეგია ნაპერწკლები
თავდაღმართში ჩაბმულ ურმებს
გზა ჩამოსდევს ნამენყრევი.
ღობე-ღობე ბრონეულებს,
გოგო მოსდევს ბრონეულა
იმე რავა მოხდენილა,
საკოცნელად მონეულა.
1970წ.

იმერეთი თვალებს ნაბავს
ქლიავისფრად იზინდება
ქალწულივით შესჩურჩულეს,
ლოცვა ზეცას სიმინდებმა.
ახლა ნამეტანი დათბა,
წვიმდა მარა იჭიატა,
ამინდები არ დაუდგა,
ხილი ხეზე მიჭიანდა.
იმერეთი თვალებს ნაბავს,
ბაციკუკუ მოსდევს სბორებს,
ალუბლები მოსდებია,
შუკა-შუკა ღობე-ყორეს.

გავხედე უფლის საბრძანისს
შვიდმნათობიან ნათელსო,
დამსხდარან ანგელოსები
რიგზე, ვის სადა მართებსო,
გადმოდის სულიწმიდაი
სანამყენო და სათესლო.
ვაი, რომ ფხიზლად ვერა ვართ,
ვგავართ დიდღამენათესო.
არც არა ძარღვი გვიტოკავს
გულისყურ დახშულ დათვებსო,
ნეტა რა მადლი ექნების
ჩვენგნით დანთებულ სანთელსო?
მოვალის, კარნი განვუხვნათ
მზეზარიმრეკველ მნათესო.

თორმეტი ჰყვანდა პაპაჩემს,
მე ერთი ვყვანდი დედასა,
მინა რომა მჭამს არ ვჩივი,
დარდი მჭამს, აი დედასა?
მარტოშვილი რომ არ ვარგა,
ხალხი რატო არ ხედამსა,
საფლავში ვწევარ, დარდი მკლავს,
რა ეშველება დედასა?

ყვავებს ნუ ერჩი ძმობილო,
ცა განითლდება—ბრალია,
აგრე უხდება სანუთროს,
როგორც ლამაზ ქალს ხალია,
უყვავოდ ე ჯოჯოხეთი
ნამდვილად დასანანია,
შახედე დამერწმუნები,
აცოცხლე-გაგინხარია.

ბულო!

ლაშა გახარიას

იყავ ლულაში გაჩრილი, როცა
 „ცამეტი ტყვია რევდა რევოლვერს,
 რას იზამ, თუ ვერ შეგისისხლხორცა,
 თუ შურის კლავდა სევდა “მეორეს”?
 მარადლტოლვილის ხარ დაკენტება,
 ნკიპზე შემდგარი ბედის ჩახმახით,
 უკვე არაფრის გადაკეთება
 არ შეიძლება, დროის ჩარხმა კი
 თავისით იცის საით იბრუნოს,
 ბრუნავს და მერე, — რა მონდომებით?..
 გულო, ძალღვივით ლექსზე მიბმულო,
 ნუ ყეფ სტრიქონთა გამოტოვებით!
 შენ მაინც იცი შენი პატრონის
 სევდაში გახსნილ ღიმილის ფასი,
 დონა ლირიკის პანტეკრატორი
 რა სათუთია და რარვიგ ნაზი.
 როგორ უყვარს და განიცდის სოფელს,
 თორმეტი სავეს, განმლტოლველს მისას,
 რას ვიზამთ, თუ კი დაბალი ღობე
 ჰგონიხარ ტკივილს და აღწევს მიზანს?
 უნდა გაუძლო ვით მეამბოხემ,
 ანდა ითმინო, როგორც იესომ,
 იმ თორმეტიდან, რადგან გამოხველ,
 არვინ სთქვას, — საწყალს აპატიესო!
 იყავ, გაჩრილი ლულაში როცა,
 მწარე სიცოცხლედ, ნუგბარ სიკვდილად,
 იგრძენი ღანვზე იუდას კოცნა
 და დილა აღარ ერქვა იმ დილას.
 უჟამოსავით გაგრძელდა ჟამი,
 მომკვდრისმზისფერო და მოჟალტამო,
 საკუთარ ხელით იხმეე შხამი,
 მკერდიდან გულის ამომშანთავო!
 მერე კი, მერე, ისე, უბრალოდ
 დაიძრა ნუთი, თორმეტს გამცდარი,
 როგორც სიცოცხლე შენგან უფალო,
 ხან შემღვრეული და ხან დამწბარი.
 და მიდის, მიდის, რას იზამ, ხვედრი
 შენი ყოფილა წინსწრება ჟამის?
 დროდადრო მაინც ნუ დაგვაყვედრი,
 რომ მოგდევთ, ნება მოიღე ამის!

მზეს საბუდრიდან ავიფრენ
 შავარდენივით შაირით,
 მოემთოვება სინათლედ
 მინას ზესკნელის ყვავილი,

ჩამაიჭლანავარდებს
 მთიდან ხარირმის ბლავილი,
 ნამს გავიბერტყამ მგლის დარად,
 ქარაფს ჩაუქად გავივლი,
 გულს მასწყურდება სილაღე,
 როგორც იარას ქავილი,
 ლაჟვარდებს წავეკიდები
 სიმღერით ნაირ-ნაირით.

ამ ცის მერე რომ ცა არი,
 იმ ცის მერეც ხომ ცა არი,
 მემრე ხომ კიდევ ცა არი,
 ბოლოს ხომ მეცხრე ცა არი,
 ნეტაი გამაგებინა,
 მეცხრე ცის იქით რა არი?

სამყარო ტანზე კაბად იზომავს,
 უსასრულობის მარადისობას.

ჰეი, კესანე, კესანე,
 მართლა რა შენი კვნესამე,
 თქვენ წყვილ კელაპტრად ანთიხართ,
 მე მარტო ვინვი მესამე,
 რატო ღმერთი არ გამიწყრა,
 პირველად რო მოგესალმე,
 სუ ერთხელ ჩამამლიღინე და
 თუ გინდა მოგკვდე დღესავე,
 მაგ კალთის სითბოს ვნატრულობ,
 ნიადაგ შენთვის მკვნესარე!?

საფერავისფრად დაღამდეს,
 შიგ ფიც-ვერცხლ ჩათლილ მთვარიითა,
 ზეცით დაგვნათოს უფალმა
 მიუნვდომელმა თვალითა,
 ნეტამც მზემ დაიგვიანოს
 შავცოდე ჩემი ბრალითა,
 გკოცნო და გკოცნო გულმკერდზე
 დამწვარმა შენი ალითა,
 ტკბილი ყოფილა სიცოცხლე,
 თავს ვერ მოვიკლავ ძალითა,
 დავდივარ გულგაგლეჯილი
 მაგ შენი ვარდის ნარითა.



რევან
 მიშველაძე

ს ა ვ ა ნ ა დ ო ა მ ბ ა ვ ი

(ნოველა აკაკი წერეთლის
 ცხოვრებიდან)

ცოლ-შვილს პეტერბურგში სწავლის დროს სტუდენტობიდანვე მოეკიდა. ნატალია ბაზილევსკაია რუსი არისტოკრატის ქალიშვილი გახლდათ, აკაკი ბრწყინვალე ქართველი თავადის როსტომ წერეთლის თვალის სინათლე ბიჭი.

შესახედავადაც ორივენი მოხდენილები იყვნენ და იფსკვნეს ჯვარი.

მთავარი მიზეზი მათი შეუღლებისა, რასაკვირველია, სიყვარული იყო, მაგრამ, ღმერთო შეგცოდდე, ცოტა როგორც პოლიტიკონომიის უნიჭო ლექტორი გვეტყოდა ხოლმე: „მატი-რიალურმა ნახალისებამაც“ წაუბიძგათ:

ჩრდილოეთის მშვენიერ ასულს რომ მაღალი, ხუჭუჭთმიანი ქართველი თავადი მოეწონა, იმ დროს მამა-პაპური სიმდიდრე მთელს რუსეთის იმპერიაში ასიდან სამს თუ ჰქონდა შერჩენილი.

ბაზილევსკების ფული უკვე გადაეწოვა პეტერბურგელი გილდ-ვაჭრების ქისას, ხოლო როსტომ წერეთელს (მკითხველს ჩემზე უკეთ მოეხსენება) თავისი ქონება უკვე კარგა ხნის წინ დაემღერებინა.

როცა ამური ზეობს, მოტრფიალენი კუჭზე არ ლაპარაკობენ, ხოლო აკაკიზე უკეთ ვინ იცოდა, რომ „სიყვარული ყველასათვის ვალია“ და იგი „განურჩევლად იმონებს, კაცია თუ ქალია.“

ისე ჩვენს შორის დარჩეს, გულის სიღრმეში ხანდახან გაჰკრავდა ხოლმე ფიქრი:

არისტოკრატკა გოგოა, პეტერბურგის მაღალ წრეებთან დაახლოვებული, შევირთავ. ჯერ ერთი, ნახევრადმშვიერი ქართველი სტუდენტები ცოტას ამოვისუნთქავთ და მერე იმპერიის დედაქალაქის ძნელად შესაღწევ სალონებთან დამაკავშირებსო.

ულამაზეს ნატაშასაც გამოუწია გულმა ზღაპრული კავკასიისკენ. როგორც აკაკი მეუბნება, წერეთლების გვარი ვავლენა-სიმდიდრით საქართველოს საუკეთესო გვართა სამეულში შედის, დაუფკავშირებ ბედს კავკასიას, ამ მზიან-ხილიან კურორტ ქვეყანაში ზაფხულობით ჩავალ და თითქმის გაკოტრებულ მამაჩემსაც ხელს შევაშველებო.

გავიდა თაფლობის თვეები და ახალყოფილთა თავებში სხვანაირი ფიქრი გაკრთა.

რა მეჩქარებოდაო, დაინუნუნებდა ხოლმე აკაკი მაშინაც კი, როცა მთელი საქართველო „უგვირგვინო მეფეს“ და „საქართველოს ბულბულს“ ეძახდა. ხოლო ნატალია ბაზილევსკაიას, როგორც კარგად აღზრდილი ქალის, წერილები აშკარა სინანულს ნაკლებად შეიცავს, მაგრამ ყველა წერილი თითქმის ერთნაირი შინაარსისაა-ლოლია უკვე დიღია და, როგორც გინდა, (თუნდაც ქვა გახეთქე) იმოკვე ფული და გამოგვიგზავნეო.

საქართველოს ბულბულს მთელი სიცოცხლის მანძილზე სიღარიბის ჭია ხრავდა და კვირაში სამი დღე თუ „თორნიკე ერისთავს“ წერდა, სამი დღე იმას ფიქრობდა, ფული რა გზით ეშოვა.

რედაქციები რომ ორ კაპიკს გადმოუგდებდნენ, სასტუმროს (ბინა სხვიტორის გარდა არსად ჰქონდა; არც ქუთაისში და არც თბილისში) და საჭმლის ფულად ძლივს ჰყოფნიდა.

თუ რამე გადარჩებოდა, ბანქოში აგებდა. მთელი სიცოცხლის მანძილზე ბანქოს თამაშობდა და არაფერი მოუგია, მაგრამ ჯიუ-

ტად არ ეშვებოდა.

ზაფხულობით მეუღლე და შვილი სხვიტორში ეწვეოდნენ. ნატალიას საქართველოში მუდმივად ცხოვრებას ვერ გააგონებდი.

პირველ ხანებში აკაკის აძალებდა პეტერბურგში გადმოსვლას, მაგრამ მგოსანი ერთსადიამავეს პასუხობდა: რა გავაკეთო ჩემი ქართული ლექსებით მანდო.

მერე დამერე მიხვდა ცოლი რომ აკაკის პეტერბურგისკენ ვერ გადაქაჩავდა და აღარც იყინებდა მაინცდამაინც.

ერთადერთი, რასაც არ იშლიდა, ფულის გაუთავებელი მოთხოვნა იყო. თანაც ზოგიერთ წერილში მოთხოვნაში აქაიქ მუქარაც გაერეოდა ხოლმე.

ზაფხულობით ჩამოდიოდა მეთქი, ნატალია სხვიტორში და, მართალია, წერეთელთა საგვარეულო სახლის აივანიდან მერჯევს და მოდინახეს საათობით შესცქეროდა, მაგრამ მწვანე სანახებს რომ თვალს მოაშორებდა, ახლომახლო არაფერი მოსწონდა. არც უშნო, მოუნყობელი სახლი, არც ქართული წინაკიანი კერძები და არც ხელნაწერს მიჭიჭინებულ ნვეროსანი ქმარი.

ერთადერთ მოსამსახურეს აიძულებდა ჩიხურადან ყოველდღე 15 კოკა წყალი მოეტანა და აგურის დიდი აბაზანა გაეცხო, რათა კნენას ყოველდღე მინერალურ წყალში (როგორც თვითონ ეძახდა) ებანავა. ჩიხურა კი საკმაოდ შორს იყო და საწყალი მოსამსახურე წელში წყდებოდა, სანამ ახირებულ ქალბატონს აბაზანას გაუესებდა.

ვერცერთი საქმე ბოლომდე ვერ მიგყავსო, დაიწყებ და შუაგზაზე მიატოვებო, ქართველი და ასეთი უნიათო არ გამიგიაო, ჩაულაპარაკებდა ხოლმე ბუზღუნა ცოლი და თავგაბეზრებული აკაკი დღეებს ითვლიდა, როდის გაისტუმრებდა ოჯახს პეტერბურგში.

ნატალია ბაზილევსკაიას ნათქვამში ცოტა სიმართლე ერია.

აკაკი წარმატებით სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, მაგრამ სწორედ მაშინ, დამამთავრებელ „ეგზამენებამდე“ რომ ხუთიოდე თვე იყო დარჩენილი, გიმნაზია მიატოვა და საჩხერეში დაბრუნდა.

რატომ ჰქენი ესო, რომ ჰკითხეს ახლობლებმა, სამხედრო სამსახურში მინდა შესვლა და ამ გამოცდებით რაზე გავინვალო თავი, გიმნაზიის დიპლომი აღარაფერში დამჭირდებაო, უპასუხა.

არა და დაჭირდა.

ერთი წლის შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრა. სამხედრო სამსახურში შესვლა არც უფიქრია, იქ ქართველ სტუდენტებს შეხვდა და უნივერსიტეტში შესვლა გადაწყვიტა.

უნივერსიტეტში გიმნაზიის დიპლომი

მოთხოვეს და რაკი არა ჰქონდა, თავისუფალ მსმენელად ჩარიცხეს.

აკაკიმ ოთხის ნაცვლად ორ წელიწადში გაიარა საუნივერსიტეტო კურსი — ყველა გამოცდა მაღალ ნიშანზე ჩააბარა და დეკანმა განუცხადა — ნადი, ჩააბარე რომელიმე გიმნაზიაში ექსტერნად გამოცდები, ცნობა მოგვიტანე და დიპლომს გამოგიწერთო. კარგი, ასე მოვიქცევიო, დაყაბულდა დეკანს აკაკი, მაგრამ არც ამჯერად შეასრულა სიტყვა. გიმნაზიის საგნები არ ჩააბარა და ამის გამო არც უნივერსიტეტის დიპლომი მიუღია.

იცოდა თუ არა ბაზილევსკაიამ, რომ აკაკი ორივე სასწავლებლიდან უდიპლომოდ გამოვიდა, ჩვენთვის უცნობია.

ვერცერთი საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეო, კნენა სხვა საქმეებზე მიანიშნებდა: ერთერთი „ბოლომდე მიუყვანელი საქმე“ ჭიათურის მარგანეცის საქმე იყო, მაგრამ ამ საქმის ჩავარდნაში აკაკი არ იყო დამნაშავე და ეს ნოველაც იმიტომ იწერება, რომ პოეტს თანამეცხედრის უსაფუძვლო ბრალდება ავაცილოთ.

ცხოვრებაში ორი რამის იმედი ჰქონდა — ბანქოში ფულის მოგების და მარგანეცის შავი ქვისა.

არცერთმა არ გაუმართლა.

მარგანეცის საქმე ასე იყო:

ბავშვობიდან ახსოვდა: ერთხელ მამამისმა სოფელ წირქვალიდან ხორბლის მომტანი დატუქსა: ხომ გითხარი, შე კაი კაცო, ქვაგუნდა არ შეაყოლო მეთქი. ეგ ხორბალი კაცს აღარ ეჭმევა, სხვა კოდში ჩაყარე ქათმებისთვისო.

ქვაგუნდა რა არიო, აკაკიმ იკითხა (მაშინ თორმეტი წლის იყო).

ქვაგუნდა, შვილო, შავი ქვაა, ჭიათურის სოფლებში ყველგან ჰყრია. თუ ხორბალს შეჰყვა, ფქვილს აშავებს და კუპრივით შავი პური ცხვებო.

მოგვიანებით პეტერბურგში სტუდენტობის დროს „სამეფო ჟურნალში“ პროფესორ აბიხის სტატია წაიკითხა: შავი ქვა ანუ მარგანეცი ძვირფასი მინერალია, ჯერჯერობით მხოლოდ გერმანიაში, რეინის პირას მოიპოვებენ. იქაც მაღანი უკვე იღევა და რა ეშველება მსოფლიოს უმარგანეცოდ არ ვიციო, წუხდა აბიხი. ეჭვი მაქვს, შავი ქვა საქართველოშიც უნდა იყოსო, დასძინდა.

აბიხის სტატიის წაკითხვისას სტუდენტს ქვაგუნდა გაახსენდა, მაგრამ ამაზე ფიქრი დიდხანს არ გაჰყოლია, მითუმეტეს, რომ არ იცოდა, ქვაგუნდა თუ მარგანეცი აღმოჩნდებოდა.

მერე, როცა საქართველოში დაბრუნდა, უსახსრობის გამო ქამარი არაერთხელ მო-

იჭირა და პეტერბურგიდან ნატალიას წერილებმაც იმატა (ჰე, რას შვრები ახლა; ცოლ-შვილს რომ მოეკიდე, რჩენა რომ უნდოდა არ იცოდით?!). მაძიებელ გონებაში კვლავ ამოუტივტივდა ჭიათურის შავი ქვა.

თბილისიდან გეოლოგი სვიმონოვიჩი ჩამოიყვანა.

სვიმონოვიჩმა ერთი თვე დაჰყო საჩხერე-ჭიათურაში.

აკაკი გვერდიდან არ მოშორებია. პირველ დღესვე ლუპით დახედა თუ არა, გეოლოგმა მაშინვე ახარა პოეტს: წყალი არ გაუვა, სწორედ მარგანეციაო.

დანარჩენ 29 დღეს სვიმონოვიჩი და მისი გულუხვი მასპინძელი დასეირნ-დაცხენაობდნენ ჭიათურის სოფლებში. აკაკის იმის გაგება სურდა, ბევრი იყო თუ არა მადანი. ბახუსის მოყვარულ სვიმონოვიჩს კი, ჩანს, გაუტკბა „ძველშავი“, „უსახელოური“, ნემოში გამომცხვარი ჭადი და კეცში შემწვარი ვარიები.

გაირკვა, რომ ჭიათურაში ლამის ულევნი მადანი იყო და ვინც მარგანეცის მოპოვებას დაიწყებდა, თვითონ ხომ გამილიონერდებოდა, ქვეყანასაც ააღორძინებდა.

საქმის დასაწყებად ფული იყო საჭირო.

აკაკის ყველაფერი ჰქონდა (ნიჭი, ჯანმრთელობა), ფულის გარდა.

ჩამოუარა იმერელ თავადებს.

დაიწყებდა თუ არა შავ-ქვავზე ლაპარაკს, მისი მოგვარენიც კი საექვოდ შეხედავდნენ, პირში არ ეუბნებოდნენ, მაგრამ ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ, ქირქილებდნენ: — „როსტომ წერეთლის ბიჭი შეშლილა, რაღაც შავ-ქვავზე აბოდეებს. ფული მთხოვა. ჯერ ერთი სადა მაქვს, კიდევ რომ მქონდეს, შავ — ქვავში რავა ჩავდებო. არა და გარეგნულად რა მშვენიერი ბიჭია, რატომ უნდა მოსვლოდა ეს ამბავიო“.

არ გეგონოთ, რომ რაც ახლა წაიკითხეთ, ნოველის ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. თვითონ აკაკი წერეთელი წერს:

„ნაცნობები და ნათესავები სამძიმარს ეუბნებოდნენ მამაჩემს. — ვაი, რა შვილი გადაგერია და რაღაც ეშმაკის გაჩენილ შავ-ქვას დასდევსო.“

იმერეთში რომ ვერა გააწყო რა, აკაკი თბილისში ჩამოვიდა. ამილახვარ-ორბელიან-მაღალაშვილები, რასაკვირველია, ზრდილობის გულისთვის ყურადღებით უსმენდნენ, მაგრამ ფულის ჩადებაზე რომ მიდგებოდა საქმე, ხელებს ასავსავებდნენ — იცოცხლე, ეგ კარგი საქმე იყოს, თავადიშვილო, მაგრამ ჩვენ ფული ვინ მოგვაშავა, ჩვენ მხოლოდ სახელი და დიდებალა შეგვრჩა. ფული თბილისში მხოლოდ სომეხ სოვდაგერებს აქვთ და იმათმძიმარ-

თეო.

მიჰმართა აკაკიმ სომეხ ვაჭარ შაბუროვს.

ფულის მეტი რა მაქვსო, სომეხმა, მაგრამ შავ-ქვავში რომ ფული გადავყარო, მარტო შენი არა, მეც გიჟად გამომაცხადებენო. უფრო ნაღდი რამე მოიფიქრე და მოდიო, კრიალოსანის მარცვლით აუწყა შაბუროვმა.

აქ არაფერი გამოდისო და დაჯდა წერად აკაკი.

აგზავნის საზღვარგარეთ წერილებს: ასე და ასეა საქმე. საქართველოში უამრავი მარგანეცია. ჩამოდით და თქვენც აშენდებით, მეც და ჩემი ლატაკი ხალხიცო.

ამასობაში თორმეტი წელი გავიდა.

გააფთრებული ბაზილევსკაია პეტერბურგიდან ფულს გაორკეცებული ენერგიით ითხოვს.

აკაკი გამდიდრების იმედს არ კარგავს.

„კიდევ ცოტაც მოითმინე, მარგანეცს თავს დავადგამ და შენ და ლოლიას ოქროს უზალთუნებით აგავსებთო“.

თორმეტი წლის განმავლობაში საზღვარგარეთიდან აკაკიმ თავისი ხარჯით (ნასესხები ფულით) რვა კამპანია ჩამოიყვანა. ევროპელები ბუტბუტით ათვალეიერებდნენ ჭიათურის მიუვალ სოფლებს („საცალფებო გზაც არსად იყოო“, — წერს აკაკი), მაგრამ საბოლოოდ უარს ამბობდნენ შავი-ქვის რენვაზე ორი მოტივით: ჯერ ერთი საურმე გზამდე მარგანეცის ჩამოტანა ოთუსბირი დაგვიჯდება და მეორეც; აქ, როგორც ვხედავთ, ველური ხალხი ცხოვრობს, „ადამიანს ისე სჭრიან თავს, როგორც ხახვსო“.

„აი, მაგ უკანასკნელზე კი ბოდიში მოიხადეთო,“ წყრებოდა აკაკი, ჩემი ხალხი უძველესი კულტურის მქონე ხალხია და უბატონოდ არავის მიმართავსო.

ერთი სიტყვით, ბოლოს პეტერბურგში (ისევ ჩვენი „მხსნელი“ პეტერბურგი) შინაგან საქმეთა მინისტრ მაკოვამდე მიალწია აკაკიმ და მაკოვმა შესთავაზა — შავი ქვა, როგორმე პეტერბურგამდე (რა პატარა მანძილია?!). ჩამომიტანე და საზღვარგარეთ მე გავგზავნიო.

პეტერბურგამდე კი არა, სამ ვერსზე ჭიათურის სოფელ წირქვალიდან საურმე გზამდე ვერ ჩამომაქვსო, ცრემლი მოერია აკაკის.

აბა, რა გიყო, გენაცვალე, მე წყალში მოდგაფუნე თევზის მუშტარი არ გახლავარო, მაკოვმა.

კიდევ კარგი, ხელშეკრულება არ გაფორმდა, თორემ აკაკის ვალებს ხუთი იმდენი დაემატებოდა. ერთ თვეში მაკოვმა თავი მოიკლა. რასაკვირველია, არა შავი ქვის მიზეზით.

ბოლოს მაინც გამოძებნა „განთიადის“ ავტორმა კომპანიონი - გვარად ოსტრიაკოვი.

ოსტრიაკოვს მთლად მილიონერი არ ეთ-

ქმოდა, მაგრამ შეძლებულ კაცზე მეტი იყო. შეთანხმდნენ; აკაკის ფოთში ოთხი თვის განმავლობაში ნახევარი მილიონი ფუთი მარგანეცი უნდა ჩაეტანა და ფოთიდან „პარახოლით“ (აკაკი სწერს ასე) ოსტრიაკოვი წაიღებდა. თითო ფუთ მარგანეცში აკაკი სამ აბაზს მიიღებდა, ხოლო, ვინც პირობას გატეხდა, უნდა გადაეხადა „შტრაფი“ (აკაკის ტერმინია) ასი ათასი ფრანკი.

დატრიალდა აკაკი. ჯერ ანდრონიკაშვილის ქვრივს, სალომე წერეთელს მიადგა; შენს ეზოში შავი ქვაა, უნდა გავიტანო და მიწა იჯარით მომეციო. გასამრჯელოდ წელიწადში 500 მანეთს მოგცემო. სიხარულისგან ცას ენია ქალბატონი სალომე. რად გინდა იჯარა, ჩემო აკაკი, ხუთას მანეთად მთელ ეზოს საკუთრებად მოგყიდო. იუარა აკაკიმ. შენ არ იცი, რა სიმდიდრეა შენს ეზოში, მე ვერ ვისარგებლებ შენი უმეცრებით, ამიტომაც იჯარით ვიღებ მიწას წელიწადში 500 მანეთადო.

ქვრივი გაკვირვებული და გახარებული დარჩა.

ფოთში „პარახოლი“ იცდის. აკაკის ნასესხები ფული ხელში უჭირავს, მაგრამ გზამდე შავი ქვის ჩამომტანი ვერ იშოვა.

ბოლოს ვილაც ღვთიან-მადლიანი ვაშაძე მოძებნა.

ვაშაძემ ასეთი პირობა დაუდო: სოფლიდან საურმე გზამდე თითო ფუთ შავ ქვას ზურგით ჩამოვიტან, (ოლონდ ღამით ვივლი, რადგანაც აზნაურობის მაძიებელი ვარ და მრცხვენიაო), საურმე გზიდან ცხენით შორაპანში ჩავიტან და იქედან მატარებელს დავუდებ ფოთში წასაღებადო.

აეწყო საქმე! აკაკის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ოთხი-ხუთი გზობა ჰქონდა ვაშაძეს გაკეთებული, მეტი არა, რომ გამთენიისას სხვიტორში მიადგა აკაკის.

თავადს სძინავსო, მოსამსახურემ. რა დროს ძილია, დანა პირს არ მიხსნის, როგორმე გააღვიძეთო, ვაშაძემ.

გაიგონა ეს ლაპარაკი აკაკიმ და აივანზე გადმოდგა თეთრნიფხავპერანგისამარა.

ბატონო, გზაზე გლეხები გადამიდგნენ. სად მიგაქვს ე შავი ქვაო. მე ვუთხარი, აკაკი წერეთლის შავი ქვაა, სალომე წერეთლის ეზოდან მომაქვს, იჯარით აქვს აღებული აკაკის მეთქი. აკაკი და სალომე არ ვიციტ ჩვენო. აკაკის ჩვენს ხარჯზე უნდა გამდიდრებაო, შემომიბღვირეს.

ჩვენ რა შუაში ვართო? აკაკიმ ამოიხვნეშა.

მეც ეგ ვუთხარიყე, თქვენ რა შუაში ხართ მეთქი, კაცი პატიოსნად იჯარის ფულს იხდის

და ფოთში თავის ხარჯით აგზავნის მარგანეცს მეთქი. კი მარაო, ე გზა (საცალფეხო ბილიკზე თქვეს) ხომ სოფლის არიო, ამ გზას რო თელავთ, ფული არ გვეკუთვნისო? შემომიბღვირეს. საერთოდ ეგ მარგანეციც ჩვენია, ხალხისაა, ყოველ ფუთზე თითო აბაზი მოგვეცთვარა, არ გაგატარებთო.

— რამდენიო? აკაკის გაეცინა, — რა ფული ეგულებათ ჩემთან. ვალებით ვარ გაძედილი.

მეც ეგ ვუთხარიყენ, კაცი ყელამდე ვალებშია მეთქი. ერთი სიტყვით წადი, შენს დამქირავებელს ფული გამოართვი და დაგვირიგე, თორემ ამ გზაზე უტვირთოდაც რომ შეგვხვდე, თავს გაგიტეხავთო. ის ქვა იქვე დამაგდებინეს, ერთი მაგარი პანლური ამომკრეს და გამომიშვეს. მე იქ ამსვლელი აღარა ვარ. იმ ოთხი გზობის (მეხუთეს არ ვთვლი, თუმცა ნახევარზე ჩამოტანილი მქონდა) რაც მეკუთვნის, გამისტუმრეთ და ღმერთმა ხელი მოგიმართოთო, ვაშაძემ.

რა ექნა, ჩაუთვალა პოეტმა აზნაურობის მაძიებელს ოთხი ფუთი მარგანეცის ჩამოტანის ხარჯი.

არა და დრო უღმერთოდ გარბის. ფოთში „პარახოლი“ იცდის და, თუ აკაკიმ მარგანეცი დროზე (ოთხ თვეში) არ ჩაიტანა, „შტრაფი“ ასი ათასი ფრანკი უნდა გადაიხადოს.

აწრიალდა. მიდგა-მოდგა სასონარკვეთილი პოეტი და ივანე მუხრანსკის შეუამხანაგდა.

ივანე მუხრანსკიმ სპარსეთიდან შვიდი აქლემი ჩამოიყვანა და აქლემკიდებული შავი ქვა საცალფეხო ბილიკებით ჭიათურამდე ჩამოჰქონდათ.

სამი დღის შემდეგ აბლავლებული დაბრუნდა მთავარი მეაქლემე. ქარავანში მხოლოდ ხუთი აქლემი ჩანდა.

დანარჩენები რა იქნენო, ერთდროულად იყვირეს აკაკი წერეთელმა და ივანე მუხრანსკიმ.

კლდეზე გადამიჩეხეს ორი აქლემი, ბატონო, ადგილობრივმა გლეხებმა და შემოგითვალეს, თუ ფულს არ მოგვიტანს, დანარჩენ აქლემებსაც იმ ორის გზას გავუყენებთო. იქნებ, თქვენ ახვიდეთ და მოურიგდეთ გლეხებსო, მექარავნემ.

ავიდა ცხენით აკაკი.

უძველესი კულტურის წარმომადგენლებმა აკაკის „თორნიკე ერისთავი“ და „განთიადი“ (განსაკუთრებით „განთიადი“) ფეხებზე დაიკიდეს. თვით აკაკის მოვუსმინოთ: „მორიგებაზე რომ მიდგა საქმე, იმდენი მოითხოვეს, რომ სიზმრადაც არ მინახავს იმდენი ფული“.

დაბრუნდა სხვიტორში გულჯავრიანი აკაკი წერეთელი.

სამუდამოდ დასწყევლა შავი ქვა და თავის უიღბლო „მრენველობასაც“ გამოეთხოვა.

ცოლი რომ წერდა: ქვა გახეთქე და ფული იშოვეო; ქვა გახეთქა, მაგრამ გახეთქილი შავი ქვა ფოთამდე ვეღარ ჩამოიტანა.

სიბრაზისგან ენაგამშრალი ივანე მუხრანსკი თავის გზაზე წავიდა.

აქლემები? ნახევარ ფასში მიყიდეს ვიღაც ყაზანელ უზბეკს.

ისევ ფოთს მივუბრუნდეთ.

ქოში უკულმა ჰყარა ოსტრიაკოვმა, ოთხი თვის მერე ცარიელი „პარახოდი“ რომ ტივტივებდა ფოთის პორტში.

სასამართლომ გაითვალისწინა აკაკის, როგორც საზოგადო მოღვაწის, პოპულარობა, მისი გამოუცდელი მრენველ-კაპიტალისტის ამპლუაში, თანაც აკაკის ადვოკატმა უამრავი საბუთი მოიტანა ჭიათურელი გლეხების თვითნებობის დასამტკიცებლად და აკაკი წერეთელი, რასაკვირველია, „შტრაფისგან“ მთლად არ გაათავისუფლა, მაგრამ ასი ათასი ფრანკი ხუთი ათას ფრანკზე ჩამოუყვანა.

ეს კი პატარა საქმე როდი იყო (აშენდა იმ მოსამართლის ოჯახი, თორემ აკაკის მამაბაბუელი სახლიც ვალში გაიყიდებოდა და ჩვენ დღეს, აკაკის მაღლიერ შთამომავლობას, სხვიტორში დიდი პოეტის სახლ-მუზეუმი არ გვექნებოდა).

ისიც უნდა დავძინო, რომ განაჩენის თანახმად, ის ხუთი ათასი ფრანკიც აკაკი წერეთელს ერთბაშად კი არ უნდა გადაეხადა, არამედ — ნაწილ-ნაწილად ლექსებსა და პოემებში (განსაკუთრებით პოემებში) აღებული ჰონორარის კვალობაზე.

ამბობენ, ოსტრიაკოვი ორი წელი ელოდაო აკაკის ჰონორარის პროცენტებს, მაგრამ რაკი ორ წელიწადში კაპიკიც ვერ მიიღო, იმ ხუთი ათას ფრანკზეც ხელი ჩაიქნია.

ასე უიღბლოდ დამთავრდა აკაკისთვის მარგანეცის საქმე.

თხის პატრონს (მარგანეცის პირველ აღმომჩენს), რომ იტყვიან, თხის კუდიც არ ერგო.

საქართველოს „უგვირგვინო მეფემ“ პირადი ცხოვრება ვერა და ვერ აიწყო.

სულ დავიდარაბაში იყო, თავი რომ გაეტანა.

ხომ უზარმაზარი საქვეყნო ტვირთი ჰქონდა ზურგზე მოკიდებული; ხომ ქვეყანას პატრონობდა. ამისთვის ხან აპატიმრებდნენ („ხუმარას“ რედაქტორობისთვის მეტეხის

ციხეში ჩასვეს), ხან სამართალში აძლევდნენ („ინტერნაციონალის“ თარგმნისთვის)...

ამის პარალელურად სამოქალაქო საქმეებზეც ხშირად ჩანდა სამართლის კარზე.

სისხლს უშრობდა თავის მეგობარ მოსამართლეს — ანაპოდისტე მარჩბელს ახალახალი საჩივრებით.

თუმცა, თითქოს მოჯადოებულ წრეში ტრიალებსო, ანაპოდისტემ ვერცერთი საქმე ვერ მოაგებინა.

ქართველი ერი? საზოგადოება?

საზოგადოება როდის იყო მისთვის თავგადაკლულ მოღვაწეზე რომ წუხდა.

საქართველო აკაკის ხედავდა ქუჩაში ამაყად, გამართულად მიმავალს, ხედავდა ლექსის თქმის დროს, ან სუფრაზე ყანწით ხელში (სხვათაშორის არ სვამდა და არც თუთუნს ეწეოდა) და ეგონა, ასე ლაღად, ლამაზად მიედინებოდა აკაკის ცხოვრება.

ამას რა უჭირს, გენაცვალე, ჩვენ ვიკითხოთო, იტყოდნენ მოქალაქენი და ჩაუვლიდნენ.

ჩვენ დედამიწაზე ყველაზე კარგად რაც გამოგვდის, ესაა იუბილის გადახდა და მკვდრის დატირება.

1908 წელს თბილისში ზღაპრული იუბილე გაუმართეს.

ღირსეულად დააფასეს საქართველოს ბულბული.

საგანიდან ის აკვანიც კი ჩამოუტანეს, რომელშიც ძიძამ გაზარდა.

ფრაკში გამოწყობილ ბულბულ-კონფერანსიეს (გვარს არ დავასახელებ) „მშვენიერად მიჰყავდა“ საიუბილეო საღამო.

ოპერის თეატრი პოეტის თაყვანისმცემლებს ვერ იტევდა.

კულისებში ვაჟა-ფშაველა გამოჩნდა.

კონფერანსიეს მხარზე ხელი დაადო — აკაკის ლექსი უნდა ვუძღვნა, მე ვაჟა-ფშაველა ვარო.

გიცნობთ, ბატონო ვაჟაო, კონფერანსიემ.

ერთი კი მრავალმნიშვნელოვნად ახედ-დახედა მთის არწივის გამოხუნებულ ჩოხას და ხანჯალსაც შეავლო თვალი.

შებრუნებისას ვაჟამ ერთხელ კიდევ შეაჩერა: — მე ქვემოთ ვიქნები, კარებთან, დარბაზიდან ვეტყვი, ასე უფრო ეფექტური იქნებაო.

ბატონი ბრძანდებო, წამყვანმა.

ვინ არ დაასახელა, ვინ არ გამოიყვანა თმაგადაგლეხილმა მერცხალფრაკა კონფერანსიემ, ვაჟა ავინყდება.

პოეტი დგას და თავის რიგს ელის.

იუბილე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ვაჟა-ფშაველა გამოუცხადებლად, „ვეფხვივით, გამოსხლტა სცენაზე“ (ზუსტად ასე იგონებს ბაბილინა ხოსიტაშვილი) და აკაკი

წერეთელს ლექსი სტყორცნა.

იყო სხვა კურიოზიც:

დიდებული ბანკეტი გაუმართეს აკაკი წერეთელს.

ენაწყლიანი თამადა, საყოველთაო სიყვარულის გამოცხადება, ხვევნა-კოცნა...

დამთავრდა ბანკეტი.

მონადიმენიც, საიუბილეო კომისიის წევრებიც მიმოიფანტნენ და აკაკი მარტო დარჩა.

ეტლითაც კი არ გაისტუმრეს შინ გენიალური იუბილარი.

გამოვიდა გალავინსკზე, ცოტა ხანს ფეხით იარა და მერე ეტლს უხმო. სასახლის ქუჩაზე დათიკო სარაჯიშვილთან მიმიყვანეო, მეეტლეს უბრძანა.

მეეტლემ აღვირები აიქნია და ცხენები პაკაპუკით გაუყვინ გალავინსკს ერევის მოედნისკენ.

პოლიციამ ოპერასთან გზა გადაკეტა. სამი საათი უსაქმოდ ვიდექო, მეეტლემ.

ერთი მითხარით, ბატონო, რა ხდებოდა, ვინ ჩამოვიდა პეტერბურგიდან, რას დღესასწაულობენ, ვისთვის შეიკრიბა ამდენი ხალხიო.

აკაკიმ შუბლზე ხელაბანდი გადაისვა, გაიღიმა და თვალმოჭუტვით მიუგო მეეტლეს:

ვისთვის და ჩემთვისო.

მეეტლემ სიცილი ვერ შეიკავა.

არა, მე მართლა გეკითხებითო.

სიყრმეს გეფიცები, მართლა ჩემს დაბადებას ზეიმობდნენო.

მეეტლე ჩაბჟირდა.

— რა მასხარა ყოფილხართ, ბატონო — სული რომ მოითქვა, უცნაურ მუშტარს ერთხელ კიდევ გამოხედა და ცხენებს შეუძახა.

მოგვიანებით ქუთაისში გადაუხადეს იუბილე.

ბეჟან წერეთლის სახლიდან გამოდის თეთრწვერა ბიბლიური გარეგნობის პოეტი. თეთრი ყვავილებით სავსე, თეთრცხენებიან ეტლში ჯდება. კოფოზე თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მეეტლე ზის - გვარად მელია.

ქუთაისის თეატრამდე ორასიოდე მეტრში ეტლს ახალგაზრდები შემოეხვივნენ და ცხენების გამოსხნა დაიწყეს.

რას შვრებითო, განყრა მელია.

ეტლში ჩვენ უნდა შევებათ და ასე მივიყვანოთ საყვარელი პოეტი თეატრამდეო.

არა, ბატონო, ამაზე არ მოვლავარაკებულვართ. მგოსანს რომ რამე მოუვიდეს, ვინ აგებს პასუხსო, მელიამ.

ვინ მოუსმინა.

პოეტისადმი უბრალო ხალხის თაყვანისცემას ხომ საზღვარი არა აქვს.

შეებნენ და დაძრეს ეტლი ბიჭებმა.

აკაკიმ ფერი დაკარგა. თავის ნათლულს

უხმო:

„ამ საფეხურზე დადექი, ვინიცობაა ეტლი გადაბრუნდეს, ხელი მტაცეო. საშინელი მშინშარა იყო აკაკი. თეთრი ხიდი უნდა გაეგლოთ და ეშინოდა, რიონში არ გადამჩეხონო. ნათლული ძალიან ღონიერი ყმანვილი იყო და იმის იმედი ჰქონდა, გზაში თურმე სულ „მამაო ჩვენოს“ ლოცულობდა — იგონებს ნიცა ბაგრატიონი-წერეთელი.

მიდიოდა უცნაური ეტლი ქუთაისის ბულვარისკენ.

მიჰყვებოდა უკან ორცხენშუა ჩამდგარი მეეტლე, იქეთ-აქეთ ლაგამით ეჭირა მეეტლეზე უფრო გაოცებული, ლამაზთვალეობა, თეთრი ცხენები.

ეტლში შებმული ყმანვილები მღეროდნენ და თეთრ ხიდზე ისე ხალისიანად ბრაციბრუცობდნენ, რომ, მართლაც, შეიძლებოდა ნამეტანი სიყვარულით ხიდიდან გადავარდნოდათ ერისთვის დამაშვრალი პოეტი.

გრანდიოზული იუბილე რომ დამთავრდა (რასაც სამასკაციანი სათავადაზნაურო ბანკეტი მოჰყვა რიონისპირას, სოლომონ მეფის სასახლეში), დაღლილი აკაკი ისევ ბეჟან წერეთლისას მიიყვანეს.

იქ იყო ჩამომხტარი.

აკაკი საძინებელში განმარტოვდა, დავილაღე, ცოტა თვალს მოვატყუებო.

მასპინძლები (მათ შორის ივანე იოსელიანიც იყო) სასტუმრო ოთახში დარჩნენ.

უცებ კიბე ამოირბინა ჩოხოსანმა, შუახნის კაცმა:

ბატონ აკაკისთან სასწრაფო საქმე მაქვს, უნდა ვნახოო.

ივანე იოსელიანმა უარი უთხრა; დაღლილია, ისვენებსო.

ერთი წუთით შემიშვით, სასიხარულო რამ უნდა ვაცნობოო, უცნობმა.

შემოუშვითო, აკაკიმ დაიძახა.

შეუშვეს.

მართლაც, ხუთიოდე წუთში გამოვიდა სტუმარი, მასპინძლებს მადლობა დაუგლო და კიბე ჩაირბინა.

დაეჭვებული მასპინძლები საძინებელში შევიდნენ.

აკაკი გაფითრებული დგას შუა ოთახში.

— ხედავთ, რა ჩაიძინა ამ საძაგელმა? ახლავე ფული თორემ გაგათავებო, ხანჯალზე ხელი წაივლო.

— მერე, ბატონო?

სიბრაზისგან პირი გაგვიშრა.

— რა მექნა, უხმოდ ამოვიღე უკანასკნელი ხუთი თუმანი და მივართვი.

მოხუცი პოეტი სულს ძლივს ითქვამდა.

(ივანე იოსელიანის მოგონებიდან).

არ უნდა ლაპარაკი, ძალიან უყვარს ხალხს თავისი პოეტი, თავისი კეთილი მრჩეველი,

ცოთი

თავისი გულის მესაიდუმლე.

მაგრამ რაღა თავისი იუბილე ჩაამწარეს, რაღა იუბილის დღეს გაძარცვეს? უცნაური ერი ვართ ქართველები. ზომა არ ვიცით არაფერში.

* * *

აკაკი წერეთელს ორჯერ დაეცა დამბლა — 1905 წელს და 1915 წელს.

პირველი სისხლისჩაქცევისგან პოეტი განიკურნა პარიზში. ვერ დავუკარგავ; ნატალიამ და ლოლიამ უპატრონეს. პარიზიდან თავის მეგობარს კოტე აბდუშელიშვილს წერდა: — ოჯახმა ექიმები დამახვია, მაგრამ რაღა დროს ჩემი მკურნალობაა, ამ სიშორეზე არ უნდა წამოვსულიყავიო.

მეორედ, 1914 წლის შემოდგომაზე შეუძლოდ იგრძნო თავი და ცოლ-შვილს შეუთვალა, ჩამოდიოთ.

თბილისში ბინა დავიქირავოთ და ეს ზამთარი მაინც გავატაროთ ერთადო, ნატალიამ.

იქ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გვეყოლებიო.

სწორედ თბილისში, ოჯახურ გარემოში ყოფნამ მოუღო ბოლო.

ცოლთან შელაპარაკება მოსვლია და, როგორც ივანე იოსელიანი იგონებს, პუშკინის ქუჩაზე „გრანდოტელში“ გადასულა. ძლივს მიუგნიათ. ცივ ოთახში ტანგაუხდელი იწვა ავადმყოფი.

საჩხერეში წამიყვანეთო, ტუჩების ცმაცუნით გაუგებინებია ახლობლებისთვის.

ჩამოუყვანიათ სხვიტორში, ცოტა გამოკეთებულა, მაგრამ ერთ თვეში ისევ ჩაქცევია სისხლი.

დამბლა ვერაგი ავადმყოფობაა.

1915 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა აკაკი, 75 წლისა.

მადლიერი საზოგადოების მიერ დიდი მოღვაწის დაფასების კიდევ ერთი მაგალითი გამახსენდა. შემეძლო სადმე ზევით ჩამემატებინა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, აქვე მივანერ:

სიბერეში აკაკი წერეთელს ქუთაისის ბანკმა პენსია დაუნიშნა, მაგრამ როგორც შენ არ მიგიღია იმ პენსიიდან ერთი კაპიკი, მკითხველო, ისე — არც აკაკის.

სამი წლის განმავლობაში ცოტა წერილი როდი აფრინა ბანკის მესვეურებთან: თქვე კაი ხალხო, გაზეთებში რომ სულ მადლობა მაძახებინეთ, ან მომეცით პენსია, ან მომიხსენითო.

ბანკი დუმით პასუხობდა.

არც სამი წლის მერე მოეშვებოდა პოეტი ბანკს, მაგრამ სიკვდილმა შეუშალა ხელი.

15.05.2006 წელი

ერთ დროს ცირკი დიდ პატივში გახლდათ. პარტიის მიერ ნასროლ ლოზუნგს — „არც ერთი ქალაქი ცირკის გარეშე“ ხალხი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა.

მოსკოვის აკადემიური ცირკი ზაფხულობით თხუთმეტ კოლექტივად იყოფოდა და გასტროლებს მართავდა თხუთმეტივე მოძმე რესპუბლიკაში.

ბალაგანურ პრინციპზე ცირკის გადასვლამ, რასაკვირველია, სპექტაკლების მხატვრული დონე დასწია, მაგრამ ამ გზით სახელმწიფო საზინაც წარმატებით ივსებოდა და, რა დასამალია, ცირკის ხელმძღვანელობამაც გვარიანად მოითხო ხელი.

განსაკუთრებით ახარებდათ ცირკის მსახიობებს იმ ჯგუფში მოხვედრა, რომელსაც საქართველოში უნდა ევასტროლა.

სპექტაკლები ასეთი განრიგით ტარდებოდა: ორი კვირა თბილისში, ორი კვირა ქუთაისში, ათი დღე ზუგდიდში, ათი დღე ბათუმში, ათიც სოხუმში.

დროის ამგვარ განაწილებაში აუხსნელი მხოლოდ ცირკის ზუგდიდში ჩასვლა იყო. ზუგდიდზე უფრო დიდი ქალაქი, თელავის გარდა, სხვაც არაერთი გახლავთ საქართველოში, მაგრამ იმხანად ცირკის დირექტორის მოადგილედ ზუგდიდელი შონია მუშაობდა და არავისთვის საწყენად არ უნდა დარჩენილიყო, რომ შონია თავის მშობლიურ ქალაქს საგასტროლო ბადეში ჩასმით სხვა ქალაქებზე მეტ პატივს მიაგებდა.

ქუთაისში ცირკი თხუთმეტ ივლისს ჩამოვიდა. სტუმრები ქალაქკომის მდივანმა ნარსიამ მიიღო. განახლებული პროგრამის (როგორც ამბობდნენ) მესვეურთაგან ნარსია მხოლოდ ლომების მომთვინიერებელს — სწორუპოვარ ბუგრიმოვას იცნობდა. დანარჩენები პირველად ნახა.

ხელისუფალმა ხელქვეითებს დაავალა ყოვლის ღონისძიებით შეეწყობ ხელი მოსკოველთათვის. ხელქვეითებს ამის შეხსენება არც სჭირდებოდათ. მთელი ქალაქი ფეხზე იდგა.

ხვალიდან სხვა სულდგმაცოფა იწყებოდა. ის ორი კვირა ქუთაისი ცირკით იცხოვრებდა.

ასანყოფი შენობა — კარავი ვაკისუბნის ბაზრის წინ, მოედანზე, გაშალეს და ალუმიონის კარებზე გაკრული ხელით დანერილი განცხადება გააკრეს: „სასწრაფოდ გვესაჭიროება ლომების მომვლელ-დარაჯი (ლამის ცვლა)“.

ახლა თავზე საყრელი სამუშაო ადგილე-

ბი, თორემ იმ წლებში ქუთაისში სამსახურის შოვნა იოლი როდი იყო. ცირკს დროებით უმუშევართა (მაშინ ასე ეძახდნენ) დიდი ჯგუფი უვლიდა გარს, მაგრამ განცხადებას რომ წაიკითხავდნენ, კარს ცივწყალგადასხმულივით შორდებოდნენ, ჩანს, ლომებთან ურთიერთობა მაინცდამაინც არ იზიდავდათ.

სალამომდე მაინც გამოჩნდა მსურველი. ეს გახლდათ ორმოციოდე წლის, ცალხელა ტიტე ნევაძე.

მაღალი, თაფლისფერთვალემა, შესამჩნევად შემელოტებული სატყეოტექნიკუმ-დამთავრებული ტიტეკო, რომელსაც მარცხენა ხელი ბავშვობაში თევზაობის დროს ლალუმმა წააგლიჯა, ნატექნიკუმარზე ერთხანს სალორიის ტყეში ეგერად მუშაობდა, მაგრამ მუხის მასალის გაყიდვის გახმაურებულ საქმეში გაახვიეს და ცხრა კაცთან ერთად გაასამართლეს.

შვიდი წელი იჯდა. ორი წლის წინ გაათავისუფლეს, მაგრამ სამსახური ვერ იშოვა და რცხვენოდა გამხელა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მეუღლის კმაყოფაზე იყო. ქალბატონი შურა სამკერვალო ფაბრიკაში წუნმდებლად მუშაობდა და გაჭირვებით, მაგრამ მაინც არჩენდა თავის ექვსსულიან ოჯახს (ტიტე, ტიტეს სიდედრი, სამი შვილი — 1 გოგო, 2 ბიჭი).

ბოლოსდაბოლოს, საშიში რომ იყოს, თვითონ ბუგრიმოვა ხომ არ წავიდოდა სარისკო საქმეზეო, თანაც ლომები გისოსებიანი მანქანიდან რომ ჩამოჰყავდათ, იმ დროს შეესწრო ტიტე და მოეჩვენა, რომ ცხოველთა მეფენი მოსალოდნელზე უფრო მშვიდად და ზანტად მიაბიჯებდნენ.

ნევაძეს კონტრაქტზე ხელი მოაწერინეს და აუხსნეს, ლომები გალიაში იქნებიან, შენი მოვალეობაა, ღამე უდარაჯო. ორჯერ — საღამოს ცხრა საათზე და დილის ექვს საათზე დაკეპილ ხორცს და წყალს შეუდგამ და დროდადრო გალიას მოხრილთავიანი ცოცხროთქით გამოასუფთავებო.

პირველ ღამესვე შეეჩვივნენ ლომები მომკვლელ — დარაჯს.

ინვნენ და ამოქნარებდნენ, ან წინა თათებზე უზარმაზარი თავები ედოთ და ეძინათ.

საჭმლის მიწოდების დროს გამოცოცხლებოდნენ. ვერ ვიტყვი, რომ დიდ მადას ამულავნებდნენ. მაგრამ მაინც განიწკნიდნენ თავთავიან ულუფას და ისევ ძილს მისცემდნენ თავს. შვიდიდან სამი ძუ ლომი იყო, ოთხი — ხვადი. ისე დამყოლნი და უნიათონი ჩანდნენ ლომები, რომ იფიქრებდით, ნებისმიერ კაცს გაჰყვებიან ქუჩაშიო.

ემპაკს არ სძინავსო, მანდ ვინმე უბედურნახევარმა ლომი არ მომპაროსო, ტიტე ნევა-

ძემ, შინიდან თავისი ძაღლი, შავდრუნჩა ბათურა მოიყვანა და გალიასთან დააბა. შეშინდა ბათურა ლომის დანახვაზე.

კუდი ამოიკეცა და წკმუტუნით გამობრუნდა, მაგრამ რაკილა დარწმუნდა, რომ ლომები ბუზადაც არ თვლიდნენ, შეთამამდა, წამოწვა და კუდის ბათქუნს მოჰყვა.

შიში, რასაკვირველია, არ განელეგია. ლომი რომ წამოდგებოდა, ბათურა უკან იხევდა და თვალს არ აშორებდა, ე მანდ რამე არ ეწყინოს და არ დავიღუპოო.

ამ სურათის შემყურე ცირკის ადმინისტრაცია ხომ სიცილით კვდებოდა და მეორე დღესვე მთელმა ქუთაისმა იცოდა, რომ ტიტე ნევაძემ ლომებს დარაჯად თავისი ძაღლი — ბათურა დაუბა.

რათ უნდა, შე კვდარძაღლო, ლომს ძაღლის ყარაულობა, ვინ მიეკარება მოსაპარავადო, აქილიკებდნენ ტიტეკოს, მაგრამ არც ტიტეკო რჩებოდა ვალში:

ჯერ ერთი, შენ რომ „ტარზანში“ გინახავს, ეგენი ის ლომები არ არიან და მეორეც, ქუთაისში რომ არ იზამენ, იმნაირი საქმე არ არსებობს და, რა ღირს, თუ იცი, ერთი ლომი? რო დაიკარგოს, სახლს გამაყიდინებენო.

ნევაძემ და ბათურამ თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულეს. ორკვირიანმა გასტროლებმა ისე ჩაიგრიალა, რომ ლომებს კლანჭი არ წამოსტკენიათ და, მითუმეტეს, მოპარვითაც არავის მოუპარავს.

ბოლო დღეს მოხდა ერთი უცნაური შემთხვევა, რომელსაც ამ ნოველის სიუჟეტის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივაფუჩჩებ.

შვიდეულს ერთი ბებერი ლომი ერია, პეტრა ერქვა. პეტრას, რომ იტყვიან, თავისი წუთისოფელი მოეჭამა (ლომებთან დაკავშირებით ამ მეტაფორას განსაკუთრებული ჟღერადობა აქვს) და სიცოცხლის ის ჟამი დადგომოდა, როცა აღარაფერი გახარებს და, თუ ძალიან არ დაგანამუსეს, წელის წამოწვაც აღარ გინდა.

რეპეტიცია — წარმოდგენაზე ბუგრიმოვა სულ „პეტრას“ გაჰყვიროდა: „აბა პეტრა, ნუ ზარმაცობ, პეტრა, პეტრა! შენ ხომ ჩემი ჭკვიანი, ბებერი პეტრა ხარ. აბა, ჰე! არ გამოგვივიდა... კიდევ ერთხელ ვცადოთ, ჰოოპლა... არა უშავს, დღეს ხასიათზე ვერა ხარ, ნადი შენს ადგილას!“

ვერ შევლოდა პეტრას ვერც ხვეწნა, ვერც შეგულიანება, ვერც ცხვირთან სამმეტრიანი მათრახის ტკაცუნა.

დროთა მდინარებაში უფროდაუფრო ვეღარ ახერხებდა რგოლში გახტომას.

იჯდა ფანერისგან შეჭდილ მრგვალ სკამ-

ზე და ამოქნარებდა.

სხვა ლომები შეუღრენდნენ შიგადაშიგ: „რატომ გვარცხვენ, კეთილი ინებე და გადახტო.“

განა არ უნდოდა პეტრას რგოლში გახტომა.

მეტს რას აკეთებდა მთელი სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ ღმერთი, რჯული, აღარ შეეძლო, ჯანი აღარ მოსდევდა, მუხლები აღარ ემორჩილებოდა.

გალიაში რომ დაბრუნდებოდა, ისე იყო არაქათგამოცლილი, რომ ქამის თავიც აღარ ჰქონდა.

წყალს ამოჰკრავდა ვეებერთელა ენას და პირქვედამხობილს ეძინა. ან იქნებ ძილურანში იყო? ლომს რას გაუგებ.

თანდათან, დღითიდღე ღრუბლებისგან შეკერილს ემსგავსებოდა.

თავ-ფაფარიდა შერჩენოდა ლომური. მოჩვარული კუნთები საბერველივით ეკიდა.

ლომებს კაცივით ეტყობათ თურმე სიბერე.

კუდზე და თავპირზე ქვიშისფერ ჯაგარში თეთრი მოჭარბებოდა, მტკაველზე უფრო გრძელი უღვაშები შეთხელებოდა; ზოგი გასცვენოდა, ზოგი გადატეხილიყო.

არ გეგონოთ, თითქოს, პეტრას ვინმეს ვაცოდებდე. ლომური იერი მას, რა თქმა უნდა, შერჩენოდა. მზვავობრივ-მედიდური მიხვრამოხვრაც ძველებურად ეტყობოდა, თუმცა, თანდათან ლომის ფიტულს უფრო ჰგავდა ვიდრე ცოცხალ ლომს, კვლავინდებურად ინვევდა მნახველთა თვალში, შოთა ნიშნინიძის თქმისა არ იყოს, „შიშს, ალტაცებას და მოწინებას!“

იმ დღით დიდი ფუსფუსი იყო ცირკში. ტიტეს ვინ რას ეტყოდა, მაგრამ ჯერ ბუგრიმოვა შევიდა დირექტორის მოადგილესთან, მერე ადმინისტრატორი და მთავარი ბულალტერი იხმეს. მერე ყველანი ერთად დირექტორთან შემწკრივდნენ და, როგორც მდივანი გოგონა ამბობდა, მოსკოვში რამდენჯერმე დარეკეს. ერთ საათში გამოვიდნენ და გალიასთან დაჯარდნენ.

კარგა ხანს ათვალეირებდნენ მხეცებს (თუ შეიძლება გალიის ლომებს მხეცები ვუნოდოთ), მერე წავიდნენ, ისევ კაბინეტში შეიკეტნენ. ... და ნასადილევს, ასე ოთხ საათზე, ცირკთან მილიციის შავი მანქანა მოგრიალდა. ბუგრიმოვა გალიაში შევიდა, პეტრას ყელსაბამზე ვერცხლისფერი მძიმე ჯაჭვი შეაბა და გამოიყვანა. ლომი მორჩილად მიჰყვებოდა პატრონს.

— იმანო, სად მიყავთ, ხვარ იცი? — ჰკითხა ტიტემ ცირკის მომმარაგებელს, პორთველიან-ბერეტიან ებრაელს.

— არ იცი, სად წაიყვანენ? რაც ვართ ადამიანები საერთოდ იმას ვშობით ახლაც, დაგენაცვლე, რას მეელი სხვას? ხარი რო იყოს, დაკლავდნენ და ბაზარს ჩააბარებდნენ. ამას მოკლავენ საღანცა და, თუ ჩამარხვა არ დეეზარათ მინაში, ხო კაი, თვარა მიუგდებენ ძალებს და ეს იქნება სუულ!

ტიტეს ცივმა ოფლმა დაასხა.

— რას ჰქვია, მოკლავენ ამხელა ლომს.

— ლომი რა არი, დაგენაცვლე, სპილოს არ მოკლავენ ეგენი, თუ დაბერდა და ზედმეტი ბარგი გახდა?

შვიდი ლომიდან ყველაზე ახლოს პეტრასთან იყო ტიტე ნევადე. თუმცა პირველ დღესვე გააფრთხილეს, ხელი არ ახლო ლომებსო, მაგრამ ვერ მოითმინა და პირველს პეტრას დაუსვა ბებერ ქედზე ხელი. ხორციან გობსაც პეტრას პირველს დაუდგამდა ხოლმე, რაზეც პირუტყვი ყოველთვის მადლიერი მზერით პასუხობდა.

რიონისპირას, იქ, სადაც ქალაქი თავდება და ლითოფონის ქარხნის შემორაგვეულ ნარჩინთა რუხმწვანე ტბაა, შლამიან ნაპირზე ძენწას მიაბეს პეტრა.

ბუგრიმოვა მანქანაში ჩახტა და წავიდა.

ტიტემ შენიშნა, ლომების გრძნეულ მომთვინიერებელს, მანქანისკენ რომ გარბოდა, თვალბეზე ცრემლი უბრწყინავდა.

სანაპიროსთან ხალხი შეიკრიბა. ზოგი ხიდიდან უცქეროდა სეირს. მალე მოტოციკლეტი მოგრიალდა. „კალათიდან“ შავსერთუკიანი. აკეესშემართული ახალგაზრდა მილიციელი ამოხტა. ლომთან ათიოდე ნაბიჯზე გაჩერდა და ავტომატი გააჩხაკუნა თუ არა, გულისგამგლეჯი ყვირილი გაისმა:

— არ ესროლო!

ტიტე ორი ნახტომით ძენწასთან გაჩნდა და ლომს აეფარა.

მილიციელმა ავტომატი დაუშვა.

მერე კარგა ხანს ერთვოდა რიონის შრიალს აღელვებულ მოქალაქეთა კამათ-ყაყანი: საქმე განვე-გამოწვევამდეც კი მივიდა.

ზოგნი ჩანთებს წამდაუნუმ ხსნიდნენ და ქალაღდებს აფრიალებდნენ, ზოგნი ხელებს ასავსავებდნენ და ტიტეს ხელიდან ჯაჭვის გამოგლეჯას ცდილობდნენ, მერე დირექტორი და მისი ამაღა ნევადეს რაღაცაზე ხელს აწერინებდა და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ავტომატიანი მილიციელი მოტოციკლეტის „გალიასკაში“ ჩახტა.

ხიდზე შეფენილმა მოქალაქეებმა ტაში დასცხეს.

პეტრა მშვიდად შესცქეროდა ამ სურათს. თითქოსდა, რაც ირგვლივ ხდებოდა, მას სრულიადაც არ ეხებოდა.

რატომ იყო დარწმუნებული, რომ ადამი-

ანები რაიმე სისულელეს არ ჩაიდენენ, ვერ გეტყვი.

არა და პეტრას სიცოცხლე ორიოდ ნუ-თის წინ ბენვზე ეკიდა. ტიტე წევადეს ყელ-გამოლადვრით რომ არ ეხვენა ცირკის ხელ-მძღვანელობისთვის; ნუ მოკლავთ, აგერ, ახლოს, სოფელი მაქვს, წევიყვან, ტყეში და-ვაბამ. ბოინიდან (ჩემი სოფლიდან კილომეტ-რნახევარშია) ხორცის ნარჩენებს მოვუზიდავ და დარჩენილ დღეებს მშვიდად გავატარებე-ბო... ნაცნობ-უცნობები რომ არ გამოქომაგე-ბოდნენ და თავდებადაც არ დადგომოდნენ, პეტრა ეხლა ფეხგაჭიმული, მკერდშუბლგახ-ვრეტილი ეგდებოდა რიონის ნაპირას.

ამ შემთხვევიდან ერთი თვეც არ იყო გასუ-ლი, რომ ქუთაისში ნინოშვილის ქუჩიდან გა-ლიფემარვლიანმა, თეთრკეპიანმა ლომიანმა კაცმა ამოუხვია და თეთრი ხიდის გზას დაად-გა. მოკლზე ეჭირა ჯაჭვი და დადევნებულ მოქალაქეთა აბეზარ კითხვებს კანტიკუნ-ტად, თითო სიტყვით პასუხობდა.

ლომს, მითუმეტეს არ აინტერესებდა, ცნობისმოყვარეთა არამკითხე ქარავანი. იგი ჭკვიანად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ზანტად ჩადგომოდა კვალში პატრონს.

გზაჯვარედინთან მდგომი მილიციელი ვალიკო ჩიტინი ლომის დანახვაზე გაშტერ-და. ასეთი შემთხვევა ჯერ არ ჰქონია. არ იცო-და, რა ეღონა. რით დაეწყო.

— გესმის?! შენ გეუბნები, ლომიანო!

ტიტე შეჩერდა. ლომმა უშველებელი თავი მოაბრუნა და პოლიციელს მშვიდად (მაგრამ მაინც ლომურად) შეხედა, ჩიტინი, ყოველ-შემთხვევისთვის, მოშორებით იდგა.

— სა მიგყავს?!

— საპასპორტოში.

— ჩიტინს ლოგიკის მიხედვით ხომ უნდა ეკითხა, რა უნდა ლომს საპასპორტო განყო-ფილებაშიო, მაგრამ იგი უფრო პრაქტიკული კაცი იყო და ლომის პატრონს სწორედ რომ იმ სიტუაციისთვის აუცილებელი კითხვით მიმართა:

— კი მარა, მაგან კბენა არ იცის?

— არა, ბატონო, კბენა იცის ძალღმმა. ამან შექმა იცის, — დამწყები კლასების მასწავ-ლებლის ინტონაციით, ლამის დამარცვლით მიუგო ტიტემ.

ჩიტინს მეტი კითხვა აღარ დაუსვამს.

თეთრ ხიდს გაღმა, ადმირალ ნახიმოვის ქუჩაზე მილიციის საპასპორტო განყოფილე-ბის ეზო მუდამ ხალხმრავლობდა.

რა ისეთი სტრატეგიული პუნქტი იყო, კაცმა რომ თქვას, საპასპორტო მაგიდა, მაგ-რამ მეპასპორტე იოველ ვაჩაძე მის უწყება-ში მოქალაქეთა მოგროვების ოსტატი გახ-ლდათ.

ვერ გეტყვით, რამ შეაყვარა, გიჟდებოდა რიგზე. ამიტომაც მთხოვნელს ერთ და სამუ-დამო პასუხს არ აღირსებდა. „ხვალ მოდი, ხვალ გამოიარე, ვნახოთ“.. წამდაუნუმ ამ ფრაზებით იშორებდა ყველას და ილაჯგანყ-ვეტილი „ხვალ დაბარებულები“ ბუზებივით ირეოდნენ ვაჩაძის ირგვლივ. რაც შეეხება ტიტეს, შეიძლება თამამად ითქვას, სისხლი გაუშრო იოველმა. პასპორტი არ იქნა და არ აღირსა.

„ხომ იცი, ნაჯდომი ხარო. არ არი ისე ად-ვილი, შენ რო გგონიაო. უნდა შევეკითხო იქა-ნაც, შენ რომ იციო! ასე მეუბნებიან, დეინყოს ჯერ მუშაობა, ვნახოთ, რავა გამოსწორდა და მერე მიეცი პასპორტო“, ყოველ მისვლაზე ერთსა და იმავე პასუხით ისტუმრებდა. ვი-თომ და არ იცოდა, რომ უპასპორტოდ საერ-თოდა და, მითუმეტეს ნაპატიმრალ კაცს, დი-ად საბჭოეთში სამუშაოს არავინ მისცემდა.

რა მოჰყვებოდა საპასპორტოს ეზოში ლო-მიანი კაცის გამოჩენას, ამის წარმოდგენა მკითხველს არ გაუჭირდება. ტიტემ ლომი იქვე, ასფალტში ამირანის პალოზე უფრო მკვიდრად ჩარჭობილ რელსს გამოაბა და ლო-ბის ნახევარმეტრიან საყრდენზე ერთსულოვ-ნად შემხტარ, შიშისგან შეძრწუნებულ საზო-გადოებას გახედა.

სად იყო ასე გამოწერილივით რელსის ნა-ჭერიო, ამ კითხვას, მე მგონი, ჩემს ნიჭზე სა-მუდამოდ დაეჭვებული კაციც არ დასვამს; ას-ფალტში ღრმად ჩარჭობილი რელსის ნაჭერი ხომ თითქმის ყველა ეზოში და ჩიხში გვშლის ნერვებზე.

მე, რასაკვირველია, არ ვამტკიცებ, თით-ქოს წინდახედული ადამიანები რელსებს მაინ-ცდამაინც ლომების დასაბმელად ჩააასფალ-ტებენ ხოლმე.

იოველ ვაჩაძე მოსულს ფეხზე ამდგარი შეეგება, რაც მისთვის სრულიად უჩვეულო საქციელი გახლდათ. ნაპატიმრალს კი არა, მის კაბინეტში სასწაულის ძალით შესულ კა-ლინინსაც არ წამოუდგებოდა საპასპორტო მაგიდის უფროსი.

— რავა ჩემი პასპორტის საქმე? — ჰკითხა ტიტემ და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ ხვალისთვის დაიბარებდნენ, მეორე დღე-საც მოსულიყო.

იოველმა უკვე იცოდა, რომ წევადე ამჯე-რად მარტო არ წვეოდა საპასპორტო განყო-ფილებას — თან ლომი ახლდა.

არ მკითხვით, ახლა, ასე უცბად როგორ გა-
იგო.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა იცოდეთ,
რომ თუ სადმე ხუთ კაცზე მეტი (და ისიც შემ-
თხვევით) შეიკრიბება, მათ შორის ერთი (თუ
მეტი არა) აუცილებლად იქნება ე. წ. აგენტი,
უშპროების სამინისტროში რომ მოფერებით
„საზოგადოებრივ ინფორმატორს“ ეძახიან.

— ვამზადებ, აგერ მიდევს. გუშინ უნდა
შემეგოს, მარა სინოურიძის ორმოცზე ვიყა-
ვი წასასვლელი და ვერ მოვასწარი, — დარ-
ცხვენილი, დამწყები მატყუარასავით თქვა
იოველმა.

— კაი, აბა, ხვალ მოვალ — კარისკენ გაი-
ნია ტიტემ.

— რავა გეკადრება. რა არი სახვალისო. ა,
ორი გრაფა დამრჩა და შევუტან უფროსს
ხელმოსაწერად! — ისე გაფაციცებით და
მონდომებით, სხაპასხუპით ეუბნებოდა მე-
პასპორტე, რომ აშკარად ჩანდა, მოქალაქე
ტიტე წევადის ხვალ ნახვის არავითარი სურ-
ვილი არ გააჩნდა.

ლომის პატრონისთვის კი დიდი მნიშ-
ვნელობა აღარ ჰქონდა, დღეს აიღებდა პას-
პორტს თუ ხვალ.

ვაჩაძე წერას მორჩა, პასპორტს სამაგრიტ
რალაც ქალაღები მიაკრა, უფროსთან შე-
ვარდა, ხუთიოდე წუთში გახარებული გამო-
ვიდა, ტიტეს ორ ადგილას ხელი მოაწერინა,
პასპორტს ბეჭედი უთაქა, სული შეუბერა და
გაუწოდა.

— ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს.

„ხვალ დაბარებულები“ შურითა და გაო-
ცებით შეჰყურებდნენ ამ სურათს და ლამის
აქვითინდნენ, როცა „გულჩვილმა“ საპას-
პორტო მაგიდის უფროსმა ტიტე კარისკენ
გააცილა ასეთი სიტყვებით:

— ოცდასამი წელიწადია მე აქანა ვმუშა-
ობ და ქუთაისში ჩემზე ძვირს ვერაკაცი ვერ
იტყვის... რაც შემძლია, დაუზარებლად ვემ-
სახურები ხალხს. რას ჰქვია, „ხვალე“. რაც
დღეს ეკუთვნის, დღესვე უნდა მიიღოს...
ისე... რავა მიდის საქმეები?... რავა ხართ სახ-
ლში. ლომი ხომ კარგად გყავს?

— რა უჭირს, — განზე გაიხედა ტიტემ, პას-
პორტი ჯიბეში ჩაიდო და ხალხზე მზრუნველ
მეპასპორტეს მადლობა გადაუხადა.

მასპინძელმა „სიყვარულით“ გააყოლა
თვალი და სანამ სტუმარმა ლომი ეზოდან არ
გაიყვანა, ფანჯარას არ მოშორებია.

აქვე უნდა ჩავუროთ, რომ არ დამავინყ-
დეს; ტიტე წევადის ოჯახში ლომის გამოჩენას
მშვიდად შეხვდნენ. ტიტესგან ეს ნაბიჯი არ
გაკვირვებიათ. ჩანს, ყველანი ელოდნენ, რომ
ოჯახის თავი დღედღეზე რალაც უცნაურო-
ბას ჩაიდენდა, მაგრამ კონკრეტულად ლომს

თუ მოიყვანდა შინ, არავინ ელოდა.

ეზოში უნაბის ხეზე რომ აბამდა, სიდედრი
გამოვიდა და ნახევრადხუმრობით ჰკითხა სი-
ძეს:

— ისე ვერაფერი მომიხერხე და ახლა ლო-
მი მომიყვანე ხომ? შემჭამოს ეგება.

— ნუ გეშინია, ლომი ლომს არ შეჭამს, —
ნახევრადხუმრობით მიუგო ტიტემ.

ვინც ქუთაისში სიძე-სიდედრის შესუმრე-
ბა-შექილიკების ტრადიციას იცნობს, ეს დი-
ალოგი არ გაუკვირდება და ჰოლანდიელთა
ცხოვრებაზე დაწერილ ნოველაში კი, შეიძლე-
ბა, ეხამუშოს მკითხველს.

რაკი პასპორტი ხელთ ჰქონდა, ტიტე ნე-
ვაძეს თავისუფლად შეეძლო კიდეც ერთხელ
მისულიყო ქალაქის აღმასკომში და კონსტი-
ტიციურად კუთვნილი სამუშაო ადგილი მო-
ეთხოვა.

საშვიდნომბრო დღესასწაულები რომ
ჩამთავრდა, ყოფილი ეგერი საგარეოდ გამო-
ენყო, ეზოდან ლომი გამოიყვანა და ნინოშვი-
ლის ქუჩას აღმა აუყვა.

სერიოზული მოქალაქეები ლომის დანახ-
ვაზე ძველებურად აღარ ჰკიოდნენ და დასა-
მალავად ღია ჭიშკრებს აღარ ეძებდნენ. ეგ
იყო, ტიტეს მოულოდნელად შემოფეთებულ
მევალესავით მიესალმებოდნენ და ნაბიჯს
აუჩქარებდნენ ხოლმე.

კინო „ქრონიკასთან“ აბეზარმა მოსწავლე-
ებმა გადმოუხვიეს. ლომის დანახვაზე ჯერ
გაშეშდნენ. მერე ცნობისმოყვარეობისგან
გაფართოებული თვალებით გამოჰყვნენ,
ბოლოს ისე შეთამამდნენ, სტვენა-ჟივილი
ატეხეს და ერთმა ნაფოტიც ესროლა ისე, ყუ-
რადლების მისაქცევად.

ლომი შეჩერდა, ბიჭებს გახედა, მანამ შეს-
ცქეროდა, სანამ კისრისტეხით გარბოდნენ
და კილაძის ნასახლარს მიეფარნენ.

რაკილა ქუჩაში ვერ დატოვებდა, ტიტემ
ლომი მეორე სართულზე აიყვანა და თავ-
მჯდომარის მისაღებში კედლის გასწვრივ,
ძელსკამთან, ლენინის სურათის ქვეშ დასვა.
„დასვა“ არ ივარგებს, რაკილა ლომი იატაკზე
წამოწვა და წინა თათებს თავი ჩამოაყრდნო.

ბევრი ეხვენა მის წინ მისულ ხუთიოდე
მთხონელს წევადე, ნუ გეშინიათ, ადამიანს
არ ერჩისო, მაგრამ, ვინ იცის, რა სასწრაფო
საქმეზე მოსულმა მოქალაქეებმა ლომის
დანახვისთანავე ერთმანეთის მიყოლებით
ჩაუსხაპასხუპეს ჭიპამდე კვართჩაუხსნელ
მდივან გოგონას — „სხვა დროს მოვალთო“
და კიბე ბრიგინ-ბრიგინით ჩაირბინეს. მდი-
ვანი გოგონა სად წავიდოდა. კედელს აეკრა
და თავმჯდომარის კარისკენ მიუთითა.

— შებრძანდით.

ტიტემ კარისკენ რომ გააბიჯა, მდივანმა

გოგონამ, რომელსაც ტანზე ეტყობოდა, საერთოდ სიდიდეების შიში არ უნდა ჰქონოდა, ლამის ტირილით დაანია:

— ამას? ამას მე მიტოვებთ?!

— ნუ გეშინია. ყურადღება არ მიაქციო. ორწუთიანი საქმე მაქვს, რალაცას ვკითხავ და გამოვალ ამ წუთში.

მდივანი გოგონა კედელს აკრული, გახევე-ბული იდგა. ლომს თვალს არ აშორებდა.

წევადემ თავმჯდომარეს სათხოვარი შე-ახსენა.

— ვიცი, მახსოვს... მარა რო არ არი ჯერ არაფერი?... ხო გითხარი, ჯერ პასპორტი ეი-ღეთქვა.

— პასპორტი ევიღე.

— მართლა? — თითქოს გაეხარდაო თავ-მჯდომარეს, მაგრამ ისევ მოიღუშა — სუ-ლეღია ეს ვაჩაძე. შენზე კი არ მაქვს საქმე, საერთოდ ვლაპარაკობ. რომ აძლევს ნასა-მართლევ კაცს ასე ჩქარა პასპორტს, კიდევ რამე რომ დააშავოს, მაგი მიგებს პასუხს?!

— თქვენ ქე იცით, რა დანაშაულიც მქონ-და. სხვებმა მუხები გაყიდეს, ფული ჩეიჯიბეს და მე გამიშვეს ციხეში.

— ხომ გითხარი, შენზე არ ვამბობ თქვა, საერთოდ ვლაპარაკობ, — ჰაერწმენდს ხელი შეუშვირა თავმჯდომარემ.

— რა ვქნა აბა, სანამდე ვიარო უსამსახუ-როდ. მარტო რო ვიყო, ჯანდაბას ჩემი თავი. ამხელა ლომი მყავს სარჩენი.

— რამდენი ლომი გყავს?

— ერთი.

— შენ ერთი გყოლია და მე ოთხი მყავს, ორი უფროსი თბილისში სწავლობს. შენი რა ხნისაა, სკოლა არ ექნება ჯერ დამთავრებუ-ლი. რომ დაამთავრებს, მერე ხარ ცოდვა.

— რავა ვქნა, როდის მევიდე? — სხვა თე-მიდან ისევ საქმეზე დააბრუნა ტიტემ.

— ჯერ არ არი არაფერი. ხო გითხარი, თუ რამე გამოჩნდა, მე თვითონ მოგძებნითქვა...

ეს არის ყველაზე არარეალური პასუხი, ჩემო მკითხველო. თუ ასეთი რამ გითხრეს, ჩათვალეთ, რომ მასპინძელმა უარით გამო-გისტუმრათ. ამ აბურდულ დროში არავინ არავის მოძებნი არ არის, მოდი და მუშაობა დაიწყე.

ეს ჭეშმარიტება, რასაკვირველია, ტიტე-მაც კარგად იცოდა და ისიც იყო ხმისთვის უნ-და აენია, რომ გაფითრებული მდივანი გოგო-ნა შემოვიდა, კატის ნაბიჯით მიუახლოვდა და ყურში უჩურჩულა.

თავმჯდომარეს ნელნელა, თვალდათვალ დაუდგა თმა ყალყზე.

— რაი?! — ისე ჩვეულებრივად და სხვა-თაშორის მიუგო ტიტემ, თითქოს აღმასკო-

მის მისაღებში ლომის გამოჩენა საკვირველი სრულიადაც არ იყო.

თავმჯდომარე ხელების ფშვნეტას მოჰ-ყვა.

მდივანი აღარ გასულა. იქვე სავარძელში ჩაეშვა.

— დამთავრებული რა მაქვსო, რა მითხ-არი? — მზრუნველი მამის ინტონაციით ჰკითხა თავმჯდომარემ.

— სატყეო. მარა დიპლომის ხაზით აღარ ვიმუშავებ. სხვაგან... სადმე... ნავედი აბა... როდის მევიდე?

თავმჯდომარემ ქვა ააგდო.

— მოიცა. დავრეკავ ერთ-ორ ადგილას, მართლა რა უსაშველო გახდა შენი სამსახუ-რი, რა არი გოუკეთებელი. მეიცა... არ ნახვი-დე...

თავმჯდომარემ პირველ დარეკვისთანა-ვე მოუძებნა ტიტე წევადეს სამუშაო, თანაც მშვენიერ ადგილას — მინისტრის ქარხანაში ქილების დამთვლელად.

ვინც სახელმწიფო სტრუქტურების საქმი-ანობაში ერკვევა, დამეთანხმება, რომ ქილე-ბის დამთვლელის პოსტი საკმაოდ სარფიანი გახლავთ და არც ინტელექტის დიდ დაძაბ-ვასთანაა დაკავშირებული.

თავმჯდომარე ტიტეს ხელს დიდხანს არ-თმევდა და ნერვიულად ეჩურჩულებოდა.

— წადი ახლა და იყავი ჭკვიანათ... ხო იცი, შენთვის კაი მიხნდა ყოველთვის. კიდევ დავრე-კავ სტეკლოტარაში და ყველანაირად ხელს შეგინყობენ... მე ასეთი კაცი ვარ... მე შიშით ვერავინ ვერ შემაშინებს... მე ხათრით ვაკე-თებ ყველაფერს... შენ თავიდანვე კაი თვა-ლით შეგხედე... ალალი იყოს ყველაფერი... კარგად აბა... კარგად იყავი... თუ კაცი ხარ, ე ლომი მოაშორე მაქაურობას.

— კარგათ... დიდი მადლობა.

გამოცილებით კი, ტყუილს ვერ ვიტყვი, თავმჯდომარეს და, მითუმეტეს არც მდი-ვანს, ტიტე არ გამოუცილებიათ.

კიბეზე რომ ჩადიოდნენ, ტიტემ დერეფანს გახედა.

სამარისებური სიჩუმე იდგა.

აღმასკომი მიტოვებულს ჰგავდა.

ლომიანი მთხოვნელი წასულად რომ დაი-გულეს, აღმასკომის თავმჯდომარემ სავარ-ძელში ლამაზად ფეხმოკეცილ მდივან გოგო-ნას უთხრა:

— არა, არა, ტყუილია ყველაფერი... არა-ფერი უშველის ამ ქალაქს. რა წესრიგი უნდა დავამყარო აქანა. ხო ხედავ, ლომებით დე-ინყეს სიარული.

მდივანი ყურბოდა, მას წელანდელი ელდა ჯერ არ განელებოდა.

ტიტე ნევაძის მოსაწყენი ცხოვრება გადაუკეთეს გადასხვაფერდა.

ლომის ნყალობით დღეთა ჩვეულებრივობა ახალ ღარში ჩადინდა.

ყოფილი ეგერი ქალაქში ცნობილ კაცად იქცა.

მეზობლები, რომ იტყვიან, სხვა თვალთა უტყვერდნენ, ჩინოვნიკები ანგარიშს უწევდნენ. სახლმართველობის გაფართოებულ კრებაზე, ვილაცამ რაიონის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატადაც კი დაასახელა, მაგრამ ტიტემ უარი თქვა, არ მცალიაო.

დროის ნაკლებობას, მართლაც, განიცდიდა.

ჯერ ერთი, დღე არ გავიდოდა ქალაქის განათლების სამმართველოს მეცადინეობით სკოლის მოსწავლეები ექსკურსიაზე არ მოეყვანათ. ჟურნალისტიებიც არ ასვენებდნენ. საშუალოდ თვეში ორჯერ მაინც იბეჭდებოდა საქალაქო გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ ნარკვევი ლომზე და მის პატრონზე...

კვირაში ხუთი დღე ხომ მინისტრის ქარხანაში მზა ქილებს ითვლიდა, შაბათ-კვირას პეტრა ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში დაჰყავდა. უქიმერიონზე, განსაკუთრებით საზეიმო დღეებში (აქვე მკითხველს ვაუწყებ, რომ კომუნისტები, ჩვენგან განსხვავებით, ასატანზე უფრო ხშირად ზეიმობდნენ) ხალხმრავლობა იყო. ფოტოგრაფი ისხაკა ლომთან იმათ მიტყუებასაც კი ახერხებდა, ვისაც თავი არაფოტოგენურად მიაჩნდა და სურათის გადაღება საერთოდ არ უყვარდა. ყოველი მანეთნახევრიანი სურათიდან ოცი კაპიკი ლომის, უფრო სწორად, ტიტე ნევაძის იყო.

რაც შეეხება ბათურას, ეს ერთ დროს შემანუხებლად ფხიზელი ნაგაზი, მომსვლელ-ნამსვლელთა სიჭრელემ ისე დააბნია, რომ ლომზე უფრო გამოლენჩდა, ინვა კიბის ქვეშ და აღარავის უყეფდა.

აქ შემეძლო ნოველა დამემთავრებინა, დიდად საინტერესო და მოსაყოლი აღარაფერი დამრჩა, მაგრამ ზედმეტად ცნობისმოყვარე მკითხველის შეკითხვებისგან თავი რომ დავიზღვიო, აქვე მოგახსენებთ:

გაზაფხულის ერთ ქარიან დღეს, როცა ტყემლის ყვავილი ეზოს ზღაპრის დარბაზით ეფანტელებოდა და ჰაერში თაფლვარდობის დამათრობელი სუნი ტრიალებდა, პეტრამ ჭამა შეწყვიტა.

მინდოდა „მოიწყინა“ მეთქი დამენერა, მაგრამ მოწყენილი როდის არ იყო.

ავადაც არ გამხდარა. სიბერე სჭირდა, ეგ იყო და ეგ. ვერავითარმა წამალ-ვაქცინამ, ვერა ვეტექნიკა საჭმლისთვის პირი ვერ დააკარებინა.

ჭამის შეწყვეტიდან დიდხანს აღარ უტოცხლია.

ტიტეს ძელქვიანის სასაფლაოზე სურდა დაეკრძალა, მაგრამ ნება არ მისცეს, ქრისტიანული წესის მიხედვით ადამიანთა გვერდით ცხოველთა დამარხვა არ შეიძლებაო.

ეზოში გაუთხარეს ბებერ-ლომს საფლავი. დაკრძალვას ნათესავ-მეგობრების ვინრო წრე დაესწრო.

ქელებმაც ჭირისუფალთა განწყობილების შესაფერისად ჩაიარა.

ქუთაისში როგორც ლომის პირველად გამოჩენის, ისე გარდაცვალების ხმაც სწრაფად გავრცელდა.

ქალაქს გარეგნულად, რასაკვირველია, არაფერი დატყობია.

რიონი ძველებურად მიდგაფუნობდა თეთრ ქვებს შორის.

ყვავები დილა-სალამოს უკლებლივ გამწვანდებოდნენ ხოლმე სოლომონის სასახლესთან აღმაგაბმულ ბაგირზე.

სასტუმროსთან კვლავინდებურად იკრიბებოდნენ სტუმრის მოლოდინში დაღლილი ძირძველი ქუთაისელები და აკაკის სახელობის უნივერსიტეტის ჭიშკრიდან სამის ნახევარზე ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ ულამაზესი ქალ-ვაჟები, რათა აღმაშენებლის მოედანზე ერთმანეთს ხვალამდე დამშვიდობებოდნენ თავიანთი რთული სტუდენტური საქმეების მომიზეზებით.

... იმ დილით ტიტე ნევაძე სამსახურში რომ მივიდა, მინისტრის ფაბრიკის დარაჯმა, ნეკოსგან უღვაშუეყვითლებულმა შაკოიამ ჯერ ლომის დაკარგვა მიუხსამძიმრა, მერე სიგარეტის ბოლს ხელი გაუქნია და ჩაულა-არაკა:


— რა ხნის იყო... არ მეგონა, თუ ასე ცოტა ხანს ცოცხლობდა ლომი... უფროსმა ჩემთან შამევიდეს, რო მოვაო.

— რა უნდა?

— ვერ გეტყვი... არ უნდა იყოს მთლად კარგად ფაბრიკის საქმე... აღარ უნდა ბანკა საკონსერვოს. რა ჩაასხას შით. ტყემალი კვირტში მიეყინა. გაროხამდე ჯერ ორი თვეა... შტატებს ამცირებენ. მე მგონია, ყველას გაგვიშვებენ ნელნელა, მიყოლებით...

ტიტემ ხვამლზე აზიდულ-აფუებულ ღრუბელთა თეთრ ქარავანს გახედა, გეგონებოდათ, უჩინარი ღმერთი ხვამლზე ზის და ყალიონს აბოლებსო.

თუმცა... ტიტესთვის ახლა ყველაფერი სულერთი იყო.



ვაჟა
ხორნაუჭი

ვით კამათლები ნარდის,
ქვეყანა-ჭრელი, ჭრელი.
დარდი, დარდი და დარდი,
ცრემლი, ცრემლი და ცრემლი.

დრო გადის, აღარც გადის,
ბინდში ხაფანგი გელის.
ღმერთის თვალეზში დარდი,
ხატის სახეზე ცრემლი.

სადაც შუქია ვარდის,
იქვე ელვაა ცელის.
მასპინძელია დარდი,
და სტუმარია ცრემლი.

ვით კამათლები ნარდის,
ქვეყანა-ჭრელი, ჭრელი.
აქაც და იქაც დარდი,
აქაც და იქაც ცრემლი.

უფლის გულივით

სიკვდილ-სიცოცხლემ ღიღინით
თქვეს ნაკადულის პირასო:
„გვაქვს უნაპირო ვენახი,
რა შეედრება იმასო,
არავინ გაგვიწირია,
მაგრამ ქვეყანა გვწირავსო,
ზეციდან ჩვენი ტკივილი,
სიხარული და ღიმილი
ჩამოაქვს თოვლს და წვიმასო...“

ჩვენი საერთო სავანე
უფლის გულივით ბრწყინავსო.“

იმაღის იმაღი

დაცლილი სოფლის შუაგულში
სახლი ერთადერთი
და ბრძოლის ველზე
მეომარი უკანასკნელი-
ერთი ბედისა და დარდისა არიან.

როგორც სიცოცხლე საკუთარი,
სახლი და მეომარი არ ეთმოზა
ცასა და დედამინას...

ორივე იმედია ღმერთისა
და ღმერთია ორივეს იმედი!

აქ ხიდი აღარაა,
დრომ და წყალმა
ერთად წაიღო...

ხიდი აღარაა,
მაგრამ მისი ჩრდილი
ჯერ კიდევ არ წაშლილა
მდინარის ფსკერზე,
ჯერ კიდევ მოჩანს,
როგორც სევდა
ცისა და მიწისა.

დასრულდა ლექსი სიყვარულზე
(ვინ იცის მერამდენედ!)
და მრავალწერტილი აკამკამდა,
ვით წვეთები ღვთიური ღამისა
გაზაფხულის სახეზე დაცემული.

სივრცას თუ არ შეუერთდები

როგორ იხილავ გაზაფხულის
უნაპირო მშვენიერებას,
როგორ მოისმენ საგალობლებს
მწვერვალადან მწვერვალისაკენ
გაფრენილი ფრინველებისას, —
შენც სივრცეს თუ არ შეუერთდები,
ჰორიზონტებამდე თუ არ ამაღლდები
მწვანე კიბის
ყვავილოვან საფეხურებით...

შორს დარჩენილი გზები და ხმები,
ტკივილი მზისკენ გაფრენილ ფრთების.

მოგონებები-ლამაზი მტრები,
მოახლოება მღელვარე ზღვების.

მინა ნაცნობი და ცა უცნობი...

ტკივილი მზისკენ გაფრენილ ფრთების.

რას ეტყვი

ვაჟი რომ ცეცხლად აქციე
და შეატოვე ქარებსა, —
დაიჩაგრება, ჩაქრება,
ველარ დარეკავს ზარებსა,
ველარ მიუვა წვიმად
შენს დაღონებულ ყანებსა,
ხრიოკ მინდვრებზე ბილიკებს
ველარ აგინთებს მწვანესა...

სიზმრად რომ ნახავ, რას ეტყვი
იმის სევდიან თვალებსა.

ხანდახან ეჭვი მტრედის ბუდესავით
პატარა და ლამაზი კლიტვა,
სიყვარულის კოშკის კარზე
უფლისგან დადებული,
და, უფლის სიყვარულით
თუ გააღებ, —
რის კოშკი, რა კოშკი! —
პირდაპირ სამოთხეში აღმოჩნდები.

ბედმა არ განირა და ახლა,
შენს მკლავებს მინდობილი,
ისვენებს ტკბილად,
როგორც ფრინველი
გაზაფხულის ქარებით დაღლილი.

ყველაზე მართალი და
სასტიკი მაცნეები —
სარკე და საათი.

დედის სამარესთან როცა დგახარ,
რა მშობლიურია დედამინა,
სივრცე რა თბილია...

მხოლოდ მაგისტვის

ტუჩებს და ბიბილოებსა,
ყურის ძირებს და თვალებსა,
ყელსა და კისრის ბუსუსებს,
სამაჯურებს და მკლავებსა,
ხვეულებს კულულებისას
ერთურთში მონანავესა,
წარბებს, შუბლსა და საფეთქლებს,
მხრებს და ილიის ყანებსა,
თითებს და მძივის მარცვლებსა,
ძუძუებს, ძუძუს თავებსა —
ვკოცნი და ვკოცნი ქალყვავილს...
ჩემს მკლავზე მწოლიარესა
თუ შევხსნი — მხოლოდ მაგისტვის
ზღაპრული კოშკის კარებსა.

ტალღებს აუსხლტები
(ერთი წამით წაიკალმახებ)
და მდინარე
ლურჯი მკლავებით
კისერზე ჩამოგეკიდება,
უბეში ჩაგისხვევს
და იგოძნობ,
(ვინ იცის, მერამდენედ!),
რომ სივრცესა და დედამინას
ეკუთვნი მთლიანად!..

წვიმამ გადაიღო
და მარტო დავრჩი.

ხეები ერთმანეთს ეწვდებიან,
ერთმანეთს ათბობენ ქარში.

ცრემლი ბავშვისა
და სამოთხის
ყვავილის ნამი
ერთნაირია
და ღმერთია
სათავე ამის.

ზამთარი

ბალიშს შერწყმული
საბნის
ოვალური სარკმლიდან
მოუჩანს მხოლოდ
ცხვირი და თვალები.

გარეთ სიჩუმეა
დეკემბრის ქარების.

როდის ამწვანდება არემარე?
როდის აყვავდება კორდი?

სურნელი თაფლისა და სანთლისა
ჰაერში გაერევა როდის?

უფლის თვალემა დედოფალო,
სალოცავო
ცისა და მიწისა,
მოდით, გაზაფხულო, მოდით!

ერთად ანთია

ყველა ჰორიზონტზე გაზაფხულის
სიმღერები რომ გუგუნებდეს,
ცის სიღრმე მაინც სევდიანი—
ცის სიღრმეში ერთად ანთია
ღმერთისა და კაცის ტკივილი.

ალუბლის ჩრდილისაგან შეკერილი
სამოსელი აცვია თითქოს,
მზის ნაპერწკლებით გაბრწყინებული.

გულის სიღრმეებში მგალობელი
სიყვარულის ნათებაა
მისი ღიმილი...

ალუბლის ყვითელი კულულები,
ასკილის წითელი მძივები.
ღვთისმშობლის ხმასავით
თბილი და სევდიანი
მელოდია ფერმკრთალი წვიმების.

მონყენა, მზეს დამგზავრებული,
ცისკენ მიმავალი ჩრდილები...
ღვთისმშობლის მზერასავით
ნაზი და სევდიანი
ნათება გზებისა და წვიმების.

ქარმა წალეკა ლამის ყანები
(წაიქცა ალვა. გატყდა ფიალა),
ცეცხლი და წყალი დააბზრიალა,
შეაკრთო გული ლამაზმანების...

და მზეს, ჩამავალს, ვერ მიუტანა
ნისლმა მდინარის დანაბარები.

მარცხენა ხელის ხუთივე თითს
ტყუპისცალი ეგულება
მარჯვენა ხელზე
და ამიტომაც ჩვენი ხელები
სულ ერთად არიან,
ტვირთს, დიდს თუ პატარას,
ერთად ეწევიან...

ჩვენი ხელები სულ ერთად არიან,
განსაკუთრებით კი-სიკვდილის მერე.



დალოლა
 ჰედისნიძე

ვკრიფე, ვკრიფე ყვაავილები
 ბლუჯა-ბლუჯა, კონა-კონა.
 ყვაავილობამ შავი ბლების
 ეგ ღიმილი მომაგონა
 და სასწორი ჩემი ბედის —
 აინონა-დაინონა.
 განა მიყვარს, მაქვს იმედი!
 არა, მხოლოდ მომენონა.
 ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე
 ენა ტკბილი, ენა მწარე.
 ლექსობანა ვითამაშე —
 ვიკოცონე, ვიხანძარე.
 სამოთხისკენ ვიჩქაროდი
 შუკა-შუკა, შარა-შარა.
 დამთავრდება ეს გზა როდის?
 იქნება გზა შემეშალა?
 ამ ცხოვრების მარათონზე
 ავყევი ახალ საუკუნეს
 და ანბანი როგორც მორზეს —
 კოდალა ხეს უკაკუნებს.

მოქრის ქარი — ღრუბელთ მწყემსი,
 წითელ ღრუბლებს მოირეკავს.
 სიკვდილი — ღვთის დანანესი
 ერთხელაც მეც გადამდრეკავს...
 და მანამდე ყვაავილები
 უნდა ვკრიფო კონა-კონა
 და დავაფრთხო ნლები — მგლები
 და თან დავრჩე სულ გოგონად.

დედაჩემს

გულში ჩაღვრილი ცრემლების ფასი
 გამაგებინე, ტკივილო ჩემო.
 ქრება ოცნება ათიათასი
 და რჩება ბოლოს ცრემლების გემო.
 ბედნიერ წუთებს ინახავს ხსოვნა,
 მსურს, დავივინყო მძიმე წუთები,
 მაგრამ — ამაოდ! ერთი მაქვს თხოვნა,
 გულამომჯდარი რომ გეხუტები:
 მიშველე რამე და დამიამე
 ატკივებული სულის ჭრილობა...
 და დამავინყე მწუხარე წამი,
 სული გაპარვას როგორ ცდილობდა.
 ო, ძალუძს მხოლოდ დედის სიყვარულს
 მომაკვდავ შვილის გამობრუნება
 და მენანება, და ვგრძნობ შურს ფარულს —
 დედობა მე არ მომცა ბუნებამ.
 გულში ჩაღვრილი ცრემლებით მოველ,
 როგორც არასდროს, დედა, მჭირდები.
 შეგხედავ სპეტაკ ნათელის მთოველს,
 მერე უცრემლოდ მე ავტირდები.

განა ყოველთვის ვარ უბედური,
 ღიმილიც მახლავს ო, ცრემლთა შინა.
 არ წამომცდება არც საყვედური,
 მადლობა უფალს, რომ გამაჩინა!
 მადლობა უფალს — სამშობლო მომცა,
 ჩემი ტკბილ-მწარე ბედნიერება.
 არ მიმატოვა, მიჭირდა როცა,
 არ მტოვებს ახლაც, როს მემღერება.
 მადლობა უფალს, რომ სიყვარულის
 ძალა მიბოძა და მომცა მოძმე.
 მისით ცხადდება ო, დაფარული,
 ის არის ჩვენი ვნებების მოწმე.
 სიცოცხლე ისე მშვენიერია,
 ამქვეყნად მოსვლა ნამდვილად ღირდა.
 გმადლობთ, რომ გზები არ ამერია
 უფალო, შენს გზას დავადექ წმინდას!
 როგორ მაშინებს სიკვდილის ჩრდილი...
 ამ გულმა ბევრი იგემა გლოვა
 და დამარცხდება თვითონ სიკვდილიც,
 როცა უფალი მეორედ მოვა.

მყოლოდა კარგი პატრონი,
 არ ამცდებოდა დიდება.
 მელოდებიან სხვა დრონი,
 თენდება, განა ბინდდება.
 მყოლოდა კარგი პატრონი,
 არ ამცდებოდა დედობა,
 მუდამ ასე რომ ვნატრობდი,
 ვებრძოდი უიმედობას.
 კარგი პატრონი მყოლოდა —
 ბედი მეც გამილიმებდა.
 არ ამცდებოდა ცოლობა,
 ყოფნა კაი ყმის იმედად.
 ჩემი პატრონი მკვდარია,
 ღვთის ანაბარას დამტოვა
 და შევთხოვე წმინდა მარიამს,
 რომ გამინათოს ხატობა.
 მყოლოდა კარგი პატრონი,
 ვერ მაჯობებდა ვერავინ.
 სიტყვები — უღალატონი,
 ზედაშე — მაქვს საფერავის.
 დროს გავასწარი, სხვა დრონი
 უფრო მეუკეთესება.
 დაე, უცნობი პატრონი
 მონახონ ჩემმა ლექსებმა.


„კახურ ვაზზე აგლეჯილი მტევანი ვარ,
 შენს ცხელ გულზე დასანურად მოწეული“.
 ზინა სოლომნიშვილი

წამეკიდე ისე, როგორც ცეცხლი — თივას,
 გაგიფინე მარგალიტი, ძონეული.
 „კახურ ვაზზე აგლეჯილი მტევანი ვარ,
 შენს ცხელ გულზე დასანურად მოწეული“.
 უშენობა თუნდაც წამით როგორ მტკივა,
 ვმარცვლე ლექსი შენზე, როგორც ბროწეული.
 „კახურ ვაზზე აგლეჯილი მტევანი ვარ,
 შენს ცხელ გულზე დასანურად მოწეული“.
 მამყოფინე, რაც უშენოდ ცრემლი მცვივა,
 განა დიდხანს გაგვახარებს დრო წყეული!
 „კახურ ვაზზე აგლეჯილი მტევანი ვარ,
 შენს ცხელ გულზე დასანურად მოწეული“.
 შენთან ერთად თვით ყინვაშიც აღარ მცვივა,
 შენთან ერთად მიიღია ო, წლეულიც.
 „კახურ ვაზზე აგლეჯილი მტევანი ვარ,
 შენს ცხელ გულზე დასანურად მოწეული“.
 შენი სიტბო ჩამოადნობს თვითონ მყინვარს,
 დარდი ქრება, ჩაგეკვრები როს ეული.
 „კახურ ვაზზე აგლეჯილი მტევანი ვარ,
 შენს ცხელ გულზე დასანურად მოწეული“.
 უამმა რთვლისა მოაწია, გიმზერ მღიმარს,
 ამ ჩემს რთველში შენ ხარ მერთვლედ
 მოწეული.

„კახურ ვაზზე აგლეჯილი მტევანი ვარ,
 შენს ცხელ გულზე დასანურად მოწეული“.

მდიდარი კიდევ უფრო მდიდრდება
 და ღარიბდება ღარიბი უფრო.
 ღარიბს — ხიშტი და მდიდარს — დიდება,
 ერთს — ნასუფრალი, მეორეს — სუფრა.
 არ დაეღევა მდიდარს მფარველი,
 ღარიბს კი ღმერთი იფარავს მხოლოდ.
 დროა ისეთი, შვებას არ ველით,
 ჩვენს სილატაკეს არ უჩანს ბოლო.
 და მათხოვრებით სავსე ქუჩები
 იარებივით ატყვია თბილისს.
 თუმც ჩვენსას ვცდილობთ, ბედს ვეურჩებით,
 რომ სიღარიბის განვდევნოთ ჩრდილი.
 ღარიბი იყო თვითონ იესოც,
 მაგრამ ვინ არის მასზე მდიდარი?
 ის შეგვიწყალებს, გვიცვლის იერსო
 და მისი ხატის ვართ მოწმინდარი.
 წელი წელს მისდევს ტანჯვით და კვნესით,
 აჰა, მთავრობას კვლავ ცვლის მთავრობა,
 მაგრამ ღარიბს — რა? დრო უკეთესი
 მისთვის არ დადგა, დარჩა ჯავრობა.
 მდიდარი კიდევ უფრო მდიდრდება...
 ო, გადმოხედე ღარიბებს, ღმერთო!
 შენი სიმძიმეც წარმოჩინდება
 ო, მოთმინების ფიალის წვეთო.

მე ვერ დავზარდე ბოკრები ლომის,
 ვერც — ალგეთური ლეკვები მგლისა.
 ამ ცხოვრებასთან ნავაგე ომი
 და მარტოობა თან დამდევს ნისლად.
 რა იქნებოდა, მყოლოდა შვილი,
 ჩემი სისხლის და ხორცის ნაწილი.
 სხვებისთვის მზეა, მე — მფარავს ჩრდილი
 და დასთამაშებს ჩემს გზას მაცილი.
 რა იქნებოდა, მყოლოდა შვილი,
 მყოლოდა „დედას“ დამძახებელი,
 ერთხელ მეც მეგრძნო სურნელი ჩვილის...
 მაგრამ დრო მკორტნის — ძერა ბებერი.
 რა იქნებოდა, მყოლოდა შვილი,
 ჩემი სიცოცხლეც გაგრძელდებოდა.
 ბედნიერება მეც ჩემი წილი
 დამბედებოდა, დამბედებოდა!
 მე ვეფერები ო, სხვების შვილებს,
 მაგრამ ვერ ვამბობ ო, სიტყვა „შვილოს“.
 სიკვდილი ახლა უფრო მაშინებს,
 როცა ყოველდღე სულის ხსნას ვცდილობ.
 მე ვერ დავზარდე ლომის ბოკრები,
 მაგრამ ოცნებებს არ უჩანს ბოლო...
 გავყურებ ვენახს ჯერ არმოკრეფილს —
 იქნება შვილი მაინც მეყოლოს.



საქართველო
 ჯორჯიანული

სხანი მოვარება

ეს მშრალი თიხნარი ზეგანი, ფლატეების ნაპრალოვანი კიდეებით ლიბიის ზღვაზე რომ ჩამონოლილიყო, სექტემბრის თვეში ერთობ პირქუშად გამოიყურებოდა: გრძელი ზაფხულის მზით უმონყალოდ გადაბუგულ მინდვრებს ახლა გადარუჯული ნამკალის ჩაშავებული კინტებილა შემორჩენოდა. აქა-იქ თუ მოჰკრავდით თვალს გამეჩხერებულ ნუშის ხეებსა და გადაბერებული გარეული ზეთისხილის ეულ ღეროებს. ამის მიუხედავად, საქმროს დაჟინებამ თავისი გაიტანა და საბოლოოდ გადაწყდა, რომ ახალგაზრდები სწორედ აქ გაატარებდნენ თავლობის თვის თუნდაც პირველ დღეებს.

საქორწილო სუფრა ძველებური, განმარტოებით მდგარი სასახლის ერთ-ერთ სასტუმრო ოთახში გაშალეს, მაგრამ ზეიმი მაინც არ გამოუვიდათ.

სტუმრებმა ვერაფრით დაძლიეს უხერხულობის გრძნობა და ვერც ის შინაგანი ძრწოლა თუ ფორიაქი, ამ ძონძროხა ოცი წლის სახელენილი ბიჭის მარტო ქცევამ კი არა, გარეგნობამაც რომ გამოიწვია, ბიჭისა, რომელიც მთელი საღამო უაზროდ აცეცებდა პატარა ბრწყინავ შავ თვალებს და მართლაც შლეგივით იქცეოდა: არც სვამდა, არც ჭამდა, ეგ იყო, რომ ერთთავად წითლდებოდა და წითლდებოდა, სანამ ბოლოს მთლად ქარხლისფერი არ დაედო სახეზე.

როგორც ამბობდნენ, საცოლისადმი გიჟური ვნებით გათანგულს ათასი სისულელე ჩაედინა. ერთხელაც, თურმე, კინალამ თქვენი ჭირი წაიღო ამ თავქარიანმა, ბერარდის ძირძველი, სიმდიდრითა და სიუხვით განთქმული საგვარეულოს ერთადერთმა შთამომავალმა და მემკვიდრემ. მერედა ვისი გულისათვის — საიდანლაც შემოხეტებული ქვეითთა პოლკოვნიკის ქალიშვილის გამო. ეს პოლკოვნიკი სულ რაღაც ერთი წლის წინ თავის პოლკთან ერთად გამოეცხადა სიცილიელებს და იმთავითვე ვერ იგუა კუნძულის მკვიდრნი. არც ქალიშვილის არჩევანი დაჯდომია ჭკუაში. ვერაფრით ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ შვილი ამ ველურებთან, ღვთისგან მივიწყებულ კუთხეში უნდა დაეტოვებინა.

სტუმრების დაბნეულობას და შეცბუნებას ისიც აძლიერებდა, რომ სულ უფრო აშკარა ხდებოდა განსხვავება სასიძოსა და მის ნორჩ საცოლეს შორის. ეს უკანასკნელი მთლად პატარა გოგონა გეგონებოდათ, ისეთი მკვირცხლი, ცქრიალა, ქორფა და ფრთხალი იყო. მისი შემხედვარე იფიქრებდით, რომ გამუდმებით რაღაც აკვიატებულ, აბეზარ ფიქრს იგერიებდნენ. ამ დროს მის სახეზე ისეთი მომხიბლავი სიტურფითა და ონავრობით აღსავსე, ხალასი გრძნობები იხატებოდა, რომ სტუმრები აღტაცებაში მოჰყავდა. ასეთი გულწრფელობა ეშმაკობისას მხოლოდ ძალიან პატარა და გამოუცდელ ონავრებს თუ ახასიათებთ. აშკარად ეტყობოდა, ნაადრევად დაობლელი და უდებოდ გაზრდილი, მართლაც რომ სრულიად მოუმზადებელი ხვდებოდა ჯვრისწერას. ნასადილევს მთელი დარბაზი ახარხარა და, ცოტა არ იყოს, გააოგნა კიდეც, როცა, ყველას გასაგონად, ლამის იყო, ქოქოლა დააყარა საქმროს:

— ღმერთო ჩემო, ნინო, ასე რატომ დაგივინროვდა თვალები? ხელს ნუ მკიდებ, არ გინდა, რა... ო, როგორ ხურხარ! რატომ გაქვს ასე გავარვარებული ხელები? მამა, მამიკო, ნახე, როგორ უხურს ხელისგული... სიცხე ხომ არა გაქვს?

საბრალო პოლკოვნიკმა, რომელიც მთე-

ლი საღამო თითქოს ეკლებზე იჯდა, გამგზავრება დააჩქარა. მართლაც, უკვე დრო იყო, დაესრულებინათ ეს სპექტაკლი, რომელიც მას თითქმის უხამსობად ესახებოდა. ყველანი ექვს ოთხთვალაში მოთავსდნენ. პოლკოვნიკი სიძის დედას მიუჯდა, რომელიც, მისი არ იყოს, ქვრივი გახლდათ. მათი ოთხთვალა ნელა მიდიოდა და დანარჩენები წინ გაუშვა, რადგანაც ჯვარდანიერლებმა თხოვეს გზაჯვარედინამდე გაგაცილებთო. იქიდან დიდი, შორეული ქალაქისაკენ მიმავალი გზა იწყებოდა. ნეფე-დედოფალი ფეხით აქეთ-იქიდან მიჰყვებოდა ეკიპაჟს: პატარძალს მამის ხელი ეკავა, ნეფეს-დედისა. გზაგასაყართან პოლკოვნიკი დაიხარა, ქალიშვილს შუბლზე აკოცა, ჩაახველა და წაილულლულა:

— ნახვამდის, ნინო.

— ნახვამდის, იდა, — გაიცინა დედამ და ცხენები ჩორთით გაქანდნენ, რომ დანარჩენებს დასწოდნენ.

ახალგაზრდები გზის პირას იდგნენ და ახლა მზერით აცილებდნენ თავისიანებს. თუმცა სიმართლე რომ ითქვას, მათ მხოლოდ იდა გაჰყურებდა, რადგანაც ნინო თავის გარშემო ვერც ვერაფერს ხედავდა და არც არაფერი გაეგებოდა, იდგა და თვალს არ აცილებდა სათაყვანებელ ცოლს. როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, მარტო დარჩნენ და იდა მას, მხოლოდ მას ეკუთვნოდა, მაგრამ რა ხდება? იდა ტირის?

— მამიკო, — წარმოთქვა იდამ და გამოსათხოვებლად ცხვირსახოცი ააფრიალა. — აი ის, ხედავ? ისიც...

— არაა საჭირო, იდა... ჩემო ძვირფასო...

— ჩაილულლულა, თითქმის წამოიკვნესა ნინომ და მთლად აკანკალებულმა გულში ჩაკვრა მოუნდომა.

იდა გაეცალა.

— თავი დამანებე, გეთაყვა.

— დაიცა, თვალებს შეგიმშრალე...

— გმადლობთ, ძვირფასო, არ გინდა. მე თვითონ.

ნინო, საცოდავი და პირდაღებული უმწეოდ შეჰყურებდა მას. იდამ ტირილი შეწყვიტა და ღანვების შემშრალების შემდეგ ჰკითხა:

— რა მოგივიდა? მთელი სხეული გიცახცახებს... ღმერთო, დიდებულო, ნინო, ნუ დგებარ ასეთი სახით ჩემს წინ. სიცოცხლე ვერ ვიკავებ. მე კი, იცი, ერთხელ თუ ამიტყდა სიცოცხლე, მერე ველარ გამაჩერებ. დაიცა, უცბად მოგიყვან გუნებაზე.

მან ფრთხილად მოუჭირა თითები საფეთქლებზე და პირდაპირ თვალეში შეუბერა სული. ხელების ამ ერთი შეხებისაგან, ტუჩების ამ ერთი ამონასუნთქისაგან ნინოს მუხ-

ლები მოეკვეთა და კინალამ მინაზე გაიშოტა. ბედად, იდამ ხელი შეაშველა, მერე ხმამაღლა გაიცინა:

— პირდაპირ გზაზე? ხომ არ შეიშალე! ხედავ იმ გორაკს? წამო, ვნახოთ! იქიდან შეიძლება ჩვენებსაც მოვკრათ კიდევ თვალი. გავიქცეთ!

მან ხელი ჩასჭიდა ქმარს და გამალებით გაიყოლია გორაკისაკენ.

ყოველი მხრიდან, ახლომდებარე მინდვრებში მოფენილი დამჭკნარი ყვავილებისაგან და იმ უამრავი გამომხმარი საგნისაგან, რომელთათვის დროის მდინარეებს აქ დაედო ბინა, რაღაცნაირი მშრალი სიმხურვალე იფრქვეოდა. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდათ, თითქოს რომელიღაც ძველთაძველი, საოცრად სქელი და ბლანტი სული ერთვოდა დღის მცხუნვარებას, დაუთესავ ხნულში საგულდაგულოდ დაგროვილი ნაკელის სითბოში ირეოდა და თან ჯერ კიდევ დაუმჭკნარი პიტნისადაველური საღებოს მძაფრ სურნელებს აფრქვევდა. მაგრამ ამ შმორის სუნს, ამ გულისგამგმირავ სურნელებს მხოლოდ ნინო გრძნობდა. იდას კი, ხშირ ეკალბარდებში, გარუჯული ნანვერალის გახევებულ და გაცურეცილ ღეროებს შორის სირბილისას, მაღლა ციდან ტოროლას ბედნიერი გალობა ესმოდა. ხოლო დაბლობის პაპანაქების სამარისებურ სიჩუმეში, სადღაც შორს მდებარე კალოდან მამლის გრძნეული, ავისმომასწავებელი ყვირილი წვდებოდა. ხანდახან გრილი სიო ეცემოდა სახეზე. ზღვის ახლო სუნთქვა იგრძნობოდა გაყვითლებული და უკვე გამეჩხერებული ნუშებისა და მოულოდნელად ფერდაკარგული ზეთის ხის ჭყორიანი ბუნწუნების დაღლილ შრიალში.

მათ საკმაოდ სწრაფად მიიღბინეს გორაკის ძირამდე. მაგრამ ნინოს სირბილისაგან არაქათი გამოეცალა და ძლივსღა იდგა ფეხზე. სურდა დამჯდარიყო და ცოლიც მოესვა გვერდით. წელზე ხელი მოხვია იდას, მაგრამ იგი გაუძალიანდა:

— მაცალე, ერთი ვნახო, რა არის იქ.

იდა თანდათან იწყებდა ნერვიულობას, თუმცა გარეგნულად არაფერს იმჩნევდა. ქმრის უცნაური, გაუგებარი ბლარძუნი აღიზიანებდა. ამიტომაც არ შეეძლო, არ სურდა ერთ ადგილზე ჯდომა, უნდოდა ერბინა, ერბინა, გამოეფხიზლებინა ნინო, მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა, თვითონაც ცოტა ხნით გამორთვოდა რეალობას, დაბინდებამდე მაინც.

აქედან, გორაკის თხემიდან, იძლებოდა უნაპირო დაბლობი, ჩალის ზღვა, ახოების შავი რუჯით ყველა მხრიდან გადაკვალებული.

შეყვითლებული ნანვერალის შეყალყულ ზედაპირზე მოჩანდა იშვიათ კუნძულებად შეჭრილი კაპარისა და ძირტკბილას ხეები, შორს-შორს, ამ უზარმაზარი ჩაღის ზღვის თითქმის მეორე ნაპირზე, მაღალი შავი ალვის ხეებს მიღმა, რომელიდაც სოფლის სახურავებს შეამჩნევდით.

და აი, იდამ გადაწყვიტა, რომ მათ აუცილებლად უნდა მიეღწიათ იმ სოფლამდე. მაინც რამდენ ხანში მივიდოდნენ? ალბათ, საათზე მეტი დასჭირდებოდათ. ახლა მხოლოდ ხუთი საათი იყო და მსახურებსაც ჯერ არ ექნებოდათ სახლი დალაგებული. სოფლამდე მისვლაც და უკან დაბრუნებაც თავისუფლად შეეძლოთ დაბინდებამდე.

ნინო შეეცადა წინააღმდეგობა გაენია, მაგრამ იდა ორივე ხელში სწვდა, ფეხზე წამოაყენა და, ჰაიდა, სირბილით შეუყვავა გორაკის ციცაბო ფერდობს. მთაში მონავარდე ნორჩი არჩვივით კამარად ევლებოდა ჩაღის გაფშეკილი ღეროების ტალღებს. ნინო ვერა და ვერ ენეოდა, განითლებული, გაოფლიანებული, სირბილისაგან არაქათგამოცლილი იმასლა ევედრებოდა, ხელი მომეციო:

— ხელი! ხელი მაინც მომეცი! — მისძახოდა სულმეხუთული ნინო.

უეცრად, იდამ იყვირა და ერთ ადგილზე გაქვავდა. პირდაპირ, ცხვირწინ, ხმამაღალი ჩხავილით აუფრინდა ყვავების გუნდი. ცოტა მოშორებით ცხენის ლეში ეგდო. ლეში? არა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და იდას შეჰყურებდა, მაგრამ როგორ? ღმერთო, როგორ შეჰყურებდა. ჩონჩხილა დარჩენილიყო! ფერდები ჩასცვენოდა, საცოდავად მოუჩანდა ნეკნები.

ამასობაში არაქათგამოცლილმა ნინომაც მიიღბინა და აქლოშინდა.

— წავიდეთ ჩქარა აქედან! წავიდეთ სახლში!

— ის ჯერ კიდევ ცოცხალია, ნახე! — აყვირდა აკანკალებული იდა და სახეზე თანაგრძნობა გამოეხატა. — თავი წამოსწია... ღმერთო, რა თვალები აქვს! შეხედე, ნინო!

— ჰო, — მიუგო ჯერაც სუნთქვაშეკრულმა ნინომ. — საგანგებოდ მიუტოვებიათ აქ. წავიდეთ! ნუთუ არ გეზიზღება? ჰაერი ხომ...

— მერე ყვავები? — წამოიყვირა შეძრწუნებულმა იდამ. — ისინი რა, ცოცხლად შეჭამენ?

— იდა, თუ ღმერთი გწამს... — შეევედრა გულხელდაკრეფილი ნინო.

— იცი რა... გეყოფა! — ნინოს უაზრო ახირებამ საბოლოოდ გამოიყვანა იდა წონასწორობიდან. თავს ველარ იკავებდა. — მიპასუხე, — ყვიროდა იგი, — ისინი რა, ცოცხალს დაკორტნიან?

— აბა, საიდან უნდა ვიცოდე, როდის შეჭამენ. ალბათ, დაიცდიან.

— გამოდის, რომ — არ ცხრებოდა იდა, — ეს საბრალო შიმშილისა და წყურვილისაგან უნდა დაიღუპოს. მხოლოდ იმიტომ, რომ ბებერია? მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი დრო მოჭამა?

— შიშის ზარმა და სიბრაულმა სახე დაუმანჭა. საცოდავი პირუტყვი! რა სიმდაბლეა! რა ხალხია ეს გლეხები! რა ხალხია, აი, ესა ხართ!

— მაპატიე, გეთაყვა, — ველარ მოითმინა ნინომ. — შენ ისე იცოდებ საქონელს...

— შენი აზრით, რა თქმა უნდა, არ უნდა შემბრალებოდა.

— კი, მაგრამ, მე რატომ არ მაქცევ ყურადღებას?

— შენ რა, ცხოველი ხარ? შენ რა, სული გძვრება შიმშილისა და წყურვილისაგან, მარტო მიგატოვებს მინდორში? მისმინე... ვაი, ნინო, კიდევ მოფრინდნენ ეს ყვავები. ხედავ, ხედავ, როგორ დასტრიალებენ თავს. რა საშინელებაა, რა სიმდაბლეა, რა მხეცობა... საბრალო პირუტყვი... ხედავ... წამოდგომა სურს! ნინო, ის დგება... იქნებ სიარული შეძლოს... ნინო, მოდი, რამენაირად დავეხმაროთ. აბა, რაღას უდგეხარ?!

— ვითომ რა უნდა ვქნა? — გაგულისდა ნინო. — წამოვათრიო? იქნებ ზურგზე მოვიკიდო? ესლა მაკლდა. როგორ ფიქრობ, შეძლებს გავლას? ნუთუ ვერ ხედავ, რომ საცაა სული გასძვრება?

— საჭმელი რომ მოგუტანოთ?

— სასმელიც?

— მაინც რა უკუღმართი ხარ, ნინო! — ცრემლები წამოსცვივდა იდას.

მან სძლია ზიზღის გრძნობას, დაიხარა და წყნარად, ისე, რომ ოდნავ ეხებოდა ხელით, დრუნჩზე მოეფერა ცხენს, რომელმაც უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და წამოიწია. ამ უსასრულოდ დამამცირებელ უსუსურობაშიც კი იგრძნობოდა კეთილშობილური სილამაზის ნაშთი: ლამაზი ყელი და კობტა თავი.

ნინო, შეიძლება დიდი მღელვარების, შეიძლება მწარე წყენის, ანდა სულაც იმის გამო, რომ სირბილის შემდეგ ოფლში ცურავდა, უცბად მოეშვა, იგრძნო, როგორ აუკანკალდა სხეული: კბილს კბილზე ურტყამდა, საშინელმა ჟრუანტელმა მთელ ტანში დაუარა. ინსტინქტურად აინია პიჯაკის საყელო, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და პირქუში, მობუზული, განადგურებული, მოჩვარულივით იქვე ქვაზე ჩამოჯდა.

მზე უკვე ჩავიდა. შორიდან, გზის მხრი-

დან, ტაატიტ მიმავალი ოთხთვალას ეუვნების წკრიალის ხმა გაისმა.

რატომ უკანკანებს ასე კბილები, რატომ ეყინება სისხლი ძარღვებში? შუბლი კი უხურს და ყურშიც ისეთი ხმაური უდგას, თითქოს სადღაც მთელი ძალით რეკავენ ზარებსო. ეს გულის გამანვრილებელი მოლოდინი, სიბეჩავის განცდა, იდას ქედმაღლური გულგრილობა, დღევანდელი სირბილი და ახლა კიდევ ეს დაწყველილი ცხენი. იქნებ, ყოველივე ეს სიზმარია, ღამის კოშმარი ანდა ცხელება, ანდა კიდევ სხვა რამ უბედურება? ჰო, ალბათ, ასეცაა! ღმერთო, რა წყვილია, რა უკუნია ირგვლივ! ანდა, იქნებ თვალთ დაუბნელდა, ღმერთო! ის ცდილობს დაილაპარაკოს, დაიყვიროს, საშველად მოუხმოს: „იდა! იდა!“ — მაგრამ სიტყვა გამომშრალ ყელში ეჩხირება.

სადაა იდა? რას აკეთებს?

იგი დახმარების საძებნელად იმ შორეულ სოფელში გაიქცა და ვერ ხვდება, რომ გლეხებმა, იმ გლეხებმა, ვისი იმედიც მას აქვს, სწორედ მათ მოათრიეს მინდორში ცხოველი, რათა ამ ადგილას ამოხდომოდა სული.

ის კი აქ დარჩა, მარტოდმარტო, სხეულზე ხელების მაგრად შემოჭდომამაც კი ვერ შეუჩერა თანდათან მზარდი კანკალი. ისე შემოხვეოდა ქვას, როგორც ვეება გაფხორილი ჭოტი და უცბად მას ეჩვენა, დიახ, სწორედ ასეთი იყო ახლა ის, ეს არეული მნათობი, ავის მომასწავებელი და წარმოუდგენელი, როგორც იმქვეყნიური ზმანება. მთვარე. ვეება მთვარე ნება-ნება ამოდიოდა ჩალის ყვითელი ზღვიდან. სპილენძის ამ ამობურცულ დისკოზე ესვენა ცხენის შავი თავი, რომელიც, კისერწაგრძელებული, მოლოდინად ქცეულიყო, გეგონებოდათ, მზად არის მთელი ცხოვრება ელოდოსო — შავი თავის ქალა,

სპილენძის წრეზე მიჯაჭვული, — სანამ მტაცებელი ფრინველები ირაოს კრავდნენ და ყაშყაშებდნენ იქ ზეცაში.

როდესაც იდამ ძლივძლივობით დააღწია თავი ამ უნაპირო დაბლობს, რომელშიც კინალამ არ ჩაიკარგა და გულგატეხილი და აღშფოთებული „ნინო, ნინოს!“ დახილით, როგორც იქნა, უკან დაბრუნდა, მთვარე უკვე ამოსულიყო და ცხენის სხეული კვლავ უმოძრაოდ გართხმოდა მიწას, ნინო კი... სად წავიდა, მართლა და მართლა? აი ისიც, ისიც მინაზე წევს.

რას შვრება, ხომ არ ჩაეძინა?


იდამ მიირბინა მასთან, ნინო იწვა, თითქმის გაშავებული, სისხლჩაქცეული სახე მინაში ჩაერგო, ქუთუთოები მჭიდროდ მიჯრიადა ერთმანეთს. ხრიალებდა.

— ო, ღმერთო!

იდამ ირგვლივ მიმოიხედა, თითქმის გონდაკარგულს სოფლიდან ცხენისთვის წამოღებული ნაბლი დაეფანტა, ჯერ ცას ახედა, შემდეგ ცხენს, მერმე — მიწას და სულ ბოლოს ამ ადამიანს, მკვდარივით გაშოტილს. უცბად იგრძნო, რომ გონებას კარგავდა, ვერაფრით აეხსნა, როგორ შეიძლება ყოველივე ეს ცხადში მომხდარიყო. შეეშინდა და უკან, სახლისკენ გაიქცა. მირბოდა და მთელი ხმით მამას უხმობდა, რათა მის ერთადერთ მფარველსა და ქომავს, იგი აქაურობისთვის მოეშორებინა, ო, ღმერთო, მოეშორებინა ამ კაცისგან, ასე საშინლად რომ ხრიალებდა... მხოლოდ ღმერთმა იცის, რატომ... შორს წაეყვანა ამ ცხენისგან, ამ გადარეული მთვარისგან, ყვავეებისგან, ცაში რომ ყაშყაშებდნენ... შორს, შორს...

თარგმნა ზაალ ბოტკოველმა





რამაზ
საქარაიძე

ხმის დაიწახა "ვეფხის-ტყაოსანი"

უთუოდ უნდა ვიცოდეთ — როდის დაიწერა რუსთველის „ვეფხის-ტყაოსანი“. როდის მოღვაწეობდა შოთა რუსთველი: თამარ მეფის ხანაში თუ უფრო გვიან, ესეც დანამდვილებით უნდა ვიცოდეთ, რაკი ეს საკითხი საბოლოოდ გარკვეული არ არის: ერთხანობას ნიკო მარი და სარგის კაკაბაძე „ვეფხის-ტყაოსანს“ მე-14 საუკუნით ათარიღებდნენ, ხოლო კორნელი კეკელიძემ პოემა რუსუდან მეფის დროინდელ 1230-იანი წლების თხზულებად მიიჩნია.

დღესდღეობით, გაბატონებულია პავლე ინგოროყვას თვალსაზრისი. მისი შეხედულებით პოემა დაწერილია 1196-1207 წლებს შორის. ე.ი. პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“ XII-XIII საუკუნეთა მიჯნის თხზულებაა.

ამას გვეუბნებიან მეცნიერები. მაგრამ ნუ-

თუ „ვეფხის-ტყაოსნის“ დამწერ შოთა რუსთველს თავად არ უნდა ეთქვა ამის შესახებ რაიმე?

საგულისხმოა „ვეფხის-ტყაოსანს“ შოთა რუსთველმა „წინათქმა“ წარუმიძღვარა და „ბოლოთქმა“ დაურთო. ცხადია, იმ მიზნით, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ რაობა განემარტა. „ვეფხის-ტყაოსანი“ ისეთი თხზულებაა, რომელიც უსათუოდ თხოულობს განმარტებას. ცხადია, ამიტომ, „ვეფხის-ტყაოსნის“ „წინათქმა“ და „ბოლოთქმა“ იმას უნდა გვეუბნებოდეს თუ:

1. რა დაწერა, რა თხზულებაა „ვეფხის-ტყაოსანი“;
2. ვინ დაწერა, ვინ არის „ვეფხის-ტყაოსნის“ დამწერი და
3. როდის დაიწერა „ვეფხის-ტყაოსანი“.

სამწუხაროდ, „ვეფხის-ტყაოსნის“ არც „წინათქმა“, არც „ბოლოთქმა“ და არც პოემის დასაწყისი — „ამბავი როსტევიან არაბთა მეფისა“ თავდაპირველი სახით ჩვენამდე მოღწეული არ არის. სტროფები არეულ-დაარეულია და გვიანდელი ჩანართი ცრუ რუსთველური სტროფებით არის გაჯერებული.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიას სწორედ ეს უპირველესი ამოცანა უნდა შეესრულებინა, უნდა აღედგინა სტროფების ნამდვილი თანამიმდევრობა პოემისა. სამწუხაროდ მან ეს ამოცანა ვერ შეასრულა.

„ვეფხის-ტყაოსნის“ წინათქმა სამი თავისაგან შედგება:

1. „პირველ-თავი-დასაწყისი“;
2. „სწავლისათვის მოშაირეთა“ და
3. „კარი მიჯნურობისა“.

რაკი ამჯერად ჩვენი მიზანია „ვეფხის-ტყაოსნის“ შექმნის თარიღი გავარკვიოთ, ამისათვის საკმარისია „წინათქმის“ პირველი თავი განვიხილოთ. სტროფების თანამიმდევრობა „წინათქმის“ პირველ თავში ასეთია: (სტროფების თანამიმდევრობა აღდგენილია ჩემს მიერ).

წინათქმა რუსთველისა

1. ჰე, ლმერთო ერთო, შენ შექმენ სახე
ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად,
და, სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილმდე
გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა
წასატანისა.
2. მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი

გვდის არ შეშრობილი;
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა
ყოფილა შობილი!
დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის
გულ-ლახვარ სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი, ან
მარგალიტი ნყობილი.

3. ესე ამბავი სპარსული, ქართულად
ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელი-ხელ
საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე
ვქენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელმქმნელმან დამმართა, ლაღმა
და ლამაზმა, ნები.
4. მიბრძანეს მათად საქებრად თქმა
ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და
ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით
მინყობილისა,
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი
ტყვიისა ლბილისა.
5. თამარს ვაქებდე მეფესა სისხლისა
ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად
ერთსახეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად
მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი
გულსა ხეული.
6. თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა
ახლად ჩენა,
მიაჯეთ ვინ, ხორცთა დანვა კმა არს,
მისცეს სულთა ღებენა.
აჰა, გული გამიჯნურდა, მიხვდომია
ველთა რბენა!
სამთა ფერთა საქებართა ლამის
ლექსთა უნდა ვლენა.
7. ჩემი ან ცანით ყოველმან, მას ვაქებ,
ვინცა მიქია;
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი
გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო
ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე
მითქვამს, იქი ა.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ „ბოლოთქმას“ იგი, როგორც პავლე ინგოროყვამ

გაარკვია, მხოლოდ და მხოლოდ ერთი სტროფია. „ბოლოთქმის“ დანარჩენი სტროფები, გვიან შეთხზულია და რუსთველს არ ეკუთვნის.

„ბოლოთქმის“ ერთადერთი სტროფი მოგვიანებით ხელყოფილიც არის და ძლიერ დაზიანებულიც. ამიტომ ამ სტროფს სხვადასხვა გვარად კითხულობენ. მე ჩემს ვარაუდულ ნაკითხვას გთავაზობთ:

ბოლოთქმა რუსთველისა

ქართველთა ღმრთისა ნათლისა, ვის მზე
ჰმსახურებს არებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად
მოსახმარებლად;
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს
სხივთა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად,
ერთგულთა გამახარებლად.

„ვეფხისტყაოსნის“ „წინათქმის“ შვიდ სტროფსა და „ბოლოთქმის“ ერთ სტროფში რუსთველმა ყველაფერი გვითხრა: რა თხზულებაა „ვეფხისტყაოსანი“, ვინ დანერა და როდის დანერა ეს პოემა. ყოველივე ეს პირველი პირითაა გაცხადებული. მაგრამ არის ერთადერთი გამონაკლისი, როცა ერთი სტროფი მე-3 პირით იკითხება:

„რომელმან შეჰქმნა სამყარო... მისგან არს ყოვლი ხელმწიფე“...

ამიტომ ეს სტროფი „წინათქმის“ პირველი პირით დანერილ სტროფებს არ შეიძლება ეკუთვნოდეს.

როგორც გამოიჩვენა, „ვეფხისტყაოსნის“ „წინათქმა“ რუსთველის ღვთისადმი აღვლენილი სავედრებელით იწყება:

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,

შენ დამიფარე...“

თავად „ვეფხისტყაოსანს“ კი ღვთის სადიდებელი იწყებს: — „რომელმან შეჰქმნა სამყარო...“ ე.ი „წინათქმაც“ და თავად პოემაც ღვთის ხსენებით უნდა იწყებოდეს. როცა „ვეფხისტყაოსნის“ პირველ თავს — „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“ ღვთის სადიდებელი დაიწყებს, ამ დასაწყისი თავის შინაარსიც გასაგები ხდება. ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისი ასე უნდა იკითხებოდეს:

1. რომელმან შეჰქმნა სამყარო, ძალითა
მით ძლიერითა
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა, ზეცით
მონაბერიითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს
უთვალავი ფერთა,

მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა
მის მიერთია.

- იყო არაბეთს როსტევეან, მეფე
ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-
მრავალი, ყმიანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა
მოუბარი წყლიანი —
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული
განგებინი.

ე.ი. პირველი სტროფის თანახმად, ყოველი ხელმწიფე, ზოგადად, თავისი თვისებებით ღვთისმიერია. მეორე სტროფის თანახმად, კერძოდ ღვთისმიერია თავისი თვისებებით როსტევეან არაბთა მეფე. მაგრამ როსტევეან მეფეს ტახტის მემკვიდრედ ერთადერთი ასული ჰყავს. ეკუთვნის თუ არა გახელმწიფება თინათინს? მეფის ვაზირთ საბოლოო განაჩენი გამოაქვთ:

„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ
ღმრთისა დანაბალია“.

„ვეფხის-ტყაოსნის“ პირველ თავში საკმაოდ გამჭვირვალედ არის აღწერილი თამარის გამეფების ამბავი 1178 წელს. სამწუხაროდ პოემის დასაწყისს აქამდე ღვთის სადიდებელი პირველი სტროფი აკლდა. ამიერიდან „ვეფხის-ტყაოსანი“ ღვთის სადიდებელი სტროფით უნდა დაიწყოს, თუ გვინდა ხელმწიფური ტახტი თინათინს იგივე თამარ მეფეს კანონიერად ეკუთვნოდეს.

ამგვარად, „წინათქმის“ სტროფებიც დალაგდა და პოემის დასაწყისიც გაირკვა. ამიტომ ახლა „წინათქმას“ დავუბრუნდეთ.

როგორც ზემოთ ითქვა „წინათქმას“ რუსთველის ღვთისადმი აღვლენილი სავედრებელი იწყებს. საგულისხმოა, რუსთველი „წინათქმის“ პირველ სტროფში ღმერთს შესთხოვს მიჯნურთა სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე — სიკვდილამდე გაიტანოს. რა თქმა უნდა, რუსთველი „ვეფხის-ტყაოსნის“ მიჯნურთ გულისხმობს. მათდამი თავდადება, როგორც ჩანს, არცთუ ადვილი საქმეა. ეს კი იმას ცხადყოფს, რომ „ვეფხის-ტყაოსანში“ თამარ მეფის დროინდელი ქართული სინამდვილეა მხატვრულად ასახული, ხოლო რუსთველი „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირთა თანამედროვე ახლობელი კაცია.

თუ წინათქმის პირველ სტროფში რუსთველი ღმერთს მიმართავს:

- „ჰე, ღმერთო ერთო...“ წინათქმის მეორე სტროფში რუსთველი პოემის მკითხველთ უხმობს:
- „მო, დავსხდეთ...“ და ტარიელი დავიტი-

როთო, ე.ი. „ვეფხის-ტყაოსნის“ ტარიელი ტახტის მემკვიდრე დემეტრე (დემნა) უფლისწულის მხატვრული განსახიერება ყოფილა, ხოლო გულმოკლულმა რუსთველმა — დემნა უფლისწულის ამბავი „ვეფხის-ტყაოსანში“ პოეტურ ქმნილებად გარდაქმნა.

„წინათქმის“ მესამე სტროფში რუსთველი შეფარულად გვიმხელს, რომ მან დემნა უფლისწულის სპარსული ამბავი (იგულისხმება მისი დაბრმავება და დასაჭურისება) პოემაში ლექსად უარჰყო და მით საკამათო საქმე ჩაიდინა. მაგრამ ასეთი საქციელი თამარ მეფემ მოუწონა. ესეც შეფარულად არის თქმული (მესამე სტროფის მეოთხე სტრიქონში):

3.4. „ჩემმან ხელ-ქმნელმან დამმართა,
ლაღმა და ლამაზმა, ნები“.

თუ სიტყვა „დამმართა“ და „ხელ-ქმნელმან“ სიტყვის უკანასკნელი „ან“-მარცვალი ბოლოდან წავიკითხეთ: „თამარ დამან“ წაიკითხება. ე.ი. რუსთველი თამარ მეფეს დასუნოდებს. მე-4 სტრიქონის აზრი ასეთია: ვინც მე „ვეფხის-ტყაოსნის“ დანერა შთამაგონა — „თამარ დამან“, მანვე მომცა „სპარსული“ ამბავის უარყოფის უფლებაო. სიტყვა „სპარსულის“ ორაზროვნული, ზმური მნიშვნელობა „ლაღმა და ლამაზმა“ სიტყვებშია შეფარულად გაცხადებული: ეს ორი სიტყვა ასე შეიძლება წავიკითხოთ: „მაღლა ზმა დამალა“. ე.ი. „სპარსული“ ამბავი დემნა უფლისწულის დასჯას გულისხმობს.

ცხადია, საქართველოში დატრიალებული სისხლიანი „სპარსული“ ამბავი 1176-1177 წლებისა რუსთველმა ამ „სპარსული“ ამბის უარყოფით დაგმო.

ირკვევა: „ვეფხის-ტყაოსანი“ მეფე გიორგი მესამისა და თამარ მეფის დროინდელი ქართული სინამდვილის მხატვრული ასახვის თხზულებაა. კერძოდ კი, როგორც პოემის წინათქმა გვეუბნება „ვეფხის-ტყაოსანი“ არის ამბავი ტარიელისა და ქება თამარ მეფისა (ტარიელი შეფარულად დემნა უფლისწულის მხატვრული სახეა).

როდის უნდა დანერილიყო „ვეფხის-ტყაოსანი“?

როგორც პოემის „წინათქმა“ გვაუწყებს რუსთველს თამარ მეფის ორი სადიდებელი ქება დაუწერია: „ქებანი“ და „ვეფხის-ტყაოსანი“. რუსთველი გვეუბნება:

„თამარს ვაქებდე მეფესა სისხლისა
ცრემლ-დათხეული
ვთქვენი ქებანი ვისნი მე...“

„ჩემი ან ცანით ყოველმან, მას ვაქებ
ვინცა მიქია...“

როგორც ცნობილია თამარი ორჯერ აკურთხეს მეფედ. პირველად გიორგი III-ს ჟამს



— 1178 წელს და ხელმეორედ გიორგი III-ის გარდაცვალების შემდგომ — 1184 წელს. როგორც ჩანს, თამარის პირველ გამეფებას უძღვნა რუსთველმა თავისი არმოღწეული თხზულება „ქებანი“, რომლის წერა რუსთველს თამარის გამეფების დროს — 1178 წელს უნდა დაეწყო და 1184 წლამდე უნდა დაემთავრებინა.

1184 წელს დიდებულებმა, გიორგი III-ის გარდაცვალების შემდგომ ხელმეორედ აკურთხეს თამარი მეფედ და რუსთველისათვის თამარის ახალი სადიდებლის დაწერა უბრძანებიათ. ამას უნდა გვამცნობდეს სწორედ „წინათქმის“ მე-4 სტროფი:

4. მიბრძანეს მათად საქებრად თქმა
ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და
ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის
მიჯრით მიწყობილისა...

ე.ი. „ვეფხისტყაოსნის“ წერას რუსთველი 1184 წელს უნდა შესდგომოდა და 1189 წელს უნდა დაესრულებინა. ეს, 1184-1189 წლები „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის დრო-ჟამეულად უნდა მივიჩნიოთ. ეს არის ხანა, როცა თამარ მეფე სასახლის სამეფო კარის დიდგვარიან დიდმოხელეთა და დიდებულთა „ტყვეობაშია“, ხოლო პოემის „წინათქმა“ და „ბოლოთქმა“ დაწერილია მაშინ, როცა თამარი დავით სოსლანზე ჯერ გათხოვილი არ არის და მტრულად განწყობილ დიდებულთა გარემოცვაშია (თამარის და დავით სოსლანის შეუღლება 1189/90 წლების მიჯნაზე უნდა მომხდარიყო). თამარ მეფის ამ შეჭირვებულ მდგომარეობას უნდა ასახავდეს „წინათქმის“ რუსთველის სიტყვები:

5. თამარს ვაქებდე მეფესა სისხლისა
ცრემლ-დათხეული...

ამგვარად „ვეფხისტყაოსნის“ „წინათქმის“ სტროფების თანამიმდევრობის დალაგების შედეგად გამოირკვა, რომ პოემა დაწერილია 1184-1189 წლებში. მაგრამ ეს „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის ვარაუდად რჩებოდა, მეცნიერი ქალის — ეთერ ბასილაშვილის ბრწყინვალე მიგნება რომ არა!

1997 წლის „კალმასობის“ დეკემბრის თვის 11,12 ნომრებში დაიბეჭდა ეთერ ბასილაშვილის გამოკვლევა სათაურით: „მარგალიტი წყობილი“. მეცნიერმა ქალმა ამოიკნო „ქვემორე“ სტროფი „ვეფხისტყაოსნისა“, რომელსაც „წინათქმა“ უთითებს:

7.1. ჩემი ან ცანით ყოველმან, მას ვაქებ,
ვინცა მიქია...
7.4. მისი სახელი შეფარვით ქვემორე
მითქვამს, იქი ა.

ეს „ქვემორე“ სტროფი „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოთქმის ერთადერთი სტროფი ყოფილა: ქართველთა ღმრთისა ნათლისა, ვის მზე ჰმსახურებს არებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად
მოსახმარებლად;
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს
სხივთა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად,
ერთგულთა გამახარებლად.

ამ სტროფის პირველი, მეორე და მეოთხე ტაეპების მუხლთა დასაწყისი ასოებით იკითხება: ქ-ვ-ე-მ-ორ-ე. დადასტურდა პ.ინგოროყვას ვარაუდი: ეს „ქვემორე“ სტროფი „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის — ბოლოთქმის ერთადერთი სტროფი ყოფილა.

ამ „ქვემორე“ სტროფში ორი ნაცვალსახელი იკითხება: მეორე ტაეპში — მათად და მეოთხე ტაეპში — მათთა. ამ ნაცვალსახელებში ეთერ ბასილაშვილმა ქართული წელთაღრიცხვის — ქორონიკონის აღმნიშვნელი რიცხვები ამოიკნო; მათად = (40X10) + (1X4) = 404; მათთა = (40 X 10) + (9 X 1) = 409. ქართული ქორონიკონის 409⁹ წელი: 780 + 404 = 1184 წელია, ხოლო ქართული ქორონიკონის 409 წელი: 780 + 409 = 1189 წელია. ეთერ ბასილაშვილის მიგნება სამართლიანია, რაკი ძველ ქართულ წარწერებში წელთაღრიცხვის აღმნიშვნელ რიცხვებად სწორედ ამ ნაცვალსახელებს იყენებენ.

ამგვარად, „წინათქმის“ მეოთხე სტროფში:

4.1. მიბრძანეს მათად საქებრად თქმა
ლექსებისა ტკბილისა...

რუსთველი შეფარულად გვეუბნება, რომ მას დიდებულებმა უბრძანეს დაეწერა თამარ მეფის ქება 1184 წელს. ხოლო „ქვემორე“ სტროფში რუსთველი გვამცნობს:

„ესე ამბავი გავლექსე“ ანუ დავწერე „ვეფხისტყაოსანი“ 1184-1189 წლებშიო.

გარდა ამისა, იმავე „ქვემორე“ სტროფში, ყოველი ტაეპის მეორე მუხლის დასაწყისი სიტყვების მეშვეობითა და მესამე ტაეპის შემწეობით, ეთერ ბასილაშვილმა ამოიკითხა ის, რაც მხოლოდ გადმოცემით ვიცოდით:

„ვისმე ერთ დასა ერთმევის —
ვინ არის თამარ“.

ე.ი. 1189 წელს „ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუსთველს თამარ მეფისთვის მიუერთმევია.



ნოდარ
 ტუნაშვილი

ახელმეცხია შა/მ/თანი

ჩვენს წინაშეა უცნაური ბედის კაცი. ალბათ, პროვიდენციალური ხვედრისა. ამ იდუმალეებით მოცული ადამიანის წუთისოფელი თითქოს სევდიანად დიადა.

მცირე ექსკურსი

არაბულ სამყაროზე გამარჯვებული დავით მეთხე ახალ საქართველოს შენებას იწყებს. „ქართველები ჩამორჩებიან ბერძნებს და ჯერ კიდევ მხოლოდ ქედს იხრიან მათ წინაშე“-ო, წერს ქართველი ფილოსოფოსი. მაგრამ ქართული ენა საფილოსოფოსო ენაა, ქართველთა ტვინი — სიბრძნის სიყვარულისთვის მომართული ფენომენი. შენდება გაენათი თუ გელათი /ახლა რა აზრი აქვს ძველი ამბების ინტერპრეტირებას/-გველათი ხომ არ არის ამ სახელწოდების სემანტიკური წარსული?! საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გაენათის ტაძარი ქუთაისიდან ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარეობს, ხოლო აკადემიის

ბალები ათენიდან ჩრდილო-დასავლეთითაა და აქ ჩვენ ტოპოგრაფიულ ანალოგიას ვუახლოვდებით.

გაენათში ნეოპლატონიკოსებს უნდა ეღვანათ და ელოცათ. ქრისტიანულ სარწმუნოების ქვეყანაში აზროვნება შეეცანათ. „ღვთისმეტყუელები ნივთთაგან მიუხებელი წამოყენებინათ“, ღმერთი ექსტაზის საშუალებით ეხილათ, ანტიკური სიბრძნის სინათლე დაენახათ და განეცადათ.

რად გაჰყვა დავითს მისთვისცა ტკივილი სამარადისო? — პასუხს ითხოვენ ჩვენი ნეოპლატონიკოსი წინაპრების აჩრდილები. მათი მოძღვარი ერისაგან შეუწვევლობას ტირის /ქართველებმა დევნა დამიწყეს/, ხოლო გაენათი დაგვიჩა დასკრძალად ბაგრატიონან მეფეთა, ძვალთშესალაგად ნუშტთა ძლიერთა ამა სოფლისათა და ოდენ... ვეფხისტყაოსანი კი, რომელიდაც, სულ სხვა ემოციის სინდისებრივ, უფლებრივ თუ მორალური გადარჩენის მიზნით დაწერილ პოემად უნდა ჩაითვალოს.

მესიანისტური კონცეფციის ნაკვერჩხალი თამარის ეპოქაშიც ღვივის. XII საუკუნის ქართველებმაც დაამარცხეს თურქები და არა მხოლოდ პოლიტიკურად — რელიგიურადაც. ჩვენი ქვეყანა ძლევამოსილი გამოვიდა საუკუნოვანი ბრძოლებიდან მაჰმადიანურ სამყაროსთან. მას ახალი მისია უნდა ეკისრა.

აბდულმესია არა მარტო ორიგინალური შემოქმედების მესაფუძვლე და საშუალო საუკუნეების საქართველოში დიდად ავტორიტეტული პიროვნებაა, მან მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ატარა თამარის ეპოქის მნიშვნელობის სიყვარული. შავთელის თხზულებების მსოფლმხედველობრივი საძირკველი მამულიშვილობაა, ხოლო იდეალი-ძლიერი, ცენტრალიზებული, გაერთიანებული საქართველო. ეს კაცი თავისი დროის უმჯობესი წარმომადგენელია.

კი, ჩვენს ერს აბდულმესია ყოველთვის რჩებოდა ქართული პატრიოტული სულის წამყვანი ხაზის მიღმა. რატომ, არ ვიცი, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ცდომილება ყოფილა.

მწერლის ბიოგრაფიის მნიშვნელოვან თარიღთა დადგენა ვერ ხერხდება, ადამიანისა, ვისი ნაწერებიც, ალბათ, მისი სიკვდილის ახლო ხანებშივე უნდა განიავებულიყო.

ვცადოთ აღდგენა ისტორიული სიმართლის და თამარის თანამედროვეს, მასთან დაახლოებულ პიროვნებას მივუჩინოთ მისთვის საკადრისი ადგილი.

მეცნიერებს, ალბათ ოდების ავტორის მესხური წარმომავლობა აბნევს. ანუ იმ მხარიდან, საქართველოს ისტორიაში განსაკუთ-

ლი ავტობიოგრაფიული შემთხვევაა, უდაოდ მწერლის მიერ განცდილია.

ჩვენ ვივარაუდეთ, რომ წარმოშობით იგი შამთიდან იქნებოდა. ალბათ, კიდევაც იცნობდა ამ მხარეს, თუმცა არ აღწერა და არც არსად მოიხსენია. რად მეჩვენება, რომ მას განყვეტილი უნდა ჰქონოდა კავშირი თავის საგვარეულოსთან.

შიომღვიმეში განისწავლა. ეს მესამე აკადემიად ცნობილი მონასტერი აბდულმესიას დროს ჯერ კიდევ სამეფო საკუთრებაა, დიდალ უძრავ და მოძრავ ქონებაშენიშნული. საეპარქიო და სახელმწიფო გადასახადებისაგან შეუვალი პრივილეგიებით. მონასტერი X საუკუნიდან მოყოლებული, დავით მეოთხის მომხრე და თანამდგომია საეკლესიო რეაქციასთან ბრძოლის საქმეში და ლაშა გიორგის გამეფებამდე მუდამ მენინავა ყველა წამონყებაში, რომელიც საქართველოს ახალ მისიასთან იქნებოდა დაკავშირებული. თბილისში ჰქონია დუქნები, სასამართლოები და გამორიცხული არც ისაა, მის ტერიტორიაზე ქრისტეს მხედრებიც აღზრდილიყვნენ, თუმცა ამაზე აქ დავიდუმოთ...

ვინ იცის, იყო კი აბდულმესია ბედნიერი და მხიარული კაცი. ხომ არ ჰქონდა მას რაიმე ცოდვა? ასე თუ ისე, საკუთარ აღსარებას თავად ამბობენ ხოლმე მწერლები, მაგრამ მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, აბდულმესია რაღაც სხვა თხზულება ყოფილა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ეგება შევძლოთ და ეს ცნობისწადილიც დავიკმაყოფილოთ.

აპრიორი უნდა მაპატიოთ, არგუმენტი ან რამ საბუთი არ მომთხოვოთ და ჩემი სუბიექტური მოსაზრება მისი ბიოგრაფიის კიდევ ერთ არედ თქვენც გაიზიაროთ.

იქნებ თამარ როდესმე ეწვია უფლისციხეს, სადაც ტუსალები, მეფის მოღალატენი კლდეებში მღვიმეებს კვეთდნენ და აბდულმესიამ ხელმწიფის ყურადღება პროგრესული, რადიკალური შეხედულებებით მიიქცია. გვირგვინოსანმა მასში პირველხარისხოვანი ქართველი ინტელიგენტი დაინახა. უჩვენა თამარს, რომ სამშობლოს ჭეშმარიტი მოქალაქე და ღირსეული შვილი იყო. ფაქტი ერთია! ცხებულის პატივს რეგვენი ვერ დაიმსახურებდა. ალბათ, იმ შეხვედრამ მისი მომავალი ცხოვრება შეცვალა. მბრძანებელი და უხვად მოძებული თავისუფლება რომ არა, უსაშველო ტუსალობაში და ბორკილებში დაიღუპებოდა. აბდულმესიას კატორღული არსებობის სანაცვლოდ დიდებისა და სიყვარულის უამი თამარმა მაშინ დაუყენა, როცა მას თავისი ტანჯვა სხვა კატორღელთა ტანჯვისათვის უნდა შეერია. მეფემ მისი ბედი გამოქცადა

ან საშუალება მისცა თვისივე სვე თავად გამოეჭედა. ვაი თუ უსუსური იყოს ეს მოსაზრება და ისტორიულ სიმართლეს არც შეიცავდეს. დაჟინებით არას ვამტიციებ, მაგრამ ვგონებ ქაოსი ლაგდება! აბდულმესიას ბედმა გაუღიმა. „შვიდმანათობელს“ შამთელი მაღალ საზოგადოებაში შეჰყავს. დიდმა ბატონმა მისი დამოუკიდებლობა უზრუნველჰყო!

ასეთი მსჯელობის შემდეგ კვლავ ვიკითხოთ — საიდანაა იგი? მესხეთიდან თუ შიდა ქართლიდან?! ჰიპოთეზამ „შამთელი რომელი იყო ადგილთაგან საათაბაგოსაო“, აბდულმესიას წარმოშობის საკითხის შესწავლა მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა და ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში მსჯელობის საგნად აქცია ზოგიერთი მცდარი ან სუსტად დასაბუთებული მოსაზრებანი. თუმცა ჩემი მოქმედებაც ხელოვნურია. არც მე ვარ დაზღვეული სუბიექტური გადახვევებისაგან და შეცდომებისაგან, მაგრამ აბდულმესია რომ შამთიდანაა, ამის უტყუარი ნიშანი ისაა, რომ შიომღვიმის მონასტერი და უფლისციხე იმ სოფლიდან ფრთის ერთ დაქნევაზეა, რაც კიდევ ერთხელ მიდასტურებს ჩემს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას — შამთა და არა შავთა.

საკითხს აბდულმესიას შესახებ ჩვენ ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით, სადაც უფრო ნათლად გამოჩდება შამთელის შეუსაბამობა იმ როლთან, რომელიც მას ჩვენმა მკვლევარებმა განუკითხავად მიაკუთვნეს.

ამ დრამატული სახის, ძლიერი ნებისყოფის მქონე კაცის, თავისი დროის უდიდესი დენდის /იქნებ მორალისტიც/ ცხოვრებასა და სამწერლობო გზაზე ძალიან ცოტა ვიცით. ვიცით, რომ იგი საერო პირია, თამარის კარზე უტყვორია, თავისი საუკუნის განათლების მაღალ დონეზე მდგომია. მზად არის მეფის ტახტს თავი ანაცვალოს: „მნედ მისთვის ვიყო, სული განვიყო, უფალსა ჩემსა რამც გამყაროს“-ო.

შამთელის შემოქმედებას მისივე ტემპერამენტის დამლა ადევს. არის აბდულმესიაში ელვარება და დახვეწილი სტილი. მის პოეზიაში ყველაფერს იპოვნის კაცი: მგრძნობიარესაც და ცეცხლოვანსაც, ოპტიმიზმსაც და პესიმიზმსაც, ნებისყოფის სიმტიცის მონამესაც და ბედისწერისაც, მორწმუნესაც და მეტაფიზიკის უარყოფელსაც, და, მაინც, რატომღაც სულ სხვა ადამიანი მინდა მოვძებნოთ მასში. მიგყვით დინებას.

აბდულმესია XII საუკუნის საეროა! გონიერების და ლოგიკის კაცია! შამთელი ჯანსაღ მოსაზრებათა გამომთქმელია!

წანარმოები ერთი შეხედვით გაფიქრები-

ნებს, რომ სასულიერო მწერლობაში განსწავლულა. რატომაც არა, თუკი მან შიომღვიმის მონასტერში ისწავლა და თეოლოგიასა და ფილოსოფიაში შესაფერისად განათლდა. მაშინდელი სასკოლო დისციპლინის მიხედვით ყრმის გონებრივი წვრთნა რელიგიური გზით წარიმართებოდა, მაგრამ ნუ მოვატარებთ ათენს, ეგვიპტესა და ფინიკიას და ნურც გაენათში ვამეცადინებთ ნიგნთსაცავის აღორძინებისათვის.

იგი ქრისტიანული მოძღვრების ინტერპრეტაციას არსად ეწევა. ნაწარმოებების მიხედვით ვერ იტყვი — კლერიკალიაო. კლასიკურად კი მეტყველებს, პოლიტიკურადაც. ჩვენი მკვლევარები შამთელს ქართველ მოღვაწეთა ელინოფილურ წრეებში ვერ ხედავენ. ანტიკური ფილოსოფიის ტრადიციების გამგრძელებელთა შორის მოუაზრებელ მოღვაწეს სქოლასტიკური ფილოსოფიის წარმომადგენელთა შორისაც არ ეძებენ. მეცნიერები იუწყებიან: „შამთელი სქოლასტიკური მსოფლმხედველობის ზმანებებს არ გაჰყოლია. არ ცდილობს ცას ხმა მიანვდინოს, არც რაციონალურ თეოლოგიას ქმნის. მან სულ სხვაგან გაშალა თავისი შემოქმედება. იგი არ ასაბუთებს ქრისტიანობას „გონებითა“ და „ხედვით“. ამიტომ ნეოპლატონიკოსად ვერ ჩაითვლებოდა არც ორთოდოქს ქალკედონისტად.

შამთელის შემოქმედება ქრისტიანულ-ბერძნული და აღმოსავლური კულტურის ნაერთია. თავისუფალი ჰაერით გაჟღენთილი. შამთელი სინთეზია ქართულ კულტურის ორივე გზისა“-ო.

წყაროების მიხედვით დასტურდება, ეს ლიტერატურული და ისტორიული მოღვაწე, ვისი საზრუნავიც ქართული საქმის წარმატებაა, თავის თავს მწირსა და მსხემს, მნესა და მონას რომ უწოდებს, თამარის ტახტთან გარინდებულა. მეფის სავაზიროში არ ჩანს. წინ არავის გადალობვია, თანამდებობის დაკავება არც უფიქრია და, რაც მთავარია, ამქვეყნიურ, სახელისა და დიდებისადმი სრულიად ინდიფერენტულია. მიასკეცდება ინტერესი ამ მრავალმხრივი, ორგინალური, ბედით ასე განებივრებული ადამიანის მიმართ.

საქართველოში არაბთა სამასწლოვანმა ბატონობამ ჩვენი ქვეყნის კულტურის სივრცე არა მხოლოდ არაბული ფილოსოფიით და მეცნიერებით გაჟღენთა, იმ დროიდან მოყოლებული, ბევრს ერქვა /დღესაც არქმევენ/ არაბული სახელი. აბდულმესიაც არაბული სიტყვაა და ქართულად „ქრისტეს მონად“ ითარგნება. მაგრამ მეცნიერებისა და ფილოსოფიის პარალელურად არაბეთიდან

ქართული ყოფიერების ატმოსფეროში ჩნდება მეტად საინტერესო ფენომენი „რინდი“. ამ სახეს თურმე ღრმა გენეტიკური ფესვი ჰქონია. აი, რას მოგვითხრობს მათზე ბატონი თამაზ ნატროშვილი: „ისინი ჯერ კიდევ X საუკუნეში ჩნდებიან არაბული პოეზიის ფურცლებზე. ეს ხატი ჰაფეზმა დახვეწა და მალე ატყორცნა ვით სიმბოლო ამაყი და თავისუფალი ადამიანისა.

უსახლკარონი და ენამახვილნი, ადალები და არწივივით ლალები, ფარისევლური მორალით შებორკილ საზოგადოებასთან დაპირისპირებულნი, გულით და გონებით მდიდრები, ერთგული მეგობრები, შმაგი მიჯნურები, ზნეობის მეთვალყურენი და ჭეშმარიტების მცოდნენი გოროზად რომ ატარებდნენ შერქმეულ სახელს — ვაჟკაცი, დარდიმანდი, კეთილშობილი, პატიოსანი კაცისა.

ამგვარი სულიერი ექსტაზით შეპყრობილი რინდის ცხოვრების მიზანი უხილავი სინათლისა და შეურყვნელი სინამდვილის წვდომა იქნებოდა. მათ ერთადერთ სარწმუნოებას ჭეშმარიტება წარმოადგენდა, ლალი ცხოვრება და მეამბოხე სული.

რინდები აქ ემორჩილებოდნენ ცისა და ხმელეთის მეუფეებს. უსახლკარონი იყვნენ და მთელი ქვეყანა თავის სახლ-კარად ეგულეობდათ. უქონელნი იყვნენ და ყველაზე მდიდრებად მიაჩნდათ თავი.

სპარსი პოეტები: სანაი-XII საუკუნე, ჯალალ ედ დინ რუმი XIII საუკუნე და ჰაფეზი XIV საუკუნე, რინდები იყვნენ“.

რა ვიცი რინდების წინაპრებზე? ვინ არიან მათი მახინჯი შთამომავალნი? დღეს პოეზია ცუნდრუქსიტყვაობით შეცვლილა, ვერბალური ალიტერაცია-ცულლუტმეტყველებით!

არავითარი ოფიციალური ცნობა არ მოგვეპოება თამარ მეფის გარდაცვალების შემდგომდროინდელ შამთელის ცხოვრებაზე და აბდულმესიას ბიოგრაფიის ის ხანაც ბურუსითაა მოცული, მაგრამ თუკი კარგად ჩავუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ თამარის სიკვდილმა და პატრონესას დაკარგვამ მას ახალი სატანჯველი მოუშადა. იქნებ სწორედ იმუამად შეაფარა თავი ეკლესიას და იოანეც შეარქვეს. ეს მაშინ მოხდებოდა, როცა მძიმე და ნალვლიანი პერიოდი დაუდგა, თუმცა რინდი კვალად გარინდებას ამჯობებდა და მისი ცხოვრების ბოლო, სწორედ იმ ველშია საძებნელი.

თამარის ეპოქა დასრულდა. მასთან ერთად ქართული ფეოდალური მონარქიის განვითარების, ფეოდალიზმზე დაყრდნობილი აბსოლუტიზმის ხაზიც მთავრდება. ჯერ ისევ

მის სიცოცხლეში /როგორც ისტორიკოსები გვაუწყებენ/, დეგრადაციის აჩრდილი აქა-იქ ჩდება. შიომღვიმის მონასტერიც დაცემას იწყებს! სამშობლო მოქმედებას მოითხოვს, მოქმედება — ძალას. ეს საუკეთესო ქართული სულის მატარებელი და უმჯობესი პატრიოტი მოვლენათა მსვლელობაზე გავლენას ვერ ახდენს, საქართველოს გამო ჯავრი მხრებით რომ ზიდა, ტვირთად კვლავ აწევს, სოციალურ ვალდებულებათაგან ვერ გათავისუფლებულა.

თამარის ძემ, ახლა უკვე მეფე-ლაშა გიორგიმ რინდებთან დროსტარებას მოუხშირა. ყველაფერზე ერთდროულად ვერ იფიქრებ და ვინც იცის, როგორ დასრულდა თვალისამოგდების ცნობილი ამბავი, მაგრამ ვგონებ ის მუშტი, მოხუცი რინდის ბებური მუშტი, ხოლო აბდულმესიას სიკვდილი, პრინციპების ერთგული კაცის სიკვდილი იქნებოდა.

მოღვაწეობათა შინა განთქმულო და სიბრძნის მოყვარე! „ყვენ მშვილდ რვალისა მკლავნი /შენი/ მარადის!“

ზემოთ აღვნიშნე, შამთელი ორიგინალური შემოქმედების მესაძიკველა — მეთქი, მაინც ვისგან შეისისხლხორცა მან ასეთი მანერა წერისა. ვის ემეპვიდრა, — ეს დასაფიქრებელი და ცალკე მსჯელობის თემა გახლავთ. არაფრისაგან ხომ ვერაფერს შექმნიდა. რომელი მდინარის სათავეს დაეწაფა და სრულიად ახლებურად ააჟღერა მივიწყებული ჰანგი. რა წყაროს დაესესხა? არ ვიცი! მე გადავწყვიტე ის წყაროები და მდინარეების ის სათავეები მომეხილა, იმ სანახებში მემოგზაურა, სადაც ჩემი აზრით იწყებოდა და ყალიბდებოდა მისი წუთისოფელი.

ვერეს ჭალები სახელმძღვანელოა ორთაჭალის, კრწანისის, სეიდაბადის, გარეთუბნის, დირსიჭალების გვერდით. ვერეს ხეობა — ძველი სკვირეთი. ოდითგან განთქმულან ისინი ვენახებით, ღვინით, ბალებით. ბუნების სიყვარულს ეს ადგილებიც გასწავლის. კაცი ერთობ ისიამოვნებს, თუკი იგი აქეთ წამოვა. უძველესი სალოცავების ხილვა კრძალულ სევდას მოჰგვრის.

მეპატიოს, რომ თამამ — ფანტაზიით შევდი ამ ხეობაში, თავისუფალი და გაბედული ფანტაზიით.

იწყება მთები, გორები, ნაბალრები, ნასახლარები, ახლა ისინია ჩემს ირგვლივ და რას მივყევ კვალდაკვალ ჯერ ხეირიანად არ ვიცი, თუმცა აქ ყველაფერი შესაძლოა და საწმენო.

მე გულმოდგინედ გადავათვალიერე ქართულ ჟურნალ — გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ხელჩასავლები ბევრი არა-

ფერი, გარდა ივანე როსტომაშვილის და ივანე კერესელიძის მწირი ცნობებისა და, ისიც მხოლოდ სოფელ ვანათამდე.

მდინარე სათავეს შამთაში იღებს. შამთა ერთადერთია საქართველოში. ეს ღვთისაგან და კაცისგან მიტოვებული ნასოფლარი ბეთანიიდან 12-ე კილომეტრზეა. სახელწოდება ეტიმოლოგიაზე ჩაგაფიქრებს.

აქაურობა უქმი, ჰედონისტური ცხოვრებისათვის განგანყობს და განსაკუთრებულს განგაცდევინებს. უხეხილო, უვაზო, რამეთუ მოადგს დიდგორიო, — ბრძანებდა ვახუშტი.

მონადირისგან ვიგებ, რომ ნასოფლარში ნიკლაურებს უცხოვრიათ. უძველესი საფლავები აღარ დამხვდა. ეპიტაფიები ვერ წავიკითხე.

ნიკლაურები აქ თითქმის ყველგანაა. შამთიდან მანგლისი დასავლეთით მერვე კილომეტრზეა. ნიკლაურები მანგლისშიც მრავლად არიან. ამ გვარის პრიმატი აქ ყველგან იგრძნობა.

ნასოფლარიდან ლელობამდე /ესეც ნასოფლარი/ თორმეტი კილომეტრია. იქ ნიკლაურების გვერდით ფირუზაშვილებიც სახლობდნენ.

ძალაანთხევის თუ ძალაანთხევის მარცხენა ნაპირის შემალლებზე მაჩხაანის წმ. გიორგის ბაზილიკა IX საუკუნისაა. სალოცავი ისე პატარაა, მასში, ალბათ რამდენიმე მლოცველი თუ დაეტივა. საარქიტრაგო ქვის ქართულ — არაბულნეოვანი წარწერა გვატყობინებს, იგი ჰომად კიტრისძეს აუგია. ფეოდალური ხანის ძეგლის ირგვლივ ნასოფლარი ტყითაა დაფარული.

შამთიდან ჩრდილოეთით მეშვიდე კილომეტრზე პარატისის ნანგრევებია. ამაოდ ვეძებ ეპიტაფიებს.

პარატისისა და ქვათახევის გზაგასაყართან X — XI საუკუნეების ძეგლი „ძუძუხატის ეკლესია“ ბრძანდება. ეპიტაფიები აქაც ვათვალიერე.

საკურთხისის ნანგრევები შამთიდან ჩრდილოეთით მეოთხე კილომეტრზეა. უძველესი საფლავის ქვებიც დამხვდა — სარკოფულიც და ვერტიკალური ანუ მატურიც. სამი გვარი ამოვიკითხე: თედოლაშვილი, თქოფაძე, დოდოლაური. საკურთხისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია „უმზეურა“ გვიანფეოდალური ხანისაა. იგი არც ერთ გვარს არ მკარნახობს.

შამთიდან ჩრდილო — დასავლეთით მერვე კილომეტრზე თრიალეთის ქედის მთავარი ორთოგრაფიული ერთეული „ობოლკლდე“ ზღვის დონიდან 2083 მეტრზე აღმართულა და კასპს გადაჰყურებს. ვარჯაანის ნანგრე-

ვებიც აქვეა. ნარწერები კი არა.

ნაქალაქარი ხეკორძი და ხეკორძულას სათავე შამთიდან ჩრდილო აღმოსავლეთით მეოთხე კილომეტრზეა. მისი მარჯვენა შენაკადი „ზარიძეების წყალი“ ერთ გვარს მისახეულებს.

ნახშირგორა შამთიდან ჩრდილო აღმოსავლეთით მერვე კილომეტრზეა. იქოდიტგან მკალავიშვილებს უცხოვრიათ და მხოლოდ.

ვახტანგ მეექვსის დასტურლამალი რამდენიმე გზის შენახვას ახლომახლო სოფლებს ავალებს: „უნდა უთაონ რევისშვილებმა წყრულეთ, ნახშირგორელთ, კვესელთ და შავწყალის გზა უნდა შეინახონ.“

უნდა უთაონ თულაშვილებმა თაკველთ, ღვეველთ, დრელთ, ვანათელთ და თულანთ მამულმან ფანჯრების გზა შეინახონ...“

სადღაც ამ მიდამოებში უნდა ყოფილიყო სოფელი თეთრაძე, თუმცა მის ადგილმდებარეობას ვერ მკარნახობენ ვახუშტის და სამხედრო ფართომასშტაბიანი რუქები.

ნიკლაურები, ფირუზასვილები, კიტრიძეები, ზარიძეები, მკალავიშვილები, რევისშვილები, თულაშვილები, მელიქიშვილები, თედოლაშვილები, თქოფაძეები, დოდოლაურები, თეთრაძეები. აი დაახლოებით სრული ან არასრული ჩამონათვალი იმ გვარებისა, ამ არემიდამოში როს უცხოვრიათ. მე რაც შევძელი სულ ესაა, სხვებმაც იკვლიეთ.

შამთელო! რალაცნაირი საცთური მგონია შენი 98-ე სტროფი, მეცნიერებისათვის გაურკვეველი და ლამის უღმობელი გლოსა — აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი. თხზულებებში ბევრი ადგილი ტექსტუალურად დაზიანებულია და ნაწერი შენს შთამომავალთ ზედმინვენითი გააზრებით ვერ გვანებივრებს. ესეც ბუნდოვანი ტაეპია.

მ. ჯანაშვილს, პ. ინგოროყვას, ს. კაკაბაძეს მისი შინაარსი არ ესმოდათ. „Строфа не поддается толкованию“, შენიშნავს შალვანუცუბიძე.

შესაძლოა ამ სტროფის ანალიზის ნიადაგზე პოემის ყველაზე უფრო სადავო პრობლემის გადაჭრაო, — მეტ-ნაკლებად ხსნის სიღრმეს ალექსანდრე ბარამიძე.

და თუკი ჩახრუხადის მეორე ოდა „მეფი-

სადმი მიჯნურობის დეკლარაციაა“, სადაც პოეტი ვერ ფარავს თავის ინტიმურ განცდებს და მბრძანებლისადმი სიყვარულს საქვეყნოდ ამჟღავნებს, — „აბდულმესიაში“ თამარი-სადმი მიძღვნილი 196 ეპითეტი დავთვალე, რამაც მაფიქრებინა, რომ ამ თხზულებაშიც იწყება ბილიკი, რომელმაც, ალბათ იგივე მიმართულებით, შენი გაუმხელებელი ვნების უღრანზე გაიარა, თუმცა შენს თავს სულ სხვა სიმაღლე მიანიჭე.

აბდულმესიაჲ! „უბრალოდ ბრწყინავს თვალი სოფლისა“—ო ბრძანებ, მაგრამ არის ამბავი თრიალეთზე განფენილი და განსაცვიფრებლად, იდუმალად მიმობნეული. არსებობს რწმენა და ცოდნა, რომელსაც საქართველოში საფუძველი ყოველთვის ჰქონდა. ვინაიდან მომხდარა ისეთი რამ, რაც ოდესღაც შესაძლოა დიდად მნიშვნელოვანიც ყოფილიყო. იქნებ ერთ დროს ამ თავგადასავალზე ლაპარაკი ძალზე მოდურიც გახლდათ. არა! ჩემი მონოლოგის ფარული ინტრიგა ეს არ ყოფილა!..

შენ იცოდი, რამდენი წლისამ გადაუხადა ვალი უფალს დემნა ბატონიშვილმა ან როდის დააყარეს მინა თამარის ნათხზს და ჯავარსრულობას.

იმ სავერსო სტროფიდან ტაბახმელის ცისა და მიწის საიდუმლო იკვეთება. ჩვენებანი, რომელთაც საოცრად სწამდათ სიყვარულის და ასე უმოწყალოდ დაივიწყეს. ესაა ზმანება ვნებისა, სისხლის ღელვის ძალას რომ გაგრძნობინებს. მაგრამ მისი პოეტიკა სულ სხვა სიუჟეტს მოითხოვდა?! ძალუძს კი ვინმეს ღრმად ჩასწვდეს ამ საიდუმლოს რაობას?!

შესაძლოა ეს შეხედულებები მოკლებული იყოს ისტორიულ და ფაქტიურ საფუძველთ. რა ვუყოთ თუკი შემაფერხებელმა გარემოებებმა უნიადაგო პიპოთეზები აღმოაცენა, მაგრამ მინდა ვუთხრა ჩემს საუკუნეს: აბდულმესია ვგონებ შამთელია! აბდულმესია ვფიქრობ რინდია, შუასაუკუნეების საქართველოს კი ხმას მივანვდენ: შამთელო! XI-XII საუკუნეების ქართული კულტურის ძლიერ ნაკადში შენი ყოფნით უნდა იამაყოს სოფელმა შამთამ.



ნიკოლო მიწიშვილი

მანანა

ნიკოლო

მიმდინარე წელს სრულდება ცნობილი პოეტის, პროზაიკოსისა და პუბლიცისტის, ნიკოლო მიწიშვილის დაბადებიდან 110 წლისთავი. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამომცემლობა „ინტელექტი“ უახლოეს მომავალში მკითხველს მიაწვდის ნიკოლო მიწიშვილის რჩეულს, რომელშიც პოეტის საუკეთესო ლექსებთან ერთად წარმოდგენილ იქნება მისი მინიატურებიც.

რჩეული შეადგინა და ვრცელი წინასიტყვაობა დაურთო პოეტმა მანანა ჩიტიშვილმა.

გთავაზობთ წინასიტყვაობის შემოკლებულ ვარიანტს.

სამშობლოს ჯვარზე ჰოუხიით დაუხსნა

გასული საუკუნის 30-იან წლებში კაენის ხელით აგორებულმა სისხლიანმა ბორბალმა თავზარდამცემი შეუბრალებლობით გადაუ-

არა ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებას, კულტურასა და მეცნიერებას. ქართული ინტელიგენციის არაერთი სახელოვანი წარმომადგენლისთვის „უდროოდ და საბოლოოდ დაეშვა შექსპირული ტრაგედიის ფარდა“.

სხვებთან ერთად ეს შემზარავი ხვედრი „ცისფერი ყანების“ წევრმა, პოეტმა, პროზაიკოსმა და პუბლიცისტმა ნიკოლო მიწიშვილმაც გაიზიარა. ორი ათეული წლის მანძილზე მისი სახელი ტაბუდადებული იყო ჩვენი საზოგადოებისთვის, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა შემდგომი თაობების დამოკიდებულება ამ საინტერესო და მრავალმხრივი შემოქმედისადმი. ამავე მიზეზით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ნიკოლო მიწიშვილს, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, დღესაც ნაკლებად იცნობს ქართველი მკითხველი.

ნიკოლო მიწიშვილი (ნიკოლოზ სირბილაძე) მხოლოდ სამწერლო საქმიანობით არასოდეს ყოფილა დაკავებული. იგი საოცრად ენერგიული და იშვიათი თაოსნობის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება გახლდათ. ადრეული ასაკიდანვე ნ. მიწიშვილი ყველა იმ ამბისა და მოვლენის შუაგულში ტრიალებდა, სადაც ქართული კულტურისა და ხელოვნების სასიკეთო საქმე კეთდებოდა: გამომცემლობის დაარსება იქნებოდა თუ ლიტფონდის, ქართველი პოეტების რუსულად თარგმნა და გამომცემა იქნებოდა თუ მსოფლიო ლიტერატურის შედევრების ქართულ ენაზე დასტამბვა, ქართველი ერის ბედ-იღბალზე ბობოქარი პოლემიკის წამოწყება თუ — ჩვენი მწერლობის ახალი გზებით განვითარებაზე ცხარე კამათი. ნიკოლო მიწიშვილი ამ საქმეთა უბრალო მონაწილე კი არა, ძალზე ხშირად თაოსანი და ორგანიზატორი იყო.

მის დაუცხრომელ ენერგიასა და განსწავლულობას განცვიფრებაში მოჰყავდა თანამედროვენი. **მიხეილ ჯავახიშვილს** არაერთხელ აღუნიშნავს: „საიდანა აქვს ამ ტანმორჩილ კაცს ამდენი ენერგია, გამოცდილება და ცოდნა, ჩემთვის დღესაც გამოუცნობიაო“.

ნ. მიწიშვილის საკმაოდ ორიგინალური პორტრეტი შემოგვინახა მწერალმა **დავით კასრაძემაც**: „ნიკოლო მიწიშვილი მრავალფეროვანი ნიჭის პატრონი იყო: პოეტი, პროზაიკოსი, ბელეტრისტი, ჟურნალისტი და თუ გნებავთ, დიპლომატიც. ყველა ამას დაურთეთ თავაზიანობა, უსაზღვრო გულკეთილობა და მისი პორტრეტი ხელთ გექნებათ“.

ნიკოლო მიწიშვილი სრულიად ახალგაზრდა, თითქმის ყმანვილი იწყებს ლიტერატურულ მოღვაწეობას. ქართული მწერლობით მის დაინტერესებას დიდად უწყობს ხელს ყა-

უხნიშვილების უაღრესად ინტელიგენტური და განათლებული ოჯახი, სადაც დაბინავდა სოფელ ჯვარისაგან ქუთაისში სასწავლებლად ჩამოსული მოზარდი. იგი დიდი მონღომებით ებმება ქალაქის მღელვარე ლიტერატურულ ცხოვრებაში და პირველ შესამჩნევ წარმატებებსაც აღწევს — 16 წლის ჭაბუკი აქვეყნებს ლექსებსა და მინიატურებს, 21 წლისა კი რედაქტორობს ქუთაისში გამოშვალ გაზეთებს... 1918 წელს ნიკოლო მინიშვილი უერთდება ცისფერყანწელთა პოეტურ ორდენს და მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი ხდება, სისტემატურად თანამშრომლობს ქართველ სიმბოლისტთა ბექდვით ორგანიზაციას: „მეოცნებე ნიამორები“, „პოეზიის დღე“, „ბახტრიონი“, „ბარრიკადი“, „რუბიკონი“... უკვე პირველივე ლექსებიდან და მინიატურებიდან გამოიკვეთა მინიშვილის პოეტური ხელწერა — განწყობილების სიმძაფრე, შინაგანი ემოციური დაძაბულობა, ლაკონურობა, რამაც დიდად შეუწყო ხელი შემდგომში მწერლის თვითმყოფადი და ორიგინალური სტილის ჩამოყალიბებას.

თვითონ ნ. მინიშვილი ასე აღწერს თავის პირველ პოეტურ ნაბიჯებს: „... პოეზია გახდა შინაარსი. უკანასკნელი და პირველი ხშიადი. პოეზია — ნუგეში, სურვილი, სიყვარული და სიმწარე საზღვარეული“.

ცისფერყანწელებთან დაახლოების შემდეგ ნ. მინიშვილის შემოქმედებაში მკვიდრდება „უცნობი და გაუგებარი“ პოეტური სახეები, არარეალური, დეკადენტური ხილვები, მელანქოლია, მარტოობა. ეს სულისკვეთება გამოსჭვივს ლექსებიდან: „ჩემი ვინაობა“, „წმინდანიანი“, „ავტოპორტრეტი“, „ჩემი მწვერები“, „ბალადა მოგონილი“, „წითელი გველი“... კომპარულია პოეტის ხილვები — გადახსნილი თავის ქალა, „ძვლების რთველი“, გავერანებული სოფლები...

ნიკოლო მინიშვილის ლექსებისთვის დამახასიათებელ ამ განწყობილებებს **ტიციან ტაბიძე** სიმბოლისტური მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენლების გავლენით ხსნიდა და იქვე სიამოვნებით შენიშნავდა: „ნ. მინიშვილს აქვს თავისი საკუთარი სახე; რომელიც არასოდეს არავისში არ შეიცვლება, რაც უფრო აღსანიშნავია — თავისი თემა და ხმა“.

უდაოდ მართალი იყო ტიციან ტაბიძე, როცა მინიშვილის ადრეულ ლექსებში მოდერნისტული სკოლის ანარეკლს ხედავდა, მაგრამ, ამავე დროს, აუცილებლად მხედველობაში იყო მისაღები თვითონ ეპოქის რთული ხასიათი და ასეთივე რთული, წინააღმდეგობების შემცველი ლიტერატურული ვითარება,

რაც დამკვიდრებული იყო საქართველოში მეოცე საუკუნის თითქმის 30-იან წლებამდე. ყველა ეს მომენტი, ერთად აღებული, იძლეოდა მწერლის შემოქმედების გასაღებს.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა შევეხოთ ნ. მინიშვილის ამ პერიოდის შემოქმედებასაც, რომელიც, მართალია, ძალზე მუქ ფერებშია გადაწყვეტილი, მაგრამ პოეტის განცდებს გულწრფელად გადაგვიშლის. „ამ გზაზე არ იყო არც დრო და არც ადგილი დასვენების და რაც ჩემთვის მთავარია, არ იყო სიყალბე და კომპრომისი. პოეზიაში მე მივყვები მხოლოდ საკუთარ გულს“ — წერდა ნიკოლო მინიშვილი.

მინასთან, ბავშვობის ადგილებთან და სიყმაწვილის მოგონებებთან იყო დაკავშირებული ნ. მინიშვილის ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილებები, ამიტომ შემთხვევითი არ გახლდათ, რომ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მან თავის ლიტერატურულ ფსევდონიმად „მინიშვილი“ აირჩია. პოეტს ყოველთვის სწამდა მშობლიური მიწის მაგიური ძალის და სადაც არ უნდა ყოფილიყო, უჩვეულო მონატრებითა და საოცარი სიყვარულით ფიქრობდა მასზე.

ლექსების პირველი წიგნი — „წმინდანიანი“, 1922 წელს გამოიცა თბილისში. სიმბოლურია კრებულის სათაური, რომელიც ერთდროულად **ნიკოლოზ ბარათაშვილისა** და **ედგარ პოს** აშკარა გავლენაზე მიუთითებს, იმ განსხვავებით, რომ ბოროტი ბედისწერის სიმბოლოდ, მინიშვილმა, „შავი ყორანის“ ნაცვლად, „წმინდანიანი“ აირჩია. ავტორის გადმოცემით, წმინდანიანი ლეგენდარული ფრინველია, რომელიც საუკუნეში ერთხელ ევლინება ქვეყანას მზის ჩასვლის შემდეგ და ბინდში ცეცხლს ჰყრის ანთებული ფრთებით: „... ნიკოლოზ ბარათაშვილი და ედგარ პო. ორი თემა „ყორანის“, რომელიც მეჩვენება მე წმინდანიანად“.

გამოცემისთანავე წიგნმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მას ერთ-ერთი პირველი გამოცხმაურა **გალაკტიონ ტაბიძე**. მართალია, მან მაღალი შეფასება არ მისცა კრებულს, მაგრამ მისი გამოცემა, როგორც ქართველი სიმბოლისტების ერთ-ერთი პირველი წიგნისა, დადებით მოვლენად მიიჩნია „პოეტის პორტრეტის დანახვა შეიძლება მხოლოდ წიგნით... საერთოდ, „ყანწელებს“ არ სჩვევიათ წიგნების გამოცემა... ნ. მინიშვილის წიგნის გამოსვლას ამ მხრივ უთუოდ ჰქონდა აზრი“ — წერდა იგი 1922 წელს გაზეთ „ლომისის“ ფურცლებზე.

მონონებითა და ქებით შეხვდნენ „წმინდანიას“ ცისფერყანწელები. სიმბოლისტური

გაზეთი „ბახტრიონი“ მაღალ შეფასებას აძლევდა პოეტის პირველ ნაბიჯებს: „მინიშვილი ახალი კაცია პოეზიაში და მის წიგნში, მიუხედავად ზოგან ტრადიციული ფრაზებისა, ისმის საკუთარი რეკა. ამ რეკაში ვერცხლი ურევია“. **შალვა აფხაიძე** კი წერდა: „ნიკოლოზ მინიშვილის პოეზიაში არის შინაგანი გულწრფელობა და სიმართლე. მთელი მისი პოეზია არის საუკეთესო ილუსტრაცია, ან უკეთ, დოკუმენტია იმ სულიერი კრიზისის, რომელიც ახალი ეპოქის მიჯნაზე დამდგარ პოეზიას ახასიათებს. პოეტის ფესვი წარსულშია, ხოლო „ადამიანის“ სახე წინ იყურება... პოეზია, რომელსაც დეკადენსის საკმეველის სურნელება სდიოდა, იყო გამომხატველი დარღვეული ეპოქის... ლექსები გამართული და ძლიერი, როგორც კომპოზიციით, ისე დეკორატიული მორთულობით“.

ერთი მხრიდან იყო მოწონება, პოეტის ორიგინალური სახის აღიარება, მაგრამ, ამასთან, იყო მეორე უკიდურესობაც, ამ წიგნს „წყეული წარსულის დაგვიანებულ გამოძახილად“ რომ მიიჩნევდა. თუ გავითვალისწინებთ ოციანი წლების სულისკვეთებას, როცა რევოლუციური კრიტიკის ღვარძლიან, უსაფუძვლოდ მტრულ დამოკიდებულებას ჩვენი ლიტერატურის აღიარებული ოსტატებიც კი ვერ გადაურჩნენ, გასაკვირი არ არის, რომ ახალბედა, დამწყებ მწერალს ასეთი რისხვა დატყდომოდა თავს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ სალიტერატურო კრიტიკის ერთი ნაწილის ასეთი ტენდენციური დამოკიდებულება ბოლომდე გაჰყვა ნ. მინიშვილის შემოქმედებას და არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშა მის პიროვნულ ტრაგედიაში.

მიუხედავად ადრეული პერიოდის საკმაოდ ნიჰილისტური თეორიული მანიფესტებისა და დეკლარაციებისა, ევროპულისგან განსხვავებით, ქართული სიმბოლიზმი არასოდეს მოწყვეტია ეროვნულ ნიადაგს და კლასიკური ქართული მწერლობის ტრადიციებს. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა 1920 წელს, გაზეთ „ბარრიკადის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ნიკოლოზ მინიშვილის სიტყვები: „ქართული ლიტერატურის ყბამაგარი თავი დღეს მემწანობის მედალიონშია ჩამჯდარი... ყოველივე ამის მიუხედავად ჩვენ გვიყვარს საქართველო და ქართული პოეზიის იალბუზზე მიჯაჭვულნი მაინც საქართველოში ვინებით“. პოეტი ცისფერყანწელ მეგობრებს „სამშობლოს ჯვარზე პოეზიით დალურსმულებს“ უწოდებს და ამ სტრიქონების სიმართლეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

უცხოეთში, სტამბოლში, ქართველთა მონასტერში, 1922 წელს გამოიცა ნიკოლოზ

მიწიშვილის მეორე წიგნი. ამის შესახებ ავტორი წერდა: „დაიბეჭდა „შავი ვარსკვლავი“ — ჩემი პოემა, სტამბოლში რომ დავწერე. **ისიდორე ქარსელაძემ** ამიწყო, დამიბეჭდა მონასტრის სტამბამ, ამიკინდა ვილაჯ ებრაელმა და **ლელი ჯაფარიძემ** მიშოვნა ქალაქი ნისიად ბერძენი ვაჭრისაგან. ეს გრძელდებოდა მთელი თვე, მაგრამ წიგნი მაინც დაიბეჭდა. ესაა პირველი წიგნი ქართველი პოეტის, რომელიც დაბეჭდილა სტამბოლში“. პოემა თავებად დაყოფილი ლირიკული ლექსებისგან შედგება, რომელთაც ერთ თემატურ რეალში აერთიანებს ღრმა სევდა სამშობლოს გამო, ფიქრი შინდარჩენილ ახლობლებსა და მეგობრებზე, სიყვარულზე... „შავი ვარსკვლავი“ პოეტისთვის გლოვისა და მწუხარების სიმბოლოა. ამის შესახებ იგი თვითონვე წერს — „ნუ გაიხსენებთ ჩემს სახელს ავად, ბედი დამეცა გლოვის ვარსკვლავად“.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე წიგნი ოსტატობით, მხატვრული დონით, თემატიკით, წერის რეალისტური მანერით გაცილებით მაღლა დგას „წმინდანიაზე“, მასში მაინც ჯერ კიდევ ძლიერია პესიმიზმი, თუმცა ეს უკვე ობიექტური ფაქტორით — სამშობლოდან დაშორებით არის გამოწვეული.

„გაცილებით მეტი სინმინდე, გამჭვირვალობა და დაუფლებია ლექსის როგორც ტექნიკის, ისე შინაგანი ძარღვის მხრივ პოეტის მეორე წიგნში „შავი ვარსკვლავი“. მთელი ეს წიგნი პოეტის გულის ერთი ნატეხია... ეს არის მოთქმა საკუთარ მიწას, ცას და ჰაერს მოწყვეტილი ადამიანის, სადაც ცრემლი ჯვარზე გაკრულ ქრისტეს თვალებზე მიმხმარ ცრემლებს წააგავს... მეგობრების, დატოვებული სიყვარულის ფონზე წამოიჭრება პრობლემა საქართველოსი, ამ პრობლემის უშუალო განცდაა მოცემული „შავ ვარსკვლავში“ — წერდა **შალვა აფხაიძე**.

და მართლაც ხმამაღალი ტირილივით ისმის პოეტის სტრიქონები: „გქონდა სამშობლო საყვარელი და მიატოვე, რად გენანება დახლეჩილი შენი თვალები...“ ავტორის აზრით, არსად არ არის შენდობა და ნავსაყუდარი მისთვის, ვინც „იღბალი გააბრაზა სამშობლოში“, „სოფლის საყდარზე მიატოვა თავის მერცხალი“.

1922-1925 წლებში ნიკოლოზ მინიშვილი საზღვარგარეთ ცხოვრობს და აქტიურ ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ 1924 წელს იგი პარიზში აყალიბებს „ქართველ ხელოვანთა კავშირს“, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ხელოვნების აღიარებული ოსტატები: **დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი,**

ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, მიხეილ ჭიაურელი, სანდრო ინაშვილი და სხვები. სულ 13 კაცი. ქართველი ერის ამ საამაყო შვილებისთვის სიტყვა „სამშობლო“ უცხოეთშიც უწმინდეს ცნებად რჩება და ამ დიდი სიყვარულით გულგასენილნი ევროპაში ქართული კულტურის პროპაგანდისათვის თავდადებით იღვნიან.

„კარიდან კარზე მოხეტიალე“ პოეტის ცრემლიან, ნატვრით სავსე თვალებსაც ყველაზე ხშირად საქართველო ელანდება. ამ განცდითაა დაწერილი ლექსი „საქართველოს მზიან სერებზე“, რომელიც არა მარტო სინაზითა და გულწრფელობით, არამედ, პირველ რიგში, შემოქმედის ოსტატობით, სიტყვის მაღალნიჭიერი ფლობით გვაინტერესებს:

დაჰბერავს ქარი საქართველოდან
და მოგონებას გავყვები ჩქარა —
ასეთი ბედი რად მომელოდა,
რად ავეკიდე კარიდან კარა.

.....
მაშინ გავინევე ცისკენ ცერებზე,
გავიმართები, გულს გავაქორებ
და საქართველოს მზიან სერებზე
ცრემლიან თვალებს გადავავორებ...

1924 წელს საქართველოდან შორს, პარიზში, სანთელივით ჩამოიქნა მაღალი შემოქმედებითი ოსტატობით, დიდი გრძნობითა და ღრმა ემოციურობით დამუხტული სტრიქონები:

ო, საქართველოვ, წიგნო, ჩუმად
გადასაშლელი,
გულისცემაში ჩასრესილო,
სიკეთევ წმინდა.
შენი წყლულებით მინდა გული
მეც ავაჭრელი,
შენი სახელით გახარება
ათასჯერ მინდა.

დიდი ტრფიალის მეც დამადგი
მძიმე უღელი,
გასწონე გული სიყვარულის
მწივანა ისრით —
მე თავმოჭრილი, წამებაში
შენუხებული,
გეამბორები, სახსოვარო,
სისხლოვან კისრით.

საფლავის ლოდზე ამოჭრილ ეპიტაფიასავით იკითხება ნიკოლო მინიშვილის განწირულებით სავსე სტრიქონები: „ღმერთო, უშველე შენს მონას ნიკოლოს, რომ არ მოკვდეს,

არ დაეცეს, არ ჩაიქოლოს“.
„უცხოობაში“ სულიერად გატეხილი პოეტი გადარჩენის იმედს „გეფხისტყაოსნის“ სტრიქონებში ეძებს და სასოებით ეფერება დიდი რუსთველის უკვდავ სახელს:

საქართველოში არ ყოფილა
არც ერთი მეფე
და საქართველო ზღაპარია
შოთას გარეშე.
ვის გააგონოს საქართველომ
ტირილის ხმები?
ვინ დაინახოს ჩვენი ბედის
ულვთო თარეში?

ნიკოლო მინიშვილი, საერთოდ, უფრო მძაფრი სულიერი ტკივილების გამომხატველი პოეტია, ვიდრე ნაზი ლირიკოსი, მაგრამ ბედნიერი გამონაკლისები მაინც გვხვდება მის პოეზიაში. მშვენიერი პოეტური სახეებით, დიდი სიფაქიზითა და გულწრფელობით გამოირჩევა ლექსი „სიყვარულს“, რომელიც გრძნობების ნატიფი გადმოცემით, სულიერი სიფაქიზით, ამაღლებული განცდით, შესრულების სიმსუბუქითა და ოსტატობით, არაჩვეულებრივი მხატვრული ძალის ფინალით, ქართული სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს არ ჩამოუვარდება:

ეგვიპტიდან მოტანილი ყალამუს,
ატირება დავრდომილი რითმების.
ვიცი — ბედი ჩემზე არ დაითმების,
არც ნალველი ეღირსება მაღამოს.

შენ გნახულობ კარის ეკლესიაში,
სადაც სწირავს დეკანოზი დიანოს,
განმიკითხე შენს მონათა სიაში,
ან მივიღებ რჯულს სამაჰმადიანოს.

გეძახი და კი ვერ გაგემხილები,
მემატება საწყენი საწყენზედა.
მესიზმრება შენი ოქროს ღილები —
ღვთისმშობელო, მიმინოთი ცხენზედა.

ნიკოლო მინიშვილის შემოქმედებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია ლექსი — „ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა არა მხოლოდ მის შემოქმედებაში, არამედ მთელს იმდროინდელ ქართულ პოეზიაში.

პოეტმა ჩინებული ოსტატობით, არაჩვეულებრივი მხატვრული ძალით დაგვანახა გაორებული პიროვნების ტრაგედია, მისი გარდუვალი მარცხი ბედისწერასთან ჭიდილში — იგი სიკვდილის შემდეგაც ვერ პოულობს



შენდობასა და გამართლებას.

ტრაგიკული იყო ბედი შამილის მოღალატე ნაიბის, ჰაჯი მურატის, დალესტნის აჯანყების მონაწილეებს რომ განუდგა და რუსებს მიემხრო. ცოტა ხნის შემდეგ კი კვლავ მშობლიურ მთებს მიაშურა, მაგრამ პატიება ვეღარც აქ ნახა და ასე, ორივე მხრიდან მოღალატედ ჩათვლილმა, დაასრულა სიცოცხლე.

აჩქარებულად, დინამიურად და ძალზე ლამაზად იწყება ლექსი იქიდან, როცა ჰაჯი მურატის მოკვეთილი თავი თბილისისკენ მოაქვს „შაენაბდიან“ მხედარს. „შ“ ბგერის ალიტერაცია პირველივე სტრიქონში უკვე რალაც იდუმალის განცდას, შემამფოთებელ განწყობილებას იწვევს და მკითხველსაც ასეთივე მოლოდინით მუხტავს:

შემახის გზაზე ვილაც შავმა,
შაენაბდიანმა,
შუალამისას დასძრა შავი
ყარაბახული.
და თბილისამდე ბედაურმა
ორბის ფრთიანმა
გასცვიტა ნალი, ამ დღისათვის
შემონახული.
არც ღამე იყო, მაგრამ თითქოს
არც თენდებოდა,
როცა მხედარმა სასახლეზე
მოაგდო ცხენი,
და უმაღ, თუმცა ფეხზე
დგომა უძნელდებოდა,
კნიაზ ნამესტნიკს წარუდგინა
ხურჯინით ძღვენი.

ლექსში, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალების ხაზგასმა და შემჩნევა, მომხდარი ამბის უშუალო მონაწილედ და მხილველად გარდაქმნის მკითხველს. სწორედ ამ დეტალების გამოკვეთა ამძაფრებს მოქმედებას და ხატავს მთელი ამაზრზენი ცერემონიალის დაუვიწყარ სურათს:

გადასცა წიგნი, შეისწორა
ხანჯალი ბასრი,
დასწვდა ამანათს — მოარიდა
ლაპარაკს ყური.
მან ამოიღო გაფერილი
სპილენძის კასრი.
მერე წამოდგა და ასეთი
ახსნა სურათი:
„მოჭრილი თავი მოგართვითო,
ჰაჯი მურატის“.

ღია ფანჯრიდან ქარმა შუქი
დააბარბაცა,

ბაღში აპრილის გაისუდრა
ტკბილი ტაროსი,
და მოკლე ფრაზამ, ინგლისურმა,
გასჭრა დარბაზი:

„ჭკუამ დაღუპა ეგ ბარბაროსი“.

არავის დაუნანებია „ხუნძახელი ჰამლეტი“, არ გამოსჩენია თანამგრძნობი და დამტყრებელი:

ამ სისხლისათვის ცრემლს შამილი
არ იმეტებდა:
გამყიდველმაო ღირსეული
ჰპოვა ნათესი,
და ვორონცოვიც, წინათ სხვას
რომ აიმედებდა,
ასე ფიქრობდა: სისხლიაო
მოღალატესი.

აქედან ვხედავ, ამბობს იგი:
ბრძოდე, იწვოდე,
გაგსრისოს, დეე, ჭრილობებმა
სისხლიან ფარცხით,
მაგრამ, თუ იბრძვი — სამუდამოდ
უნდა იცოდე:
გაორებული კაცის ბედი
თავდება მარცხით.

იქნებ ეს ლექსი, პოეტის აღსასრულამდე ორი წლით ადრე რომ დაინერა, ერთგვარი გაფრთხილება და მოსალოდნელი უბედურების წინასწარმეტყველება იყო შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ ნაწილისთვის, ვინც, გარკვეული მცდელობის მიუხედავად, ვერც წარსულის ხელაღებით უარყოფა შეძლო ბოლომდე და ვერც ახალს შეეთვისა, იქნებ ეს საკუთარი ტრაგიკული ხვედრის წინასწარმეტყველებაც გახლდათ, „უამმა უნდობარმა“ სხვებთან ერთად მასაც რომ არგუნა. განსხვავება მხოლოდ ის გახლდათ, რომ ჰაჯი მურატი საკუთარმა გულზვიადობამ დაღუპა, ისინი კი გაუგებარი ქართველებისა და რევოლუციური „წითელი ტერორის“ მსხვერპლნი იყვნენ, მაგრამ შედეგი — გარდუვალი და საზარელი — მაინც ერთი იყო.

20-იანი წლებიდან მოყოლებული საბედისწერო რკალი ნელ-ნელა იკვრებოდა ქართული ინტელიგენციის გარშემო. 30-იანი წლების შუა ხანებიდან გამწვავებულმა რაკეტულმა იდეოლოგიამ, არაჯანსაღმა და მტრულმა ატმოსფერომ მძიმე კვალი დააჩნია მთელ ქართულ მწერლობას.

ეს იყო პერიოდი, როცა **გალაკტიონ ტაბიძე** კი იძულებული გახდა განეცხადებინა: „მე ვიცი, რა უნდათ მათ, როცა ამბობენ, რომ მე თითქოს შევიქენი გასარიცხი, ყველასგან

ათვალისწინებული პიროვნება, რომ მე ადგილი არ უნდა მქონდეს საზოგადოებაში, მაგრამ რა გზით მივდივარ, ეს იცის მთელმა საქართველომ. მე მშვენივრად ვიცი, რა უნდათ ჩემგან, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ჯვარზედ ვარ გაკარული“.

კრიტიკის უსაფუძვლო, ღვარძლიან თავდასხმას განსაკუთრებით ყოფილი ცისფერყანწელები განიცდიდნენ. მართალია, „ცისფერი ყანწები“, როგორც სიმბოლისტური სკოლა, კარგა ხანია აღარ არსებობდა და მისი ყველა წევრი შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობით გულწრფელად იდგა ახალი საქართველოს მხარეს, მაგრამ პროლეტარული მწერლობის ერთი ნაწილი მათ შემოქმედებას კვლავ ჯგუფური თვალსაზრისით განიხილავდა და „ძველი აზრების ერთგულებას“, „ნარსულში დარჩენას“, „უიდეობას“ უკიჟინებდა.

კრიტიკის უსაფუძვლო თავდასხმები გაძლიერდა ნიკოლო მინიშვილის წინააღმდეგაც. ჩრდილში დარჩა მისი დიდი დამსახურება, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწისა.

ნიკოლო მინიშვილმა ბაგრატიონის ასულზე დაინერა ჯვარი, იგი არც კომუნისტური პარტიის წევრი ყოფილა და ბუნებრივია, ამ გარემოებებმა უმნიშვნელო როლი არ ითამაშეს ტრაგიკული ხვედრის მოახლოებაში.

მინიშვილის უკანასკნელი საჯარო გამოსვლა მოხდა 1937 წლის 7 მაისს, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე. უჩვეულოა პოეტის მიერ წარმოთქმული სიტყვა — არსებული ვითარების ღრმა და ობიექტური ანალიზით, მოსალოდნელი უბედურების წინათგრძნობით, ნერვიული დაძაბულობით. ულმობელი, საზარელი სიმართლე ლაღადებდა ამ სხდომაზე მწერლის პირით. მცირე ხანში მისი წინასწარმეტყველება ახდა და სისხლისმღვრელი „დუბინა“ მართლაც დატრიალდა ქართულ მწერლობაში.

დიახ, ეს იყო 1937 წლის 7 მაისს, 2 ივნისს კი იგი დააპატიმრეს (13 ივლისს ნიკოლო მინიშვილი დახვრიტეს); 22 ივლისს მწერალთა

კავშირის ბაღში თავი მოიკლა **პაოლო იაშვილმა**; 14 აგვისტოს დააპატიმრეს **მიხეილ ჯავახიშვილი**, 9 ოქტომბერს კი — **ტიციან ტაბიძე**. როგორც მომავალში გაირკვა, ისინი დაპატიმრებიდან მალევე დახვრიტეს.

არ დასცალდა ნიკოლო მინიშვილს შემოქმედებითი მონიჭულობის პერიოდის დასრულება, სათქმელის ბოლომდე თქმა.

კარგა ხანს იყო ჩრდილში ნიკოლო მინიშვილის სახელი და შემოქმედება, კარგა ხანს აკლდა ჩვენს ლიტერატურას მისი პოეზია, პროზა და პუბლიცისტიკა, მაგრამ დრომ, უტყუარმა და პირუთვნელმა მსაჯულმა უდანაშაულო მწერლობას და მათ შორის, მინიშვილსაც, ჩამორეცხა ჯალათის სისხლიანი ხელით დაჩნეული დამლა.

ნიკოლო მინიშვილის ნაღვანი თავისი სრული სახით ჯერ კიდევ ელის მკითხველთან შეხვედრის სიხარულს, თუმცა დიდი ნაწილი ამ შემოქმედებისა, კარგა ხანია გულწრფელი ინტერესით მიიღო და ჯეროვნადაც დააფასა ჩვენმა სალიტერატურო კრიტიკამ და სიტყვაკაზმული მწერლობით დაინტერესებულმა საზოგადოებამ.

შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს მონატრების ის დიდი შინაგანი ცეცხლი, ის ზღვარდაუდებელი სიხარული, რომლითაც ჯერ კიდევ ათეული წლების წინ უბრუნდებოდა მწერალი მშობლიურ კერას და მიწაწყალს. ევროპიდან გამომგზავრების წინ ნიკოლო მინიშვილი უჩვეულო მღელვარებით წერდა:

„შინ. შინ. სახლისაკენ. ჩემო მიწა და ჩემო თავსაფრიანო დედა. ზარებმა შეწყვიტეს თურმე რეკვა ჩვენს სოფელში, მაგრამ ხარები ისევ ბლავიან ჩვენსას, ჰკოცნიან მწვანე მიწას და ელიან დაკარგულ პატრონს“.

ნიკოლო მინიშვილის პოეზიაც ხანგრძლივი განშორების შემდეგ ასეთივე განცდით დაუბრუნდა თავის მკითხველს და ამ პოეზიის სიტბო და სურნელი მარად იტრიალებს მის მამულში.



ნათელა
 ყრუშაძე

ბაჟანაძე იანაქაძე

აკაკი ხორავა

საქვეყნოდ ცნობილი მსახიობი იყო, როდესაც გავიცანი. მას უკვე გამოვლილი ჰქონდა თავისი დროის ქართული თეატრისათვის ბრძოლის დიდი გზა, როგორც ახალგაზრდული კორპორაცია „დურუჯის“ წევრს, გადატანილი ჰქონდა სირთულენი, თან რომ ახლდა კორპორაციასა და მარჯანიშვილს შორის მომხდარ განხეთქილებას, რუსთაველის თეატრიდან მარჯანიშვილის წასვლაც, ს. ახმეტელის მეთაურობით მუშაობაც... 1930 და 1933 წლებში რუსთაველის თეატრის გასტროლებით არნახული წარმატებანი საქართველოს ფარგლებს გარეთ, შემდეგ კი უახმეტელოდ... უკვე განსახიერებული ჰყავდა სცენურ გმირთა დიდი ნაწილი: კაპიტანი ბერსენევი ბ. ლავრენიოვის „რღვევაში“ (1928), ანზორი ს. შანშიაშვილის „ანზორში“ (1928), კარლ მოორი შილერის „ყაჩაღებში“ (1933), ოტელო

(1937) და სხვ... იყო საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი (1936), საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომისიის წევრი, უამრავი საერთაშორისო კონფერენციისა და შეხვედრის, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირისა და მსახიობის სახლის დამფუძნებელი (დღეს ეს სახლი მისი სახელობისაა)... ვინ მოთვლის ყველაფერს... და მაინც, მათ შორის მისთვის ყველაზე ღვიძლი და საყვარელი იყო მისი პირმშო — უმაღლესი თეატრალური სასწავლებელი — საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი.

სწორედ ამ ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი მე 1941 წელს და აქ გავიცანი მისი დირექტორი აკაკი ხორავა.

პირველი, რაც ყველა სტუდენტისათვის შესამჩნევი და უცნაური იყო, ეს გახლდათ ინსტიტუტში მისი მოულოდნელი გამოჩენა სხვადასხვა დროს, საღამოსაც კი. ჩვენი დირექტორი ამავე დროს რუსთაველის თეატრშიც ძალიან დაკავებული იყო და რადგან ინსტიტუტიც და თეატრიც ერთ შენობაში ბინადრობდა, მისთვისაც განუყოფელი დარჩა. დიდი ხნის შემდეგ ჩემთვის სხვა მიზეზიც გაჩნდა, მაგრამ მაშინ მხოლოდ იმას ვხედავდი, რომ აკაკი ხორავა თავისუფალ დროსაც აქ, ინსტიტუტში ატარებდა. ამის გამო, ცხადია, თავის პიროვნულ თვისებებსაც ავლენდა.

იმხანად ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტის რამდენიმე ჯგუფი იყო და ერთი სარეჟისორო. ვინოდ არ ვიყავით. მიუხედავად ამისა, არც ერთი ოთახი მას საკუთარ კაბინეტად არ გამოუყენებია. დირექცია, კანცელარია და ბუხჰალტერია მოთავსებული იყო ერთ დიდ ოთახში, მეორე სართულზე. მისი მეოთხე კუთხე შუშაბანდით იყო შემოღობილი. ფართი საკმარისი ერთი სანერი მაგიდისათვის და ორი სკამისთვის — მომსვლელსა და დამხვდურისათვის. გალიაში გამომწყვდეულ ლომს ჰგავდა ასეთ „კაბინეტში“ მჯდომი აკაკი ხორავა.

ეს ლომი ზოგჯერ მძვინვარებდა. უმეტესად, დისციპლინის დარღვევის ან სტუდენტი გოგონების მიერ კოსმეტიკის გამოყენების შემთხვევაში, მისი ბუხუნისგან შენობა ზანზარებდა, გეგონებოდა, ქვეყანა იქცევაო! მერე ირკვეოდა — ვილაცამ ტუჩი შეიღება ან ბიჭმა გოგოს ხელი ზედმეტად გადახვია. ურთიერთობაში გაუბრალოებას ვერ იტანდა, ძალიან უფრთხილდებოდა ინსტიტუტის

სახელს.

ჰქონდა სუსტი ადგილიც — ცრემლს ვერ უძლებდა. ჩვენ ეს ვიცოდით, რასაკვირველია, ვსარგებლობდით კიდეც.

პერიოდულად უცნაურ ბრძანებებს გასცემდა ხოლმე. მაგალითად, ბიბლიოთეკიდან ნიგნიმხოლოდ დირექტორის ნებართვით გაიცემა! ამ დროს მის მაგიდაზე სტუდენტთა და პედაგოგთა განცხადებების ზვინები იყო აღმართული. უარის შემთხვევა არავის ახსოვს. ბიბლიოგრაფიულ იშვიათობათა ერთადერთ ეგზემპლარსაც კი (რომელსაც ამ ბიბლიოთეკის გამგე რუსუდან მიქელაძე არავისთვის გაიმეტებდა), აკაკი ხორავა გაცემის რეზოლუციას ადებდა... ასეთი ბრძანებები დიდხანს ვერ ინარჩუნებდნენ ძალას.

შეიძლება ითქვას, რომ ბატონი აკაკი გაცემაზე იყო ინსტიტუტით. ეს ყველაფერში ვლინდებოდა, თბილისში იმხანად ევაკუირებული მოსკოვის სამხატვრო თეატრის გამოჩენილი მსახიობებიც მოიწვია, სპეციალურ საგნებში მეცადინეობას დაასწრო, აჩვენა სტუდენტური სპექტაკლი ა. ბრუშტეინის „ცისფერი და ვარდისფერი“ (პედაგოგი შემდგომში მსოფლიოში სახელგანთქმული, მაშინ ახალგაზრდა რეჟისორი გ. ტოვსტონოგოვი). სისტემატურად იმართებოდა საჯარო საღამოები მხატვრულ კითხვასა და სასცენო მოძრაობაში. აკადემიურ თეატრს შეშურდებოდა ისეთი მაცურებელი, ჩვენ დარბაზს რომ ავსებდა. რა ზეიმი იყო ხოლმე იმ დღეს ინსტიტუტში! ყველა დილიდანვე სტუმრების შესახვედრად ემზადებოდა. მოახლოვდებოდა თუ არა დანიშნული დრო, ბოლო სართულის კიბის თავთან (მაშინ ლიფტი ჯერ არ არსებობდა) იდგა აკაკი ხორავა, იქ ხვდებოდა სტუმრებს. გვიან მივხვდი, რა დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა სცენის მომავალ ხელოვანთათვის მაცურებელთა დარბაზში მონვეულ სტუმართა შემადგენლობას.

როგორი შეხვედრა მოუწყო იტალიიდან დაბრუნებულ ვერიკო ანჯაფარდიეს! იმ საღამოსაც ისევ მაღალი კიბის თავში იდგა. ჩვენ, სტუდენტებს, ამ კიბის თითო საფეხური გვეზარა და ერთი ყვავილი. კიბეზე ამავალ თეატრის მშვენიერების ყოველ ნაბიჯს ულამაზესი ყვავილი ეგებოდა ფეხქვეშ...

... ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ზოგიერთები სწავლას მოსკოვშიც განაგრძობდნენ. ბატონი აკაკი ხშირად ჩამოდიოდა. აუცილებლად შეგვეკრებოდა, მოგვიკითხავდა. ამ დროს სასტუმრო „მოსკოვის“ ერთ-ერთ ნომერში (ის მუდამ სასტუმროს ამ ნომერში ჩერდებოდა), ომის შემდგომი მოსკოველი სტუდენტებისთვის ნამდვილად ზღაპრული

სუფრაც იშლებოდა.

თუ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად იყო ჩამოსული, პრემიაზე წარდგენილის სანახავად ყველას წაგვიყვანდა. ეს იყო ერთეული შემთხვევები ჩვენ მაშინდელ ცხოვრებაში, როდესაც სპექტაკლს პარტერიდან ვუყურებდით.

თეატრალური ინსტიტუტისადმი მისი დამოკიდებულება და ყველაფერი, რაც ინსტიტუტთანაა დაკავშირებული, იმდენად დიდი მნიშვნელობისა იყო აკაკი ხორავას პიროვნებისა და მისი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის, რომ ამ დიდი მსახიობის 75 წლის საზეიმო თარიღთან დაკავშირებულ მილოცვათა შორის, ამ დროისთვის უკვე მსოფლიოში სახელგანთქმული გ. ტოვსტონოგოვიც მოიხსენიებს — „В день 75 летия Акакия Хорава, вспоминая большой путь, пройденный этим талантливым художником, хочется особо отметить два самых значительных его созданий: роль Отелло и Театральный институт.“

Шлю юбиляру самые теплые, самые brave-вые поздравления.”

Георгий Товстоногов

(კრებ. აკაკი ხორავა 100. „ხელოვნება“. 1997, გვ. 273).

გ. ტოვსტონოგოვი შემთხვევითი, ბოლომდე გაუაზრებელი სიტყვების მთქმელი კაცი არ იყო. ამიტომ ბევრის მთქმელია ამ მოკლე მილოცვაში ხორავას ოტელოს მხატვრული სახის დანყვილება ქართული თეატრის შემოქმედთა აღზრდის კერასთან.

ამის საბუთი თვით მისი დროის თეატრალური ინსტიტუტის ცხოვრებიდანაც შეიძლება მოვიშველიოთ. სწორედ ინსტიტუტთანაა დაკავშირებული აკაკი ხორავას, შემოქმედისა და მოღვაწის, ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება.

ცნობილია, რომ რუსთაველის თეატრის ე. წ. გმირულ-რომანტიკული მისწრაფებანი სანდრო ახმეტელმა სწორედ აკაკი ხორავას აქტიორული ნიჭიერებით აიყვანა უმაღლეს ხარისხში (ანზორ, ბერსენევი, კარლ მოორი), აკაკი ხორავა თვითონ იყო ასეთი ბუნების, მონაცემებისა და მისწრაფების მსახიობი, ასეთად დარჩა იგი ახმეტელის შემდეგაც. ასეთი თეატრის ერთგული იყო სიცოცხლის ბოლომდე. ამას ადასტურებს მთელი მისი შემოქმედება.

როდესაც 1939 წელს მისი ინიციატივით საქართველოში შეიქმნა უმაღლესი თეატრალური სასწავლებელი, აკაკი ხორავა 44 წლისა იყო. ფიზიკურად და შემოქმედებითად ჯან-ღონით სავსე და მოქმედი იდგა სცენაზე,

მაგრამ თეატრალურ ინსტიტუტში, რომლის დანიშნულებასაც ქართული დრამატული თეატრის მომავალი თაობის აღზრდა შეადგენს, სწავლება ამ გზით არ წარუმართავს. ამას ადასტურებს იმ პედაგოგთა შემოქმედებითი პრინციპები, რომლებიც აკაკი ხორავამ თვითონ მოიწვია სპეციალური საგნების ხელმძღვანელებად. ესენი იყვნენ: მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი ო. იაკუბოვსკაია, მეორე სამხატვრო თეატრის რეჟისორი ერმილოვი, მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში კ. სტანისლავსკის სისტემაზე აღზრდილები დიმიტრი ალექსიძე და გიორგი ტოვსტონოგოვი. მათ მიერ დადგმული სპექტაკლები გმირულ — რომანტიკულ მიმართულებას არ განეკუთვნებოდა, არც მათი აღზრდილები, მათ შორის მედია ჩახავა, სალომე ყანჩელი, გოგი გეგეჭკორი, ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, რეჟისორები: მიხეილ თუმანიშვილი და აკაკი დვალისვილი. სწორედ ისინი, რომლებსაც ინსტიტუტის დამთავრებისთანავე რუსთაველის თეატრში მიიღებს და რომლებიც ამ თეატრში გმირულ-რომანტიკულის საპირისპირო, ცხოვრებისეულ სინამდვილესთან ზედმიწევნით მიახლოებულ ხელოვნების ნაკადს შემოიტანენ.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ისინი თავისთავად ან აკაკი ხორავას სურვილისა და ნების გარეშე აღმოჩნდნენ რუსთაველის თეატრში. ასე შეიძლება იფიქროს მხოლოდ იმან, ვინც იმ დროს არ იცნობდა აკაკი ხორავას და ქართული თეატრის ცხოვრებას. აკაკი ხორავას გარეშე იმ დროს რუსთაველის თეატრში ვერავინ მოხვდებოდა. მან კი ძალიან კარგად იცოდა როგორი შემოქმედებითი რწმენითა და სურვილებით იყო აღსავსე ის ახალგაზრდობა, რომელიც თვითონ მოიყვანა რუსთაველის თეატრში.

დრო მიდის... ეს ახალგაზრდობა ფეხს იკიდებს სცენაზე. თამაშობს წამყვან როლებს. მამასადამე, პრაქტიკულად ამკვიდრებს ახალ ტენდენციას. სცენაზეა აკაკი ხორავაც. თამაშობს ძველსა და ახალ როლებს, ისევ თავისებურად, ძველებურად. სხვანაირად არც შეუძლია, იქნებ, ვერც წარმოუდგენია, მაგრამ აქვე, მის გვერდით სცენაზე მყოფ ახალგაზრდას არ ებრძვის. ქართული თეატრის ისტორიკოსი ვერ დაასახელებს შემთხვევას, რომ აკაკი ხორავას, რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელს, მოეხსნას რომელიმე წარმოდგენა ადრე აღიარებულ შემოქმედებით პრინციპებთან შეუსაბამობის გამო. ასეთი სპექტაკლები კი იყო: გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“, ვ. როზოვის „ხალი-

სიანი მეგობრები“, მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები“ (რეჟ. ა. დვალისვილი), ი. ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“, ჯ. ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“, ბ. ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორი“ (რეჟ. მ. თუმანიშვილი) და სხვ.

განა არ ხედავდა, რომ ახალგაზრდა ხელოვანთა ეს ქმნილებები ახლაც რეპერტუარში მყოფ, მისი მონაწილეობით მიმდინარე ვლ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფის“ დარად ადრე დადგენილ არსში არ მიედინებოდა? რა თქმა უნდა, ხედავდა, მაგრამ ახალ დინებას არ ებრძოდა. რატომ? ალბათ, ესმოდა, რომ მისი შეჩერება შეუძლებელია. იქნებ, ისიც ახსოვდა, თავის დროზე მისი თაობა როგორ იბრძოდა ახლის დასამკვიდრებლად... ერთი ცხადია — ახალ თაობას ის ანგარიშს უწევდა, სჯეროდა მისი.

და კიდევ ერთი, ისევ ამასთან დაკავშირებით. ამ თაობას ვეკუთვნოდი მეც, არა მარტო ასაკით, არამედ შემოქმედებითი რწმენითაც, როდესაც 1945 წელს მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე გასაგზავნად მე ამირჩია. თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი იმ 1945 წელს დავამთავრე, ჩემი მასწავლებლებიც დ. ალექსიძე და გ. ტოვსტონოგოვი იყვნენ, მაშინ საქართველოში თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი არ არსებობდა, აკაკი ხორავამ სასწავლებლად რუსეთში წასვლა შემომთავაზა.

ასე აღმოვჩნდი მოსკოვში, თან ჩავიტანე დიდი იმედები და აკაკი ხორავას რამდენიმე წერილი. ერთი მათგანი ქალბატონ **ფატი თვალთვაძესთან**. იცოდა, რომ დედაშვილურად მიმიღებდა ეს შესანიშნავი, ქართველ მწერალთა ნაწარმოებების მთარგმნელი ქალი, რომელსაც ამდენი სიკეთე გაუკეთებია ყველა ქართველისათვის, ვინც მოსკოვში ჩასულა და რაიმე გასჭირვებია. ფატი თვალთვაძის მადლობელი ვარ იმის გამო, რომ მოსკოველ სტუდენტს წლების მანძილზე მისი მზრუნველი თვალი არ მომშორებია.

მეორე დღესვე გამოცხადდი ინსტიტუტში, მისი ხელმძღვანელი მაშინ ევროპული თეატრის ისტორიის ცნობილი მკვლევარი **სტეფანე მოკულსკი** იყო. რომ მოვახსენე წერილი მაქვს-მეთქი აკაკი ხორავასაგან თქვენთვის გადმოსაცემი, მსცოვანი მეცნიერი ფეხზე წამოდგა და ასე ფეხზე მდგომმა წაიკითხა ქართველი მსახიობის გზავნილი. ფრთხილად ჩაიდო უბის ჯიბეში და მითხრა: თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ძვირფასი რამ შესძინეთ ჩემ პირად არქივსო.

მცირე გასაუბრების შემდეგ, თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის მესამე კურსზე ჩამ-

რიცხვს.

უბის ჯიბეში შენახული ეს წერილი დიდი ქართველი მსახიობის ხელით იყო დანერვილი, ამან აქცია ქალაქის ერთი ფურცელი დიდი მეცნიერის პირადი არქივის ძვირფას შენახვად. მაშ, როგორ მსახიობად მიაჩნდა იგი!

და განა მხოლოდ მას? და განა მხოლოდ ჩვენში?

სხვაგან ეს მთელი ძალით წარმოჩნდა 1947 წელს მოსკოვში რუსთაველის თეატრის გასტროლების დროს, როდესაც აკაკი ხორავამ თეატრის მოღვაწეთა კავშირის თხოვნით, საკუთრად მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობისთვის დამატებით ითამაშა ოტელო — მხატვრული ქმნილება, რომელიც ყველაზე თვალსაჩინოდ გამოხატავდა იმას, რაც იყო არსებითი ამ მსახიობის შემოქმედებისთვის.

მაყურებელთა დარბაზში იმ საღამოს თეატრალური მოსკოვის თითქმის ყველა ვარსკვლავი ბრწყინავდა.

სცენაზე კლდესავით იყო ამოზრდილი მავრი მხედართმთავარი. იგი ვაჟკაცობის განსახიერებად იყო დაბადებული და უნახესი სიყვარული შეეძლო. ჰქონდა ამ სიყვარულის ურყევი რწმენა და იყო ბედნიერი. შემდეგ ეს ბედნიერება ვერაგობამ დაუმსხვრია, რადგან რწმენა წაართვა გულმართალსა და მიმდობ მავრს. ეს იყო მისთვის აუტანელი ტრაგედია. როდესაც გამოირკვა, რომ დეზდემონა პირნათელი იყო მასთან, მავრმა საკუთარი სიცოცხლე მოისპო.

აკაკი ხორავას ოტელო ბედნიერი ღიმილით შორდებოდა ამქვეყნიურ სიცოცხლეს — მისთვის ხომ მთავარი დეზდემონას მისდამი სიყვარული იყო, რაც მას ადამიანისადმი რწმენას ანიჭებდა.

სცენაზე განცდილი ვენეციელი მავრის ცხოვრება აკაკი ხორავას მონუმენტური ქანდაკების მსგავს სხეულში იკვეთებოდა. მისი გასაოცარი უღერადობის დამატყვევებელ ხმაში იღვრებოდა. იმ საღამოს დარბაზიც მთლიანად ხორავას ტყვეობაში იყო.

ეს იყო, მართლაც, სასწაული. ის სასწაული თეატრისა, როდესაც ერთი მსახიობი ასეულთა ყურადღების მეუფეა და მათ შორის ცოცხალი კავშირი ესთეტიკური განცდის მწვერვალს აღწევს.

ანტრაქტების დროს ფოიეში ჯგუფ-ჯგუფად მოსეირნეთა აღელვებული საუბრები მოისმოდა, ჩვენ, ქართველები, რასაკვირველია, ყოველ სიტყვას ვიჭერდით. ყველაზე ხშირად ისმოდა ერთი სიტყვა — შალიაპინი, შალიაპინი... ასოციაციის შინაარსი და მნიშვნელობა განმარტებას არ საჭიროებს.

თეატრიდან გამოსულთ, ზღვა ხალხი

დაგვხვდა ქუჩაში — მაყურებელი მსახიობს ქუჩაში ელოდებოდა. გამოჩნდა თუ არა იგი, განვდილი ხელების რკალში მოექცა... რას არ უწვდიდნენ ავტოგრაფისთვის: უბის წიგნაკებს, წიგნებს, სპექტაკლის პროგრამას, ბილეთსაც კი — ოღონდ კი ხელი მოეწერა სამახსოვროდ... ნეტავ სადაა ახლა უხვად გაცემული მისი ეს უჩვეულო ავტოგრაფები... ვის არქივებს ამშვენებს?

იმ საღამოს კი ხალხის ტალღამ მსახიობი თითქმის ხელში აყვანილი მიაცილა სასტუმროს კარამდე. ჩემი თვალთ ვიხილე ის, რაც ზოგიერთი დიდი მსახიობის შესახებ წიგნებში წამიკითხავს და ისიც ყოველთვის დამაჯერებლად არ მომჩვენებია. აი, თურმე, რას ნიშნავს მსახიობის ხელოვნება! ადამიანებზე ზემოქმედების რა ძალა შეიძლება ჰქონდეს მას!

ამ მსახიობს მუდამ იზიდავდნენ გმირები, რომელთაც ნაწარმოებში დადებითი იდეის ტვირთი აქვთ დაკისრებული, ასეთ გმირს ნათელი მიზანი ამოძრავებს, მისი განხორციელებისთვის იბრძვის თავგანწირულად, მაყურებელსაც უყვარს ასეთი გმირი, რადგან იგი სიკეთის გამარჯვებაში არწმუნებს.

რთულია მისი განსახიერება, რადგან ის მუდამ მთავარია და შემოქმედებითი ტვირთიც დიდი აწევს. დიდი როლი სცენური სიცოცხლის ხანგრძლივობასაც გულისხმობს, მნიშვნელოვან წინააღმდეგობათა გადალახვასაც. ის მოვლენათა ცენტრშია, მოვლენები კი დრამატული ან ტრაგიკული ბუნების. ე. ი. ემოციათა დიდ ხარჯვასაც მოითხოვს, მეტყველ საშუალებათა მრავალფეროვნებასაც.

ასეთი ინდივიდუალობის მსახიობისთვის ასაკსა და მასთან დაკავშირებულ ფიზიკურ ძალებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამას გარდა ხომ სხვა, იქნებ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზებიც არსებობს...

აკაკი ხორავას გულწრფელად სჯეროდა, რომ მისი შემოქმედებითი რწმენა გმირულ-რომანტიკული თეატრისა ქმშარიტია და სცენაზეც და ეკრანზეც მხოლოდ ასე შეეძლო არსებობა. განსხვავებულ შემოქმედებით ლიანდაგზე ვერ გადავიდოდა, არც მონდომებია, არც უცდია. დარჩა ბოლომდე უდრეკი, შეურყეველი. მაგრამ, მრავალთაგან განსხვავებით, არ უფიქრია, რომ მისი შემოქმედებითი რწმენა ერთადერთია და ყველასათვის აუცილებელი; რომ ხელოვნებაში მხოლოდ ერთი გზა უნდა არსებობდეს; რომ თეატრი მხოლოდ ისეთი უნდა იყოს, მას რომ მიაჩნია საუკეთესოდ.

ამიტომ არ ებრძოდა იმ ახალ ნაკადს ქართული თეატრის ცხოვრებაში, რომელიც მი-

სი ხელმძღვანელობით არსებულ ინსტიტუტიდან წამოვიდა და ძლიერ დინებად სწორედ იმ თეატრში გაიშალა, სადაც დედაბოძად აკაკი ხორავა იდგა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროცესი უმტიკვენულოდ მიმდინარეობდა. მას ბუნებრივად მოჰყვა ბევრი სირთულე, ალბათ, ტკივილიც, მაგრამ აკაკი ხორავას არც ხელოვნებისთვის უღალატია და არც მასთან მყოფი, სხვაგვარ მოაზროვნე ახალგაზრდებისთვის. ახალგაზრდებსაც კარგად ესმოდათ მისი ფასი.

მცირე ამონარიდი **მიხეილ თუმანიშვილის** წერილიდან 1947 წელს მოსკოვში წარმოდგენილ „ოტელოსთან“ დაკავშირებით:

„...ხორავასთანა უნიკალური მოვლენა ჩემ სიცოცხლეში არ შემხვედრია. ხორავას ფონზე სხვა ყველაფერი, თუნდაც კარგი, წვრილმანი და უმნიშვნელო იყო...“

ჰქონდა ერთი თანდაყოლილი ნიჭიც — პირველი სიტყვების წარმოთქმისთანავე, უზადოდ სწორად აგებდა ფრაზას, ამის ღმერთი იყო... მსუბუქად, ლაღად წარმოთქვამდა და მასში ჩაიდუმალებული გრძნობებისა და ემოციების მფეთქავ მაგმას ქმნიდა... როგორი ხმით წარმოთქვამდა! მას ჰქონდა იშვიათი ხავერდოვანი, ლამაზი, დაბალი ტემბრის ხმა, ნამდვილი ვაჟკაცის ხმა. იგი სცენაზე კი არ დააბიჯებდა, დაბრძანებოდა და ეს დიდებული სანახავი იყო...

...მოსკოვში წარმოდგენილი „ოტელოს“ პირველ-მეორე მოქმედებამ საკმაოდ ნორმალურ დონეზე ჩაიარა.

და უცებ, მესამე აქტში, იაგოს და ოტელოს დიალოგის დროს, სპექტაკლში რაღაც მოხდა. სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს — სახელობის თეატრის უზარმაზარი დარბაზი გაირინდა, ერთთვალყურ და ერთსულ არსებად გადაიქცა, რომელიც ნთქავდა, იწოვდა, ისრუტავდა ყველაფერს, რაც ამ ორი მსახიობის დიალოგის დროს ხდებოდა სცენაზე. სცენაზე კი ამ დროს საოცრება იზადებოდა, საოცრება აქტიორული ხელოვნებისა, მომაჯადოებელი, მომნუსხველი, დამატყვევებელი.

სცენაზე მოვარდნილი ვნებების ნიაღვარი დარბაზში გადავიდა და წალეკა იგი.

მეხუთე აქტში, როცა სვეუბედური მავრისათვის ცხადი გახდა რა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, ხორავა გენიალური იყო. მე არ ვერიდები ამ საზარზეიმო სიტყვის ხმარებას. ამ ღირსშესანიშნავი დღის შემდეგაც მრავალი აქტიორული შედეგრი მინახავს, მაგრამ ამის მსგავსი — არაფერი. ხორავა-ოტელოს ეს თვალის ახელა და ქვითინი, რომელიც სადღაც, წამებული სულისა და სხეუ-

ლის სიღრმეში იზადებოდა, ჯერ ძლივს გასაგონი, უღონო, სასონარკვეთილი, თანდათან ძლიერდებოდა, მასში ჩნდებოდა გამოუვალობის, განწირულობის, უსაზღვრო მწუხარების განცდა. შემდეგ უცებ, ერთბაშად გაისმოდა ლომის გამაყრუებელი ღრიალი, რომელიც თავზარს სცემდა მაყურებელს. ეს იყო გაუგონარი ადამიანური ტრაგედიით შობილი საოცრად მართალი, დამაჯერებელი ქვითინი. გეჩვენებოდათ, რომ ეს საშინელი ქვითინი სადაცაა ძირს ჩამოამხოდა მაყურებელთა დარბაზის პლაფონს და თეატრი დაინგრეოდა... და იგი დაინგრა. მაყურებელთა დარბაზი, ალტაცებულმა, თავდაჭერის ყოველგვარი ნორმის დაცვა ამ წუთებში ზედმეტად მიიჩინა და ღრიალით ჭერი ჩამოიღო.

მსახიობები უამრავჯერ გამოიყვანეს. თითქოს მაყურებელს მარტო აქტიორებისთვის მადლობის გამოხატვა კი არა, წარმოუდგენელი დაძაბულობის შემდეგ განმუხტვაც სჭირდებოდა. დიდიან-პატარიანად ყველა ღრიალებდა. ნოდარ ჩხეიძე ნერვიულად მიმეორებდა ერთსა და იმავე ფრაზას: „თუ გესმის, ეს რა ხდება, თუ გესმის?!...“

ეს აქტიორული ხელოვნების ტრიუმფი იყო. ეს იყო სცენის ფიცარნაგზე დატრიალებული სასწაული, ჯადოქრობა დიდი გრძნეულისა, ჯადოქრობა და შამანობა. ალბათ, ასე ნუსხავდნენ მაყურებელს სალვინი, შალიაპინი, დუზე...“ (კრებული „აკაკი ხორავა 100“. „ხელოვნება“, თბ. 1997 გვ. 87-89).

კიდევ ერთი, ისევ იმ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლის, ამჯერად მისი პარტნიორის, **გოგი გეგეჭორის** მოგონებიდან:

„აკაკი ხორავას ხმის ტემბრის მსგავსი არსად შემხვედრია. ასეთი ხმა მხოლოდ ხორავას ჰქონდა, საოცრად სასიამოვნო, მუსიკალური და ხავერდოვანი...“

ვ. სოლოვიოვის „დიდ ხელმწიფეს“ (დადგმა ა. ვასაძისა) რუსთაველის თეატრის რეპერტუარში მეტად თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. მე ივანე ბატონიშვილს ვთამაშობდი. ორ სცენაში ვიყავი დაკავებული, მეოთხე სურათში პირველი სცენა შუისკისთან მქონდა (მას შესანიშნავად ასახიერებდა ბატონი აკაკი ვასაძე), შემდეგ ივანე მრისხანესთან.

ეს იყო მამის დარიგება, ხელმწიფის ალერსი. ხორავა - მრისხანე დაბალ სავარძელში ჯდებოდა, მომიხმობდა, მე მუხლს ვიყრიდი მის წინაშე, მას კი ორივე ხელით ჩემი სახე ეჭირა. თვალეში შემომცქეროდა და ჭკუას მარიგებდა. მერე მკერდზე მიმიკრავდა და მოფერებით მიამბობდა რუსეთის ბედზე, მომავალზე, თავის დიდ მიზნებზე. სულგანაბული ვუსმენდი ხოლმე, როგორც ბატონიშ-

ვილი ივანე და ამავე დროს როგორც მსახიობი, ვნეტარები მისი ხმის გამგონე. ყური ხომ მის ფართო მკერდზე მქონდა მიდებულნი. ამ მკერდიდან ისეთი ხმა მოედინებოდა, გეგონებოდა ორკესტრი ჟღერსო და უხილავი რეზონატორები ამ საზღაპრო მუსიკალური ხავერდოვანი ბუბუნის ექოს გამოსცემენო. იმ წუთებში მე ამ განსაცვიფრებელი ხმის ტყვე ვიყავი.“ (დასახელებული კრებული გვ. 105, 107).

რამდენი რამ იკითხება ამ ორ მოგონებაში! იქნებ ზოგისთვის დაუჯერებელიც, მაგრამ ეს ასე იყო, რადგან მიუხედავად შემოქმედებითი პრინციპების განსხვავებისა, ორივე მხარეს ესმოდა, რომ ცხოვრება მუდმივი ცვალებადობაა, რომ დრო აუცილებლად იცვლება და აუცილებლად ითხოვს ახალს. მე კი მგონია, რომ დაპირისპირებულთა ამ უჩვეულო დამოკიდებულებაში ერთმანეთისადმი გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც უფროსის სიბრძნეს ჰქონდა. და არა მარტო სიბრძნეს — არამედ იმ იდუმალ ტკივილსაც, რაც აკაკი ხორავას სულის სიღრმეში განუწყვეტილ ცოცხლობდა — უშვილოდ დარჩენილი მშობლის შვილად რომ ერგებოდა იმათზე ზრუნვის მონატრება. გვიან მივხვდი ამას, ვფიქრობ, არ ვცდები. განა გოგი გეგეჭკორის მოგონებაში ეს არ იგრძნობა? ვლ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“ 1945 წელს დაიდგა. მაშინ აკაკი ხორავა 50 წლის იყო, გოგი — 22 წლის — ორივე ხელით ჩემი სახე ეჭირა, თვლებში შემომცქეროდა და ჭკუას მარიგებდაო. მერე მკერდზე მიმიკრავდა და მოფერებით მიაშობდა რუსეთის ბედზე, მომავალზე, თავის დიდ მიზნებზე. სულგანაბული ვუსმენდი ხოლმე... ყური მის ფართო მკერდზე მქონდა მიდებულნი... იმ წუთებში მე ამ განსაცვიფრებელი ხმის ტყვე ვიყავიო...

რამ დაბადა ეს მიზანსცენა? ვის ეკუთვნოდა იგი რეჟისორს, თუ მსახიობს? რას განიცდიდა გოგი, მან გვითხრა? აკაკი?... ვინ იცის... დრო დაუნდობელი სისწრაფით მიჰქრის. მაშინაც ასე მიჰქროდა. ახალგაზრდებს ღონეს მატებდა, უფროსებს პირიქით.

ამაზე ლაპარაკი არ სჩვეოდა, თორემ ვილაც მაინც გაიხსენებდა, მაგრამ უკვე მძიმე სენით დაავადებული და თეატრს ჩამოშორებული, ბუნებით მხედართმთავარი საკუთარ თავთან მაინც აუცილებლად საუბრობდა, იხსენებდა წარსულს: წარმატებებს, შეცდომებს... იმ როლებსაც, რომლებიც თვითონ დაუთმია სხვა მსახიობისათვის, რადგან მიხვდა, რომ შეცდომა იყო ამ როლის მისთვის დაკისრებაც და მისი თანხმობაც. მახსოვს, რა განცვიფრებული ვიყავით ახალგაზრდე-

ბი, როდესაც მან გლუმოვის როლზე უარი განაცხადა ა. ოსტროვსკის პიესაში „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“ — რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ და ეს როლი დაუთმო დამწყებ მსახიობ გოგი გეგეჭკორს, რომელმაც სწორედ იმ 1944 წელს დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი. ესეც შემთხვევითი იყო?

ან ეს წარწერა იმავე მსახიობისათვის ნაჩუქარ წიგნზე ანდერძით რომ უღერს. —

„ჩემო გოგი!

დიდი იმედი მაქვს შენი. დარწმუნებული ვარ, რომ შენ უთუოდ გახდები დიდი სასახელო მოღვაწე — მსახიობი ქართული თეატრისა კერძოდ და საბჭოთა ხელოვნებისა საერთოდ. მე მჯერა შენი. იბრძოლე იმისათვის, რომ მომავალმა შენმა თაობამ არ გაიმეოროს ის შეცდომები და ნაკლები მუშაობაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც გააჩნდა და გააჩნია ჩემი თაობის სცენის მოღვაწეთ.

შენი მოღვაწეობის საზეიმო დღეებში მომიგონებდე როგორც შენ მოსიყვარულე ამხანაგს და მეგობარს.“

აკაკი ხორავა
 1947 წ. 24/X

ეს მისი ოტელოს ფანტასტიკური წარმატებისა და მისი აღიარების ანუ სიხარულისა და ბედნიერების დღეებში დაწერილი სტრიქონებია ნ. ალტმანის წიგნზე ა. ხორავას შესახებ. რაც მოსკოვში მიიღო გოგიმ საჩუქრად. თქმა არ უნდა, წარმატებით ბედნიერი მსახიობისგან. მაგრამ ასეთ დროს რას უნდა ნიშნავდეს ეს სტრიქონი — „იბრძოლე იმისათვის, რომ მომავალმა შენმა თაობამ არ გაიმეოროს ის შეცდომები და ნაკლები მუშაობაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც გააჩნდა და გააჩნია ჩემი თაობის სცენის მოღვაწეთ“? რომელ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს გულისხმობს წარმატებით და აღიარებით ბედნიერი მსახიობი? რა აირეკლა ამ ერთ წინადადებაში?... ალბათ, რალაც ისეთი ტკივილი, რომელიც მას ბედნიერების წუთებშიც არ უყუჩდებოდა... რა სტკიოდა?..

ასეთ და კიდევ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხს მოძიება უნდა. თუნდაც იმის გამო, რომ ოტელო — ის სცენური სახე, რომელიც მოიცავდა ყველაზე მნიშვნელოვან სათქმელს რწმენისა და სიყვარულის უძღვევლობის შესახებ, სათქმელს, რომელიც მან ლამის მთელ ქვეყანას შეატყობინა და საპასუხოდ წარმოუდგენლად ერთსულოვანი აღიარებაც მიიღო — ის არავისთვის გადაუცია. ან ვინ მიიღებდა! ვინ იკისრებდა! განა ამ დროს არ მოხდა ის სასწაული, როდესაც დრომ მიი-

ლო იგი თავის გმირად, რადგან მისი იდეალი შეესატყვისებოდა იმ ცხოვრებას, სადაც ერთად არსებობდნენ ის და მისი მაცურებლები. ვინ შეძლებდა ღუმლის ოსტატობის მწვერვალზე ასვლას, როდესაც შექსპირისეული მხატვრული სახის აქტიორული ინტერპრეტაციის ყველაზე ძლიერი გამოვლინება ორი უსიტყვო ეპიზოდი იყო — ერთი ადრე, როცა ხორავას ოტელო სადღაც ახლო მყოფი დეზდემონას სიმღერას ისმენდა, მეორე — მისი სიცოცხლის დასასრული: ღიმილით სიცოცხლის მოსპობისას, რადგან მისი ნამდვილი ბედნიერება და სიცოცხლეც დეზდემონას გარეშე არ არსებობს — მისთვის სიკვდილიც ბედნიერებისკენ მიმავალი გზაა! ასეთი სიკვდილი იყო ხორავას მიერ უმთავრესის თქმის საშუალება, მხატვრული სახის მისეული ინტერპრეტაცია.

საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი, ასაკითა და მძიმე სენით დაუძღურებული გოლიათი, ვინ იცის, რაზე ფიქრობდა... რამდენჯერ გაატარა მეხსიერების სარკეში საკუთარ ქვეყანაში განვლილი ცხოვრება... რამდენი რამ იცვლებოდა ამ ცხოვრებაში დაუსრულებლად... მათ შორის, ცხადია, შემოქმედებისათვის ასე აუცილებელი მაცურებელი, ანუ დროის ახალი შვილები! ამ დროს შენ ვინ ხარ? მათ შენი სცენური ქმნილებანი არ უნახავთ. კინოში კი ხარ გადაღებული, მაგრამ იქ არ ჩანს შენი სასწაულები, კინო სხვა ხელოვნებაა.

სცენისთვის იყავი დაბადებული... სადაა ეს შენი, უკვე განვლილი ცხოვრება? როგორც ყველა ცოცხალი, ისიც სხვადასხვა ნივთიერ ანარეკლებშია გაფანტული — რეცენზიებში, წიგნებში, სურათებში... შენთან

დაახლოებულ ადამიანთა პირად არქივებში... შენს არქივშიც...


ვინ მოუყრის თავს ამ გაფანტულ ანარეკლებს? ვინ შეძლებს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებას? ეს ხომ ძალიან რთულია და ყველას არ შეუძლია, ისე კი ყველა არქივი მუდმივ მომლოდინეა. ის ელის საქმის მცოდნე მკვლევარს, რომელიც არქივში დაცული მასალის, ისიც ხელნაწერის გამოქვეყნებას არ იკადრებს ხელმოუწერლად და იმის მიუთითებლად თუ სადაა იგი დაცული, თანაც არ აახლებს საკუთარ კომენტარს გამოქვეყნებულ მასალაზე და მისი გამოქვეყნების სასიკეთო მიზანდასახულობაზე. მით უფრო, თუ პიროვნება, ვისაც ეს მასალა ეხება, დიდად გამორჩეული პიროვნებაა. ნუ დავივიწყებთ ჩვენი დიდი წინაპარის, **ილია ჭავჭავაძის** კარგად ცნობილ ნათქვამს:

„ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს. აბა შეხედეთ სხვა ქვეყნებს, ერთი იმისთანა სახელოვანი კაცი არ ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძეგლი არ ჰქონდეთ აღმართული. რისთვის? სულ იმისთვის, რომ დიდმა თუ პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალწინ იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს“. მით უფრო, თუ ძეგლი მთანმინდაზე დგას.

განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს ყველას წარსულის მიმართ, რადგან ისაა ჩვენი ანმეოს საძირკველი. წარსულს არქივი ინახავს, გაუფრთხილდეთ მას. უსაძირკველონი არ აღმოვჩნდეთ.

30 მაისი 2006წ.





თამარ შავკუნიძე

"ჩიხაბის ბაყიღვანი" ეპიბასიაშია

ზურაბ ნიჟარაძე, მაშინაც კი, როცა ჭეშმარიტი ხელოვნების სახელით მისი პრინციპების დამკვიდრებისათვის ხმალამოღებული იბრძოდა, მაინც საზოგადოებისგან და ხელისუფლებისგანაც კი განებივრებული მხატვარი იყო. მისი უკომპრომისობა იქამდეც კი მივიდა, რომ შემოქმედი სოციალურ გარემოში, ქართული ფერწერისათვის და მისი სახელით, ერთ პერიოდში, ნებსით თუ უნებლიედ, მარგინალ მხატვრადაც იქნა შერაცხილი. სწორედ ეს მარგინალობა, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, იმ ეპოქაშივე იქცა მისი სოციალიზაციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. ამ ხანაში (დავაზუსტებ, საბჭოთა პერიოდში) შექმნილი, მისთვის მარგინალის იმიჯის მომტანი ნამუშევრების უმთავრესი მარკერი ფერწერული თვითკმარობაა და იმ,

მაჟორული ჟღერადობის ეპოქისთვის დისონანსური ნოტების შემცველია.

ამ ფერწერული ტილოების (საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რამდენიმე ნამუშევარს, რომელშიც ჩანს ზურაბ ნიჟარაძის, როგორც ფერმწერის მარგინალობა: „ჩიტების გამყიდველი“ 1968 წელი; „მოხუცი, რომელსაც მიაქვს ლოგინი“ 1971 წელი; „არლეკინი“ 1982 წელი; „ქალიშვილის, ანა ნიჟარაძის პორტრეტი“ 1981 წელი; „პიანისტ, მარგარიტა ჩხეიძის პორტრეტი“ 1975 წელი და სხვ.) უკვე ნახსენები თვითკმარობისა და ოდნავი კომპოზიციური ლაბილურობის მიუხედავად, მათი მიკროსივრცე დასრულებულია და მხატვრულად დამაჯერებელი. კომპოზიციებში მოძრაობის კადრირებული ხასიათი შეიმჩნევა. მისი ღრმა და ოდნავ მოყრუებული ტონებით კონსტრუირებული გარემო, ფორმის ფერწერული დასრულებულობა სურათებში მშვიდ და სტაბილურ ატმოსფეროს ქმნიან.

სოციალისტური ეპოქის დაჭაობებული გარემო ფსევდოსიმბოდიისა და ფსევდოსტაბილურობის სინდრომს აყალიბებდა და ზოგ შემთხვევაში, ზურაბ ნიჟარაძის ჯანყიც სოცრეალისტური მუტანტების წინააღმდეგ გარეგნულად „მშვიდი“ და დახვეწილი იყო. სწორედ ამიტომაც, რომ იგი ასე „მშვიდად“ ვარირებს მეამბოხე შაგალის მოტივებით („მოხუცი, რომელსაც სანოლი მიაქვს“ 1971 წელი) და ნატიფი პორტრეტების მთელი სერია ამ კონტექსტშია მოსააზრებელი. მაგრამ ეს გარეგნული „სიმშვიდე“ და სტაბილურობა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანის ფარული თუ აშკარა ზენოლის პროდუქტი იყო, რომელმაც თავადვე ჩამოიყალიბა პარადოქსი, - მხატვრის წინააღმდეგობა ამ ზენოლისადმი უფრო მრავალფეროვანი, უკომპრომისო და მხატვრულ-ესთეტიკური ალეგორიების ყველაზე ფართო სპექტრის შემცველი გახდა. ე.ი. ბანალურმა ფორმულამ „წინააღმდეგობა შობს წინააღმდეგობას“ XX საუკუნის ქართული ფერწერის, და რასაკვირველია, მათ შორის ზ. ნიჟარაძის მშვენიერი სამყაროს სამანები უფრო შორს გადასწია. აი, ამ საოცნებოდ დინამიკური სამყაროს პრინციპები დაედო საფუძვლად ზურაბ ნიჟარაძის (და არა მხოლოდ მის) მხატვრულ-ესთეტიკურ იდეალებს. ამ მიდგომებით შინაგანად უგულვებელყოფილი იყო ესთეტიკური სოციალიზაციის სინდრომი და იგი თავის ტილოებში ქმნიდა საოცნებო და კიდევ უფრო ევროპული ქართული ხელოვნების მეოცე საუკუნეს.

რასაკვირველია, ყველგან იმ მშვენიერი იყო...

მაგრამ, ეს „დილიური“ სოციალიზებუ-

ლი ესთეტიზმი (ანდა პირიქით) გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის პოლიტიკურმა შფოთებმა, თანმხლებმა სოციალურმა არასტაბილურობამ, ეროვნული იდეის სპეკულაციამ დაშალა. თავისუფალ სამყაროსთან თავსებადობის რთულმა, წინააღმდეგობრივმა პროცესმა, თავის მხრივ, დღეს, ამ წუთში ჩვენთვის თვისობრივად ახალი, შინაგანად ტრანსფორმირებადი (ან მსხვრევადი) მოვლენები ჩამოგვიყალიბა.

რასაკვირველია, როცა ძველი იმსხვრევა ყველაფერი „მშვენიერია“...

ეს მცირე სოციოკულტურული ექსკურსი დაგვჭირდა იმისათვის, რომ მოგვენიშნა იმ რადიკალურ ცვლილებათა ფორმატი და წანამძღვრები, რომელიც დღევანდელ ზურაბ ნიჟარაძეში დავინახე.


ამ ეპოქაში თვით ევროპა შემოვიდა ჩვენთან. სამყარო, რომლისკენაც ყველანი მიილტვოდნენ, ღირებულებები, რომელზეც შენდებოდა თანამედროვე ნახევრად ოფიციალური თუ ანდერგრაუნდის ქართული ხელოვნება და რომლის გამოც, მისი ჭეშმარიტი ადეპტები რეალურ მარგინალებად ან საბჭოთა ცენზურის მიერ რომანტიკულ საბურველში გახვეულ ფსევდოგანდევილებად ყალიბდებოდნენ უკვე ჩვენი პარტნიორია.

გაქრა ის, რასთან წინააღმდეგობაშიც იბადებოდა მათი ხელოვნების სიმძაფრე. გაჩნდა დაბნეულობა, ევროპასთან შუამავლის გარეშე დარჩენით გამოწვეული იმედგაცრუება... ყოველ შემთხვევაში, ზურაბ ნიჟარაძის ბოლო პერიოდის ნამუშევრებში აღმოჩნდა, რომ ძველი სიმშვიდე, სინატიფე სამუდამოდ დაკარგულია, მაგრამ „ახლოს“ მოსულმა ახალმაც ბევრი ვერაფერი შემატა. მიუხედავად ამისა, მის აფორიაქებულ რიტმებში, ბევრისგან განსხვავებით, საბჭოთა ნოსტალგია მაინც არ იგრძნობა.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ზურაბ ნიჟარაძე ქმნიდა ხელოვნებას, რომლითაც ეძებდა და ხსნიდა თავისი ახალი სამყაროების ჰორიზონტებს, რომელიც სოციალისტური და „სხვა“ რეალიზმების სტატიური მონუმენტებისთვის უცხო და უჩვეულოდ დინამიურ, ჰუმანურ სამყაროს აყალიბებდა. სამყაროს, რომლის ცენტრადაც მან კვლავ ადამიანი აქცია, მინაზე ჩამოიყვანა შაგალის აფრენილი პერსონაჟები და ისინი მისი შემოქმედების „მაკონდოში“ დაასახლა.

ესეც მშვენიერი იყო...


მაგრამ, მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მისი ხელოვნება ჩვენს დროში და ჩვენს თვალწინ არსებითად შეიცვალა, რომ იგი უკვე დისტანცირდება ევროპული სამყაროსგან.



ციცინო ციციშვილის პორტრეტი. 1958

იმისგან, რისკენაც აქამდე მიილტვოდა (არადა, ვინ იცის, რომ არ ყოფილიყო ზურაბ ნიჟარაძის შემოქმედება, ქართული ხელოვნება კიდევ ერთი და დიდი ნაბიჯით ასე თამამად ვერ მიახლოვებოდა დასავლეთის სამყაროს), მისი პოეტური და ნატიფი ნატურა ვერ შეეგუა ამ ახალ, ათასი „იზმებით“ გაჯერებულ, დეკონსტრუირებულ XX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპულ აზროვნებას (ასეთი „მონოლითური“, კონსტრუქციული მიდგომები ხომ არ არის საბჭოთა მონოხელოვნების არაცნობიერი რელიქტი?). ვერ ვიტყვი, რომ ევროპული ხელოვნების გავლენით, მაგრამ მის სამყაროსაც უკვე დაეტყო ერთგვარი ტრანსფორმაცია. ეს ცვლილებები ერთბაშად ძნელი შესამჩნევია, ვინაიდან ოსტატის გამოცდილი ხელი ნელ-ნელა ცვლის მის მიერვე შექმნილ ძველი სამყაროს კონფიგურაციას და ახალ „მონაცემთა ბაზის“ საფუძველზე ხელახლა იწყებს მის „ტესტირებას“.

ნიჟარაძის სასურათე სივრცეები ყოველთვის გამოირჩეოდნენ არასტაბილურობით, კადრირებული სტრუქტურით და მოულოდნელი, დეგასეული რაკურსების სიჭარბით, სიბრტყობრიობითა და ფიგურათა სივრცეში კოლაჟური განლაგებით („იტალიური მოტივი“ 1969 წელი; „გასეირნება“ 1970 წელი „სიენა“ 1962 წელი; „წითელი ბუშტი“ 1966 წელი), მაგრამ, ამ ზემოთ ჩამოთვლილი თა-



რეჟისორ ოთარ იოსელიანის პორტრეტი. 1978

ვისებურებების მიუხედავად, მისი სივრცე ყოველთვის ინარჩუნებდა ერთგვარ „გრაფიკაციულ ველს“, რაც ფიგურათა სივრცეში მყარად „დამაგრების“ გარანტი იყო. მაგრამ ბოლო პერიოდში თითქოს კომპოზიციების მოულოდნელი რაკურსები, მათი სიმწვავე და სიმძაფრე ერთგვარად შერბილდა, სივრცეები უფრო დასტაბილურდა, მონასმი ბევრად უფრო პასტოზური გახდა. უფრო მკაფიოა ფერწერული ტილოს არქიტექტონიკაც, და რაც ყველაზე მთავარია, დამძიმებული ფიგურები და ფაქიზ ტონალურ ნიუანსირებას მოკლებული ფერები ქმნიან ნიჟარაძის შემოქმედებისთვის მანამდე უცხო, მძაფრ ენერგეტიკულ ველებს. ახალი ნამუშევრებით ავტორი, ამ სპონტანური „ენერგიულობის“ ხარჯზე ცდილობს თვითდამკვიდრებას, უკვე არასტაბილური და სიმყიფეშეპარული სამყაროს გაერთიანებას. რაც შეეხება ნიჟარაძის ესეულ კოლორიტს, დროთა განმავლობაში, ამ კონტექსტში მანაც განიცადა არსობრივი ტრანსფორმაცია და ფიგურათა დარად ისიც მხატვრისთვის უჩვეულო „ენერგიულობით“ ცდილობს დამკვიდრდეს მაყურებლის პერსპექტივულ სივრცეში.

ამდგვარი სამყაროს სიღრმისეულ ინტერპრეტაციად, უფრო მეტიც, ჩვენი ეთნომენტალური საფუძვლების ფილოსოფიური განზოგადების ფერწერულ დოკუმენტირებად უნდა

მივიჩნიოთ, ჩემი აზრით, ზ. ნიჟარაძის ერთ-ერთი საუკეთესო ტილო „ქართული ინტელიგენციის მოკრძალებული ხიბლი“ – „თავ-თავიანთ“ გორაკებზე, „თავ-თავისი“ ინსტრუმენტით და ერთმანეთისგან განსხვავებული, საკუთარი მუსიკით გათიშული და ნისლიანი სივრცეებით დაშორებული ფიგურები, რომელთა უკანაც მხატვარმა ჩაკეტილი, უსინათლო ფერებით კონსტრუირებული სივრცე და კავკასიონის ქედი „აღმართა“.

ეს ბარიერი დანარჩენი სამყაროსა და გაშლილი სივრცეებისგან „საიმედოდ“ მიჯნავს არა მხოლოდ პერსონაჟებს, არამედ ჩვენც. ნისლისებური ბადეებით კონსტრუირებული სივრცე და ფიგურათა დაღლილი ელევანტურობა უკვე დამლუპველ თვითკმაყოფილებაშია გადაზრდილი. ზურაბ ნიჟარაძეს შიგნიდან ანგრევს და გასაქანს არ აძლევს ეს უშაერო სივრცე, რომელშიც ჩადებული ტკივილიც კი იმდენად გასაგნებულია და განსხვავებულია, რომ თავად ეს სურათი მხატვრისთვის დამოუკიდებელ პერსონაჟად ყალიბდება, მხატვრის პერსპექტივულ სივრცეში ცოცხლდება, იკრებს ძალებს, და მხატვრის სამყაროზე პროექტირდება როგორც გარედან მაპროვოცირებელი ფაქტორი ან ფაქტორთა სისტემა, რომელმაც განაპირობა ზურაბ ნიჟარაძის არსებაში მანამდე არსებული მარგინალობის არსებობისა და აზროვნების წესად ქცევა.

თუ ადრეულ ეტაპზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისი მარგინალობით იგი ცდილობდა თავი დაეღწია იდეოლოგიური ზენოლისგან და როგორც შემოქმედი ამალღებულისო სოციალურად შემდგარი საზოგადოების ფონზე და საკუთარი იდენტობა მისივე ესთეტიზირებულ შემოქმედებასთან ეპოვა, დღეს უკვე შეცვლილი დრო, ტრანსფორმირებული ან რადიკალურად შეცვლილი ღირებულებები და კულტურული ორიენტირები შემოქმედისაგან აქცენტების გადანაცვლებას მოითხოვს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ ნიჟარაძე თანამედროვეთათვის სოციალურად შემდგარი ესთეტიკურ-კულტურული ღირებულებაა, იგი იძულებულია კვლავაც გააგრძელოს საკუთარი ბრძოლა, შემოქმედის არსებობის დასადასტურებლად. ამ გარემოებებმა განაპირობეს ის, რომ ჰორიზონტზე კვლავ კულტურული მარგინალობის პერსპექტივა აიღიანდა.

ეს საბედისწერო წყალგამყოფი საკმაოზე მეტად, ცხადად იკითხება არა მხოლოდ თემატიკაში, რომელიც ბევრად კამერული გახდა, არამედ კოლორიტულ პარტიტურაში და განათებებში, რომელთაც დაკარგეს ოდინდე-

ლი ინტელიგენტური სირბილე და ზემოთ მონიშნული ენერგეტიკული ველების აგრესიით დაიმუხტნენ.

ჩვენ მიერ პირობითად ორ ეტაპად გაყოფილი, ზურაბ ნიჟარაძის შემოქმედების ადრეული, „სოცრეალიზმის პერიოდისთვის“ დამახასიათებელია სასურათე სიბრტყის გარედან ფერწერული კომპოზიციის რომელიმე კონკრეტულ მოდელზე ან მთლიანად კომპოზიციაზე სინათლის კონცენტრირებული სხივის პროექცირება და შესაბამისად, განათების ასეთი რაკურსით კოლორიტული გამის პრიორიტეტულობის გამოკვეთა. სინათლისა და ფერწერული გამის ასეთი ვარირება არა მხოლოდ მხატვრის სტილური თავისებურე-



თ. გედევანიშვილის პორტრეტი. 1973

ბაა, არამედ „გარედან“ ინფორმაციული ემანაციის შემოჭრისა და სასურათე სიბრტყეზე დიდი, ულმობელი სამყაროს (ცხადია, ვგულისხმობ „ადამიანის სახიან სოციალიზმს“) ადამიანური განზომილებებით ინტერპრეტაციის შესაძლებლობაც. მხატვრის მიერ ამ პერიოდში შექმნილ ფერწერულ ტილოებში გარდა წმინდა დეკორატიული პასაჟებისა, რომლითაც მონიშნულია შიდა, ფერწერული ბალანსის პერიმეტრი. რაც არ უნდა უცნაუ-

რად ჩანდეს, პარალელურ რეჟიმში ცენტრიდანული მოძრაობაც შეინიშნება. სასურათე სიბრტყეზე განთავსებული, მხატვრისთვის განსაკუთრებით მტკივნეული, და, ალბათ, დღეს შეიძლება ითქვას, მუდმივი შეკითხვებით კონსტრუირებული მიკროსამყაროს მოძრაობის ვექტორი „გარეთ“ არის მიმართული. მხატვარი ამ „აქციით“ სოცრეალიზმის „ნათელ“ სამყაროსთან იდენტობისა და მისთვის „ადამიანური სახის“ მინიჭების ნაცვლად მის რეალურ ოპოზიციონერად ჩამოყალიბდა.

შედარებით გვიანი პერიოდის ფერწერულ ტილოებზე სინათლის ფუნქცია ჩვენი აზრით, რადიკალურად, უფრო ზუსტად, კონცეპტუალურად იცვლება. უმეტეს შემთხვევაში ფერწერული კომპოზიცია საკმაოდ ინტენსიური, ტონალურ გრადაციებს მოკლებული ფერებისგან (განსაკუთრებით მისი ნიუების სერია) შედგება, სინათლის წყარო კი უკვე ლოკალურ სიბრტყეზე, ანუ მნახველის თვალწინაა განთავსებული და უმეტესწილად, ან თავად მოდელი ან ნიჟარაძის კომპოზიციების პერსონაჟების სხეულია გამოყენებული. თუმცა, ხაზგასმით უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წყაროებიდან (პერსონაჟები, მოდელები) „ამონათებული“ სინათლეები მხოლოდ მოდელის სხეულზეა ლოკალიზებული და ვერ ჭრის, ან უფრო ზუსტად, ვერ გადის ამ ფერწერული კომპოზიციების ბედისწერად ჩამოყალიბებულ ტონალობებით მოდელირებული კონტურების ჩარჩოებიდან.

მცირე განმარტება.

ზურაბ ნიჟარაძის შემოქმედების მოგვიანო პერიოდში, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში გაჩენილმა, ჩვენ მიერ ფერწერულ პროტესტად მიჩნეულმა ტენდენციამ (განათების სივრცულმა ლოკალიზაციამ, და სასურათე სიბრტყის გარე პერიმეტრზე მუქი ტონალობებით მოდელირებული „ჩარჩოების“ გაჩენა) შემოქმედებითი სფეროდან სოციალურ სიბრტყეზე გადაინაცვლა. ზურაბ ნიჟარაძე, მისი მარგინალობის მიუხედავად, სამოციანი წლებიდან ქართული ფერწერული სკოლის ერთ-ერთ მეტრად ითვლებოდა, დღეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემოქმედებით (რომელიც მჭიდროდ არის გადაჯაჭვული მოქალაქეობრივთან) ემიგრაციაში წასულად გვეჩვენება, რადგან ბოლო წლებში შექმნილი ტილოების ანალიზი ზურაბ ნიჟარაძის შინაგანი ემიგრაციის ფერწერულ დადასტურებად გვევლინება.

ჩიტების გამყიდველი ემიგრაციაშია...



მამუკა
ფოლოძე

ახტისხოზი და სისოსხდა

(ზუზრაბ ნიჟარაძის
ფერწერის მოტივიზება)

სილამაზე რომ ადამიანის მოგონილი იყოს, სამყარო რომ არ ატარებდეს თავის თავში მშვენიერების იდეას, როგორც ზებუნებრივს მის ბუნებრივ არსებობაში, არც გაჩნდებოდა სიცოცხლე. სიცოცხლე არა მხოლოდ არსებობაა, ის შემოქმედება და თავისუფლებაა, სადაც ზღვარი იკარგება ნამდვილსა და წარმოსახულს შორის. სწორედ ამიტომ, ფანტაზიის სწრაფვაც სიცოცხლისკენ სცილდება ხელოვნების საზღვარს და ქმნადობის პროცესის რეალობაში გადადის. ნახატი კი არ ირეკლავს არსებულს, ახალ არსებობას ქმნის, განსხვავებულს იმ სამყაროსგან, რომელშიც ვარსებობთ.

ხელოვნურის და ბუნებრივის ეს ერთიანობა არ ხორციელდება მიზეზშედეგობრივად. მიუწვდომელი და განუსაზღვრელია ის აუცილებლობა, თუ როგორ გადადის ხელოვნურად შექმნილი, თავისთავად არსებულ სიცოცხლეში. ეს შეუცნობელი გადასვლა ხდება თამაშის წესით, სიტყვის თუ ფერის საიდუმლო მოძრაობაში. თამაში გაურკვეველობის გარკვეულობაა: ყოფნისა და არყოფნის ის ბუნდოვანი სტიქიაა, რომელიც სიცოცხლის დასაბამს მოიცავს. მხატვარი ფლობს ამ ბუნდოვანებას, რომელიც ფერთა თამაშისა და თვალთ მოუხელთებელი გრადაციის საზღვარზე სუფევს.

თითქოს ხედავ და ვერც ხედავ განუსაზღვრელ ქაოსს, სადაც თვალისგან დაუნანვერებლად, ერთ განუყოფელ მთლიანობაში არსებობს ხელოვნება და სიცოცხლე. ფერთა უფაქიზესი გადასვლებით გაჯერებული ბურუსი არღვევს სახის კონტურებს, საგანთა ფორმას, პეიზაჟის ჩარჩოებს და ჰერაკლიტეს მდინარესავით უსასრულო სივრცეში მიედინება. ეს ნაკადი ძირს უთხრის არსებულ სამყაროს, რომელშიც ჩვენი ცხოვრებაა მომწყვდეული; გვიჩვენებს მის ძირის ძირში ჩადებულ სიცარიელეს, არარას, როგორც ქმნადობის დაუსრულებელ პერსპექტივას.

საგანთა წარმოშობის ეს ბუნდოვანი სტიქია სავსეა მნიშვნელობით, შეფარული აზრით; ის მრავლისმეტყველია, თუმცა კონკრეტულად არაფრის მთქმელი. და ყოველდღიური ცხოვრებიდან ამოგლეჯილი ნივთებიც, სწორედ ამ ბუნდოვანი, ოდნავ წაშლილი მრავალაზროვნების გამო იძენენ თავიანთ ცოცხალ სახეს, ინდივიდუალურ არსს და ამავე დროს მონაწილეობენ იმ არასხეულებრივ მოძრაობაში, რომელსაც შეიძლება ვუნდოთ სინათლე.

ნახატი ანათებს; მაგრამ ეს არ არის ფიროსმანის ფერის შინაგანი გამონათება, ეს არის ფერთა ურთიერთობითა და თამაშით შექმნილი განათება, რომელიც ცოცხალ მთლიანობაში იჭერს და ინარჩუნებს არტიკული სიცოცხლის არსს.

ნახატი ანათებს; მაგრამ ეს არ არის ფიროსმანის ფერის შინაგანი გამონათება, ეს არის ფერთა ურთიერთობითა და თამაშით შექმნილი განათება, რომელიც ცოცხალ მთლიანობაში იჭერს და ინარჩუნებს არტიკული სიცოცხლის არსს.

მოდის, მოედინება დარღვეულ ფორმათა ნიაღვარი, როგორც სიცოცხლის შეუქცევადი მდინარე, რომელშიც ორჯერ ვერ შეხვალ, მაგრამ ერთხელ კი შეიძლება შეხვიდე, რადგან თამაშის ორაზროვნება აზოგადებს მას, აჩერებს მის წუთიერ წარმავლობას, ტვირთავს განსაკუთრებული მნიშვნელობით და აზრით, ანიჭებს იმ იდუმალ მთლიანობას, რომელშიც შერწყმულია არსებობა და არსი, იდეა და საგანი და რომელიც მსხვერპლად ცალკეული სახის გარკვეულობას მოითხოვს.

ამიტომ, შთაბეჭდილებაც ბოლომდე არ ცნობიერდება. შესცქერი ბუნებრივ სამყაროს მონყვეტილ სახეებსა და საგნებს, მათ დარღვეულ კონტურებს და ვერ ხვდები, საიდან მოდის ნამდვილი რეალობის ნათელი განცდა — დაუშრეტელი სიცოცხლის სიხარული.



სხედან (მარცხნიდან): კოლაუ ნადირაძე, ანდრეი ბელის მეუღლე, პაოლო იაშვილის მეუღლე —
თამარი, ტიცვიან ტაბიძის მეუღლე — ნინო მაყაშვილი, ნიკოლო მინიშვილი;
დგანან: ტიცვიან ტაბიძე, ანდრეი ბელი, პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, სანდრო
შანშიაშვილი.



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

კომპიუტერული უბრუნველყოფა:
ზაზა ჩუგოშვილი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
(+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@posta.ge





ზურაბ ნიჟარაძე

კაფე

2006-613



1870/2

